

უზანგ სახლტხუციხვილი

ადგილის დედა

ანუ

რას მოგვითხრობენ ტოპონიმები



თბილისი "ლომისი"

1997

*ტოპონიმია (გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებებმა) დღეს ფართო დაინტერესება გამოიწვია. ყველას სურს იცოდეს, თუ რატომ ჰქვია ამა თუ იმ ადგილს ესა თუ ის სახელი. აინტერესებთ ამ სახელწოდების ისტორია-ეტიმოლოგია. როდის შეერქვა ეს სახელი და რატომ, რა ცვლილება განიცადა ისტორიის მანძილზე. მკითხველის ცნობისმოყვარეობას, ალბათ, ნაწილობრივ მაინც დააკმაყოფილებს ამ წიგნში შესული წერილები, რომლებიც სხვადასხვა დროს სამეცნიერო კონფერენციებზე თუ საჯარო სხდომებზეა წაკითხული. ბევრი მათგანი გამოქვეყნდა ურუნალ-გაზეთებში, გადაიცა საქართველოს რადიოთი რუბრიკით: „რას მოგვითხრობენ ტოპონიმები“*

რედაქტორი

ააატა ცხაღანია

მხატვარი

კარლო შაჩულია

ტექნიკური რედაქტორი

უ.ს.სახლმუშუციშვილი

## სარჩევი

1. წინასიტყვაობის მაგიერ.....	7
2. ისტორიის უტყუარი ფურცლები.....	10
3. მარტყოფი.....	18
4. აკრიანი.....	35
5. ტევალი.....	39
6. მამა ანტონის ნაკვალევზე.....	42
7. იალნო.....	48
8. ქოტორი.....	54
9. ახალსოფელი.....	58
10. საცხენისი.....	61
11. სად მდებარეობს სამგორი.....	65
12. სათისჭალა.....	71
13. საჯერნე.....	75
14. ნორიო.....	79
15. ლილო.....	85
16. ნასაგური.....	90
17. ვარკეთილი თუ ვერკეთილა.....	94
18. გლდანი თუ გრდანი.....	98
19. მამკოდა.....	103
20. ავჭალა.....	106
21. ჯაჭვი.....	113
22. საგურამო.....	117
23. პატარძული.....	123
24. საგარეჯო.....	130
25. ყანდაურა.....	135
26. ვაჩნაძიანი.....	140
27. მერე.....	144
28. რომელი სახელი დაუბრუნდეს?.....	148
29. სიღნაღი.....	152
30. ნუკრიანი.....	157
31. ნიკორწმინდა თუ ნიკორციხე.....	162
32. "ყაზბეგი" ისტორია-ეტიმოლოგიისათვის.....	168
33. ხარაგაული.....	172



ღირსი მამა ანტონ მარტომყოფელი (მესვეტე)





მარტყოფის ღვთაების მონასტერი



მარტყოფი ათასწლოვანი "ლავრენტაანთ კაკალი"

## წინასიტყვაობის მავიერ

ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში მკითხველთა და რადიომხმენელთა ბევრი წერილი მაკვლიეთ. გულისტკივილით გვეკითხებიან, თუ რატომ, რა მიზეზით შეწყდა რადიოგადაცემებში ტოპონიმებზე საუბარი. ან პრესაში რატომ აღარ იწერება წერილები. გვთხოვენ, კვლავ განვაახლოთ ასეთი გადაცემები და ჟურნალ-გაზეთებშიც ხშირად იწერებოდეს გეოგრაფიული სახელების წარმომავლობა-ეტიმოლოგიის შესახებ სპეციალისტთა წერილები. წერილებს ვღებულობთ ჩვენი ძველი ინფორმატორებისაგანაც, რომელთაც ფასდაუდებელი სამსახური გავვიწიეს ტოპონიმოკური მასალის აღწერა-დაფიქსირებაში. ამ მოქმელი-ინფორმატორთა ჩამოთვლას მთელი თაბახი არ ეყოფა. ტოპონიმოკურ ლექსიკონებს როცა გამოვცემთ, იქ ყველას გვარ-სახელი იქნება აღნუსხული. ახლა მხოლოდ დავისახელებთ: ქუჩუკ ხოსროშვილს – ჭიკაბანიდან, ვაჟა ნატროშვილს – შილდიდან, ნოდარ ლათიბაშვილს – ყვარლიდან, ვაჟა ხუცურაულს – იყალითიდან, ელაურდ შავაძეს – შაღაურიდან, დავით კიკნაძეს – ვულავლიდან, ლონგო ლეშკაშელს – კონდოლიდან, ლონგო ზათიაშვილს – ფშავლიდან, თემო ყარაოღლს – ნაფარეულიდან, კაკო ფოცხვერაშვილს – კალაურიდან, ვაჟა ბენიძეს – ვანსაძიანიდან, ბიძინა წიკლაურს – შაშიანიდან, მერაბ ჯაევაზიშვილს – ყანდაურიდან, ბონდო კაპანაძეს – ჩალაუბნიდან, გურამ ბუჟუაშვილს – მელაანიდან, კაკო გელაშვილს – წნორიდან, ჯუმბერ კუპრაშვილს – ტიბაანიდან, ბიჭიკო ბოსტოლანაშვილს – მანჩაანიდან, ბიჭიკო მარილაშვილს – ვიორგიწმინდიდან, ბიჭიკო ყუშიტაშვილს – პატარძეულიდან, თამაზ იანგარაშვილს – ქვემო ქელიდან, მიხეილ აბრამიშვილს – ნორიიდან, ქიტესა უნდლიაშვილს – საგურამოდან... სწორედ მათი დიდი დამსახურებაა, რომ შეკრებილი მაქვს ამ სოფლების (და არამარტო ამ სოფლების) ფასდაუდებელი ონომასტიკური მასალა. დიახ, სწორედ მათი ავტოცია-პროპაგანდის წყალობითაა, რომ ბევრი მოქმელი-ინფორმატორი დღესაც არ წყვეტს ჩვენთან კავშირს და თუ კიდევ რამ გაახსენდებათ, ჩაიწერენ და გვიგზავნიან.

ნიკო ჯაევაზიშვილს (ნიკო მასწავლებელს, როგორც სიყვარულით უწოდებენ ყანდაურელები) ერთი ჩემი იქაური სტუდენტისათვის ახლახანაც გამოუტანებინა წერილი, რომელშიც კიდევ რამდენიმე ტოპონიმი ჩაეწერა. ესენი მაშინ გამოძრჩა, ახლა გამახსენდა, ყანდაურის მასალას დაამატეო.

ბატონი ნიკო იმასაც მწერს, უკვე დავბერდი, კარგად ვეღარა ვხედავ, მიჭირს წერა, არადა კიდევ რამდენი რამ მაქვს სათქმელი, რო-

გორძე მოახერხე. ჩაძლია, რომ ჩაგაწერიანო. სხეუბცია მყავს გაფრო-  
ბილებულაო.

აქ ერთი რამ მინდა ვითხრათ. ტოპონიმიკური მასალა იქნება, ფოლკლორული თუ სხვა... ნაუცბათევედ. პირველი მოსმენისთანავე ვიწერთ. ეჩქარობთ, რომ მოვასწროთ, რადგან ახლა სხვაგან ვართ მი-  
სასვლელეები. ვლენი კი ყოველთვის ფრთხილია, ეგრე აღვილად არ  
ენდობა უცნობს. დრო სჭირდება, კარგად რომ გაგვეცნოს. შენ კი ეს  
დრო არა გაქვს. ასეთი ნაუცბათევედ ჩაწერილი მასალა კი შეიძლება  
ყალბიც იყოს. ნაყალბევი ტოპონიმი რომ კარგ შედეგს არ მოგვიტანს  
(არც მოუტანია!), ეს ისედაც ცხადია.

ჩვენი კოლეგა ლატვიელები უფრო საფუძვლიანად უდგებიან ამ  
საქმეს. ისინი მთელი ხუთი წლის მანძილზე ერთსა და იმავე სოფლებ-  
ში დადიან, მოსახლეობას აცნობენ, უხსნიან, თუ რისთვის არიან ჩა-  
მოსულები, რა მიზანი აქვს ტოპონიმიკური თუ სხვა მასალის ჩაწე-  
რას.

ერთ-ერთ ასეთ ექსპედიციაში თავადაც მივიღე მონაწილეობა. ეს  
იყო 1982 წელს. სოფელ ნიტაურეში კომპლექსურად იწერდნენ ონო-  
მასტიკურ, ეთნოგრაფიულ მასალასა და დიალექტურ ლექსიკას. თუ  
თქვენთვისაც საინტერესო იქნება, ამ ექსპედიციის ერთ-ერთ მონაქ-  
ვეთზე დაწერილებით გესაუბრებით. აი, ჩვენ ვიმყოფებით სოფელ ნი-  
ტაურეში, რივიდან ასე ასიოდე კილომეტრის დაშორებით. უნდა ვით-  
ხრათ, რომ ამ სოფელს 1965 წლიდან ვიცნობ. ლატვიური კარგად რომ  
შეგვესწავლა, აკადემიკოს ვარლამ თოფურიას რჩევით, ლატვიური  
ენის კათედრის წევრებმა ერთ-ერთ ყველაზე წმინდა ლატვიურ სო-  
ფელში ჩაგვიყვანეს, სადაც ერთი თვე დავეყვით და, სიმართლე ვითხ-  
რათ, აქ მართლაც ავლაპარაკდით ლატვიურად. ეს სოფელი გახლდათ  
ნიტაურე, სადაც ჩვიდმეტი წლის შემდეგ დიალექტოლოგიურ ექსპე-  
დიციაშიც მივიღე მონაწილეობა. ნიტაური გენაზათ, რა მონდომებით,  
რა ხალისით აწერიებდნენ ყველაფერს ნიტაურელები. საიდან, რი-  
მელი ხუტორიდან აღარ მოდიოდნენ. ამ სოფელში ცხოვრობდა ერთი  
სახელგანთქმული მჭედელი, რომლისაგანაც უნდა ჩაეწერათ მჭედ-  
ლობა-ნაღბანდობასთან დაკავშირებული ლექსიკა. მაგრამ ცხენი არ  
აღმოჩნდა სოფელში, რომ დაეჭვდა (ალბათ, გახსოვთ, სამოციან  
წლებში კომუნიზმის მაშენებელმა ხრუშჩოვმა ცხენებსა და ვირებს  
რომ გაავლო მუსრი და ბეკრმა ჩვენმა მაშინდელმა სოფლის თავკაცმა  
უსინდისოდ გაისქელა ჯიბე და ვირის ხორცის გადაჭარბებით ჩაბარე-  
ბისათვის ჯილდოც მიიღო!) ... ნიტაურელებმა სხვა სოფლიდან მოიყ-  
ვანეს ცხენი. შეუდგა მჭედელი საქმიანობას, მოიმარჯვა იარაღები და  
გაახურა ქურა. ჩვენს თვალწინ დაამზადა ნალები და დაჭედვას შეუდ-

გა. კარგა დრო მოანდომა. ყველაფერს დაწვრილებით ვიწერდით: ია-  
რალის სახელებს, ყოველს პროცედურის სიტყვა-ტერმინს. და მოხდა  
.საოცრება! ამ ერთი კაცისაგან იმ დღეს 90-ზე მეტი ისეთი სიტყვა გა-  
ივიინეს ლატვიელმა პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა,  
ირასაც არ იცნობდა არც ლატვიური ენის განმარტებითი ლექსიკონს  
და არც ლატვიური დიალექტების ლექსიკონები...

როგორც ვაჟივე, მაშინდელი მსაქმელი-ინფორმატორები დღეს  
ცოცხლები აღარ არიან. მაშინ მართლაც საშვილიშვილო საქმე გაა-  
კეთეს, რამდენიმე ასეული სიტყვა შემოუნახეს მომაუალო თაობებს.  
სამსწუხაროდ ასეთი კომპლექსური ექსპედიციების მოწყობა ჩვენ ვერ  
შევძელით, არადა საჭირო კი არის. ვინ იცის, ყოველდღიურად, რამ-  
დენი უნიკალური სიტყვა-გამოთქმა ეძლევა დავიწყებას...

ვცდილობ, ლატვიელთა ეს გამოცდილება შეძლებისდაგვარად გა-  
მოვიყენო, მაგრამ ახლა კიდევ უფრო გაძნელდა სოფლებთან კავშირი,  
მეზავრობაც გაძვირდა და ტრანსპორტიც ნაკლებად დადის, ჭირს  
წასვლა-წამოსვლა.

როგორც ზემოთაც ვითხარით, ნიკო მასწავლებელი თავის სო-  
ფელში მიწვევს, მინდა კიდევ ბევრი რამ ჩაგაწერინო. მივწერე, ჩა-  
მოვალ-მეთქი. მაგრამ ეს დაპირება, ჩემდაუნებურად, ვერ შევასრუ-  
ლე. ახლა თუ სოფლებთან კავშირი აღდგა, რადიომაც და პრესამაც  
კვლავ ჩააღწია იქამდე, გულწრფელად მოვიკითხავ ძია ნიკოს, მოვი-  
კითხავ ყველას, ვისაც კი რაიმე დახმარება გაუწევია ჩვენთვის ონო-  
მასტიკური მასალის შეკრებაში. ჯანმრთელობას, კარგად ყოფნასა  
და მშვიდობას ვუსურვებ...



## ისტორიის უტყუარი ფურცლები

ადამიანმა თვალი რომ აახილა და ირგვლივ მიმოიხედა, უამრავი საგანი დაინახა: ზოგი დიდი, ზოგი პატარა, ზოგი განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, ზოგის გარჩევა გაუჭირდა

ამიტომ იძულებული გახდა, თითოეულისათვის სახელი დაერქმია სახელის დარქმევა დასჭირდა თანამოძმე ადამიანს, სახელი დასჭირდა გეოგრაფიულ ობიექტს: მთას, მინდორს, ტყეს, კლდეს, მდინარეს, ტბას, ხევს, სოფელს, ქალაქს, დაბას, უბანს, ქუჩას ... თუ ორსა და მეტ ადამიანს ერთი და იგივე სახელი ერქვა, მაშინ კიდევ უფრო ჭირდა მათი გარჩევა, თუმცა ადამიანმა ამის საშუალებაც გამოძებნა — მეტსახელი შეარქვა. გამრავლებულ გვარებში კი შტო-გვარები გამოიყო, რომელთაგან ზოგმა შემდეგ, დროთა ვითარებაში დამოუკიდებელი გვარის უფლებაც მოიპოვა. ამის მაგალითი უამრავია ქართულ სინამდვილეში.

ყოველივე ამას ონომასტიკა სწავლობს, რომლის ერთ-ერთი დარგი ტოპონიმია გახლავთ. რა არის ტოპონიმი, ტოპონიმია? გეოგრაფიული პუნქტების სახელწოდებათა შემსწავლელ მეცნიერებას ტოპონიმია ეწოდება. ტოპოს ბერძნული სიტყვაა და ადგილს ნიშნავს, ონიმა — სახელს. ტოპონიმების ანუ ადგილსახელების ერთობლიობას ტოპონიმია ეწოდება. ადგილსახელებში ანუ ტოპონიმებში ბევრი, ძალიან ბევრი საინტერესო ცნობა-ინფორმაციაა შემონახული, რამაც შეიძლება ფასდაუდებელი სამსახური გაუწიოს თითქმის ყველა დარგის სპეციალისტს: ენათმეცნიერს, ისტორიკოსს, გეოგრაფს, გეოლოგს, ეთნოგრაფს, ფოლკლორისტს, აგრონომს, დენდროლოგს, ზოოლოგს, ბოტანიკოსს, ექიმს, მასწავლებელს... მწერალს, ჟურნალისტს, პოლიტიკოსს...

ტოპონიმია სხვა ჰუმანიტარულ მეცნიერებებთან შედარებით ყველაზე ახალი დარგია. ტოპონიმთა მეცნიერულ კვლევას არა მარტო ჩვენთან, საქართველოში, არამედ ყოფილ საბჭოთა კავშირშიც ბოლო დროს მიექცა საფუძვლიანი ყურადღება (აქ არ იგულისხმება ბალტიისპირეთის ქვეყნები, რომელთაც ჯერ კიდევ გასაბჭოებამდე, ე.ი. დამოუკიდებლობის პერიოდში, აღწერეს მთელი ტოპონიმკური მასალა. კერძოდ ლატვიელებს 20-30-იან წლებში უკვე აღწერილი და მონოგრაფიულად დამუშავებული ჰქონდათ მთელი ეს მდიდარი მასალა. ლატვიელი ტოპონიმისტები ახლა რამდენიმე ტომად ამზადე-

ბენ ტოპონიმთა აკადემიურ გამოცემას. რესპუბლიკის კულტურის ფონდის ხელისშეწყობით კი უკვე ადგენენ ტოპონიმიკურ ატლასს).

როგორ არის ამ მხრივ ჩვენთან საქმე? დროის მოთხოვნილებამ ჩვენთანაც დასვა საკითხი ტოპონიმთა კომპლექსური კვლევისა. საჭირო და აუცილებელი გახდა რესპუბლიკის ტერიტორიაზე გეოგრაფიულ სახელწოდებათა (ტოპონიმთა) დეტალური აღწერა, სალექსიკონოდ მომზადება და გამოცემა. რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით 1969 წლის ივნისში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრასთან შეიქმნა ტოპონიმთა კვლევის რესპუბლიკური ცენტრი — ტოპონიმიკის ლაბორატორია. ამ ცენტრის დაარსებაში დიდი წვლილი მიუძღვით ან განსვენებულ აკად. შოთა ძიძიგურსა (ახალი ქართული ენის კათედრის მაშინდელ გამგეს) და პროფესორ ფარნაოზ ერთელიშვილს — ლაბორატორიის პირველ მეცნიერ ხელმძღვანელს. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ საქართველოში ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში დაიწყო ტოპონიმთა აღწერა. ამ საშვილიშვილო საქმის ფუძემდებელი გახლავთ დიდი მეცნიერი — ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი, რომლის ფუნდამენტურ შრომაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ტოპონიმიკურ კვლევასაც დიდი ადგილი ეთმობა. აქ მარტო ის კი არ არის საყურადღებო, რომ ამა თუ იმ გეოგრაფიული ობიექტის ადგილმდებარეობა ზუსტადაა მითითებული, არამედ ავტორისეული ბევრი ეტიმოლოგიური დაკვირვება დღესაც მისაღები და გასაზიარებელია. პირველად სწორედ ვახუშტი ბატონიშვილმა შეადგინა ქართულ სოფელთა სია და დაურთო თავის ნაშრომს. ტოპონიმთა აღწერაში უდიდესი წვლილი მიუძღვის გამოჩენილ მწერალსა და მეცნიერს, დიდ ენციკლოპედისტს იოანე ბატონიშვილს, რომლის ნაშრომი „ქართლ-კახეთის აღწერა“ სამაგიდო წიგნად ითვლება ყველა ტოპონიმისტიკოსათვის.

სხვადასხვა დროს ცალკეული ტოპონიმები უკვლევიათ და მეტად საინტერესო ეტიმოლოგიები მოუციათ ჩვენს სასიქადულო მეცნიერებს: ი.ჯავახიშვილს, პ.ინგოროყვას, ა.შანიძეს, ს.ჯანაშიას, ნ.ბერძენიშვილს, ვ.თოფურიას, მეტად საყურადღებო შრომები გამოაქვეყნეს: ფ.მაკალათიამ, ი.მაისურაძემ. ტოპონიმიკის დარგში აქტიურად შრომობენ პროფესორები: ალ. ლლონტი, ზ.ჭუმბურიძე, ი.სიხარულიძე, დოცენტები მ.ქამადაძე, გ.ბედოშვილი, ვ.მალრაძე... ლაბორატორიის მეცნიერ-თანამშრომლები: პ.ცხადაია, გ.ხორნაული, ვ.ჯოჯუა, ქ.გოდერძიშვილი, მ.კემულარია, ა.ომარაშვილი, ს.მელიქიძე, მ.ბერიძე, რ.ძენელაძე... სამაჩაბლოს ტოპონიმიაზე საინტერესო გამოკვლევა წარმოადგინა მკვლევარმა ნ.ოთინაშვილმა.

ტოპონიმიკური კვლევის რესპუბლიკურ ცენტრს — ტოპონიმიკის ლაბორატორიას (ახლა „ონომასტიკის სამეცნიერო კვლევითი

ლაბორატორია“) დღეისათვის უკვე შეკრებილი და საარქივოდ გამზადებული აქვს სამასი ათასზე მეტი ტოპოერთეული. დაიწყო ტოპონიმთა ლექსიკონების (მასალების) სერიული გამოცემა. უკვე გამოვიდა „ზემო იმერეთის ტოპონიმია (მასალები)“, გამოსაცემად მზადდება „საქართველოს ჰიდრონიმთა ლექსიკონი“ და სხვა.

კახეთის ტოპონიმია ძირითადად უკვე აღწერილი გვაქვს. საკმაოდ მდიდარი და საინტერესო მასალაა. ალბათ, ორი ტომი დასჭირდება. ტოპონიმიკური მასალის შეკრება-შეგროვებაში დიდი დახმარება გაგვინია ადგილობრივმა მოსახლეობამ — სოფლისა და დაბა-ქალაქების ხელმძღვანელებმა, მასწავლებლებმა, მეტყვევებმა, მწყემსებმა, მეველეებმა, მევენახეებმა, მონადირეებმა... რომელთა ღვაწლი აუცილებლად იქნება აღნიშნული ტოპონიმთა ლექსიკონებში. ეს ლექსიკონები მარტო დღეისათვის ან ხვალისათვის არ გვჭირდება. ისინი უნდა გამოიყენონ ჩვენმა მომავალმა თაობებმა საუკუნეების შემდეგაც. ამიტომ მასში უტყუარი მასალა უნდა შევიტანოთ. ყოველმხრივ უნდა შევამოწმოთ, სხვადასხვა პირთა მიერ მოწოდებული ცნობები ერთმანეთს უნდა შევაჯეროთ, დავაზუსტოთ, თორემ შეიძლება ერთი მცდარი ტოპონიმი სადავიდარაბო გაუხდეს ჩვენს შთამომავლობას. საიდუმლო აღარ გახლავთ, დღეს ტოპონიმია აღარაა მხოლოდ ლინგვისტებისა და ისტორიკოსების კვლევის საგანი. ტოპონიმიკა პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ საყრდენ ნერტილად იქცა. მცდარად ფიქსირებულ, დამახინჯებულ ტოპონიმს კი მტერი ჩვენს სანინაალმდეგოდ გამოიყენებს. ეს ყველამ უნდა შევიგნოთ და აქედან სათანადო დასკვნა გამოვიტანოთ. არ დაგვემართოს ის, რაც დაგვემართეს 20-30-იან წლებში ჩვენმა „ინტერნაციონალისტებმა“!

ზემოთ ლატვიელი ტოპონიმისტების მუშაობაზე გითხარით ვაკერით. ახლა კი გეტყვით, რომ ლატვიელები რიცხვობრივად ჩვენზე გაცილებით ცოტანი არიან (თითქმის ნახევარი!), მაგრამ მათ მინანყალს ჯერჯერობით არავინ ედავება,\* მიუხედავად იმისა ლატვიაშიც საკმაოდ ბევრი ცხოვრობენ (თანაც დიდი ხანია და კომპაქტურადაც!) რუსები, ბელორუსები, უკრაინელები, პოლონელები, ლიტველები... ვერავინ ბედავს თქვას, ეს მინანყალი ჩემიაო. რატომ? იმიტომ, რომ ავტონომიები ყველასათვის არ ჩამოურიგებიათ. და კიდევ, რომ ლატვიელებმა 20-30-იან წლებში დეტალურად აღწერეს რესპუბლიკის ტერიტორია და ახლა ამა თუ იმ ობიექტს ტოპონიმისტების გარეშე ვერავინ შეუცვლის სახელწოდებას!

ჩვენთან რალა ხდებოდა აღნიშნულ პერიოდში? იმ დროს, როცა

---

\* თავად ლატვიას აქვს სადავო რუსეთთან, რომელმაც ლატვიური ქალაქი აბრენე და მისი მიმდებარე ტერიტორია ორმოციან წლებში მიიტაცა.



ლატვიელები მისხალ-მისხალ კრებდნენ ეროვნულ საუნჯეს — ტოპონიმიას, ჩვენთან აშკარა და სასტიკი ომი გამოუცხადეს ერის წარსულს, მის კულტურას, ისტორიას, ლიტერატურას, რელიგიას... თავად-აზნაურობას, სამღვდელოებას, ინტელიგენციას... ერის საუკეთესო შვილებს არა მარტო ფიზიკურად უსწორდებოდნენ, არამედ ეს ბნელი ძალები „ახალი სამყაროს“ შესაქმნელად ძირფესვიანად სპობდნენ ყველაფერს, რაც კი ჩვენს წარსულთან იყო დაკავშირებული. განსაკუთრებული იერიში ტოპონიმიაზე, ერის წარსულის ერთ-ერთ ქვაკუთხედზე მიიტანეს. თითქმის ყველა დასახლებულ პუნქტს, რომელსაც სახელი რალაცნაირად დაკავშირებული ჰქონდა ფეოდალთა გვარსახელთან, რელიგიასთან, მასობრივად დაუნყეს სახელწოდებების შეცვლა. ოღონდაც კი ანგარიში გაესწორებინათ მონინაალმდეგეებისათვის, ეს ვაიინტერნაციონალისტები აღარაფერს დაგიდევდნენ. გაბრიყვებულ და დაშინებულ მოსახლეობას თავს ახვევდნენ თავიანთი ნაღრძობი ტვინის ნაცოდვილარს. ძირძველი ქართული ტოპონიმები, რომლებიც მრავალ საუკუნეს ითვლიდნენ, ახალი დროისათვის შეუფერებლად გამოაცხადეს. მათ ნაცვლად საქართველოს რუკაზე გაჩნდა რევოლუციონერთა სახელებშერქმეული დასახლებული პუნქტები, მომრავლდა „ახალი დროების“ ამსახველი ტოპონიმები: შრომა, განთიადი, განახლება, ოქტომბერი, ცოდნა ... თითქოს მანამდე ჩვენი ხალხი არც შრომობდა, არც ცოდნას იძენდა. ნათქვამია, ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო. ამ წყევლით ისარგებლა ჩვენმა მტერ-მოყვარემ, საქართველოს გუშინდელმა თუ გუშინდელმა ხიზნებმა და დაიწყეს ქართული ტოპონიმების მასობრივი გამოხშირვა აფხაზეთში, ქვემო ქართლსა თუ სამაჩაბლოში. დამშლელი ვინ იყო, თავადაზნაურობა და სამღვდელოება უკვე გაანადგურეს ან გადასახლებაში უკრეს თავი (ნანილმა ემიგრაციაში მოასწრო წასვლა). აქ შემორჩენილ ინტელიგენციას პირში წყალი დააგუბებინეს, გლახობას კი ვინ რას ეკითხებოდა. ეს იერიში ხანმოკლე არ იყო, იგი დღემდე გრძელდება, თუმცა დღეს უფრო შენიღბულად კეთდება. ოცდაათიან წლებში მარტო სამაჩაბლოსა და ქსნის საერისთავოს ტერიტორიაზე 558 ობიექტი ამოუღიათ მიზანში. დადგენილებაც 1933 წლის 5-6 მარტს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცაკ-ის სხდომაზე მიუღიათ. თუ რა მიზანი ჰქონდა ამ კამპანიას, ნათლად ჩანს დოკუმენტიდან, სადაც ვკითხულობთ: „... ჩვენს (ე.ი. სამხრეთ ოსეთის აო-ს ტერიტორიაზე — უ.ს.) გეოგრაფიულ სახელწოდებებში ბევრია ისეთი, რომელიც შერქმეულია ფეოდალების, ბობოლებისა და რელიგიური ადათნესების საპატივცემოდ და აღსანიშნავად. ყველა ეს სახელწოდება უნდა შეიცვალოს ანდა შესწორდეს“ (5, 148. ხაზი — უ.ს.). ეს ზემოდან თავსმოხვეული დანაშაული მაშინ, როგორც ჩანს, ბოლომდე

ვერ განუხორციელებიათ, რადგან მოსახლეობა დუმილით შეხვედრია. მათ მოწოდებას ადგილებიდან არავინ გამოხმაურებია. მაგრამ ამ კამპანიის წამომწყებებს იმედი ჰქონდათ, რომ „... რუკებსა და გეოგრაფიულ ნიგნებს შემდგომში ამ ახალი გეოგრაფიული სახელწოდებების მიხედვით შეადგენდნენ“ (5, 149. ხაზი -- უ.ს.). რა მოხდა, სამაჩაბლოს მოსახლეობამ რატომ არ დაუჭირა მხარი ოლქის ზოგიერთი პარტიული და საბჭოთა ფუნქციონერის პროვოკაციას? ეს, ჩემი აზრით, ორი მიზეზით შეიძლება აიხსნას. პირველი: მაშინდელი სამაჩაბლოს უმრავლესობა ქართველობა იყო და მეორე: მაშინდელი სამაჩაბლოს ოსობა პროვოკატორებმა მთლად ვერ წამოაგეს ანკესზე, ვერ დაუპირისპირეს ქართველობას. შეიძლება ორივე ვარიანტი ერთდროულად ვივარაუდოთ!

მაგრამ ბროშურის შემდგენლებს რომ შორსგამიზნული მიზანი ამოძრავებდათ, ეს ჩვენ, ტოპონიმისტებმა, კარგად ვიცით. სწორედ ეს შეთითხნილი „საბუთი“ ახლა უტყუარ დოკუმენტად უნდოდათ გამოეყენებინათ და ამ ათი-თორმეტი წლის წინათ კიდევ მთელი 450 ტოპონიმის შეცვლა მოინდომეს. ეს მიზანი ოფიციალურად რომ ვერ განახორციელეს; ახლა ყოველნაირად ცდილობენ თვით ქართულ პრესაშიც კი ამა თუ იმ ობიექტის სახელი ისე დაწერონ, როგორც თვითონ სურთ, ე.ი. შექმნან „დოკუმენტი“, რომლითაც ხვალ უნდა შემოგვედაონ. აი, სწორედ ახლა გეჭირდება ასი თვალი და ასი ყური, სწორედ ახლა უნდა მივაქციოთ ჩვენს ტოპონიმებს განსაკუთრებული ყურადღება. რაც შეიძლება მალე უნდა გავამზადოთ სალექსიკონოდ და გამოვაქვეყნოთ, რათა არავის მიცვლეთ ჩვენი ენის ისტორიის უტყუარ ფურცლებში ადვილად ხელისფათურის უფლება.

ახლა ჩვენს რესპუბლიკაში ტოპონიმიკური ბუშია. როგორც ცენტრალური, ისე რაიონული გაზეთების ფურცლებზე უამრავი წერილი იბეჭდება ტოპონიმებზე. ზოგი მართალი, ზოგი ტყუილი. ვინც კი კალამს აიღებს ხელში, ყველას ტოპონიმის ეტიმოლოგიის კვლევის სურვილი უჩნდება. ეს, ერთი შეხედვით, თითქოს მისასალმებელია, მაგრამ, მეორე მხრივ, ამან შეიძლება ზიანის მეტი არაფერი მოგვიტანოს. რადგან ტოპონიმის კვლევა რამდენადაც მიმზიდველია, იმდენად მაცთუნებელიც არის. ტოპონიმის კვლევას საფუძვლიანი მომზადება სჭირდება. ასეთმა მკვლევარმა კარგად უნდა იცოდეს ლინგვისტური მეთოდები, უნდა ფლობდეს ენებს. კარგად უნდა იცოდეს ისტორია, გეოგრაფია და, რაც მთავარია, ხელთ უნდა ჰქონდეს ტოპონიმიკური მასალა, რათა შეეძლოს საკვლევე ტოპონიმის შედარება-შეპირისპირება სხვა ტოპონიმებთან. ამისთვის კი მარტო ერთი სოფლის (თუნდაც ერთი რაიონის!) ტოპონიმია საკმარისი არაა. შეიძლება რომელიმე გეოგრაფიული სახელწოდება ერთ სოფელში ვერავინ აგიხსნას, სხვა სოფელში კი ყველამ კარგად იცოდეს. ასეთი

შემთხვევები ჩვენთვის, ტოპონიმისტებისათვის, იშვიათი არაა. აი, ჩაინერ საინტერესო და თანაც ულერად ტოპონიმს, ვთქვათ --- „ნაირვალს“, მთქმელი ვერ გეუბნება, რას ნიშნავს ეს ტოპონიმი. ეკითხები სხვას, ეკითხები მეცნიერ-სპეციალისტებს, ვერაფერ გაძღვეს სწორ პასუხს. არადა, სულ იოლად ასახსნელი ყოფილა. მხოლოდ ბგერათა გადასმას, ე.წ. მეტათეზისს გამოუწვევია ტოპონიმის შინაარსის დაბინდვა. თურმე ნაირვალი კი არა, ნაივრალი უნდა ყოფილიყო თავიდან. ამას კი მაშინ დაადგენ, როცა ხელახლა შეამოწმებ, როცა ადგილზე გაეცნობი ობიექტს, რომელიც ამ სახელს ატარებს. როგორც ჩანს, მდინარე იორს ადრე აქ უდენია, მერე კალაპოტი შეუცვლია და ეს ტოპონიმიც ასე გაჩენილა. ნაივრალი → ნაირვალი.

ქართველმა ერმა 2400 წლის წინათ შექმნა თავისი სახელმწიფო. ბევრი ჩვენი ტოპონიმი უკვე რამდენიმე ათასეულ წელს ითვლის. რაც ძველია ტოპონიმი, მით უფრო დაბინდულია მისი შინაარსი. ამიტომაც სჭირდება მას ფრთხილი კვლევა-ძიება. ჩვენ კი როგორ ვიქცევით? რაკი ამა თუ იმ ტოპონიმის შინაარსი არ გვესმის, მაშინვე უცხოურად ვნათლავთ. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ის ჩვენი ძველი, „ხანდაზმული“ ტოპონიმები, რომელთა შინაარსი დღეს კარგად აღარ გვესმის და სხვა ენებზე კი ასე „იოლად“ იხსნება, ეს ახსნა მოჩვენებითია. აბა, როგორ შეიძლება ათასი, ათას ხუთასი წლის და ზოგჯერ უფრო „ხნიერი“ ტოპონიმი, რომელიც ძირითადი ერის, ქართველების ენაზე არ იხსნება, რას ნიშნავს, სხვა ერის, რომელიც დანამდვილებით ვიცით, რომ სულ გუშინ თუ გუშინწინ მოვიდა ჩვენს მიწა-წყალზე, ასე იოლად იხსნებოდეს მის ენაზე. თანაც ყოველგვარი კვლევა-ძიების გარეშე!

რა თქმა უნდა, ჩვენს ერს ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე მტერი საკმაოდ ჰყოლია, რომელსაც ბევრგან დაუტოვებია თავისი სისხლიანი ნაკვალევი. ეს ნაკვალევი ტოპონიმიაშიც შეიმჩნევა. სწორედ ამას სჭირდება საფუძვლიანი კვლევა-გამოვლინება, ვინ რა დაგვიტოვა და რა გზით. მაგრამ მკითხველს აქვე მინდა განვუმარტო, რომ უცხოური წარმოშობის ტოპონიმი ყოველთვის უცხოელის მიერ კი არა, ჩვენივე დარქმეულია. ზოგჯერ შემთხვევით, ზოგჯერ ჩვენი დაუდევრობით, ორივე შემთხვევაში კი — ჩვენდა სავალალოდ! მაგალითისათვის ავიღოთ ტოპონიმი „ყარალაჯი“. ეს ტოპონიმი ქართლშიცაა და კახეთშიც. კახეთის ყარალაჯი სპარსელი ხანების რეზიდენცია იყო XVII საუკუნეში. აქ, კახეთში, ეს ტოპონიმი შეიძლება იმ დროს გაჩნდა და სპარსელებმა უწოდეს. მაგრამ ქართლში? ამ სოფელში ხომ ყოველთვის ქართველები ცხოვრობდნენ?

---

\* ჩვენდა სასიხარულოდ ქართლებმა უკვე დაუბრუნეს ამ სოფელს თავისი ძველი სახელი „თელიანი“.

გამორიცხული არაა, რომ ეს ტოპონიმი ერთგანაც და მეორეგანაც ეართულ ნიადაგზე წარმოიშვა. ყარაღაჯი აღმოსავლური ენებიდან მემოსული სიტყვაა და ნიშნავს „მაეხეს“. ბრალი ჩვენს წინაპრებს კი არ უნდა დაედოთ, თუ რატომ „ისესხეს“ ეს სიტყვა, არამედ საკუთარ თავს, რადგან ხელახლა ვაცოცხლებთ ამ ტოპონიმს ალაზნის ველზე და კიდევ ერთ სადავიდარაბოს ვუმზადებთ ჩვენს მომავალ თაობას.

როგორც ზემოთაც გითხარით, ტოპონიმთა კვლევა მეტად მიმზიდველია და ამავე დროს მეტად მაცნოებელიც. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რას ვიკვლევთ და რა დონეზე. ამა თუ იმ ტოპონიმს შეიძლება ძირი ქართული არ ჰქონდეს, ე.ი. ნასესხები სიტყვა ედოს საფუძვლად, მაგრამ ასეთი ტოპონიმები ქართულია და არა უცხოური. ნათქვამი უფრო გასაგები რომ იყოს, მოვიტან ასეთ ტოპონიმს — ნაჩალთუქრები (ვენახს ჰქვია სოფელ გავაზში, ყვარლის რ-ნი). ამის მსგავსი ტოპონიმები ზოგს ქართული არ ჰგონია. ჩვენთვის კი, ტოპონიმისტებისათვის, ეს გეოგრაფიული სახელწოდება ყველაფრით ქართული ტოპონიმია. იგი ასე დაიშლება ნა-ჩალთუქ-რ-ებ-ი. სადაც ნა-/ა/რ ნინავითარების აფიქსებია, ებ მრავლობითი რიცხვის მანარმოებელი, -ი სახელობითი ბრუნვის ნიშანი. დარჩა ჩალთუქ. რას ნიშნავს ჩალთუქ? ეს სიტყვა სპარსული გახლავთ და იგივეა, რაც ბრინჯი. ნაჩალთუქრები უდრის ნაბრინჯლებს. ნა-ბრინჯ-ლ-ებ-ი ქართული ტოპონიმია თუ არა? რა თქმა უნდა, ქართული ტოპონიმია, მეტყვის მკითხველი და მართალიც იქნება. მაგრამ ბრინჯიც ხომ სპარსულიდან ნასესხები სიტყვა გახლავთ? მაშ ტოპონიმი რატომ არაა სპარსული? ნაჩალთუქრები (ისევე როგორც ნაბრინჯლები) ქართული ტოპონიმია, ნანარმოები ქართული აფიქსებით. ტოპონიმის ძირის კვლევა კი უკვე ლინგვისტიკის საქმეა და არა ტოპონიმის. თუ ჩვენ ეს არ ვიცით და არ გავითვალისწინებთ, მაშინ ძალიან ცოტა დარჩება „წმინდა ეროვნული“ ტოპონიმია. ზოგი ამავე თვალსაზრისით უდგება ქართულ გვარსახელებსაც. მაგალითად ზაალიშვილი თუ მისთვის ქართული გვარია, ვთქვათ, ქაიხოსროშვილი უკვე ეეჭვება. რატომ? მიზეზი ერთია. ზაალი ქართული სახელი ჰგონია, ქაიხოსრო — აღმოსავლური. სინამდვილეში კი ზაალიცა და ქაიხოსროც სპარსულიდანაა. შემოსული. თუმცა ზაალი ჩვენში საკმაოდ გავრცელებულია, ქაიხოსრო კი — ნაკლებად. საერთოდ ქართულ გვარებს ბევრი აღმოსავლური სახელი უდევს საფუძვლად, თუმცა ასეთ გვარებში გამოყოფილი სახელები ახლა აღარავის ჰქვია. ამ ბოლო დროს ჩვენთან რატომღაც მოდაში შემოვიდა გვარებიდან მანარმოებელი „ძე“ და „შვილის“ ჩამოკვეცვა. კალატოზიშვილი კალატოზი გახდა, როსებაშვილი — როსება... ჩვენი დიდი მხატვარი ნიკო ფიროსმანაშვილი ხომ ფიროსმანად აქციეს. ამით ჩვენვე შევუწყეთ ხელი, რომ იგი საზღვარგარეთ რუს მხატვრად მო-

უნათლათ. რატომღაც გვავიწყდება, რომ გვარსახელ ფიროსმანამ-  
ვილნი სწორედ ეს კნინობითის სუფიქსი -ა და გვარის მანარმოებე-  
ლი შვილია ქართული, სახელი კი აღმოსავლური ნარმოშობისაა.  
ამიტომ ვეკითხები დედოფლიანყაროს რაიონის მეთაურებს, რომ-  
ლებსაც სურთ ალაზნის ველზე აბლად მექმნილ სოფელს ფიროსმა-  
ნი უწოდონ, რა გარანტია აქვთ, რომ ხვალ სადავო არ გაზდება ეს სა-  
ხელწოდება? ჯერ ერთი, ახლა დასახლებულ ობიექტებს ადამიანთა  
სახელებს აღარ არქმევენ (იმან რა ხეირი დაგვაყარა, როცა ვარქმევე-  
დით!), თუ მაინცადამაინც გასურთ დიდი მხატვრის სახელი დაარქ-  
ვათ, რატომ არ უნოდებთ იმ გვარს, რომელსაც იგი ატარებდა? მეო-  
რეც, რა კავშირი აქვს ნიკო ფიროსმანაშვილს ამ ადგილთან? ეს ხომ  
ლამის ოთხმოც კილომეტრზე მდებარეობს სოფელ მირზაანიდან,  
დიდ მხატვას თვალით კი უნახავს იგი?

და კიდევ. რა გარანტია გაქვთ, რომ ხვალ-ზეგ ზოგიერთი ჩვენი  
მტერ-მოყვარე სადავოს არ გაგვიხდის ამ ტოპონიმს? რატომ ართუ-  
ლებთ საქმეს. ნუთუ არაფერი გაგიგიათ, არაფერი ნაგვიკითხავთ,  
რომ უკვე ამკარად გვედავებიან ჩვენს საკუთარ მიწა-წყალს? ისინი  
ზომ ყოველნაირად ცდილობენ ძირფესვიანად ამოძირკვონ ქართუ-  
ლი ტოპონიმია, სადაც ხელი მიუწვდებათ. მტრის ნისქვილზე რატომ  
ასხამთ წყალს? იცით კი, რას ნიშნავს ქართული ა-სა და შვილის გა-  
რეშე ეს ფიროსმან-ი? „წმინდა ოსმანს“! იქვე, სოფელ სამთანყა-  
როში ინგილოები ერთ სალოცავ ადგილს „ფირ-ს“, ე.ი. „წმინდას“  
ეძახიან. ახლა ეს სოფელი ფიროსმანიც, ე.ი. „წმინდა ოსმანიც“  
ხომ დაუმშვენებს მხარს. „ფირი“, „ფიროსმანი“ — კარგად ჟღერს  
არა? დაფიქრდით, თქვენი „პატრიოტიზმი“ სანანებელი არ გაუხა-  
დოთ შთამომავლობას. ამით ხომ თვით დიდ მხატვარს ნიკო ფიროს-  
მანაშვილს მიაყენებთ შეურაცხყოფას. სჯობია და სამართლიანიც  
იქნება, იმ ადგილს იმ ტერიტორიაზე არსებული ტოპონიმიდან შე-  
ურჩიოთ სახელი. რატომ არ მოგნონთ ვერხვიანყურე ან ვერხვიან-  
ნი? იქნებ არ გაგიგონიათ ასეთი ტოპონიმი? იკითხეთ, ამას ყველა  
დაგიდასტურებთ, თანაც არამარტო თქვენი რაიონის მოსახლეობა!

**დაფიქრდით ერთხელ კიდევ!**





## მარტყოფი

მარტყოფი ერთი ყველაზე დიდი და უძველესი სოფელია საქართველოში. იგი საკრებულოს ცენტრია. ამ საკრებულოში შედის კიდევ ორი სოფელი: ვაზიანი და სააკაძე და ორი დასახლება, ე.წ. „ზემო გარადოკი“ და „ქვემო გარადოკი“, რომელთაც სოფლის სტატუსი ჯერ არ მიუღიათ. აქ რუსის ჯარის გარნიზონი დგას და „გარადოკსაც“ ამიტომ ეძახიან. ისე კი ამ ადგილებს, შესაბამისად, ნამდვილი ქართული სახელები ჰქვიათ. „ზემო გარადოკს“ ჩახრიალა ეწოდება, „ქვემო გარადოკს“ კი — მწარენწყალი. ჩვენდა საბედნიეროდ აქ ქართული მოსახლეობაცაა. როცა ეს დასახლებები სოფლის სტატუსს მიიღებენ, უპრიანი იქნება, ზემოთ აღნიშნული ქართული სახელები ეწოდოს.

საკრებულოს მოსახლეობა თორმეტ ათასამდეა, თვით მარტყოფისა კი რვა ათასს გადააჭარბებს. აღსანიშნავია ისიც, რომ მარტყოფი დიდ სოფელთა შორის ერთ-ერთი ყველაზე წმინდა ქართული დასახლებაა მთელ საქართველოში...

მარტყოფი მდებარეობს ლამაზ ხეობაში, რომელსაც აქეთ-იქიდან აკრავს გრძელი სერები. ჩრდილოეთიდან იალნოს (ანუ კუხეთის, როგორც ძველად უწოდებდნენ) ქედი გადმოჰყურებს, სამხრეთით კი გაშლილი ველია გადაჭიმული, ე.წ. „მარტყოფის ველი“, რომელსაც ადგილობრივ „ულევარს“ ეძახიან. ამ ველზე უკვე დიდი ხანია არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობს (ხელმძღვანელები: აკად. ო.ჯაფარიძე და პროფ. გ.ავალიშვილი). აქ აღმოჩნდა უნიკალური გორა-სამარხები, რომელნიც 45-46 საუკუნისაა.

ამ რამდენიმე წლის წინათ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ თავის ერთ-ერთ ლოცვა-კურთხევაში აღნიშნა: მარტყოფის მადლიანი მიწა მრავალ საიდუმლოს ინახავსო. და აი, კიდევაც აღსრულდა უწმინდესის სიტყვები, მარტყოფის მიწამ გული გადაიხსნა და თანდათან ნათელი ეფინება ამ საიდუმლოს.

ხშირად გაიგონებთ, მარტყოფი ისტორიული სოფელიაო. ამის დასტურად კი მარტყოფის ომს ასახელებენ, რომელიც 1625 წელს მოხდა, როცა ქართველებმა გიორგი სააკაძისა და ზურაბ ერისთავის მეთაურობით სასტიკად დაამარცხეს სპარსეთის უზარმაზარი არმია.

ეს ბრძოლა ასახულია მრავალ მხატვრულ ნაწარმოებში, აგრეთვე კინოფილმ „გიორგი სააკაძეში“. რა თქმა უნდა, ამან მარტყოფის სახელი უფრო პოპულარული გახადა მთელ საქართველოში. მაგრამ ჩვენ თუ გავეცნობით საისტორიო ლიტერატურას: „ქართლის ცხოვრებას“, ვახუშტი ბატონიშვილისა და სხვა ავტორთა შრომებს, ქართული სამართლის ძეგლებს... დავერწმუნდებით, რომ მარტყოფი მართლამ ბრძოლის გამო არაა ისტორიული სოფელი, თუმცა, როგორც ცნობილია, ამ ბრძოლამ გადაარჩინა მთელი ქართველი ერი ფიზიკურ და სულიერ განადგურებას, იხსნა საქართველო სპარსელთა ურდოებისაგან, რომელნიც აღგვას უპირებდნენ პირისაგან მინისა.

როგორც აღვნიშნეთ, მარტყოფი დღეს საკრებულოს ცენტრია, მაგრამ მას ისტორიის მანძილზე უფრო დიდი ფუნქცია ეკისრა. მარტყოფი ერთდროულად იყო სამოურავოს ცენტრი, სარუსთველო ეპარქიის ცენტრი და კახეთის სამეფოს მემარცხენე სადროშოს ცენტრი, გვიან საუკუნეებში კი აქაური ეპისკოპოსები, რუსთველები, კახეთის სამეფოს მთავარსარდლებიც იყვნენ. აქვე იყო კახეთის მეფეთა ერთ-ერთი რეზიდენციაც: ამაზე მიუთითებს ტოპონიმები: „ბატონიაანთ ციხე“ და „ბატონიაანთ წყარო“. ამ მოსაზრებამ შეიძლება მკითხველი დააეჭვოს. ეს ტოპონიმები არ ჩათვალოს იმის არგუმენტად, რომ კახეთის მეფეებს მარტყოფშიც ჰქონოდა რეზიდენცია. აქ სალოცავად მოსულ მეფეებს დროებით კარებს უდგამდნენ და ჩვენ კი რეზიდენციას ვუნოდებთ. ეს ეჭვი თითქოს არ უნდა იყოს უსაფუძვლო, მაგრამ რა ვუყოთ ასეთ ცნობას: „1724 წელს, ენკენისთვეში ოსმალებმა აიკლეს მარტყოფი, მეფეთა სადგომი და გარემონი“ „ქრონიკებში“ რომ ვკითხულობთ (14, 57-58. ხაზი — უ.ს.).

ჩვენი აზრით, „მეფეთა სადგომში“ მეფეთა სახლი უნდა იგულისხმებოდეს და არა „დროებითი კარები“, რადგან დროებით კარებს მაშინვე აშლიდნენ, როგორც კი მეფე იქიდან აიყრებოდა და მტერს ასაკლები აღარაფერი დარჩებოდა. ნ.ჩუბინაშვილის განმარტებითაც ხომ: სადგომი — არის სახლი, საცხოვრებელი ბინა. რეზიდენცია, ალბათ, პრეტენზიული ტერმინია, მის ნაცვლად სჯობია სასახლე ვიხმაროთ.

როგორც უკვე ვთქვით, მარტყოფი მრავალ საისტორიო წყაროშია მოხსენებული. ამ მხრივ მას, ალბათ, საქართველოს ვერც ერთი სოფელი ვერ შეედრება. აქ, რა თქმა უნდა, ყველა საბუთს ვერ ჩამოვთვლით, მაგრამ არ შეიძლება არ დავასახელოთ: „ქართლის ცხოვრება“, „ანტონ მარტყოფელის ცხოვრება“, „ღმრთაების გუჯარი“, ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, პლატონ იოსელიანის „აღწერა მარტყოფის მონასტრისა“...

ვახუშტი ბატონიშვილის უზარმაზარ შრომაში „აღწერა სამეფო-სა საქართველოსა“ მარტყოფს მთელი თავი აქვს დათმობილი. „მარტყოფისათვის“ — ასე ეწოდება ამ ქვეთავს. „ლილოს მთისა და კუხეთის მთის შორის არს მარტყოფი. გამოსდის წყალი მისი ამასვე მთას საცხენისის-წვეამდე — მარტყოფისა, ხოლო მას ქუებით მტკურამდე უწოდებენ ან ლოჭინსა... ამ წვესა ზედა არს სამწრით ეკლესია ლუთაებისა, გუმბათიანი, დიდშენი, გარ ზღუდე გოდლოსანი, მზგავსი ციხისა, კეთილს შუენიერს ადგილს. აქ დაადგრა იგ მამათაგანი ანტონი და ჰყო მონასტრად ესე, ხოლო თვთ მცირედ განშორებით ქუაბსა შინა მყოფობდა მარტოდ და მით ეწოდა ადგილსა ამას მარტომყოფი და ან მარტყოფი“ (I, 537-8). ამ ვრცელ ამონაწერში მეტად საყურადღებო ცნობებია დაცული. პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ აქ საუბარია მარტყოფის სამოურავოზე, რომელიც მოიცავდა დღევანდელი მარტყოფის, ნორიის, ახალსოფლის, გამარჯვების საკრებულოების ტერიტორიებს, აგრეთვე ლილოს სადაბო საკრებულოს ტერიტორიის ნაწილს. აქ ჩამოთვლილი სოფლების გარდა ისტორიულ მარტყოფში შედიოდა კიდევ სოფლები: ტევალი, ჭოტორი, ნასომხარი (იგივე მამუკაანი), შვინდაძე, აშკარეთი, შავპირი, ჭოპორტი, ფეიქრიანი, ლამოანი, საცხენისი და ბევრი სხვა, რომლებიც დიდი ხანია უკვე ნასოფლარებად ქცეულან სოფელ საცხენისის გარდა. ბევრი მათგანი ხომ ჩვენ დროს დააცარიელეს კოლმეურნეობების გამსხვილების მიზნით (სოფელი ტევალი/ტევალი კი დღეს მარტყოფის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, რომელსაც არ დაუკარგავს თავისი ძველი სახელწოდება).

როგორც ვახუშტი ბატონიშვილი გვაუწყებს, მარტყოფს ადრე მარტომყოფი რქმევია. მამა ანტონი „მცირედ განშორებით ქუაბსა შინა მყოფობდა მარტოდ და მით ეწოდა ადგილსა ამას მარტომყოფი და ან მარტყოფი“ (I, 538. ხაზი — უ.ს.). მარტყოფის სახელწოდების წარმოშობა რომ დაკავშირებულია წმინდა მამა ანტონის სახელთან, აქაურმა მოსახლეობამ ეს თითქმის ზეპირად იცის. მათ ისიც იციან, რომ ამ სოფელს მანამდე, ე.ი. მეექვსე საუკუნემდე, აკრიანი რქმევია. ეს ტომონიმი — აკრიანი — გვხვდება „ღმრთაების გუჯარში“ და მამა ანტონის „ცხოვრებაში“. წმინდა მამა ანტონი „დაადგრა მთასა ამას, რომელსა ცხოვრება ამის ნეტარისა მთად აკარიანად უწოდს“, ვკითხულობთ „გუჯარში“ (2,368). „ესე წმინდა დადგრა სრულიად მთასა ამას აკრიანად ხმულსა“, გვაუწყებს იგივე ძეგლი (იქვე). ანტონის „ცხოვრებიდანაც“ ვიგებთ, რომ მამა ანტონმა „განვლო იგი (მტკვარი — უ.ს.) და დაემკვიდრა აღმოსავლით, ვითაროთხ მილიონ ნაპრალსა კლდისასა, შინაგან მთათა აკრიანთა“ (3.213. ხაზი — უ.ს.). „ცხოვრების“ ტექსტს კარგად თუ დავაკვირდ-



ბით, ვნახავთ, რომ მამა ანტონი დამკვიდრებულა აკრიან მთებში. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ „ცხოვრებაში“ დაფიქსირებული მრავლობითი ფორმა „მთათა აკრიანთა“ კალმის შეცდომა არ უნდა იყოს, რადგან იმ ადგილს, სადაც ანტონ მარტომყოფელი მოღვაწეობდა, სამი მხრიდან კლდოვანი მთები აკრავს. თვით მარტყოფის სამონასტრო კომპლექსიც მაღალ კლდეზეა დაშენებული. კლდის სიმაღლე კი ზოგან 10-15 მეტრს აღწევს (4, 3). ტოპონიმ აკრიანის ისტორია-ეტიმოლოგია ქვემოთ გვაქვს გამოკვლეული და ამაზე ახლა აქ აღარ შევიჩერდებით. ისე კი ვიტყვი, რომ აკრა, აკარა კლდის ერთი სახეობაა. ამ სიტყვის მნიშვნელობა განმარტებული აქვთ დიდ ლექსიკოგრაფებს: სულხან-საბა ორბელიანსა და ნიკო ჩუბინაშვილს. ე.ი. „აკრიანი“ ნიშნავს კლდოვანს. ვინც მარტყოფის სამონასტრო კომპლექსის ირგვლივ მდებარე მთებს: ფხაკას, ქვაკიბისერს, მამაამტონისერს და ე.წ. „შვინდაძის გადასახედს“... ნახავს, ადვილად დარწმუნდება ამ ეტიმოლოგიის ჭეშმარიტებაში.

მარტყოფს რომ ადრე აკრიანი ერქვა, ეს აქაურ მოსახლეობას კარგად ახსოვს. ამავე ცნობას გვანვდიან პლატონ იოსელიანი და კათალიკოსი კირიონი. მარტყოფი ძველად ცნობილი იყო აკრიანის სახელწოდებით, წერს პლატონ იოსელიანი (6, 208). ანტონის „ცხოვრებაში“ სოფლის სახელწოდება არ გვხვდება, მაგრამ აქ ერთ საინტერესო ცნობას კი ვკითხულობთ: „იყო მთა უღალი და სერტყიანი, და იყო ქალაქი ვითარ ერთ მილიონ მცირე“ (3, 213). თანამედროვე ქართულით ეს ცნობა ასე უნდა გავიგოთ: „იყო გაუვალი ტყით დაფარული მთა, რომლის მახლობლადაც ათას ნაბიჯზე მდებარეობდა მცირე ქალაქი“. დღევანდელი მარტყოფი 4-5 კილომეტრითაა დაშორებული მარტყოფის ღვთაების მონასტერს, ძველად კი აქვე ახლოს, მამაამტონისერის ძირას, ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეზე მდებარეობდა. აქ ახლაც შემორჩენილია შენობათა ნანგრევები და ციხე-გალავნის ნაშთები. საინტერესოა, რომ მარტყოფი სხვა წყაროებშიც მოხსენებულია ქალაქად, კერძოდ ამ ცნობას გვანვდის გერმანელი მეცნიერი გიულდენშტედტი, რომელმაც საქართველოში იმოგზაურა 1770-იანი წლების დასაწყისში. „მასვე (კახეთს — უ.ს.) ეკუთვნის კედლებითა და ციხეებით აღჭურვილი ადგილები: მანავი, ნათლული, მარტყოფი, რომელსაც თვლიან ქალაქად, ნორია, ლოჭინი...“ (7, 261, ხაზი — უ.ს.). მარტყოფი ქალაქადვეა მოხსენებული ერთ რუსულ წყაროში, რომელიც თ.ტივაძის „მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის XVII საუკუნის მეორე ნახევარში“, N45-ე დოკუმენტადაა შესული. ეს გახლავთ „ი.კაზარინოვის დაკითხვა საელჩო პრიკაზში ელენე დედოფლისა და ერეკლე ბატონიშვილის თაობაზე“. კაზარინოვი ირანში თან ახლდა ელენე დე-

დოფალს. საბუთში ვკითხულობთ, რომ „5 ოქტომბერს შემახაში მასთან, დედოფალ ელენე ლეონის ასულთან საქართველოდან მოვიდა ქალაქ ქიზიყიდან მიტროპოლიტი მათეოზი, მასთან ერთად ოცი სხვადასხვა ჩინის კაცი. 9 ოქტომბერს საქართველოდანვე ქალაქ მარტყოფიდან მიტროპოლიტი იოანე, მასთან ერთად 30 კაცი ყოველი ჩინისა“ (8, 30, ხაზი -- უ.ს.).

ზემოთ უკვე ვთქვით, რომ ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, იმ ადგილს, სადაც წმინდა მამა ანტონი დაემკვიდრა, ეწოდა მარტომყოფი, შემდეგ კი — მარტყოფი. ამავე ცნობას გვანდის „ღმრთაების გუჯარიც“. „აქვე (აკრიანში — უ.ს.) შევედრა ყოვლად წმიდა სული თვისი ხატსა მას საუფლოსა. და დაისხნეს წმინდანი ნაწილი მისნი ქვენასა ამას დიდსა ეკლესიასა ღმრთაებისასა, წინარე აღსავალისა, რომელ მას წმიდასა ანტონი მარტომყოფელი ეწოდენ მარტოდ ცხოვრებისათვის, ვინაცა სახელად ამის წმიდისა მარტო ყოფასა მარტყოფი (უნდა იყოს — მარტომყოფი — უ.ს.) ქვიან, ამის ნეტარის სახელის ძალით, გარნა ან სოფლიოთა კაცთა ენითა მარტყოფი უწყვეიათ“ (2, 369. ხაზი — უ.ს.). ამ ტექსტს კარგად თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ წმინდა ანტონი დაუკრძალავთ ქვემო დიდ ეკლესიაში, რომლისათვისაც ნეტარი ანტონის სახელის ძალით მარტომყოფი უწოდებიათ, რომელიც შემდეგ ხალხის მეტყველებამი მარტყოფად ქცეულა.

ჩვენ ვიცით, რომ მრავალი გეოგრაფიული ობიექტის სახელისაგან წარმოქმნილია დიდ ფეოდალთა გვარ-სახელები თუ სასულიერო პირთა ზედწოდება-ტიტულები. მაგ. თბილისი — თბილელი, ნეკრესი — ნეკრესელი, აწყური — მანყვერელი, ხანძთა — ხანძთელი... გურია — გურიელი, ჩორჩანი — ჩორჩანელი, აჩაბეთი — მაჩაბელი... მეექვსე საუკუნის პირველ ნახევარში ასურელი მამები იოანეს მეთაურობით მთელ ქართლ-კახეთში თავდაუზოგავად იღვწოდნენ ქრისტიანული რელიგიის განსამტკიცებლად. როგორც ცნობილია, ისინი აქ არსებული კულტურის ცენტრებს ჩაუდგნენ სათავეში და იმ გეოგრაფიული ადგილის სახელისაგან მიიღეს ზედწოდება, სადაც ისინი დამკვიდრდნენ. წმინდა იოანე ზედაზენზე მოღვაწეობდა და ამიტომ უწოდეს ზედაზნელი. წმინდა ისე წილკნის ეპისკოპოსად აკურთხეს და წილკნელი გახდა, წმინდა აბიბოსი ნეკრესის ეპარქიას ჩაუდგა სათავეში და ნეკრესლის წოდება მიიღო. ამავე პრინციპით გახდა წმინდა იოსები ალავერდელი, წმინდა ზენონი — იყალთოელი, წმინდა სტეფანე — ხირსელი და სხვა. სოფელ აკრიანში მოღვაწე წმინდა მამა ანტონს, როგორც წესი. ზედწოდებად აკრიანელი უნდა მიეღო, მაგრამ მოხდა პირიქით, თვითონ აკრიანს უწოდეს ჯერ მარტომყოფელი, მარტომყოფი და ბოლოს მარტყო-

ფი. ეს ისტორიული ფაქტია, მაგრამ ეს ფაქტი არ არის გამონაკლისი. ასეთივე შემთხვევა გვაქვს იმ გეოგრაფიულ ობიექტებთან, სადაც იოანე ზედაზნელის კიდევ ორი დიდი და უსაყვარლესი მონაფე -- შიო და დავითი მოღვაწეობდნენ. იმ მღვიმეს, სადაც წმინდა შიო დამკვიდრდა, შიომღვიმე ეწოდა, გარეჯს კი, სადაც წმინდა დავითი მოღვაწეობდა — დავითგარეჯი: ეს გეოგრაფიული ობიექტები სწორედ ამ სახელწოდებებით არიან დღესაც ცნობილი.

მარტყოფის ღვთაების მონასტრის დაარსებას ვახტანგ გორგასალს უკავშირებენ. „... მეფესა ვახტანგს ეწყო შემკობად ტაძრისა ღმრთეებისა, და აღშენა და განეშენებინა ყოველთავე საქებელისა და ქცეულებითა ზედან თავსა მარტყოფისასა, და განეჩინა საეპისკოპოზოდ, და მის ხარისხსა ზედან მჯდომარ ექმნა ეპისკოპოზად ბერი ერთი... ამად მეფეს ვახტანგ გორგასალს ეპისკოპოზი იგი განედიდა და რუსთველადაც ამად სახელ ედვა, რომელ ქალაქიცა, რომელი იგი აღშენებულ და ბოსტან-ქალაქად სახელ-დებულ და რუსთავად ნაწოდები ყოფილ არს, და თუით იგი და მარტყოფიცა სანმყსოდ, და მრავალნი დაბანი და აგარაკნი... მისისა ეპისკოპოზისა რუსთველისათვის მიებოძნეს“ (2,353).

მკითხველი, ალბათ, ხვდება, რომ აქ საუბარია რუსთავის ეპარქიაზე, რომელიც დააარსა მეფე ვახტანგ გორგასალმა. „რუსთველი ეპისკოპოსი გვიან ხანში (რუსთავის მოშლის შემდეგ) მარტყოფში (ღვთაებას) იჯდა“ (9,332-3). ეს ამბავი მოხდა 1265 წლის შემდეგ, როცა მონღოლთა ურდოებმა ძირფესვიანად მოთხარეს დიდებული ქალაქი რუსთავი. ამიტომ „მუნებური ეპისკოპოზი მოსცვალეს აქა (მარტყოფში — უ.ს.), და ზის ანამდე და არა შეუცვალეს სახელი, არამედ იგივეს რუსთველს უწოდებენ. მწყემსი არს მარტყოფ-საგურამო-ხერკისა“ (1,538).

რეზიდენციები სხვა ეპარქიებსაც (უფრო სწორედ — მღვდელმთავრებს) შეუცვლიათ, მაგალითად, ნეკრესელი ეპისკოპოსი გვიან საუკუნეებში შილდაში იჯდა, კანარელი (იგივე სამებელი) კი — ხაშმში, ასევე ბიჭვინთიდან ქუთაისში გადმოიტანეს აფხაზეთის კათალიკოსის რეზიდენცია, მაგრამ არც ამ ეპარქიათა მღვდელმთავრებს შესცვლიათ ზედწოდება-ტიტულები. ვფიქრობთ, რუსთავიდან მარტყოფში საეპისკოპოსო ცენტრის გადმოტანა, ალბათ, პირველი შემთხვევა იყო და ვახუშტი ბატონიშვილმაც ამიტომ აღნიშნა საგანგებოდ. მაგრამ, მარტყოფში რომ რუსთველი ეპისკოპოსი იჯდა, „ეს, რა თქმა უნდა, შემთხვევითი მოვლენა არ ყოფილა. სასულიერო ცენტრი რუსთავიდან გადადის იმ პუნქტში, რომელიც მასთან ყველაზე ახლოს იყო ეკონომიურად, ადმინისტრაციულად და ეკლესიურად“ (10,160, ხაზი — უ.ს.).

მარტყოფის მონასტერმა სახელი გაითქვა იმითაც, რომ აქ ესვენა ანტონ მარტომყოფელის მიერ ედესიდან ჩამოტანილი ხელთუქმნელი ხატი მაცხოვრისა. ამ ხატის სასწაულმოქმედების ამბავი მთელ საქართველოში იყო ცნობილი. ერთ ასეთ სასწაულზე მოგვითხრობს ვახუშტი ბატონიშვილი. მეფე დავით მეშვიდე (უღლუ) „წარვიდა სიბას და მოიქცა რა მუნით, დასწეულდა ... სენითა მუცლისათა, რამეთუ მკურნალთაგანცა უსასო იქმნა. მგ ზავრ მოაყვანიან ხატი მარტყოფისა ჯელით-უქმნელი და შეხეზისა თანა განიკურნა მეფე და მოვიდა ტფილისს, იხარებდა და მეფობდა კეთილად ყოველთა ზედა“ (1,225, ხაზი — უ.ს.). ამავე მეფემ შემდეგ კიდევ ერთხელ მიმართა მარტყოფის ხატს. „შემდგომად წარვიდა აბალა სიბას და წარიყვანა მეფე სპითა და მოქცევასა ზაფხულისასა წარმოსულს დავით მეფესა გზასა შეედეგა საღმობა მუცლისა და ვერ უძლეს მკურნალთა კურნებად, ხოლო მეფემან კუალად მოითხოვა ხატი მარტყოფისა, არამედ არღარა ჰყო ლხინება, ამისათვის ვინაითგან მოაკლო მსახურება ღვთისა და გარდაიცვალა მეფე დავით“. ეს ამბავი კი, როგორც გვაუწყებს ვახუშტი ბატონიშვილი, 1269 წელს მომხდარა (1,226).

მრავალჯერ შემოსევია ჩვენს დედაქალაქს მტერი. მრავალჯერ აღუმართავთ ქართველ ვაჟკაცებს ხმალი მის დასაცავად. მარტყოფიც, როგორც დედაქალაქის ფარი, ბევრჯერ შეგებებია მტრის მოქნულ მახვილს და ვადაში გადაუმსხვრევია იგი. აქ ხომ მრისხანე თემურლენგმაც იწვინა დამარცხება. 1394 წელს „... მიესმა რა თემურს მოწყუედა სპისა თვისისა, განრისხებულთ მოვიდა ბარდავს და დაუტევნა მუნ სამძიმონი და წარმოემართა ბაგრატსა ზედა... ხოლო ბაგრატს დაებანაკებინა მარტყოფილამ ავჭალამდე სპითა თვისითა ამერიმერთა, მესხ-კლარჯითა, შერ-კახითა და სომხითართა მგონებელსა თემურისაგან ტფილისის მიდგომისასა. არამედ თემურ მოვიდა პირისპირ ბაგრატ მეფისა. მაშინ განვიდა ბაგრატ ყოვლითა ძალითა და ეუწყნენ ომანის-ჯევს ზემორე (ახლანდელი ლოჭინი — უ.ს.) და იქმნა ბრძოლა ძლიერი და სასტიკი... მიდრეკასა მზისასა სძლეს ქართველთა და მოსრნეს თემურისანი მრავალნი რაზმნი და მწყობრნი, და სხუანი ურიცხვნი ივლტოდნენ“ (1,267, ხაზი — უ.ს.).

როგორც ვხედავთ, ეს სასტიკი ბრძოლა ლოჭინის ზემოთ მომხდარა. ლოჭინის ზემოთ კი მარტყოფი მდებარეობს. პლატონ იოსელიანის ნაშრომში „აღწერა მარტყოფის მონასტრისა“, ვკითხულობ, რომ თემურლენგის ურდოები მარტყოფის მონასტერსაც შემოეწყენენ. ამ ბრძოლაში დაიღუპა ეპისკოპოსი გიორგი რუსთველი, რომელმაც ვერ მოასწრო ეთქვა, თუ სად შეინახა (გადამალა) წმინდა განძი, მათ შორის ხელთუქმნელი ხატი მაცხოვრისა, რაც დღემდე ითვლება დაკარგულად (6,212).

XV საუკუნის 70-იან წლებში, როცა ერთიანი საქართველო სამეფო-სამთავროებად დაიშალა, მარტყოფი ქართლისა და კახეთის მეფეთა საცილობელი შეიქმნა. „არცა უტყვებდა კონსტანტინე მეფე (ქართლის მეფე -- უ.ს.) პყრობად დავითს (კახეთის მეფეს -- უ.ს.) მარტყოფს, საგურამოს, და ხერკსა, და ვერ ბრძო დავით კონსტანტინეს, ვინაითგან ეშინოდა ერისთავთა თქსთაგან ... ამისთვის მიერთო იმერთა მეფესა ბაგრატს და დაიპყრა კახეთი. მაშინ მოსპო ერისთავნი ჰერ-კახთა შინა და დასხნა მოურავნი დიდთა და მცირეთა ადგილთა ვითარცა არიან დღემდე: მოურავი ქისიყისა, ელისენისა, ნუქეთისა, დიდოეთისა, ჭიაურისა, შილდა-ყუარელისა, მარტყოფისა, გრემისა, პანკისისა, და სხუანიცა. და განჰყო ოთხ სადროშოდ... მისცა დროშანი ეპისკოპოსთა ...“ (1,567-8. ხაზი — უ.ს.). როგორც ვხედავთ, კახეთის ერთ-ერთი სამოურავოს ცენტრი მარტყოფია, რომელსაც ამიერიდან კიდევ ერთი დიდი მოვალეობა დაეკისრა, კახეთის მეფეებმა იგი სამხედრო ერთეულის — სადროშოს ცენტრად აქციეს. „არამედ ან აქუსცა დროშა სასპასპეტო, და არიან ამის სასპასპეტონი გარეთ-კახეთი ქისიყამდე და მარტყოფ-საგურამო, და არს მემარცხენე ბრძოლასა“, გვაუწყებს ვახუშტი ბატონიშვილი (1,538). „პირველად აღდგეს რუსთველი და აღიღოს დროშა, ბრძანებითა ჩვენითა და, სადაცა ვბრძანოთ, ყმითა თვისითა და სამოურაოთა თვისითა მარტყოფითა ჩვენის სახასოთა და ერთს ადგილს დაიყოვნოს.

ამას შემოეყაროს სამებელი უჯარმო და ავალისძენი, აქათგანვე, იორთა ზედა და სამგორთა შინა, ნაპირნის სახლნი, არაგვის პირნი, ძაგნაკორანი და გურამისშვილნი და ხერგის ჯეენი; მიერთგან გარდაღმა კახეთნი, თიანეთნი, ფშავნი და ჯევსურნი, ერნონი, ჟალელნი და მათ შინა მოსახლენი აზნაურნი და თავადნი“, შემდეგ კი სათითაოდაა ჩამოთვლილი გვარები იმ თავად-აზნაურებისა, რომელნიც უნდა გამოსულიყვნენ მარტყოფის დროშის ქვეშ. ამას ვკითხულობთ ერთ-ერთ უნიკალურ საბუთში, რომელსაც ეწოდება „განწესება სარუსთველო დროშისა“ (2,385). მარტყოფის (სარუსთველო) დროშის მცველთა პატივი ნორიელ ჭიჭინაძეებს ჰქონდათ დაკისრებული, რაც მემკვიდრეობით გადაეცემოდათ (2,369).

როგორც ვხედავთ, კახეთის მეფეებმა მარტყოფის (სარუსთველო) სადროშოს უფრო მეტი ტერიტორია დაუქვემდებარეს, ვიდრე ძველი კუხეთის საერისთავოს ეკავა. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით კი კუხეთის საზღვარი იყო: „აღმოსავლით მთა კახეთისა, სამჯრით საზღვარი ჰერეთისა ... დასავლით მტკუარი და არაგვ; ჩდილოთ იგივე მთა კახეთისა. და ამათ შორისს ქუეყანასა ეწოდა კუხეთი, კუხონის სახელის გამო, არამედ უწოდებენ თიანეთს, საგურამოს ანუ თეძმის ჯევს ... კუალად გრდანი, მარტყოფი, დიდუბე, სამგორი, ჩა-

დივარი, ომანის ჴევი, ყარალაჯი და ნაგები და ყარაია" (1,524). ვახუშტი ბატონიშვილი ქვემოთ კიდევ უბრუნდება კუხეთის საერისთავოს და წერს: „კვირიკე კახთა მეფემ დასვა ერთი ერისთავი „რუსთავს, და მისცა სრულიად კუხეთი, რომელი არს ნაგები, ყარაია, ჩადივარ, სამგორი, უჯარმა, ლილო, მარტყოფი, გრდანი, ხერკი და თიანეთი, არაგვს კერძო უინვანამდე“ (1,561).

გვიან საუკუნეებში კახეთის მეფეებმა კიდევ უფრო ალაზნევს რუსთველი ეპისკოპოსები. ისინი არა მარტო სადროშოს სარდლობენ, არამედ კახეთის ჯარის მთავარსარდლებიც არიან. ალბათ, სწორედ ამიტომ იყო, რომ, როცა ლეკთა განუწყვეტელი თარეშისაგან ნეკრესის სადროშო მოიშალა, მისი ჯარიც რუსთველ ეპისკოპოსს მიაბარეს.

თუ რატომ განადიდეს რუსთველი ეპისკოპოსები კახეთის მეფეებმა, ეს ნათლად ჩანს მეფე დავით მეორე იმამყული ხანის სიტყვებიდან: „ბისონისა შემოსითა რუსთველი პატიოსან ვყავთ, ვინადგან ჩვენ მივანიჭეთ ესე პატივნი და ადგილნიცაუშაღლესნი პალატთა ჩვენთა, რათა მარცხენით ჩვენსა რუსთველთა ყოველთა თავს დასმიდენ ჴელ-არგანოსანნი ჩვენნი ამათ პირთათვის, ვინადგან მეფეთა თანამზრახობა და სპათა ქცეულებისა საქმე და მოთხრობა პირითა ამისით მოეხსენებიან მეფეთა...“ ეკითხულობთ „ღმრთაების გუჯარში“ (2,361, ხაზი — უ.ს.).

თუ გულდასმით ჩავუკვირდებით ამ ტექსტს, დავინახავთ, რომ რუსთველ ეპისკოპოსებს კახეთში მეფის შემდეგ მთავარი ადგილი უკავიათ. შეიძლება ითქვას, დიდ-ვეზირის, პრემიერ-მინისტრის მოვალეობა აკისრიათ. ამის დასტურად ისიც გამოდგება, რომ ზემოთ, საისტორიო მოამბიდან დამონშებულ ტექსტში როგორც დავინახეთ, დედოფალ ელენეს შემახაში ყველაზე მეტი თანმხლები პირით (30 კაცით) რუსთველი მიტროპოლიტი იოანე ეახლა. რუსთველებს, ალბათ, სწორედ ამიტომაც ვხედავთ იქ, სადაც ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა ხოლმე... მრავალმა რუსთველმა ეპისკოპოსმაც ხომ ბრძოლის ველზე დალია სული. 1605 წელსაც, როცა გამაჰმადიანებულმა კონსტანტინემ შაჰ-აბასის დავალებით დახოცა მამა და ძმა (მეფე ალექსანდრე მეორე და უფლისწული გიორგი), მათთან ერთად სიცოცხლეს გამოასალმეს რუსთველი ეპისკოპოსი პავლე (ანდრონიკაშვილი) და მისი ძმა აბელი, რომელსაც ასევე დიდი თანამდებობა ეკავა კახეთის სამეფო კარზე.

როგორც ვხედავთ, მარტყოფში კახეთის სამეფოს მთავარსარდალი ზის. ეს, რა თქმა უნდა, ამ სოფლის სტრატეგიულმა მდებარეობამ და ისტორიულმა წარსულმა განაპირობა. სწორედ ამიტომაცაა, რომ მარტყოფის მიდამოებში ბევრჯერ გამართულა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები. „ხოლო მოსვლასა უზუნ-ასან ყენისა, რა

მოსრნეს ხერკი, საგურამო, მარტყოფი და თიანეთი, ამან გიორგი (კახეთის მეფე — უ.ს.) უძღუნა ყეენსა ძღუენი დიდი", გულისტკივილით წერს ვახუშტი ბატონიშვილი (1,568).

მარტყოფის მიწა შინაური აშლილობის ასპარეზადაც ბევრჯერ ქცეულა. ის სამარცხვინო ბრძოლა, ქართლის მეფე სვიმონ დიდსა და კახეთის მეფე ალექსანდრე მეორეს შორის რომ გაიმართა, მარტყოფსაც მისწვდა. „ალექსანდრე მეფემ, — გვაუწყებს ბერი ეგნატაშვილი, — ქმნა მრავალი უკადრისი საქმე, და წარმოვიდა. მივიდა და დადგა მარტყოფს (ადგილსა), რომელსა ჰქვან ჭოტორი“ (11,475).

მეჩვიდმეტე საუკუნის მიწურულსა და მეთვრამეტე საუკუნის პირველ მეოთხედში ქართლ-კახეთის მესვეურები მამასისხლად წაეკიდნენ ერთმანეთს. ეს ამბავი მხატვრულ ლიტერატურაშიცაა ასახული. სწორედ ამაზე მოსთქვამს დიდი მგოსანი დავით გურამიშვილი თავის სევდა-წუხილით აღსავსე პოემა „ქართლის ჭირში“. ამის უტყუარ ცნობებს გვანვდიან საისტორიო წყაროებიც. „კუალად წარავლინა მეფემან (გიორგი XI-ემ — უ.ს.) ხერხეულიძე სპითა. ესენი მივიდნენ და მოსტყუენეს მარტყოფი“, გვაუწყებს ვახუშტი ბატონიშვილი (1,470, ხაზი — უ.ს.). ვახუშტი იმასაც გვამცნობს, რომ 1715 წელს „მოვიდა იესე მარტყოფს, ქმნა ქორნილი ქრისტიანულ-მაჰმადიანური, წარიყვანა ელენე დიდებითა და წარვიდა ტფილისს“ (1,615). ჩვენ ისიც კარგად ვიცით, რომ სწორედ ამ იესეს ცბიერებამ წაჰკიდა ერთმანეთს მეფე ვახტანგ მეექვსე და კონსტანტინე მეორე ერთმანეთს და ისედაც დაუძღურებული ქართლ-კახეთი უფსკრულის პირას მიიყვანა. ამ შეხლა-შემოხლის დროს ყველაზე მეტად მარტყოფი დაზარალდა. „ხოლო მაჰმად-ყულიხან განვლო გემიყაია ნავით და მივიდა მარტყოფს და მუნინდამ ქისიყს სპისათჳს ლექთა...“, ვახტანგ მეფემ კი „წარავლინა ვახუშტი მარტყოფს, მოსტყუენა იგი და მოვიდა ტფილისს“, წერს თავად ვახუშტი ბატონიშვილი (1,503, ხაზი — უ.ს.). მარტყოფის ისტორიული წარსულის ამსახველი საბუთების დამოწმება კიდევ მრავლად შეიძლებოდა, მაგრამ, ვფიქრობთ, ეს შორს წაგვიყვანს. ოღონდ ორიოდ სიტყვა უნდა ვთქვათ იმ დიდ ბრძოლაზე, რომელიც აქ მოხდა 1625 წლის 25 მარტს, ხარებობა დღეს, როცა გიორგი სააკაძისა და ზურაბ ერისთავის მეთაურობით ქართველთა ლაშქარმა სასტიკად დაამარცხა სპარსეთის მანამდე უძღვეელი არმია და საქართველო იხსნა საბოლოო განადგურებისაგან. შაჰ-აბასს ხომ ეს უნდოდა და მიზნადაც ჰქონდა: კახელები ერთიანად გაენწყვიტა, ქართლები კი სპარსეთში გადაესახლებინა. მანამდე კი, 1614-16 წლებში, კახელების ერთი მესამედი სპარსეთის პროვინციებში გადაკარგა.

მარტყოფის ომმა შეარყია სპარსეთის იმპერია, საბოლოოდ გაა-

ქარწყლა მისი უძლეველობის მითი და სწორედ ამ დამარცხების შემდეგ იყო, რომ ზედიზედ აუჯანყდნენ დაპყრობილ-დამონებული ქვეყნები.

მაშინდელი გადასახლებული ქართველების შთამომავლები ფერეიდანში ცხოვრობენ, რომელთაც კარგად შემოინახეს ქართული ენა და მამა-პაპათა ზნე-ჩვეულებანი. ფერეიდნელ ქართველთა მცირე ნაწილი ამ ოცდახუთი წლის წინათ დაბრუნდა საქართველოში. ალბათ, მალე სხვებიც დაუბრუნდებიან დედა-სამშობლოს. ფერეიდანში ახლა რამდენიმე ქართული სოფელია, რომელთაგან ორი მათგანი არაოფიციალურად მარტყოფის სახელს ატარებს: ზემო მარტყოფი და ქვემო მარტყოფი. ზემო მარტყოფი, რომელშიც თხუთმეტი ათასამდე კაცი ცხოვრობს, ფერეიდნის ცენტრად ითვლება. რაკი აქაური მოსახლეობის შორეულმა წინაპრებმა მარტყოფი უწოდეს თავიანთ სოფლებს, გამოდის, რომ შაჰ-აბასს ერთიანად აუყრია ისტორიული მარტყოფი და სპარსეთში გადაუსახლება (ბევრს ასეც ჰგონია!), რაც სინამდვილეს არ შეეფერება. საისტორიო წყაროებიც ხომ ამას გვიდასტურებენ. „ალილო ყენმა (შაჰ-აბას პირველმა — უ.ს.) ქვეყანა იგი კახეთისა, იავარყო და მოაოხრა ... აღწოცნა პირითა მახვილისათა ყოველნი ქვეყანანი მთისანი — ერწო, თიანეთი, პირი არაგვისა ზემოთგან ვიდრე ავჭალამდე, მარტყოფი, უჯარმა, ჩერქეზნი დიდითგან ვიდრე მცირემდე. და არავინ განერა ჴელითგან მათთა, თვინიერ მცირე კაცი მარტყოფისა“ (12,79-80, ხაზი — უ.ს.). როგორც ვხედავთ, ამ სისხლის წვიმებს ყველა და ყველაფერი წაუღეკავს, მხოლოდ მარტყოფის მოსახლეობის მცირე ნაწილია გადარჩენილა.

მაშ როგორ მოხდა, რომ ფერეიდანში გადახვენილმა ქართველებმა ორ სოფელს უწოდეს მარტყოფი? ჩვენი აზრით, ამის მიზეზი უნდა იყოს მარტყოფის დიდი ისტორიული წარსული, მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისა და წმინდა მამა ანტონისადმი მონივნება და სიყვარული, რაც თან გაიყოლეს როგორც ტყვე მარტყოფელებმა, ისე იმ ხალხმა, მარტყოფის მონასტრის მრევლსა და სამწყსოს რომ შეადგენდა. სწორედ ამიტომ იქცა მარტყოფი შორეულ ფერეიდანშიც ქართველთა გამაერთიანებლად და იმედის მიმცემად. ეს ნათქვამი ლიტონ სიტყვებად რომ არ დარჩეს, აქვე უნდა მოგიხსროთ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ამბავი. როცა აღმოსავლეთის მრისხანე მბრძანებელი ნადირ-შაჰი, თურქთაგან გამოძევებული, საქართველოში იმყოფებოდა, მარტყოფის ნახვა ისურვა! თან იახლა სამი ათასი რჩეული სპარსელი მხედარი და ქართველ მეფეებთან — თეიმურაზ მეორესთან და ერეკლე მეორესთან ერთად — მარტყოფში მივიდა. ქრისტიანობის დაუძინებელმა მტერმა მარ-



ტყოფის მონასტრის ეზოში კარავი გააშლევინა, ილოცა, იქიდან გამოსული ახლა ტაძარში შევიდა... შაგრამ მოდით, თავად გამოჩენილ ისტორიკოსს პლატონ იოსელიანს მოვუსმინოთ: „ცნობისმოყვარეობამ კი არ აიძულა, წერს მაშინდელი მემატრიანე, ქრისტიანთა მტერი, არამედ მიზანმა — დაეთვალე რეზინა მარტყოფის მიდამოები და თავისი თვალით ენახა ის ხალხი, სადაც ყველაზე უწინ იბადებოდა აზრი მტერთა უღლისაგან ქრისტიანული სამშობლოს განთავისუფლებისა, სადაც ყოველთვის აღიმართებოდა ხოლმე გამარჯვების დროშა, რომელიც ინახებოდა წმინდა ანტონის ტაძარში... ტაძარში რომ შევიდა და დაათვალე რა, წმინდა ანტონის საფლავთან შეჩერდა და იკითხა გარდაცვალების დრო და წოდება კაცისა: რომელი მეფე განისვენებს ამ სამარეში? მეფე კი არა, მიუგო ერეკლემ, ამ სამარეში ასვენია მინიერი ნეშტი უდიდესი წმინდანისა და სარწმუნოების მქადაგებლისა. დროშა მისი? იკითხა ნადირ-შაჰმა. ხალხი მისი სახელით ილაშქრებს მტერზე ... მიუგო ერეკლემ“ (6,217).

დიახ, წმინდა მამა ანტონის სახელი ყოველთვის წინ უძღოდა ხალხს. იგი არა მარტო მარტყოფელებს, რომელთაც თავიანთ სოფელს — აკრიანს — მისი სახელი უწოდეს, არა მარტო მარტყოფის მონასტრის მრევლსა და სამწყსოს, არამედ შორეულ ფერეიდანშიც კი სამშობლოდაკარგულ ჩვენს თანამემამულეებს ლამპრად ენთოთ და იმედის გზას უნათებდათ. როგორც გამოჩენილი რეჟისორის ირაკლი კანდელაკის, რომელმაც 1944 წელს შორეულ სპარსეთში გადაიღო დოკუმენტური ფილმი „ფერეიდნელი ქართველები“, ნაამბობიდან ვიცით, ჩვენს თანამემამულეებს, მიუხედავად გამაჰმადიანებისა, კარგად ხსომებიან სახელი წმინდა მამა ანტონისა და ბევრ იქაურ ოჯახს ხატებიც კი ჰქონიათ.

XVII-XVIII საუკუნეებში ლეკიანობა უკუზრნებელ სენად ექცა საქართველოს. გახშირდა მარბიელთა თარეში ქართლ-კახეთში. შილდაყვარლის მხრიდან გადმომავალმა ლეკთა რაზმებმა გზა შუამთა-გომბორზე დაიდეს, იქიდან კი იალნო-ზედაზნის ქედის გავლით ქართლში გადიოდნენ და თავზარს სცემდნენ დაბა-სოფლებს. ამიტომ იყო, რომ მთის კალთებზე გაშენებულმა სოფლებმა ამ დროიდან ველზე გადაცვლება დაიწყეს, რადგან იქ ნაკლებად ბედავდნენ ქურდ-ბაცაცები ხალხზე ნადირობას. ღვთაების მონასტრის მისადგომებთან გაშენებულმა მარტყოფმაც ნელ-ნელა ბარისაკენ გადაინია 3-4 კილომეტრით. ასე გაჩნდა ახალი დასახლება, რომელსაც თავად მარტყოფელები სოფელს//სოფლისუბანს უწოდებენ, აქაურ მაცხოვრებლებს კი — სოფლელებს//სოფლისუბნელებს ეძახიან. პლატონ იოსელიანის ნაშრომში „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“ რომ ვკითხულობთ: მოუ-

რავი ორსავე მარტყოფისა“ (13, 272), მეორე მარტყოფში ველზე დასაზღვრული ეს სოფელი//სოფლისუბანი უნდა იგულისხმებოდეს, სადაც მეფე ერეკლემ 1750 წელს მშენიერი ციხე ააგო (14,94). ამ ციხეა მარტყოფელები ბატონისციხეს//ბატონიანთციხეს უწოდებენ. აქვე თახის მიღებით გამოდის ნყარო, რომელსაც ასევე ბატონისწყარო//ბატონიანთწყარო ეწოდება. ჩვენდა სამწუხაროდ, ამ ციხისა ახლა ორიოდ კედელია შემორჩენილი, თუმცა გარეშე მტერს არ დაუნგრევია იგი. შინაურმა მტერმა — ჩვენმა გულგრილობამ და ნარაჟისადმი უპატივცემლობამ გააპარტახა ეს ციხეც.

ვახუშტი ბატონიშვილს სოფელთა სიაში მხოლოდ ერთი მარტყოფი შეაქვს, თუმცა აქვე ცალკე სოფლებად ასახელებს მის შემადგენელ ნაწილებს ტევანსა (დღევანდელი ტევალი) და ჭოტორს (15,205). ტევალი ძველ ადგილსამყოფელს ორიოდ კილომეტრითაა დაშორებული. სწორედ ეს ტევალი (ტევანი) მდებარეობდა მარტყოფის ღვთაების მონასტრის მისადგომებთან. ასევე აღნიშნული ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილ რუკაზეც. პლატონ იოსელიანის შრომაში დადასტურებულმა ცნობამ: „მოურავი ორსავე მარტყოფისა“ შეიძლება სწორედ ეს ორი სოფელი ტევალი (ტევანი) და სოფელი//სოფლისუბანი გვაგულისხმებინოს. თუმცა არსებობს კიდევ ერთი საბუთი, რომელიც მეორე მარტყოფად სოფელ ნორიას გვაგვარაუდებინებს.

ცნობილია, რომ ერეკლე მეფემ გამოჩენილ მარტყოფელ მწიგნობარს ქრისტეფორე კუჟერაშვილს აზნაურობა უბოძა. აი წყალობის ოქმი მეფე გიორგი მეცამეტემ 1799 წლის 22 დეკემბერს განუახლათ კუჟერაშვილ-ბადრიძეებს. სხვათა შორის ამ საბუთში ვკითხულობთ: „... გიბოძეთ ზემო ნორიას ხუთი საკომლო ბეითალმანი მამული გოგლიანთი შინაური ჩიტიაშვილისა, კუდაანთი და ქაჩალაანთი ... რისაც მქონებელნი ყოფილან — უკლებლივ გვიბოძებია. კურთხეულ მამა ჩვენს მარტყოფის ნაცვლობა ორსავე ხევისა თქვენთვის ებოძებინა და ჩვენც ასე დაგვიმტკიცებია და გვიბოძებია...“ (14,215. ხაზი — უ.ს.). ამ ორივე ხევი რომ მარტყოფისწყლის ხეობა და ნორიხევის ხეობა იგულისხმება, ეს აშკარაა.

მეტად საინტერესოა, რომ ვახუშტი ბატონიშვილი მარტყოფის აღწერისას ნორიას არსად არ ახსენებს: „ლილოს მთისა და კუხეთის მთის შორის არს მარტყოფი“. ჩვენ კი ვიცით, რომ ლილოსა და მარტყოფს შორის ნორია მდებარეობს, თანაც ლილოს მთას სწორედ ნორიის მინდვრები აკრავს და არა — მარტყოფისა. ვახუშტის რუკაზე კი ნორიაცაა დატანილი და მარტყოფიც. აქვეა ტოპონიმები: ტევანი და ჭოტორი ... რუკაზე ტოპონიმი მარტყოფი ორჯერ წერია. წერილი ასობით დანერვილი მარტყოფი სოფლის სახელია,

მსხვილი ასოებით დანერილი კი — მთელი სამოურავოსი.

ნორია რომ მარტყოფის ისეთივე შემადგენელი ნაწილი (სოფელი) იყო, როგორც, ვთქვათ ჭოტორი და ტევანი, ამას ე.წ. „პარიზის ქრონიკაში“ დაცული ერთი მეტად მნიშვნელოვანი ცნობაც გვაყვარაუდებინებს: „მოურავის (გიორგი სააკაძის ... უ.ს.) პირობით ქართველნი შეიყარნენ, დაესხნეს მარტყოფში, ნორიას, ხარების ღამეს ყიზილ-ბაშთა თავსა“ (12,91. ხაზი — უ.ს.). ალბათ, მკითხველი უკვე მიხვდა, რომ აქ საუბარია მარტყოფის ომზე, ქართველთა საყოველთაო აჯანყებაზე, რომელმაც 1625 წლის 25 მარტს იფეთქა.

ამ ვარაუდის დამაჯერებლობისათვის ზემოთ მოტანილი ერთი ცნობა კიდევ უნდა დავიმოწმოთ. ქართლიდან გამობრუნებული ალექსანდრე კახთა მეფე „მივიდა და დადგა მარტყოფს (ადგილსა), რომელსა ჰქვან ჭოტორი“ (11,476. ხაზი — უ.ს.), ე.ი. მემატინე გვაუწყებს, რომ ალექსანდრე მეფე გამაგრებულია მარტყოფში და თანაც იმასაც გვიზუსტებს, თუ მარტყოფის რომელ ნაწილში (სოფელში) დაბანაკებულია კახეთის ჯარი — ჭოტორში. ჭოტორი კი, როგორც აღვნიშნეთ, ვახუშტი ბატონიშვილს ცალკე სოფლად აქვს გამოყოფილი რუკაზეც და სოფელთა სიაშიც. ჭოტორი ცალკე სოფლადვე აქვს შეტანილი თავის ნაშრომში იოანე ბატონიშვილსაც (17,66).

საისტორიო წყაროებში დაცულ ცნობაში „მოურავი ორსავე მარტყოფისა“ მეორე მარტყოფად დღევანდელი სოფლისუბანი იგულისხმება თუ სოფელი ნორია, ამას, ალბათ, შემდგომი კვლევა-ძიება გამოავლენს.

როგორც აღვნიშნეთ, XVII-XVIII ს.ს. უკურნებელ სენად იქცა ლეკიანობა. და, აი, მათი თარეშისაგან შეწუხებულმა იოანე რუსთველმაც, ბერ-მონაზონთა კრებულით, ღვთაების მონასტრიდან მარტყოფში გადაინაცვლა. როგორც იბრეიმ ბეგი შინჯიკაშვილის, მისი ძმის ბასილას და სიძის გოგია ბერუაშვილის საუბრიდან ვგებულობთ, ეპისკოპოსი რუსთველი ჯერ რომელიღაც „გომურ ეკლესიაში“ დაბინავებულია, შემდეგ კი — წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში (ამ საყდრების ადგილმდებარეობა ჯერჯერობით დაუდგენელია). ეგვიპტის ხელმწიფემ მარტყოფელმა იბრეიმ ბეგმა შინჯიკაშვილმა 1783 წელს 44 თუმანი ოქრო გამოგზავნა მარტყოფში სამღვდელმთავრო ტაძრის ასაშენებლად, „მე გაუგზავნი ცოტას რასმე თეთრსა ეკკლესიისათვის, რომ ეკლესია ააშენონ“ (14,188). მარტყოფის ცენტრში, პატარა მდინარეების — ალიხევისა და ტევალის — შესაყართან სტეფანე რუსთველმა, ჯორჯაძემ, ამ ფულით ააგო დიდებული ტაძარი, რომელიც აკურთხეს 1810 წელს, რასაც სამხრეთის კარის თავზე გაკეთებული წარწერაც გვაუწყებს.

იმავე ხანებში რუსეთის თვითმპყრობელობამ კიდევ ერთი დიდი დანაშაული ჩაიდინა, საქართველოს ეკლესიას ნაპკლიჯა დამოუკიდებლობა.

გამოჩენილმა მამულიშვილმა, ერის სულიერმა მამამ, ეპისკოპოსმა სტეფანე რუსთველმა, რომლის სახელთანაცაა დაკავშირებული მარტყოფისა და მასში შემავალი სოფლების განახლება-აღორძინება, დახურა რუსთველ ეპისკოპოსთა 1300 წლიანი ისტორიის ფურცლები. სტეფანე რუსთველი გარდაიცვალა 1839 წელს და დაკრძალეს თავისსავე აგებულ ტაძარში.

თავისუფლების დროშა XIX საუკუნეშიც მრავალჯერ აფრიალებულა მარტყოფში! როცა პირისხლიანმა რუსულმა ბიუროკრატიაში ნიღაბი ჩამოიხსნა და დაიპყრო საქართველო, აქ, მარტყოფში, საიდუმლოდ იკრიბებიან ბატონიშვილები და სამშობლოს გამოსახსენლად გზებს ეძებენ ... მაგრამ რუსის დამსჯელი ჯარი ალყას შემოარტყამს სოფელს და მამულისათვის გულანთებულ შვილებს გულშივე ჩაუკლავს ოცნებას ... როცა 1812 წელს კახეთში კვლავ იფეთქა აჯანყებამ, მარტყოფელებიც ერთსულოვნად გამოვიდნენ სამშობლოს გამოსახსენლად... ჩვენდა სამნუხაროდ, ეს აჯანყებაც დამარცხდა. დამპყრობლებმა საქართველოს ერთგული შვილები თეთრი დათვების სამფლობელოში გადაარეკეს. მათ შორის, როგორც გვაუწყებს ბაგრატ ბატონიშვილი, იყვნენ „ენდრონიკაშვილი მარტყოფის მოურავი, ივანე ზურაბის ძე, მისი შვილი ზურაბი (მოკვდა პერმს წელსა 1814), ძმა მისი რევაზ. ესე სამნი მარტყოფის მოურავის ზაალის სახლიდამ დაიკარგნენ“ (16,132).

რუსულმა ბიუროკრატია, ეტყობა, კარგად უწყოდა მარტყოფის წარსული, მისი როლი ქვეყნის წინაშე, ამიტომაც მოშალა იგი და თანდათან უბრალო მიყრუებულ სოფლად აქცია. აქ სულ მალე გააუქმეს სადროშოც, სამოურავოცა და საეპისკოპოსოც და იგი, კახეთის სამეფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული და კულტურის ცენტრი, მანამდე სრულიად უმნიშვნელო სოფელს სათისჭალას დაუქვემდებარეს.

მაგრამ აქ საბოლოოდ ვერ ჩაკლეს თავისუფლებას მოწყურებული სული. როცა 1921 წლის თებერვალში ქართველი ხალხი აღსდგა ნითელი ბარბაროსების წინააღმდეგ, მარტყოფელებმაც ქუდზე კაცი გამოიყვანეს ბრძოლის ველზე. ცოლ-შვილი მთის კალთებზე, ღვთაების მონასტრის მიდამოებში გადაამალეს და „ბარშეიკებთან“ (როგორც ზიზლით იტყოდა ხოლმე ბებიაჩემი) საომრად წავიდნენ ვაზიანზე. სამნუხაროდ, ბრძოლაში ველარ გამოამჟღავნეს ვაჟკაცობა, გულდათუთქულები უკან გამოაბრუნეს მეთაურებმა, თბილისი უკვე აიღეს „ბარშეიკებმა“.

საქართველოში დიდი ხნით ჩამონვა წყვედადი. რუსულმა ბიუროკრატიაში ბოლშევიკური ნიღაბი მოირგო და ვითომ „ახალი საზოგადოების“ შენებას შეუდგა. ავანტურისტი კოსმპოლიტიზისაგან გაბრიყვებულმა „კომსომოლებმა“ ისტორიულ წარსულს, ყოველივე ეროვნულს ძირფესვიანად ამოძირკვა დაუნყეს. ასე დაანგრეს ემპაქის ნაშიერებმა მაჰმადიანი ქართველის — იბრემ ბეგი შინჯიკაშვილის — გამოგზავნილი ფულით აგებული („მოხუცი დედაჩემი შორს ვედარ ივლის სალოცავად და ახლოს ააშენეთო ეკლესია“) და ეპისკოპოს სტეფანე რუსთველის მიერ ნაკურთხი საეპარქიო ტაძარი, რომლის ზარების რეკვა თურმე ათ-თხუთმეტ კილომეტრზე ისმოდა.

არც მარტყოფის ღვთაების სამონასტრო კომპლექსის ბებერი კედლები მოასვენეს ურჯულოებმა. ჯერ იყო და 1918 ზაფხულში საწოლში ტყვიით განგმირეს საქართველოს აღდგენილი ეკლესიის პირველი კათალიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი კირიონ მეორე, რომელიც ამ მონასტერში, საპატრიარქოს საზაფხულო რეზიდენციაში, დიდ საშვილიშვილო მოღვაწეობას ეწეოდა.

მალე ამ კომპლექსში ბინა დაიდო საქნავთის ნორიოს კანტორამ. ერთხანს ამ წმინდა ტაძარში მილიციის სკოლა იყო მოთავსებული, მილიციელები წავიდნენ და მათ ადგილას უპატრონო ბავშვთა სკოლა-ინტერნატი შემოხიზნეს, მათ შემდეგ დიმიტროვის ქარხანას გადაეცა საზაფხულო აგარაკად, დიმიტროველები ფინანსთა სამინისტრომ შეცვალა... და ყველა ამ „ვაიპატრონმა“ თავისი უწმინდური ნაკვალევი ღრმად დაამჩნია ტაძარს. მაგრამ რაც ფინანსთა სამინისტრომ დამართა მარტყოფის ისტორიულ ტაძარს, მტერსაც კი არ უქნია. ანდა რად ვაბრალებთ მტერს? ნადირ-შაჰმა ხომ პირიქით, 200 თუმანი (ორი ათასი ვერცხლის მანეთი) და 200 აღმოსავლური ძვირფასი თვალი უძღვნა?! (6,218). კომპლექსის ტერიტორიაზე ე.წ. „ბომბოუბეჟიშიჩე“ უნდა გაეკეთებინათ და 2000 კვმ-ზე უზარმაზარი ორმო ამოთხარეს. დაამახინჯეს თვალწარმტაცი ბუნება და, ალბათ, სამუდამოდ დაიკარგა აქ გამომდინარე წყაროც (გაიხსენეთ მხატვრული ფილმი „ბაში-აჩუკი“, აბდუშაჰილი რომ გადაეყრება შვლის ნუკრთან მოსეირნე პირიმზისას, სწორედ ის ლამაზი მდელი შეენირა ადამიანთა უსულგულობას!).

ნორიელებისა და მარტყოფელების დაჟინებული მოთხოვნით ეს ქვაბული ხელახლა ამოავსეს. ორჯერ გადაიყარა უამრავი თანხა (ასეულ ათასობით მანეთი!) წყალში, მაგრამ, რაც მთავარია, ის წყარო, რომელიც აქ გამოედინებოდა და ახლა უკვალოდ გაქრა, შეიძლება სულ მალე ღვარცოფად იქცეს. შეიძლება სწორედ მისი ბრალიცაა, რომ ღვთაების მონასტრის მთავარ ტაძარში საგრძნობლად დაიბზარა კედლები! ამ კედლებში კი ჩვენი წინაპრები თავდაუზო-


გავად იღვწოდნენ. აქ მოღვაწეობდნენ ცნობილი რუსთველი ეპისკოპოსები, მათ შორის საგულვებელია დიდი შოთა რუსთველიც. და, ალბათ, მარტყოფის ღვთაების მონასტერი ერთ-ერთი ნიშნული ადგილია საქართველოში, სადაც თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ აქ ტრიალებს ჩვენი გენიოსი პოეტის უკვდავი სული! ამას კი მოწინებით მოპყრობა და დიდი გაფრთხილება სჭირდება!

ჩვენდა სასიხარულოდ, მარტყოფის ღვთაების მონასტერი დღეს კვლავ მოქმედია. აქ უკვე რამდენიმე წელია ბერ-მონაზვნები ალაგლენენ სადიდებელ ლოცვას ქართული ეკლესიისა და ქართველთა სულის ასალორძინებლად.

ამ ტოპონიმის წარმოშობას შეეხო პროფ. ზ.ჭუმბურიძე თავის შესთნიშნავ ნიგნში "რა გქვია შენ"? (18.206).

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ: ამ დასახლებულ პუნქტს ადრე აკრიანი ერქვა, VI საუკუნიდან მარტომყოფელს უწოდებენ, რომელიც დროთა განმავლობაში გამარტივებულა მარტომყოფი → მარტყოფი.

ერთი რამ კი მეტად საოცარია. ოც-ოცდაათიან წლებში, როცა მასობრივად ძირკვავდნენ ძირძველ ტოპონიმებს, განსაკუთრებით კი ისეთ სახელწოდებებს, რომლებიც რელიგიასა და ფეოდალურ გვარსახელებთან იყო დაკავშირებული, ტოპონიმ მარტყოფს არ შეხებია მათი მსახვრალი ხელი. ეტყობა, ამ სახელწოდების შინაარსს (წარმომავლობას) ვერ ჩასწვდნენ უნიგნურები.





## აკრიანი

მარტყოფს ადრე აკრიანი რქმევია (ამას ზეპირი გადმოცემაც გვიდასტურებს, ოღონდ რას ნიშნავს ეს სახელი, დღეს ალარავის ახსოვს).

ისტორიკოსი აკაკი მათიაშვილი სოფლის სახელწოდებასთან დაკავშირებით წერს: „მატიერიალური კულტურის ძეგლთა და ისტორიულ წყაროთა შესწავლის შედეგების გაანალიზებით გამომდინარეობს დასკვნა, რომ მარტყოფი, როგორც დასახლებული პუნქტი, არსებობს სულ ცოტა ახ.წ. I-II საუკუნეებიდან. ამ დროიდან VI ს. შუახანებამდე მას ეწოდებოდა აკრიანი, VI საუკუნიდან XIV-XV საუკუნეებამდე მარტომყოფი, ხოლო XV საუკუნიდან დღემდე მარტყოფი“ (20,9).

ავტორს სოფლის, და აგრეთვე მთის, ძველი სახელწოდების — აკრიანის — ახსნა არ უცდია. ოღონდ მას მიაჩნია, რომ „ეს სახელი იაღნოს მთის ამ უბანს სოფლის სახელწოდების (ხაზი ჩვენია — უ.ს.) — აკრიანის — მიხედვით უნდა მიეღოს“ (21,102-103). მკვლევარს ასეთი დასკვნის საფუძველს აძლევს ის, რომ შემდეგში სოფლის სახელწოდების შეცვლასთან ერთად შეიცვალა მთის სახელიც. ე.ი. ძველი: აკრიანი, აკრიანის მთა შეიცვალა ახლით: მარტყოფი, მარტყოფის მთა (21, 102-103).

გამოჩენილი ისტორიკოსი პლატონ იოსელიანიც სოფლის ადრინდელ სახელად აკრიანს აცხადებს, მაგრამ ავტორს ვერ დავეთანხმებით იმაში, თითქოს ეს სახელი ბერძნული „აკროსისაგან“ მომდინარეობდეს და იგი სოფლისათვის ათცამეტ სირიელ მამათაგანს ანტონს ეწოდებინოს (6,208). ჯერ ერთი, მამა ანტონის ცხოვრებაში ვკითხულობთ, რომ ანტონის მიერ სამოღვაწეოდ არჩეულ ადგილზე „იყო მთა უღალი და სერტყიანი, და იყო ქალაქი ვითარ ერთ მილიონ, მცირე“ (3,213). ეს დასახლებული პუნქტი, რომელსაც მემათიანე ქალაქს უწოდებს, ვფიქრობთ, უსახელო არ იქნებოდა. მეორეც, როგორც სხვა საისტორიო წყაროც გვეუბნება, ანტონ მარტომყოფელის მიერ დაარსებული მონასტრის ტერიტორიაზე მეხუთე საუკუნეშივე მდგარა ტაძარი, რომლის აგებასაც ვახტანგ გორგასალს მიაწერენ. „მეფესა ვახტანგს ეწყო შემკობად ტაძრისა ღმრთეებისა, და აღეშენა და განეშენებინა ყოველთავე საქებელისა

და ქცეულებითა ზედან თავსა მარტყოფისასა, და განეჩინა საეპის-  
კოპოზოდ, და მის ხარისხსა ზედან მჯდომარ ექმნა ეპისკოპოზად  
ბერი ერთი“ (2,352). შემდეგში კი ვახტანგ მეფის მიერ აგებული ტა-  
ძარი „მოექცა ანტონ მარტომყოფელის მიერ დაარსებული მონასტ-  
რის ერთიან კომპლექსში და მისი ძირითადი საფუძველი გახდა“  
(20,10).

ტოპონიმი აკრიანი შედგენილობის მიხედვით ზედსართავია.  
მასში — იან ქონების მანარმოებელი სუფიქსი გამოიყოფა. რას ნიშ-  
ნავს აკრა? საბას განმარტებით „აკრა ესე არს ზღვის პირი კლდო-  
ვანი მყის ღრმა დაწყებასავე თანა“. „აკრა, აკარა ზღვის პირი  
კლდოვანი, ქედი ზღვაზედ წარსიდული, мыс“, — განმარტავს ნ.ჩუ-  
ბინაშვილი. აკრა, აკარა მარტო „ზღვის პირი კლდოვანი“ არ არის, ის  
შეიძლება „მდინარის კლდოვანი პირიც“ იყოს. აი, რას ამბობს ნ.ჩუ-  
ბინაშვილი, როცა კლდის სახეობებს ჩამოთვლის: „კლდე მთა ანუ  
გორა მრთლად ქესა, камень, каменная гора, скала. სახენი ამისნი  
არიან: ტინი ფრიად მაგარი, აღმა ამართული; სალი და ქარაფი  
ვრცელი და მაღალი, ნიამორთაგანცა ძნიად სავალი; თირი ლბილი  
და ადვლ სათალი, რომლისაც ნატეხს ეწოდება მჭადაქვა და იხმა-  
რება სალესავად; კონცხი, აკრა თუ აკარა გრძლად ნაშვერილი  
ზღვათა და მდინარეთა შინა შესული“. როგორც ვხედავთ, სიტყვა  
აკრა, აკარა კლდეს უკავშირდება. მაშასადამე, აკრიანი ნიშ-  
ნავს კლდიანს, კლდოვანს. შეესაბამება თუ არა ასეთი სახელ-  
წოდება ჩვენს ობიექტს? სავსებით შეესაბამება, რადგან ამ მთის და-  
სავლეთი ფერდობი მთლად კლდოვანია და ღვთაების მონას-  
ტერიცა და ანტონის კოშკიც მაღალ კლდეებზეა დაშენებუ-  
ლი. ამის შესახებ აკ.მათიაშვილი წერს: „... ტინის სიმაღლე ზოგან 10-  
15 მეტრს აღწევს. იგი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ თითქმის  
3 კმ-ზე მიემართება“ (4,2) და ბირიხევში — მდინარე ნორიხე-  
ვის სათავეში — ჩადის.

მეტად საინტერესოა, რომ ეს ტოპონიმი საისტორიო წყაროში  
აკარიანის ფორმითაც გვხვდება. კახეთიდან გამობრუნებული  
ანტონი „აღმოჴდა მათათა მათ, რომელნიცა პირველ გარდევლნეს  
და მიიწია კუალად მახლობელად იოვანესა (ზედაზნელისა —  
უ.ს.), მოძღვრისა თვისისა, მტვირთველი მწართა ხატისა მის ყოვ-  
ლად წმიდისა და დაადგრა მთასა ამას, რომელსა ცხოვრება ამის ნე-  
ტარისა მთად აკარიანად უწოდს“ (2,368).

ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: მარტყო-  
ფის ძველი სახელწოდება აკრიანი მომდინარეობს ამავე სახელ-  
წოდების მთისაგან, ე.ი. იყო აკრიანი (←აკარიანი) მთა (-  
კლდიანი, კლდოვანი მთა), შემდეგში კი, ან იმავე დროს, ეს სახელი



ამ მთის სამხრეთ-აღმოსავლეთ კალთებზე მდებარე სოფელსაც უწოდეს (უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდელი მარტყოფი ოთხი-ხუთი კილომეტრითაა დაშორებული ძველ ადგილ-სამყოფელს).

განსახილველი ობიექტის სახელად გვიანდელ წყაროებში „აკრიანის მთა“ გვხვდება. გ.საბინინის მიერ შედგენილ „საქართველოს სამოთხის“ ერთ-ერთ შენიშვნაში ვკითხულობთ, რომ ანტონმა „... დაუტევა ადგილი იგი თვის და მიემთხვა მთასა აკრიანისასა ანუ აწინდელ მარტყოფისასა (22, 299). ასევე შეცდომას უშვებს ეპისკოპოსი კირიონი, როცა წერს, „... ანტონი წავიდა განსამართოვებლად აკრიანის მთაზედ, რომელიც უტეხის და გაუვალის ტყით იყო დაფარული... თვით მთას დაერქვა მას აქეთ მთა მარტყოფისა (23, 99).

უფრო ადრინდელ წყაროებში ყველგან მთა აკრიანი გვხვდება და არა — აკრიანის მთა. ანტონის ცხოვრებაში ვკითხულობთ, რომ იგი დაემკვიდრა „შინაგან მთათა აკრიანთა“ (3, 213). ამ ობიექტს რომ აკრიანის მთა რქმეოდა, მაშინ ავტორი ასე დანერდა: „შინაგან მთათა აკრიანისათა“. ჩვენს ნათქვამს „ღმრთაების გუჯარიც“ ადასტურებს: „ხოლო ესე წმიდა (ანტონი — უ.ს.) დაადგრა სრულიად მთასა ამას აკრიანად (და არა აკრიანისად — უ.ს.) ვმულსა (2, 369).


როგორც ჩანს, გვიანდელი ავტორებისათვის გაუგებარია სიტყვა „აკრიანის“ მნიშვნელობა და ამიტომაც ხმარობენ ასეთ შეუსაბამო ფორმას. აქ ერთი რამ არის კიდევ გასათვალისწინებელი. „შინაგან მთათა აკრიანთა“ გვიანდელ წყაროებში რატომღაც მხოლოდითი ფორმითაა გადმოცემული და, როგორც ვხედავთ, ზოგი „მთა აკრიანს“ წერს, ზოგიც — „აკრიანის მთას“. მაგრამ ობიექტის შესწავლით მტკიცდება, რომ ანტონის ცხოვრებაში შემთხვევით არ არის ნახმარი მრავლობითი ფორმა. იგი სამ მთას მაინც გულისხმობდა: დღევანდელ მამამტონის სერს, მის ჩრდილოეთით 70-80 მეტრის დაშორებით მდებარე მალალე მთას, ე.წ. „შვინდაძის გადასახედს“ და სამხრეთით 0,5-1 კმ-ზე მდებარე ქვაკიბის სერს, რომელთაც ასევე კლდოვანი კალთები აქვთ. აქ ისიცაა აღსანიშნავი, რომ ქვაკიბისერის სამხრეთ კალთებზე მდებარე ტყეს ფხაკა ეწოდება.

ფხაკა კი თანამედროვე სალიტერატურო ენაში და აგრეთვე ბევრ დიალექტში კლდიან ადგილს ნიშნავს.

აკრა//აკარა-ს რა კავშირი აქვს ბერძნულ აკროს-თან („вершина; мыс; край, конец, предел“ Древнегреч.-рус. словарь, I, М., 1957 г.), ჯერჯერობით ვერ ვიტყვით და ეს ჩვენს მიზანს არც წარმოადგენს. თუმცა კი, ეს სიტყვა ქართული რომ არ იყოს, ჩვენი

დიდი ლექსიკოგრაფები ჩვეული სიზუსტით მიუთითებდნენ მის სა-  
დაურობას. აქ ერთი რამ უეჭველი ჩანს, აკრა აკარა - ს შეკუმშუ-  
ლი ფორმაა და მას საერთო უნდა ჰქონდეს ისეთ სიტყვებთან, რო-  
გორიცაა: კარკარი, კარკაროვანი -- წყლტუ კლდოვანი (რაც  
თანამედროვე ქართულით სალკლდოვანს ნიშნავს), გამოკარკე-  
ლა (ნიადაგის განმენდა ქვისაგან). კერკეტი//კირკიტი (მაგა-  
რი, მტკიცე) და სხვა. შდრ. აგრეთვე სვანური კა „ბრტყელი ქვა“,  
კაკერა „კერიის ქვა“, კარარ „ქვები“.

ზემოთ მოხზობილი წყაროებისა და ლექსიკური მასალის საფუძ-  
ველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სოფელ მარტყოფის ძველი სა-  
ხელწოდება აკრიანი, ზედსართავული წარმოშობისაა და ნიშნავს  
კლდოვანს. განსახილველი ტოპონიმის ამ-  
გვარ ახსნას ამკარად უჭერს მხარს ადგი-  
ლის გეოგრაფიული მდებარეობა.





## ტევალი

მარტყოფი ძირითადად ოთხ ნაწილად (ოთხ კუთხედ) იყოფა. ეს კუთხეებია: ალიხევი, ტევალი, სოფელი (ანუ სოფლისუბანი) და ცენტრი, რომლებიც თავის მხრივ კიდევ უფრო ნვრილ ერთეულებად — უბნებად იყოფა.

ტევალი, რომელიც მარტყოფის ერთი ყველაზე ლამაზი კუთხეა, მდებარეობს სოფლის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ხეობაში, სადაც ჩამოდის პატარა მდინარე, რომელსაც აგრეთვე ტევალი ჰქვია. სიტყვა ტევალი გვხვდება კომპოზიტიში — ტევალვენახები, რომელიც ამავე ხეობაში მდებარე ობიექტის სახელია.

თუ რას ნიშნავს სიტყვა „ტევალი“, ადგილობრივმა მოსახლეობამ აღარ იცის. ძველ საისტორიო საბუთებში (ასეთი ცი საკმაოდ ბევრია), სადაც სოფელ მარტყოფზეა საუბარი, გეოგრაფიული სახელი ტევალი არ გვხვდება. საქართველოს ეთნოგრაფიულ მუზეუმში ვნახეთ ერთი აფიშა (1898 წლისა), რომელიც იუნყება, რომ სოფელ მარტყოფში წარმოადგენენ ილია ჭავჭავაძის პიესას — „დედა და შვილს“. აფიშაზე სხვა შემსრულებლებთან ერთად სწერია ვინმე ტევალელი. ჩვენი აზრით, ეს ფსევდონიმი უნდა იყოს, რადგან ასეთი გვარი არც მარტყოფში არსებობს და ჯერჯერობით არც სხვაგან შეგვხვდებოდა.

ფოლკლორისტიკაში ცნობილია და მარტყოფში ჩვენც ჩავინერეთ ერთი ასეთი ლექსი:

*ალიხევი და ტევალი,  
შეკრულო ყურძნის მტევანო,  
მანდ რომ ქალი დავიკარგე,  
განჯას თათარსა ვეყვარო.  
შეკრიბეთ თითო შაური,  
მიხსენით, თქვენი ტყვე ვარო.*

მკვლევრები ვარაუდობენ, რომ ეს ლექსი XVII-XVIII საუკუნეებში უნდა იყოს შექმნილი (24,387).

ვახუშტი ბატონიშვილის ფუნდამენტურ ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, იმ ადგილას, სადაც მარტყოფზეა საუბარი, გვხვდება რამდენიმე ისეთი გეოგრაფიული სახელი, რომლებიც დღესაც არსებობს ანდა ამ ობიექტების ლოკალიზება ადვილად ხერ-

ხდება. ყურადღებას იპყრობს ნიგნის ბოლოში დართული გეოგრაფიულ სახელთა საძიებელიც. გარეკახეთის სოფლების სიაში ვკითხულობთ ტოპონიმ „ტევანს“ (15,205). ამ სახელში უნდა იგულისხმებოდეს დღევანდელი „ტევალი“. ამას ის გვაგვარაუდებინებს, რომ ვახუშტის თავის რუკაზე სოფელი ტევანი მარტყოფის სამოურაო ტერიტორიაზე აქვს შეტანილი.

ყურადღებას იქცევს აგრეთვე დღევანდელი ტევალის ხეობაში ტოპონიმი „ტევალვენახები“. მოხუცების თქმით ამ ვენახებში ყველაზე უხვი და საუკეთესო მოსავალი მოდიოდა. ამჟამად აქ ვენახები აღარაა, ოცი-ოცდაათი წლის წინათ კოლმეურნეობამ ძველი ვენახები ძირფესვიანად ამოძირკვა და საძოვრებად აქცია. საერთოდ მარტყოფში ახლა ვენახი საგრძნობლად მცირეა უწინდელთან შედარებით. მაგრამ ეს მხარე ძველად რომ მდიდარი ყოფილა, ამას უტყუარი ფაქტები (სახნავ-სათესებში უზარმაზარი ქვევრებისა და ზოგან მთელი მარნების აღმოჩენაც) მოწმობს და ისტორიული წყაროებიც გვიდასტურებს. აი, რას წერს ვახუშტი ბატონიშვილი „...არამედ არს ესე მარტყოფი ვენახოვანი, ხილიანი და ყოვლითა, ვითარცა საგურამო“ (15,95). გამოჩენილი ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი ნაშრომში „Описание Марктопского монастыря“ წერს: Из селения Марткопи начинается дорога по направлению на север, в узком ущелье, прорезываемом речкою. От селения до подошвы горы считается 3 версты; пространство, и покрытое виноградниками, живописно разбросанными по обеим сторонам речки“ (6, 209-210. ხაზი ჩვენია — უ.ს.). ისტორიკოსის ეს სიტყვები სწორედ ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმ ტევალს ეხება, რადგან თბილისიდან მარტყოფის მონასტერში მიმავალ მგზავრს აუცილებლად ტევალი უნდა გაევიღო.

ტევალის ხეობაში არსებულმა ტოპონიმმა „ტევალვენახებმა“ და ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომში შემონახულმა სახელმა „ტევანმა“ გვაფიქრებინა, რომ ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმი „ტევალი“ იგივეა, რაც „მტევანი“. ტევანი → ტევალი. მ ტ ე ვ ა ნ -ში, როგორც ცნობილია, მ- შემდეგაა განვითარებული. ნ და ლ რომ მონაცვლე ბგერებია, ამას საკმაოდ ბევრი მაგალითი ადასტურებს (შდრ. ლეჟვრი//ნეჟვრი, ნაგაზი//ლაგაზი, ნიტრა//ლიტრა, ნემსი//ლემსი, ნიშანი//ლიშანი, კანისტრა//კალისტრა, ყინვანი//ყინვალი, კონსტანტინე//კოსტანტილე და სხვა).

სიტყვა ტევალი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში არ გვხვდება, იგი არც თანამედროვე დიალექტურ ლექსიკონებშია დადასტურებული. ჩვენი ვარაუდი გაამართლა ნიკო ჩუბინაშვილისა და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებმა. ნიკო ჩუბინაშვილის ლექსი-


კონში ვკითხულობთ: „ტევანი ანუ ტევალი, ნახე მტევანი“. დავით ჩუბინაშვილისათვისაც „ტევანი“ და „ტევალი“ სინონიმებია: „ტევა-ნი, ტევალი, и есть виноградная“.

ჩნდება ასეთი კითხვა: შეიძლება თუ არა გეოგრაფიული პენტკტის სახელად გვექონდეს ბოტანიკური ტერმინი რაიმე მანარმოებლის გარეშე? საქართველოს ტერიტორიაზე საკმაო რაოდენობით გვხვდება ამგვარი წარმოშობის ტოპონიმები: მაგ. პანტა (სოფელია გულრიფშის რაიონში), ტიტა (მესტიის რაიონში), ცაცხვი (ზუგდიდის რაიონში), ჭანდარი (გურჯაანისა და ახალგორის რაიონებში), წნორი (სილნალის რაიონში), ჭერემი (გურჯაანის რაიონში), თელა (ლაგოდეხის რაიონში)... მსგავსი მაგალითის მოტანა კიდევ შეიძლებოდა მიკროტოპონიმიდან: პტყენა (საძოვარი), თელა (გაჩერება), ბია (ტყე) და სხვა.

როგორც ვხედავთ, აქ ჩამოთვლილ ტოპონიმებს საფუძვლად უდევს მცენარის სახელები, ზოგი კი — პანტა, ჭერემი, ბია, პტყენა მცენარესაც აღნიშნავს და მის ნაყოფსაც. აქ დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, რომ ამ ტოპონიმებს მცენარის ნაყოფის სახელი უდევსო საფუძვლად.

ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ტევალი//ტევანი (დიალექტის დონეზე მაინც) აღნიშნავდა ნაყოფსაც და მცენარესაც. ამ ვარაუდის საფუძველს გვაძლევს ის, რომ მარტყოფელთა მეტყველებაში ყურძენსა და ვენახს გარდა იმ ძირითადი მნიშვნელობისა, რაც სალიტერატურო ენაშია ცნობილი, სხვა გაგებაც გააჩნია. ყურძენი ნაყოფის სახელიცაა და მცენარისაც, ვენახი კი უფრო ნაკვეთის (მამულის) მნიშვნელობით იხმარება. მაგ. იტყვიან: „ვენახში მივდივარ, ვენახი დავბარე... ვენახში ერთი ყურძენიც არ გვიდგა“.

და კიდევ. ცნობილია, რომ კუმსი ვაზის ერთ-ერთი ჯიში იყო, ახლა კუმსი მტევანი ჩამკერიფულ მტევანს ჰქვია. შეიძლება ადრე ტევალი//ტევანიც ყურძენის (ვაზის) ერთ-ერთი ჯიში იყო.





## მამა ანტონის ნაკვალევზე ანტანჯვარი და ამტნისხევი

ცნობილია, რომ მეექვსე საუკუნის პირველ ნახევარში იოანე ზედაზნელის მეთაურობით სირიიდან ქართლში ჩამოვიდნენ წმინდა მამები. ქართულ საისტორიო წყაროებში მათ „ათცამეტ სირიელ მამად“ მოიხსენიებენ. ეს წმინდანები აღმოსავლეთ საქართველოში არსებულ საეკლესიო ცენტრებს ჩაუდგნენ სათავეში და თავდაუზოგავად იღვწოდნენ ქრისტიანული რელიგიის განსამტკიცებლად და გასავრცელებლად. იოანე ზედაზნელისა და მისი მოწაფეების ღვაწლი და ამაგი აღწერილია მათ „ცხოვრებაში“, აგრეთვე სხვა საისტორიო წყაროებში, რომლებშიც მრავალი საინტერესო ტოპონიმია ფიქსირებული. მათი კვლევა, ალბათ, ბევრ საიდუმლოს ახსნის ფარდას.

იოანე ზედაზნელის ერთ-ერთი ურჩეულესი მოწაფე იყო მამა ანტონი. იგი, როგორც მისი „ცხოვრება“ გვაუწყებს, „დაემკვიდრა... შინაგან მათათა აკრიანთა“ (3, 213). მამა ანტონს მარტოდ ცხოვრებისათვის „მარტომყოფელი“ უწოდეს. ტოპონიმ „მარტყოფზე“ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ და ამიტომ მასზე აქ აღარ შევჩერდებით.

ტოპონიმიკური მასალის ჩანერის დროს სოფელ ლალისყურში (თელავის რ-ნი, ფშავლის საკრებულო) დავაფიქსირეთ ტოპონიმი „ანტანჯვარი//ამტანჯვარი“. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს, გურამ ბედოშვილს თავის წიგნში „ერნო-თიანეთის ტოპონიმი“ შეტანილი აქვს ტოპონიმები: „ამტნისხევი“, „ანტონასხევი//ამტონასხევი“, „ანტონას საყდარი//ამტონას საყდარი“. ჩვენს წერილში სწორედ ამ ტოპონიმებზე გვექნება მსჯელობა.

სოფელ ლალისყურში მეტწილად თუშეთიდან ჩამოსული ხალხი ცხოვრობს. აქაურმა მოსახლეობამ არ იცის, რატომ ეწოდება ამ სალოცავს „ანტანჯვარი“, ის კი კარგად ახსოვთ, ძირითადად როდის დადიან აქ სალოცავად. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნო, რომ დღეობის თარიღი მიახლოებით მითხრეს: „სალოცავად ზამთარში დავდი-

ვართ, აი, მაშინ, სტუდენტები რომ ისვენებენ ხოლმეო". სტუდენტების არდადაგები კი, როგორც ვიცით, 25 იანვარს იწყება და 9 თებერვლამდე გრძელდება. კითხვა-კითხვით დავადგინე, რომ ლალისყურელები ამ საყდარში პირველ თებერვალს დადიან სალოცავად.

ქართულ საეკლესიო კალენდარში წმინდა ანტონ მარტომყოფელის ხსენების დღედ ორი თარიღია შეტანილი: 29 აგვისტო (ძვ.სტ. 16 მარიაშობისთვე) და 1 თებერვალი (ძვ.სტ. 19 იანვარი). მარტყოფში „მამამტონობას“ პირველ თებერვალს აღნიშნავს მოსახლეობა. მეორე ხსენების დღე — 29 აგვისტო — ამ ბოლო დროს აღადგინეს მარტყოფის ღვთაების მონასტერში მოღვაწე წმინდა მამებმა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გ.ბედოშვილს „ერწო-თიანეთის ტოპონიმიში“ შეტანილი აქვს ტოპონიმები: ამტნისხევი, ამტონას საყდარი... მკვლევარი საისტორიო წყაროების საფუძველზე და ინფორმატორთა მონათხრობზე დაყრდნობით აანალიზებს ტოპონიმ „ამტნისხევს“ და დაასკვნის, რომ „ამტნის-ხევისათვის ამოსავალი ყოფილა პირველადი, მარტივფუძიანი სახელი ამთენი, რომელსაც დროთა განმავლობაში ფონეტიკური ცვლილებების შედეგად, ამთნის-ხევი//ამტნის-ხევი მოუცია“ (25, 68). ამ მოსაზრების დასამტკიცებლად „ქართლის ცხოვრებას“ იმონებს: „ესრეთ ძლევა მოსილი ... შემოიქცა მეფე (დავით აღმაშენებელი — უ.ს.) და მცირედთა დღეთა განისუენა ამთენს...“ (3, 84). მაგრამ აქ საიდან ჩანს, რომ ეს ამთენი ერწო-თიანეთში მდებარე სოფ. ამტნისხევი უნდა იყოს?

თუ პატივცემულ გ.ბედოშვილის ეს მოსაზრება სწორია, ე.ი. ამთენი და ამტნისხევი ერთი და იმავე ობიექტის სახელწოდებაა, მაშინ ქართლისცხოვრებისეული ტოპონიმი ამთენი ამტნის მცდარი, დამახინჯებული ფორმა უნდა იყოს, რადგან ჩვენამდე მოღწეულ სხვა საბუთებში მხოლოდ ამტან ფორმა დასტურდება. ერთ სამართლის ძეგლში, რომელსაც პირობითად „ერწო-თიანეთის საეპისკოპოსო გამოსაღების წიგნი“ ეწოდება, ვკითხულობთ: „ამტანს შედგომაჲ დღე-ღამესა, დრამაჲ ე, ქრთილი კაბინი გ“ (26, 235). მკვლევრები ამ საბუთს სხვადასხვა დროით ათარიღებენ. ივ.ჯავახიშვილის აზრით, ეს საბუთი შეიძლება იყოს XII-XIII საუკუნისა (27, 61). ი.დოლიძის აზრითაც, XII-XIII საუკუნის მიჯნას უახლოვდება (26, 1154). ს.კაკაბაძე, რომელმაც პირველად გამოაქვეყნა ეს საბუთი, თვლის, რომ იგი დაწერილია XVI-XVII სს. ოლონდ თვით საბუთი შედგენილი უნდა იყოს X საუკუნეში და შესაძლებელია IX საუკუნის მეორე ნახევარშიც (28, 3).

ამტანი გვხვდება 1722 წელს დაწერილ „ღმრთაების გუჯარშიც“:

"აგრევე ჯილაური ყოვლით მისით განწესებით, ვითა ვაგრანეთი. ეგრეთვე ესე ჯილაური არს, მთით ანუ ბარით, შესავლით ანუ გამო-სავლით, იქით ამტანამდი და აქათ თრანამდი" (2, 366). გ.ბედოშვილს ს.კაკაბაძის მიერ გამოცემული კრებულიდან მოაქვს ზემოთ დამონ-მებული ციტატა: „ამტანს შედგომამ...“ ს.კაკაბაძე კი, როგორც და-ვინახეთ, ამ საბუთს IX-X საუკუნით ათარილებს. ამდენად „ქართლის ცხოვრებაში“ ფიქსირებული ტოპონიმი ამთენი ამტნისხევისათვის ამოსავალ ფუძედ ვერ ჩაითვლება. მკვლევრის მიერ შემოთავაზებუ-ლი ფორმა „ამტენიც“ ხელოვნური ჩანს: ამტანი//ამტენი//ამთენი, რადგან ასეთი ტოპონიმი — ამტენი — წყაროებში არსად დასტურ-დება.

ვახუშტი და იოანე ბატონიშვილებს თავიანთ ნაშრომების სო-ფელთა სიაში ამ ობიექტის სახელად ამატანი უწერიათ (15,206; 17,66). როგორც სამართლიანად შენიშნავს გ.ბედოშვილი, „ვახუშ-ტისეული ამატანი ინლაუტში ა ხმოვნის ჩართვის შედეგად ჩანს მი-ლებული“ (25,68).

პატივცემულ გ.ბედოშვილს აქვე დასახელებული აქვს ერთი სა-ინტერესო და ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანი ტოპონიმი „ამტონას საყდარი“, რომელსაც, როგორც ავტორი გვაუწყებს, „მეორენაირად მას ანტონას საყდარს უწოდებენ“ (25,69). და კიდევ, სოფელ ლულე-ლებში ჩამომავალ ხევს „ადგილობრივ უწოდებენ როგორც ანტონას ხევს, ისე ამტნისხევს“ (იქვე).

ტოპონიმები: ანტანჯვარი//ამტანჯვარი, ანტონას საყდა-რი//ამტონას საყდარი, ანტონასხევი//ამტონასხევი, ამტნის-ხე-ვი... ჩვენი აზრით, წმინდა მამა ანტონის სახელთან უნდა იყოს და-კავშირებული, უფრო სწორედ, ეს ტოპონიმები ამ სახელიდან უნდა მომდინარეობდნენ.

როგორც „ღმრთაების გუჯარი“ გვაუწყებს, წმინდა მამა ანტონ მარტომყოფელმა ქრისტიანული სარწმუნოების განსამტკიცებ-ლად და გასავრცელებლად საქართველოს მრავალ კუთხეში იქა-დაგა, მტ შორის ალაზნის მარცხენა მხარეზეც იღვანა, სადაც ბევრი მონაფე და მიმდევარი გაიჩინა. „გარნა ყოვლითურთ წმიდა ესე დწყუდების მოყვარე, განეშორა მათგან (ზენონ იყალთოელს, შიო არტოზნელს, იოსებ ალავერდელს — უ.ს.) და ჩავლნა ალაზან-ნი და შეელნა ჴევნი ლოპოტასნი და მუნ პოვნა ადგილნი უკაცურ-ნი. და დაადგრა ჟამ რავდენიმე მარტოებით და მხოლოსა ღმერთ-სა მხოლოდ ზრახვიდა. ხოლო ვინადგან ღმერთი, რომლისა სახე-ლი კურთხეულ არს, არა დაფარა საფასე იგი დიდძალი და სასანთ-ლე მრავალი მნათობიერი, შემოუკრბეს ძმანი მრავალნი სოფ-



ლისა დამტყვევლნი და იყოფოდეს სწავლასა მისსა შინა" (2,367-368, ხაზი — უ.ს.). იგივე საბუთი გვაუწყებს, რომ ის ადგილები, სადაც ქრისტიანული სარწმუნოება იქადაგა წმინდა მამა ანტონმა, მეფე-მთავრებმა მარტყოფის ღვთაების მონასტერს მიუბოძეს: „ხოლო ამათ სოფელთა, დაბათა და აგარაკთა, რომელნი ნაპირთა ალაგთა უპყრიან და ხატისათვის ღმრთაებისა შენირულან და სხვანი შინაგან კახეთისა ქონან ადგილნი სამწყსონი და სოფელნი, ამათ ესე მიზეზნი ქონან: ვინადგან ესე წმინდა და ყოვლად ქებული ღირსი მამა ანტონი ოდესცა ცოცხლებით ყოფილიყვნენ და სადაც კეთილ ცხოვრება ექმნა და განეშვენა, იგი ადგილი მიერიდგან ჴელმწიფეთა და მპყრობელთა აგარაკითა სოფლითა და შენირულობითა განეგოთ“ (2,367, ხაზი — უ.ს.). ამავე „გუჯრიდან“ ვიგებთ, რომ ქართველ მეფეებს მარტყოფის მონასტრისათვის ერწო-თიანეთშიც უბოძებიათ მრავალი ყმა-მამული. „ერწოთა შინა მიერთმივნეს... ძველათ ხვასროიანთა არჩილს და ძეთა მათთა. და ჩვენთაცა ტომთა თამარს და აღმაშენებელს დავითს“ (22, 365). აქვე ჩამოთვლილია ორ ათეულამდე ტოპონიმი: ვაგრანეთი, ჯილაურნი, დევნაანთ კარი, ნადირაანთ კარი, ბერაკანთ კარი, მაკუჭაძეთ კარი, წიაბეთი, ახალ კალო, თილთუბანი, ბათქი, ჩეკურნი, ონეთის ქედი, თრანი... და ჩვენთვის საინტერესო ამტანი. ეს ადგილები „თვისით შესავალ-გამოსავლით, მთით, ბარით, ნისქვილ-საწნავით ღმრთაებისა (მარტყოფის მონასტრის — უ.ს.) არს შენირული და განკუთვნილი... ანე, რაოდენიცა ესე სოფელნი ერწოთა შინა შესწირვიან ღმრთაებისა ხატსა, ამა სოფელთა შინა არავის ძალუც რაოდენისაცა ნივთისა აღება ანუ ბაჟისა, ანუ საბალახეთა, გინა სამეკობრეთა საშვიდეულოთა, ანუ სამასპინძლოთა და კოდის-პურთა, გინა კულუხთ“ (2, 365-366, ხაზი — უ.ს.).

იმ მხარეში, სადაც იქადაგა წმინდა მამა ანტონ მარტომყოფელმა და იმ სოფლებში, სადაც სამეფო კარმა მარტყოფის მონასტერს ყმა-მამული შესწირა, ბუნებრივია, დაეარსებინათ ეკლესიასაყდრები მამა ანტონის სახელზე, ისევე როგორც სხვა ადგილებში სხვა წმინდანების სახელზეა აგებული მრავალი ტაძარი. არც ისაა გასაკვირი, რომ ამ სოფელთა დღევანდელ მოსახლეობას აღარ ახსოვდეს, თუ რატომ ჰქვია ამ სალოცავებს: ანტანჯვარი//ამტანჯვარი ან ანტონას საყდარი//ამტონას საყდარი, რადგან ერწო-თიანეთის სოფლებშიცა და ალაზანს გაღმა, ლალისყურშიც XIX-XX საუკუნეებში ძირეულად შეიცვალა მოსახლეობა!

შეიძლება გაჩნდეს ასეთი კითხვა: გეოგრაფიულ ობიექტებს ჰქვია ამტონისხევი, ამტონას ხევი, ამტონას საყდარი, ამტანჯვარი... წმინდანის სახელი კი ანტონია, როგორ უნდა მიგველო ანტონისაგან ეს ტოპონიმები? საქმე ის გახლავთ, რომ ანტონის ნაცვლად გვხვდება „ამტონეც“ (მარტყოფში ძველი თაობის კაცებს მხოლოდ „ამტონეთი“ იცნობენ. იტყვიან: მახათაანთ ამტონე, ჭრელაანთ ამტონე, რუსიდანთ ამტონე...), თვით წმინდა მამა ანტონის ნაცვლად „მამა ამტონეს“ ამბობენ. მარტყოფის სამონასტრო კომპლექსში შემავალ ერთ-ერთ სალოცავს „მამაამტონე“ ეწოდება; იმ სერს, სადაც მაღალი კოშკი (სვეტი) აზიდულა ცისკენ, „მამაამტონისერი“ ჰქვია, კოშკს კი — „მამაამტონის კოშკი“.\* საინტერესო ისიც გახლავთ, რომ საკუთარი სახელი ამტონე//ამტონა საკმაოდ გავრცელებული და პოპულარულია მარტყოფის მოსახლეობაში. სპეციალურად შევისწავლე ამ საკრებულოს საკომლო დავთრები და ამ სახელის მქონე ორასამდე ადამიანი აღმოჩნდა. ეს, რა თქმა უნდა, წმინდა მამა ანტონისადმი დიდ მონივნებასა და სიყვარულზე ღალადებს.

წარის მ-ანით შეცვლა (და პირიქით) ქართულში რომ იშვიათი არ გახლავთ, ალბათ; მტკიცება აღარ დასჭირდება. შდრ.: სანთელი//სამთელი, შანშე//შამშე, ამბავი//ანბავი, ნამდვილი//ნანდვილი...

შეიძლება მკითხველს ასეთი ეჭვიც გაუჩნდეს: თუ ტოპონიმი ამტონისხევი საკუთარი სახელისაგან მომდინარეობს, მამ რატომღაა შეკუმშული, ადამიანთა საკუთარი სახელები ხომ არ იკუმშებაო? შეგახსენებთ, რომ ადამიანთა საკუთარი სახელები როგორც კი ტოპონიმს დაედება საფუძვლად, ხშირად ისევე განიცდიან კუმშვა-კვეცას, როგორც „ჩვეულებრივი“ გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებები. ამის დასტურად ეს მაგალითიც იკმარებს. ხირსაში მოღვაწეობდა წმინდა მამა სტეფანე ხირსელი. იმ დიდ ტაძარს, დღევანდელ ტიბაანში რომ დგას, „წმინდა სტეფანეს“ უწოდებენ, აქვე, ტიბაანში ჩავენერეთ ტოპონიმი „წმინდასტეფნის ვენახები“. ვფიქრობთ, აღარ უნდა იყოს გასაკვირი, რომ ამტონეს ხევს ამტონისხევი მოეცა.


ეჭვი არაა, ლალისყურში მდებარე „ანტანჯვარი//ამტანჯვარი და ერნოში არსებული „ანტონას საყდარი//ამტონას საყდარი“

---

\* ეს ის სვეტია, რომელზეც ბოლო თხუთმეტი წელი გაატარა წმინდა ანტონმა, ამიტომ უწოდებენ „მესვეტისაც“. 1 თებერვალს აქ ლოცულობენ მორწმუნეები.

წმინდა მამა ანტონ მარტომყოფელის სახელზე უნდა იყოს აგებული.

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ ტოპონიმები: ამტნისხევი//ამტონასხევი//ანტონასხევი, ანტონას საყდარი//ამტონას საყდარი, ანტანჯვარი//ამტანჯვარი მომდინარეობს წმინდა მამა ანტონ მარტომყოფელის სახელისაგან.





## იალნო

იალნო მთის (ქედის) სახელია. იგი მდებარეობს თბილისის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდინარე იორსა და არაგვს შორის. მთის კალთები ხშირი, ფოთლოვანი ტყითაა დაფარული, მხოლოდ აღმოსავლეთ ნაწილში (უმეტესად სამხრეთ კალთებზე) ალაგ-ალაგ საძოვრებია, რაც ტყის გაჩეხვის შედეგად უნდა იყოს გაჩენილი. იალნოს მთის კალთებზე (მთის ძირებზე) სამი რაიონის სოფლებია შეფენილი. ჩრდილო-დასავლეთით მას საგურამოს საკრებულოს სოფლები აკრავს (მცხეთის რ-ნი), სამხრეთ-დასავლეთით — გრდანის საკრებულო (მცხეთის რ-ნი) და კოჭბაანის (საგარეჯოს რ-ნი), სამხრეთ-აღმოსავლეთით — უჯარმისა (საგარეჯოს რ-ნი), სამხრეთით კი — ნორიოს, მარტყოფისა და ახალსოფლის საკრებულოთა სოფლები (გარდაბნის რ-ნი).

ვახუშტი ბატონიშვილის ფუნდამენტურ შრომაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ამ ობიექტის სახელად იალონი გვხვდება, ძველად კი, როგორც ავტორი გვაუწყებს, მას კუხეთის მთა რქმევია: „ამას (ბოკონის ხევის შესართავს — უ.ს.) ქუეით ერთვის არაგუს ხერკის წვეი ანუ თეზმის წვეი. გამოსდის კუხეთის მთას ანუ იალონს, მოდის დასავლად“ (1, 535). „განჰყოფს გრდანს: აღმოსავლით ერწოს მთა; სამჭრით წვეძმარი, ლილო მარტყოფი; ჩდილოთ მთა იალონი“ ... (1, 537). ზოგიერთ ხელნაწერში იალონის ნაცვლად „იანლო“ წერია. ეს კი ამ მთის გვიანდელი სახელწოდების იალნოს დამახინჯებული ფორმა გახლავთ: იალონო → იანლო, რაც ლ ნ ბგერათა მონაცვლეობის შედეგადაა მიღებული. ეს შეცდომა, როგორც ჩანს, გადამწერთა მიერაა დაშვებული და ამიტომაც არ შეუტანიათ ნაშრომის ძირითად ტექსტში.

ვახუშტი ბატონიშვილი კიდევ უფრო გვიზუსტებს კუხეთის (იალნოს) მთის ადგილ-მდებარეობას. „ნარეკუავის შესართავს ქუეით არს, არაგვს დასავლით, მთა სარკინეთისა და აღმოსავლით მთა მაღალი კუხეთისა, განკუეთილი არაგვთ“ (1, 535). ავტორი აქვე გვანუგვდის მეტად საყურადღებო ცნობას, თუ რატომ დაერქვა კუხეთის მთას იალონის მთა: „ორნი ესე მთანი (სარკინეთისა და კუხეთისა: — უ.ს.) პირისპირ მდებარენი და მერმე იალონად წოდებული ამისათვის, რამეთუ, თუცა მას მთასა ზედა არს მცირეცა ღრუბელი ანუ ნისლი, არა იქმნების, თუმცა არა აღმოვიდეს ფიცხელი ქარი დიდი“

(იქვე). როგორც ვხედავთ, დიდი მეცნიერი-ისტორიკოსი ხალხურ გადმოცემას იმონებს. საინტერესო გახლავთ ის, რომ იალნოს ქედის მიმდებარე სოფლების მოსახლეობაში ეს გადმოცემა დღესაც ცოცხალია, რაც თავადაც ვიცოდი ბავშვობიდანვე და მრავალგანაც დავაფიქსირე ტოპონიმთა აღწერისას. როგორც ამ გადმოცემიდან ვრწმუნდებით, ხალხი მარტო ქარის ამოვარდნას არ წინასწარმეტყველებს იალნოს მთაზე დაკვირვებისას. რადგან, თუ ღრუბელი (ნისლი) აღმოსავლეთის მხრიდან შემოეკრა იალნოს, იტყვიან: კოკისპირული წვიმა მოვაო; თუ ღრუბელი ჩრდილო-დასავლეთის მხრიდანაა — ჭექა-ქუხილი იქნებაო; თუ თეთრი, ფთილა ღრუბელი დაადგა მთას თავზე — ქარი ამოვარდებაო...

ვახუშტის შრომაში ამავე ობიექტის სახელად ზედა-ზადენიც გვხვდება: „ამ მთის თხემსა ზედა, მჭურეტელი არაგვსა, მუხრანისა, ხერკისა, მცხეთისა და ტფილისისა, ალაშენა დ~ მეფემან ფარნაჯომ და აღმართა მუნ კერპი ზადენი, და ამითი ეწოდა მთასა ამას ზედა-ზადენი“ (1, 535). ვახუშტი ბატონიშვილი ამ მთისა და მასზე აღმართული ციხის სახელად ხშირად ხმარობს ზედაძენს: „აქუს ხერკს: აღმოსავლით მთა ერწოსა და ამას შორისი; სამჯრით მთა ზედაძენისა“ (1, 536). „ხოლო ზედაძენის მთას უძეს სამჯრით გრდანი და ჩდილოთ ხერკი, და არს ტყიანი მთა ესე, და ნადირიანი, მცირე-წყლიან-მდინარიანი“ (იქვე).

როგორც ვხედავთ, ვახუშტი ბატონიშვილი ძველი სახელწოდების „კუხეთის მთის“ ნაცვლად ხან „იალონს“ წერს, ხან კი — „ზედაძენს“ (ზედა-ზადენს). „ხოლო მთა ესე კუხეთისა ანუ ზედაძენისა წარვალს აღმოსავლეთად და შეერთბამდების ერწოს მთასა, რომელი არს ხერკისა“ (1, 536. ხაზი — უ.ს.) და კიდევ: „მთა კუხეთის ანუ ზედაძენისა უმეტეს საჩინოდ შემოერთდების მთასა ამას (კახეთის მთას — უ.ს.) და მთა ზედაძენისა მობმული არს მთისა სარკინეთისა, რომელსა კუერნაქადცა უწოდებენ...“ (1, 525):

ოღონდ აქ ერთი რამ აშკარად შეიმჩნევა. ვახუშტი ბატონიშვილი „იალონს“ მთელი ობიექტის სახელწოდებად ხმარობს, „ზედაძენს“ კი — ამ მთის დასავლეთი ნაწილის აღსანიშნავად. ეს რომ ასეა, ვგონებ, ეს ციტატებიც დაადასტურებენ: „ხოლო ჳეობა გრდანისა და მდინარე მისი გამოსდის ზედაძენის შესართავს ერწოს მთას... განჰყოფს გრდანს... ჩდილოთ მთა იალონი“ (1, 537, ხაზი — უ.ს.). როცა საუბარია ამ ქედის აღმოსავლეთი ნაწილის რომელიმე მონაკვეთზე, მაშინ ვახუშტი ბატონიშვილი ან იალონს წერს, ან ისევ ძველ სახელს „კუხეთის მთას“. „ერთვის ამავე მარტყოფის წყალს ჳევი (საუბარია მდ. ნორიხევზე — უ.ს.), გამომდინარე კუხეთის მთისა, მომდინარე აღმოსავლიდამ დასავლეთად“ (იქვე).

სწორედ ამას ადასტურებს ისიც, რომ ავტორი ჩვენთვის საინტერესო ობიექტს ერთგან „ჯუარ-ზედაძნის მთას“ უწოდებს: მცხეთას „აღმოსავლით აქუს მთა ჯუარ-ზედაძნისა, დასავლით მთა სარკინეთისა“ (1, 349). აქ რომ საუბარია ჯვრის მონასტრის მიდამოებზე, ვფიქრობ, ეს საეჭვო არ უნდა იყოს, მაგრამ კვლავ ვახშუბტი ბატონიშვილი დავიმოწმოთ: „კუალად ზედაძნის სამკრით არს, ამავე მთის განკიდულს გორასა ზედა, მცხეთის პირისპირ, აღმოსავლით, არაგვს კიდესა, მაღალს კლდესა ზედა ჯუარის მონასტერი, კეთილი, დიდშენი“ (1, 536).

ჩვენთვის საინტერესო ობიექტის სახელად სხვა წყაროებში კუხეთის მთა აღარ დასტურდება. გვხვდება „იალონი“ ან „იალნო“. კახეთის მეფის დავით მეორე იმამყული-ხანის მიერ 1722 წელს გაცემულ საბუთში, „ღმრთაების გუჯარში“, ვკითხულობთ: „ნასომხარნი, შენნი და უშენნი, იალონთა ჩამოღმართ არიან საკუამლონი არა მცირენი, ამას ნასომხართა მთანი ნახევარი იალონსა და ხორაუვთა (უნდა იყოს „ხორაუგთა“ — უ.ს.) მესამდღერედ ქონან...“ (2, 371, ხაზი — უ.ს.). ამავე „გუჯარში“ დასტურდება „იალნო“ ფორმაც. „ხოლო ოდესცა განეშორა ესე მამა ანტონი (მარტომყოფელი — უ.ს.) მიერიდგან განუშორებლად თანა-ყვენეს წმიდა იგი საუფლო და არსება უცვალებელი ხატი ყოვლად დიდებული უფლისა და მაცხოვრისა იესოს ქრისტესი. გამოვლო ესე ქვეყანა, მთანი და მალნარნი, გარდავლნა იალნო და შთავიდა შინა კახეთად“ (2, 367. ხაზი — უ.ს.). შემდგომი წლებით დათარიღებულ წყაროებში კი თითქმის ყველგან „იალნო“ წერია. „1752 წ. თებერვლის ნახევარში ერეკლემ გაიგო — სამოცი ლეკი გადმოვიდა იალნოზე და ზედაძენში დაბინავდნენო: ერეკლემ საჩქაროთ შეატყობინა გოგია ხამხაძეს მცხეთაში. გოგია მაშინვე გავიდა არაგვი ლეკურად ჩაცმული და ავიდა ზედაძენში. იქ ლეკები შემოსხდომოდნენ ცეცხლსა. გოგია გამოემცნაურა და ცეცხლი შეიტანა საყდარში დაანთო და შეიტყუა ლეკები; ცოტა ხნის შემდეგ გოგია გამოვიდა გარეთ, ჩაუდგა კარებში და შეუძახა ლეკებს, გამოდითო. გამომავალ ლეკებს თავები დააყრევინა და დააჭრა ცერები, ჩაყარა გუდაში და მზის ჩასვლისას ერეკლეს მიართვა ქალაქში...“ (14, 99).

იოვანე ბატონიშვილი „ქართლ-კახეთის აღწერაში“ ტოპონიმ „იალნოსაც“ აფიქსირებს: „ქ. საძოვარნი ადგილნი და სათიბნი მინდორნი და მთებნი და სანადირო ადგილნი სამეფო, ქ. აღმოსავლეთის მხარეს: კახეთის მთები: საყორნე, გომბორი, ცივი, იალნო, ლილო, ერნოს მინდორი...“ (1, 99). წყაროები ცხადყოფენ, რომ ამ მთას ადრე კუხეთის მთა რქმევია, შემდეგ კი — იალონი//იალნო, მთის დასავლეთ მონაკვეთს ზედაზნის (//ზედაძნის) მთასაც უწოდებდნენ. თუ

რატომ ეძახდნენ ამ ობიექტს ზედაზნის (/ / ზედაძნის) მთას, ვახუშტი ბატონიშვილი ამასაც გარკვევით გვაუწყებს, რომ, როცა აქ მეფე ფარნაჯომმა აღმართა „კერპი ზადენი, და მით ეწოდა მთასა ამას ზედა-ზადენი“. ტოპონიმ ზედა-ზადენიდან შემდგომში რომ ზედაზენი მივიღეთ, ეს, ალბათ, ყველასათვის ისედაც ცნობილია. როცა ზედა-ზადენი ზედაზნად იქცა, ტოპონიმის შინაარსი უკვე დაიბინდა, ე.ი. გაუგებარი გახდა. ამიტომ სულაც აღარ იყო მოულოდნელი, რომ იგი ზედაძნად გადაკეთებულყო. ქართულში რომ ზ ბგერა ძ-დ იქცევა, ეს ცნობილი ფაქტია (შდრ.: ზროხა→ძროხა, ზახილი→ძახილი, დამზრალი→დამძრალი, საზღვარი//სამზღვარი→სამძღვარი, თეზამი→თეძამი...).

ვახუშტი ბატონიშვილი, მართალია, არ გვეუბნება თუ რატომ ჰქვია ამ ობიექტს კუხეთის მთა. მაგრამ იმას კი გარკვევით გვაუწყებს, რომ ის ქვეყანა (მხარე), სადაც ეს მთა მდებარეობს, ძველი კუხეთია.

როდესაც ქართლოსი გარდაიცვალა, მის ხუთ შვილს „დედამან მათმან წილი ქართლოსისა განუყო მათ ძმათა და... კახოს მისცა კახეთი, კუხოს კუხეთი“, ვკითხულობთ ვახუშტი ბატონიშვილის შრომაში (1, 49). ავტორი დანვრილებით აღწერს თუ რომელი ქვეყანაა ეს კუხეთი და საიდან ეწოდა მას ეს სახელი. „ხოლო კუხოსს მისცა საზღვარი: აღმოსავლით მთა კახეთისა; სამკრით საზღვარი ჰერეთისა... დასავლით მტკუარი და არაგვი; ჩდილოთ იგივე მთა კახეთისა. და ამათ შორისს ქუეყანას ეწოდა კუხეთი, კუხოსის სახელის გამო, არამედ ან უწოდებენ თიანეთს, საგურამოს ანუ თეძმის ჴევს ... კუალად გრდანი, მარტყოფი, ლილო, დიდუბე, სამგორი, ჩადივარი, ომანის-ჴევი, ყარალაჯი და ნაგები და ყარაია“ (1, 523-24, ხაზი — უ.ს.).

ვახუშტი ბატონიშვილი ქვემოთ კიდევ ერთხელ უბრუნდება კუხეთის ქვეყნის აღწერას და აქვე იმასაც გვეუბნება, რომ ამ საერისთავოს ცენტრია ქალაქი რუსთავი: „არამედ ამან კვირიკე მეფემან უფროს განამტკიცნა და დასხნა (ერისთავნი — უ.ს.) სამი კახეთს და ოთხი ჰერეთს; და კახეთისა ერთი რუსთავს, და მისცა სრულიად კუხეთი, რომელ არს ნაგები (რუსთავის გვიანდელი სახელწოდებაა — უ.ს.), ყარაია, ჩადივარი, სამგორი, უჯარმა, ლილო, მარტყოფი, გრდანი, ხერკი და თიანეთი, არაგვს კერძო ჟინვანამდე“ (1, 561).

როგორც ვხედავთ, აქ ჩამოთვლილი ტოპონიმები კუხეთის მთის (იალნოს) მიმდებარე ტერიტორიათა სახელებია და რაკი ამ ობიექტებისათვის (რომელთა ერთობლიობაც ისტორიული კუხეთი იყო) მთავარ ორიენტირს აღნიშნული მთა (ქედი) წარმოადგენდა, გასაკვირი აღარაა, რომ მას კუხეთის მთა რქმეოდა, თანაც ეს მთა ხომ მთლიანად ისტორიული კუხეთის ტერიტორიაზე მდებარეობს, სხვა

ქვეყანას (მხარეს) იგი არ ესაზღვრება, რადგან აღმოსავლეთით იორი ჩაუდის, დასავლეთით კი — არაგვი.

ლეონტი მროველიც გვიდასტურებს, რომ დედამ „კუხოს მისცა ბოსტან-ქალაქი, რომელსა ან ჰქვან რუსთავი, მისცა არაგვთან ვიდრე ჰერეთამდე“ (3, 9). იქვე, სქოლიოში ვკითხულობთ, რომ „კუხეთი არს ნინო წმინდის ზეით სამგორი და იმას ზეით ერწოს მთამდის და არაგვამდის“.

ახლა რაც შეეხება ტოპონიმ იალნოს. როგორც დავინახეთ, კუხეთის მთას მოგვიანებით იალონი//იალნო ეწოდა. ვფიქრობთ, რომ ამ მთის (ქედის) სახელი მომდინარეობს საზოგადო სახელისაგან ალიონი. სულხან-საბას „სიტყვის კონაში“ ალიონის სინონიმებია: გაცისკრება, იალომი, იალონი. ჩვენთვის საინტერესო ობიექტის სახელწოდებად ხომ უფრო ხშირად (თანაც სხვადასხვა ძეგლებში) იალონი გვხვდება. საზოგადო სახელი იალონი იალნოს მთის მიმდებარე სოფელთა მაცხოვრებელთა მეტყველებაში აღარ დასტურდება, იშვიათია თვით ალიონიც (ეს უფრო წიგნიდან თუ ტელეგადაცემებიდან იციან!). დროის ამ მონაკვეთის აღსანიშნავად „იალამს“ ხმარობენ (შდრ.: სულხან-საბას ლექსიკონში დაფიქსირებული „იალომი“). შეიძლება „სიტყვის კონაში“ საბამ სულაც დიალექტური ფორმა შეიტანა. ამკარაა, რომ იალონიდანაა მიღებული იალომი, რადგან მ და ნ მონაცვლე ბგერებია (შდრ.: ამბავი//ანბავი, მეფე//ნეფე, ინტერესი//იმტერესი, ანტონე//ამტონე...).

იალომიდან რომ იალამი მიგველო, არც ესაა უცხო მოვლენა ქართული ენისათვის, მით უმეტეს დიალექტისათვის.


როგორც აღვნიშნეთ, აქაურ მეტყველებაში დროის ამ მონაკვეთის გამოსახატავად ხმარობენ იალამს. იტყვიან: „იალამზე ავდექი“, „იალამი ჯერაც არ იყო დაძრული, გზას რომ გაუუდექიო“ და სხვა. „იალამის დაძვრაში“ კი იალნოს (ახლა უკვე ზოგადად მთის!) წვერის გამოჩენას გულისხმობენ.

ჩვენი აზრით, იალონი//იალნო ძველი კუხეთის მთის აღმოსავლეთი ნაწილის ყველაზე მაღალ მონაკვეთს უნდა დარქმეოდა თავდაპირველად. შემდეგ კი ეს სახელწოდება მთელ მთაზე (ქედზე) გავრცელდა. ამ ვარაუდის საფუძველს ვახუმტი ბატონიშვილის ერთი ცნობაც იძლევა: ერწოს „მზღერის აღმოსავლეთ მთა კახეთისა, საყდრიონისა და მას შორისი; სამწრით მთა კუხეთისა, იალონიდამ წამოსული უჯარმამდე“ (1, 531, ხაზი — უ.ს.). როგორც ვხედავთ, აქ შემთხვევით არ უნდა ეწეროს ტოპონიმები „კუხეთის მთა“ და „იალონი“ გვერდიგვერდ. იალონი აქ კუხეთის მთის გარკვეული მონაკვეთის სახელი ჩანს, თანაც ყველაზე მაღალის, რადგან ამ მთის ყველაზე მაღალი ადგილი მართლაც მარტყოფ-უჯარმის მონაკვეთზეა.



ტოპონიმ „იალნოს“ მიერ განვლილი გზა ასე წარმოგვიდგება: \*ალიონი→იალონი→იალნო. საინტერესო ისიც გახლავთ, რომ ახალგაზრდა თაობა იალნოს ნაცვლად „იავნოს“ ამბობს. თუმცა არც ეს არის უცნაური. ლ და ვ ბგერებიც ხომ ერთმანეთს ენაცვლება (შდრ.: ბოლნელი//ბოვნელი).

ზემოთ განხილულ ტოპონიმებზე კიდევ შეიძლებოდა სხვა წყაროების დამოწმება. მართლაც მრავალი წერილობითი ძეგლი არსებობს, სადაც ეს სახელწოდებებია დაფიქსირებული. ალბათ, გასაკვირიც არაა ეს, რადგან აღნიშნული მთის კალთებზე სხვა ისტორიული ძეგლები რომ არ დავასახელოთ, სამი უდიდესი ტაძარი: ჯვრის, ზედაზნისა და მარტყოფის მონასტრები მდებარეობს. ამ წმინდა სავანეთა სახელი და სასწაულმოქმედება ხომ მთელ საქართველოშია განფენილი. იალნოს კალთებზე — აღმოსავლეთით და დასავლეთით — ძველთაგანვე იყო მეფეთა მიერ აგებული დიდი ციხეებიც: ზედაზნისა და უჯარმის. ერთი რომ არაგვის ხეობას „ჭვრეტდა“, მეორე — ივრის ხეობას კეტავდა საიმედოდ.





## ჭოტორი

ვახუშტი და იოანე ბატონიშვილებს თავიანთ შრომებში ტოპონიმი ჭოტორი ორ რეგიონში აქვთ დაფიქსირებული — გარეკახეთსა და ქიზიყში (15, 205; 17, 66-68). გიულდენშტედტის „მოგზაურობაში“ მარტყოფის ჭოტორზე არაფერია ნათქვამი. სამაგიეროდ ქიზიყის ჭოტორი სამჯერ გვხვდება: „მაღაროდან გზა მიდიოდა... ნეკივანზე (უნდა იყოს ნუკრიანზე — უ.ს.) და ჭოტორის ახლო“ (7, 27). რომელი სოფელი უფრო ადრე შეიქმნა, მარტყოფის ჭოტორი თუ ნუკრიანის საკრებულოში შემავალი ჭოტორი, ახლა ძნელია ამის თქმა, თუმცა ნუკრიანის ჭოტორელებმა (კერძოდ მაზიაშვილებმა) ჩამანერინეს, რომ მარტყოფის ჭოტორიდან ვართ მოსულებიო. შაჰ-აბასმა მარტყოფი რომ ააოხრა, ჩვენი სოფელი სულ დააქცია, ზოგი დახოცეს, ზოგი სპარსეთში გარეკეს, ვინც გადაურჩათ, აქ ჩამოსულან, დასახლებულან და ახალი დასახლებისათვის, თავიანთი ძველი სოფლის სახელი დაურქმევიათო.

შეიძლება ამ გადმოცემაში სიმართლის რალაც მარცვალი ერიოს, ამისი მსგავსი შემთხვევები არა ერთი და ორია ტოპონიმიაში, თუმცა მარტყოფის ჭოტორმა ლამის მეცხრამეტე საუკუნის მიწურულამდე იარსება. აქაური მოსახლეობა მარტყოფში, ალიხევისუბანში, ჩამოსახლდა. ამ სტრიქონების ავტორი ჭოტორში სულ ბოლოს დაბადებულ კაცსაც იცნობდა, ვანო ტოტიკაშვილს (მეტსახელად ლუდრია ერქვა), რომელიც ექვსი წლისა ყოფილა, მათი ოჯახი რომ მარტყოფში ჩამოსულა. ეს კაცი 1957 თუ 58 წელს გარდაიცვალა.

მართალია, მარტყოფის ჭოტორი უკვე ერთი საუკუნეა აღარ არსებობს როგორც დასახლებული პუნქტი. მაგრამ ტოპონიმი სრულეებით არ გამქრალა. მარტყოფის ტერიტორიაზე რამდენიმე გეოგრაფიულ ადგილს ჰქვია ჭოტორი. ჭოტორი ეწოდება სასმელ წყალს, რომელიც იაღნოს მთის სამხრეთ კალთებიდან იღებს სათავეს და მილებითაა გამოყვანილი სოფელში. ჭოტორი ჰქვია იმ ხეობასა და ტყეს, სადაც ეს წყალი მოედინება. ჭოტორს ეძახიან სათიბსაც, რომელიც ხეობის სამხრეთით, ზეგანზე მდებარეობს. ამ ზეგნის პირას, ჩრდილო-აღმოსავლეთით, ტყით დაფარულ მთაზე დგას ბაზილიკური ტიპის საყდარი — ჭოტორის წმინდაგიორგი, მარტყოფელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი, რომელსაც მლოცველები არ

აკლია. ზეგანზე ახლა სატყეო მეურნეობას ფიჭვნარი აქვს გაშენებული, მაგრამ ადრე აქ რომ საკმაოდ მოზრდილი სოფელი უნდა ყოფილიყო, ამას შემორჩენილი ნასახლარებიც მოწმობს და, როგორც ზემოთაც ვთქვით, მოხუცებსაც კარგად ახსოვდათ მისი არსებობა სამოციან წლებში, როცა მარტყოფის ტოპონიმიკურ მასალას ვინერდი. ახსოვდათ აგრეთვე ისიც, თუ რომელი გვარის ხალხი ცხოვრობდა ამ სოფელში.

ქიზიყის ჭოტორში მაცხოვრებელთა გვარსახელებიდან არც ერთი არ გვხვდება მარტყოფში. სწორედ ესეც იწვევს დაეჭვებას, რომ მარტყოფის ჭოტორლებს შეექმნათ ქიზიყის ჭოტორი. ცნობისათვის ვიტყვი, რომ ქიზიყელი მარტყოფლიშვილები, როგორც თვითონ გვარსახელიც მიუთითებს და ამ გვარის წარმომადგენლებსაც ახსოვთ, მარტყოფიდან არიან მოსულები ზემო მაჩხაანში, ახსოვთ ისიც, რომ მარტყოფელი ტაბლიაშვილების განაყოფები არიან.

მარტყოფის ჭოტორი ხშირად იხსენიება ქართულ საისტორიო წყაროებში. „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „... მეფე სვიმონ (ქართლის მეფე სვიმონ I — უ.ს.) წარვიდა ლტოლვილი და შემოიყარა სპა ქართლისა და ალექსანდრეს (კახეთის მეფე ალექსანდრე II — უ.ს.) დაებანაკებინა მარტყოფს ზეით, ადგილსა ჭოტორსა“ (11, 373). „... და ქმნა მრავალი უკადრისი საქმე, და წარმოვიდა (ალექსანდრე II — უ.ს.). მივიდა და დადგა მარტყოფს [ადგილს], რომელსა ჰქვან ჭოტორი (11, 527. ხაზი — უ.ს.) აქ საუბარია იმ სამარცხვინო ბრძოლის შესახებ, რომელიც 1582 წ. მოხდა ქართლის მეფე სვიმონ პირველსა და კახეთის მეფე ალექსანდრე მეორეს შორის. პარიზის ქრონიკა ამ ბრძოლას 1581 წლით ათარილებს. „ამავე ქორონიკონსა (1581 წ. — უ.ს.) მეფე სვიმონ და მეფე კახთა ალექსანდრე შეიბნეს მარტყოფს, ადგილს ჭოტორს და მეფეს სვიმონს გაემარჯვა (12, 56. ხაზი — უ.ს.). საქართველოს ისტორიის ქრონიკებში ამ ბრძოლას 1578 წელი უზის თარიღად. რომელია ამათგან ზუსტი თარიღი, ეს ჩვენი კვლევის საგანს სცილდება, ამიტომ მასზე არ შევჩერდებით. 1621 წლის 20 ივლისს გაცემულ ერთ-ერთ საბუთში ვკითხულობთ, რომ „ჭოტორთან ერთგული სამსახურის სამაგიეროდ ბეჟან და იესე ამილახვრისშვილებმა თავის ყმას შანშეს მამული უბოძეს“ (44, 268). აქ არ ჩანს, რომელ ჭოტორზეა საუბარი, მარტყოფის ჭოტორზე თუ ქიზიყისა. რაკი „ჭოტორთან ერთგული სამსახურის განევაზე“ მიუთითებენ, უფრო მარტყოფის ჭოტორი უნდა ვიგულისხმოთ, რადგან ბრძოლაში განუთლ ერთგულებას ჩვეულებრივ სიგელ-გუჯრებში აფიქსირებდნენ ხოლმე. მართალია, ჭოტორთან მომხდარი ბრძოლიდან ამ საბუთზე დასმულ თარიღამდე მთელი ორმოცი წელია გასული. მაგრამ 1621 წელი შეიძლება საბუთის განახლების წელი იყოს.

მარტყოფის ჭოტორი „ღმრთაების გუჯარშიც“ დასტურდება. „ამას ნასომხართა მთანი ნახევარი იალონს ხორაუგთა (უნდა იყოს ხორაუგთა — უ.ს.) მესამძღვრეთ ქონან, მთანი და ბოლო ჭოტორთა წინ აქვენ მიწეულნი“ (2, 371. ხაზი — უ.ს.).

ვახუშტი ბატონიშვილი მარტყოფის აღწერისას ჭოტორისხევესაც ასახელებს: „ამ ჴევს (მარტყოფის წყალს — უ.ს.) ქვეით ერთვის ჭოტორის-ჴევი; გამომდინარე უჯარმისა და ამას შორის ის კუხეთის მთისა, და მომდინარე დასავლით“ (1, 537). ვახუშტი ბატონიშვილის დროს, როგორც ჩანს, ჭოტორისხევი დღევანდელ აღისხევესაც მოიცავდა, რადგან დღეს ჭოტორისხევი კი არ უერთდება მარტყოფისწყალს (ახლანდელ ტეველისხევეს, მარტყოფისწყლის ერთ-ერთ მდგენელს), არამედ აღისხევი, რომლის ერთ-ერთი მთავარი შენაკადია (უფრო ზუსტად მისი სათავეა) ჭოტორისხევი.

ვახუშტი ბატონიშვილის შრომაში აშკარა შეცდომაა გაპარული, ჭოტორისხევეს რომ უჯარმის მახლობლად ასახელებს; ეს რომ ასე იყოს, მაშინ იგი ველარ შეუერთდებოდა მარტყოფისწყალს, რადგან მათ შორის საცხენისხევი (მარტყოფისწყლის მარცხენა შენაკადი) აღმოჩნდებოდა. ძველ ნასოფლარ ჭოტორსა და უჯარმას შორის რამდენიმე სოფელი — საცხენე, მამუკაანი, ხორაუგია... (ეს ბოლო ორი ახლა უკვე ნასოფლარებია) მდებარეობდა.

თუ რას ნიშნავს სიტყვა „ჭოტორი“ მარტყოფში დღეს ბევრმა აღარ იცის. აღარ იციან ქიზიყის ჭოტორელებმაც. გულუბრყვილო ახსნაა, აქაურები ფრინველის, ჭოტის სახელს რომ უკაკშირებენ ამ ტოპონიმს. ორი ჭოტი შემოეჩვია ჩვენს სოფელს, მაღალ ხეებზე შემოსხდებოდნენ და ყოველ ღამ ისმოდა მათი ძახილი „ჭოოტ, ჭოოტ“ და ამიტომ დაურქმევიათო ჭოტორი. მარტყოფელი ზოგიერთი მოხუცის თქმით კი, იგი მაღლობი ადგილია და ამიტომ დაურქმევიათო ჭოტორი. ეს ხალხური ეტიმოლოგია ყურადსაღებია და, როგორც ქვემოთ შევეცდებით ვაჩვენოთ, ალბათ, სწორიც.


სიტყვა „ჭოტორი“ მაღლობის მნიშვნელობით ქართულ ლექსიკონებში არ გვხვდება. მაგრამ გვაქვს რამდენიმე ფუძე, რომელთაც ძირი საერთო აქვთ განსახილველ სიტყვასთან, მაღლობის, წვერის მნიშვნელობით (შდრ.: ჭორტი — ქვაკაცა აგებული; ჭორტი არს ქვა აგებული უკიროდ კაცთა უმაღლესად ნიშნად რათამე დასანიშვნელად, გვაუნყებს სულხან-საბა ორბელიანი; ჭოტა — მაღლა აღმართული წვრილი და გრძელი რქების მქონე ხარი, ვკითხულობთ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში).

როგორც ვხედავთ, აქ დასახელებული სიტყვები: ჭორტი, ჭოტა წვეტის სინონიმებია, საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ წვეტი მომდინარეობს წვერ სიტყვისაგან. „აუსლაუ-

ტის ტ (ზოგ მარტივ ფუძეში) ლ, რ სონანტებთან მონაცვლეობის შედეგად არის მიღებული ციატ←ციალ... წვეტ←წვერ (29, 287). დადგენილია აგრეთვე ნ-ჭ ბგერათა მონაცვლეობა. "ნანან-ჭაჭან, "წვეთ-ჭვრეტი, წნეხ-ჭნეხ..." (29. 148) ნ-ჭ-ს მონაცვლეობა დასტურდება სიტყვაში ჭრელახტი, რომელიც ლახტაობის მნიშვნელობით იხმარება მარტყოფელთა (და არამარტო აქაურთა) მეტყველებაში (შდრ.: წრელახტი იგივეა, რაც ლახტაობა. ქეგლ VIII), და აგრეთვე სიტყვებში ჭოტი, წოტი (შდრ.: წოტი — ჭოტი, ბუკნაჭოტი, პატარა ბუ, ნ.ჩუბინაშვილი).

ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ტოპონიმ ჭოტორის ძირი მომდინარეობს წვერ სიტყვისაგან: წვერ→წვეტ→წოტ→ჭოტ, -ორ ამ ტოპონიმში სუფიქსი ჩანს (შდრ.: ნიფ-ორ-ი, კოჯ-ორ-ი//კოჟ-ორ-ი...).

თუ გავითვალისწინებთ ძველი მარტყოფისა და დღევანდელი სოფელ ჭოტორის ადგილმდებარეობას, მაშინ ასეთი დასკვნა კანონზომიერი იქნება. როგორც ვიცით, ძველი მარტყოფი იალნოს კალთებზე იყო შეფენილი და ჭოტორიდან ღვთაების მონასტრამდე გადაჭიმული. ის ადგილი, რომელსაც ჭოტორი ჰქვია, ამ ძველ ნასოფლარებს შორის ყველაზე მაღლა მდებარეობს და, ამასთანავე, მასივიდან შვერილივით არის სამხრეთისაკენ წინ წამოწეული. საინტერესო ისიც გახლავთ, რომ ცივგომბორის ქედზე, სიღნაღის რაიონის სოფელთა შორის, ყველაზე მაღლა ჭოტორი მდებარეობს.





## ახალსოფელი

ახალსოფელი საქართველოში ოცდაორ დასახლებულ პუნქტს ჰქვია. ამ წერილში საუბარი გვექნება გარდაბნის რაიონის ახალსოფელზე, რომელიც ამავე დროს საკრებუ-

ლოს ცენტრიცაა, ამ საკრებულოში შედის სოფელი საცხენისცი.

ახალსოფელი მდებარეობს მდინარე საცხენისხევის შუანელზე, ლამაზ ხეობაში. აღმოსავლეთით ესაზღვრება სამგორის ველი, ჩრდილოეთით — საცხენისი, სამხრეთით — ულევრის ველი, დასავლეთით კი — მარტყოფი, ვარაუდობენ, რომ ადრე ამ სოფელს კლდისწყარო უნდა რქმეოდა (30). თუმცა ჩვენს ხელთარსებულ საისტორიო წყაროებში ასეთ ოიკონიმს აღნიშნულ ტერიტორიაზე ვერ მივაკვლიეთ. იგი არ გვხვდება არც ვახუშტი ბატონიშვილის შრომაში და არც იოანე ბატონიშვილის „ქართლ-კახეთის აღწერაში“, არ დასტურდება ქართული სამართლის ძეგლებში და არც ნარატიულ ლიტერატურაში. როგორც ეტყობა, ძველთაგანვე მოშლილა მტრის გამჟღადმებული შემოსევების შედეგად.

ამ ძველი ნასოფლარის აღდგენა-განახლება მარტყოფელებს მოუნადინებიათ. მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიან წლებში, მათ თავიანთი მამასახლისის სვიმონ შინჯიკაშვილისათვის თხოვნით მიუმართავთ, რათა ეშუამდგომლა ხელისუფლებასთან. თავდაპირველად აქ ფუძე დაუდვიათ კახაბრიშვილებს, ბიძინაშვილებს, გოგოჩაშვილებს... ახლად შექმნილ სოფელს საქართველოს სხვა კუთხეებიდანაც მოაშურა ხალხმა — ქართლიდან, იმერეთიდან, რაჭიდან, სამცხე-ჯავახეთიდან... (ცნობა მომანოდა პროფ. აკ.მათიაშვილმა, რაზედაც დიდ მადლობას მოვახსენებ).

როგორც ჩანს, ეს ახალმოსახლეებიც მარტყოფის გზით დამკვიდრებულან ახალსოფელში. ე.ი. მათ ჯერ მარტყოფში უცხოვრიათ, შემდეგ გადასულან ახალ საცხოვრისში. მარტყოფიდან გადასულებიცა და სხვა კუთხეებიდან მოსულებიც, აშკარად ჩანს, ცხოვრობდნენ მარტყოფის ერთ-ერთ დიდ უბანში, ე.წ. „სოფელში“ ანუ „სოფლისუბანში“. ამას გვაგვარაუდებინებს ის საერთო გვარები, რომელთა შთამომავლებიც ცხოვრობენ ახალსოფელშიც და მარტყოფის სოფლისუბანშიც და მათ დღემდე მჭიდრო ნათესაური ურთიერთობა აქვთ. ამ ვარაუდს კიდევ ისიც უჭერს მხარს, რომ მარტყოფის

ერთ-ერთი ეკლესია, ე.წ. აპარნის წმინდაგიორგი, რომელიც ამ ორ სოფელს შორის მდებარეობს გორაზე (სოფლისუბნელებს აქ სასაფლაოც აქვთ), ერთ-ერთი მთავარი სალოცავია ახალსოფლელებისა და სოფლისუბნელებისა.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ბევრ მარტყოფელს ახალსოფლის მახლობლად ჰქონდა მამული კერძობას, ახალსოფელს კი — მარტყოფის სიახლოვეს. ეს, რაღა თქმა უნდა, მამა-პაპათაგან მიღებული მემკვიდრეობა იყო. მერე კი, კოლექტივიზაციის პერიოდში, როცა ყველას ყველაფერი ჩამოართვეს, მარტყოფელებსაც ააღებინეს ხელი მამულზე და ახალსოფლელებსაც, კოლმეურნეთა ხელმძღვანელობამ ადვილად მოუცვალეს ეს ნაკვეთები ერთმანეთს.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოში დღეს 22 სოფელს ჰქვია ახალსოფელი. თავისთავად ცხადია, ასეთ დროს ამ ტოპონიმს ზოგიერთგან დაკარგული აქვს სამისამართო ფუნქცია. ალბათ ესეცაა მიზეზი, რომ ამ დასახლებულ ობიექტს, სხვათაგან გამოსარჩევად, არაოფიციალურად მარტყოფის ახალსოფელს უწოდებენ, ისე როგორც ყვარლის რაიონში მდებარე ახალსოფელს — ყვარლის ახალსოფელს. თავისი სამისამართო ფუნქცია რომ სრულად გამოხატოს, ცხადია, სახელწოდება არ უნდა მეორდებოდეს. ამისათვის საჭიროა ობიექტს დაუბრუნდეს თავისი ძველი სახელი, თუ ასეთი არსებობს. მაგ., სულ ადვილია (და ალბათ აუცილებელიც) ყვარლის ახალსოფელს დაუბრუნდეს ადრინდელი სახელი „ძველი გავაზი“, რადგან გასაბჭოებამდე ამ სახელწოდებას ატარებდა იგი.


„მარტყოფის ახალსოფლის“ მაცხოვრებლებმაც მოინადინეს თავიანთი სოფლისათვის სახელის შეცვლა. რეკომენდაციისათვის ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიას მომართეს. ითხოვდნენ „კლდისწყარო“ დარქმეოდა მათ სოფელს. მაგრამ საისტორიო წყაროთა მონაცემები არ იძლეოდა სახელწოდების გადარქმევის საფუძველს. პირიქით, მათი სოფლის ისტორია სწორედ ამ სახელწოდებით იწყებოდა. როგორც დავინახეთ, იგი ძალით არავის მოუხვევია თავს. მარტყოფის სოფლისუბნელებმა თავიანთ ახალ დასახლებას „ახალსოფელი“ უწოდეს. ე.ი. როგორც იტყვიან, ეს სახელწოდება (ტოპონიმი) მარტყოფიდან გაიყოლეს თან. ტოპონიმის შეცვლა სწორედ რომ ისტორიის უტყუარი ფურცლების უხეში ხელყოფა იქნებოდა.

„კლდისწყარო“ მართლაც დასტურდება ამ სოფელში. ეს სახელწოდება შემოუნახავს ერთ საბუთსაც, რომელიც 1794 წლის 17 მარტს არის გაცემული და ჩვენთვის უცნობი პირი ბრძანებას აძლევს ესიტაშვილს. მოვიტანთ ამ ტექსტს მთლიანად: „ქ. ჩვენი ბრძანება არის ესიტაშვილი, მერმე ჩურათჭევი საცხენისის ჭევის შესაყ-

რამდის შენი მამულებია და მარტყოფელთაც ასე დაგვაჯერეს, მაგრამ კლდის წყაროსთან მანგლისელები კი უნდა დავაყენოთ. რახანსაც იდგებიან, სარგო გექნება. როდესაც აიყრებიან, მონაშენობა შენ დაგრჩება, იცოდე" (34, 175. ხაზი-- უ.ს.). ეს მცირე მოცულობის საბუთი ბევრი საყურადღებო ინფორმაციის მომწოდებელია. ჯერ ერთი აქ დაფიქსირებული ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმები: ჩარათხევი (ტექსტში ჩურათხევი), კლდისწყარო, საცხენისხევი დღესაც არსებობს. როგორც ჩანს, ეს ჩარათხევი და მისი მიმდებარე ადგილები ესატაშვილებისა ყოფილა. ამ საბუთიდან იმასაც ვიგებთ, რომ მანგლისელები რაღაც მიზეზის გამო აყრილან და გარკვეული დროით ამ კლდისწყაროსთან შემოხიზნულან. თუმცა, როგორც ეტყობა, ისინი სამუდამოდ არ აპირებენ დარჩენას, რაკი ესიტაშვილს იმასაც ეუბნებიან, რომ: "როდესაც აიყრებიან, მონაშენობა შენ დაგრჩებაო". აქედან ის კი აშკარად ჩანს, რომ კლდისწყაროც ამ ესიტაშვილის მამულის ნაწილია. აქ დროებით დგანან ხიზნები და ამ დგომის საფასურს ჰპირდებიან ესიტაშვილს (ამ საბუთში სახელი არ წერია, თუმცა სხვა საბუთებიდან ვიგებთ, რომ მას ფარსადანი ჰქვია). ქვემოთ, ტოპონიმ „საცხენისთან“ დაკავშირებით კიდევ შევხვდებით ფარსადან ესიტაშვილს, რომელიც ყოველმხრივ ცდილობს თავისი ყმები (სხვებიც) დაამკვიდროს სოფელ საცხენისში...

კლდისწყარო თავისი აგებულებითაც და ჟღერადობითაც ძალიან ლამაზი ტოპონიმია, ამავე დროს საყურადღებო ინფორმაციის დამტევიც, მაგრამ მისი დარქმევა ახალსოფლისათვის მაინც მიზანშეუწონლად ჩავთვალეთ. ჯერ ერთი, არსაიდან ჩანდა, რომ იგი ამ სოფლის ძველი სახელწოდება იყო და მეორეც, რაც მთავარია, ხალხი მიიღებდა კი ახალ სახელწოდებას?

ახალსოფელთა მაშინდელი თავკაცის ს.ქართლოსიშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ლაბორატორიის გადანყვებილება სამართლიანად ჩათვალა და ასე შეუნარჩუნა ამ ლამაზ სოფელს თავისი ნამდვილი სახელწოდებაც და ორსაუკუნოვანი ისტორიაც.







## საცხენისი

სოფელი საცხენისი მდებარეობს იალნოს სამხრეთ კალთების ძირას, ლამაზ ხეობაში. შუაზე ჩამოუდის პატარა წყალუხვი მდინარე საცხენიხევი, რომელსაც, როგორც ვხედავთ, სოფლის სახელი უდევს საფუძვლად. ეს მდინარე ულევრის (მარტყოფის ველის) დასავლეთ მხარეს, ბრონეულასთან, ერთვის მარტყოფისწყალს მარცხენა მხრიდან. აქედან, ამ შესართავიდან, მარტყოფისწყალს უკვე მდინარე ლოჭინი ჰქვია.

საცხენისი მოზრდილი სოფელია, დაახლოებით ორასი კომლი ცხოვრობს. შედის ახალსოფლის საკრებულოში. სოფელს, როგორც ვთქვით, ჩრდილოეთიდან იალნოს მთის ტყით დაფარული კალთები ესაზღვრება, სამხრეთიდან — ახალსოფელი, დასავლეთ მხარეს მარტყოფის მინდვრები, ე.წ. ძელახო, ჩრდილო-აღმოსავლეთით კი — უჯარმის (საგარეჯოს რ-ნი) ტყე-მინდვრები.

სოფელი საცხენისიც და მდ. საცხენიხევიც ისტორიულად ცნობილი ტოპონიმებია. ვახუშტი ბატონიშვილს ეს ტოპონიმი ქართლშიც აქვს დაფიქსირებული და კახეთშიც, ასევე იოანე ბატონიშვილსაც.

საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარში საცხენისი მხოლოდ ერთია, მეორეს, რომელიც ცხინვალის რაიონში მდებარეობს, საცხენისის ნაცვლად ახლა საცხენეთი ეწოდება.

მარტყოფისწყალს „ერთვის საცხენისის ჴევი, მისივე მთის (იალნოს — უ.ს.) გამომდინარე და ეგრეთ მომდინარე“ (1, 538). იოანე ბატონიშვილს „ქართლ-კახეთის აღწერაში“ საცხენისის მთა ორ რეგიონში აქვს დაფიქსირებული. „თრიალეთის მხარეს მთები და მინდორნი საძოვარნი: ლიპები, საცხენისის მთის მხარეს მთები“ (17, 80). „კახეთის მთები: საყორნე, გომბორი, ცივი, იალნო, ლილო, ერნოს მინდორი, საცხენისი...“ (17, 79. ხაზი — უ.ს.). კახეთის მთებში მოხსენებული საცხენისი ჩვენი საკვლევი ობიექტის სახელია. ტოპონიმ „საცხენის მთას“ ერთ არზაშიც, რომელიც შედგენილია 1782 წელს, ვკითხულობთ: „საცხენისის მთაზე ლეკმა დამიჭირა და იმ ლეკმა ქარელი ნაახდინა“ (31, 188). როგორც საბუთიდან ჩანს, აქ ქართლის საცხენისზეა საუბარი.

საცხენე კიდევ ერთ პატარა დასახლებას ჰქვია, რომელიც მდებარეობს

ერობს ყვარლის რაიონში და შედის ახალსოფლის საკრებულოში. ამ დასახლებას ჯერჯერობით სოფლის სტატუსი არ მიუღია და ამიტომაც არაა შეტანილი საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარში.

აქ შეტად საყურადღებო ჩანს ერთი ფაქტი და, ალბათ, მკითხველსაც დაინტერესებს ეს ამბავი. როგორც ვხედავთ, მარტყოფის ახალსოფლის საკრებულოშიც გვხვდება სოფელი საცხენისი//საცხენე და ყვარლის ახალსოფელშიც. შემთხვევითია ეს ფაქტი, თუ რაღაც კანონზომიერებამ განაპირობა ამ ტოპონიმების წარმოქმნა? შეიძლება შემთხვევითობას მივანეროთ ტოპონიმ „ახალსოფლის“ წარმოქმნა, რადგან ის დასახლებული პუნქტები, რომელთაც ეს ტოპონიმი აღნიშნავს, ძველ ნასოფლარებზე შეიქმნა და ხალხმაც მათ ახალსოფელი უწოდა. ტოპონიმ საცხენისის//საცხენის წარმოშობას მარტყოფის მახლობლადაც და ყვარლის რაიონშიც (რა თქმა უნდა, ქართლშიც!), ჩვენი აზრით, თავისი ისტორიული საფუძველი გააჩნია. საქმე ის გახლავთ, რომ მარტყოფიცა და ნეკრესიც კახეთის სადროშოების ცენტრები იყო: მარტყოფი — მემარცხენე, ნეკრესი — მემარჯვენე. ამ სამხედრო ერთეულებს აღნიშნულ ადგილებში, ალბათ, ცხენთსაშენები ჰქონდათ და ამის გამო უწოდეს საცხენე. ეს სახელწოდება შემდეგ დასახლებულ პუნქტზეც გავრცელდა. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს საკვლევ ობიექტს ადგილობრივ (ასევე მეზობელ სოფლებშიც) საცხენეს უწოდებენ. ეს ფორმა არ დასტურდება ვახუშტი და იოანე ბატონიშვილის შრომებში, მაგრამ სხვა საისტორიო წყაროებში იგი ორივე ფორმით გვხვდება.

მარტყოფის გვერდით მდებარე სოფელი საცხენისი (საცხენე) მეფეთაგან შეწირული ყოფილა ღვთაების მონასტრისათვის. სწორედ ეს საბუთი გვაგვარაუდებინებს, რომ ტოპონიმი საცხენე//საცხენისი შორეულ წარსულშივე უნდა გაჩენილიყო. „აგრევე ამოვლონ იორთა გამოღმართ, უჯარმით გარდმომართ და მუნცა არს სოფელი ერთი, რომელსა საცხენედ უწოდენ; ესე საცხენე ყოვლითურთ შემოსავლით, გარე მთით და დაბლა მინდვრით, წყლით, უწყლოდ და ყოვლისა სამართლიანის სამძღვრით ღმრთაების შეწირულნი არიან, ვითაც ძველად ვახტანგ გორგასალს შეეწირნეს, მიერიდგან ჩვენადმდე აქენდენ ხატსა ღმრთაებისასა, რომელ ამა საცხენეთა შინა ოცნი საკუამლონი სარუსთველონი არიან“ (2, 371, ხაზი — უ.ს.).

როგორც ვხედავთ, სოფელი საცხენე//საცხენისი ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში ვახტანგ გორგასალს მარტყოფის მონასტრისათვის შეუწირავს. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ მონასტრის დაარსება და აქ საეპისკოპოსო კათედრის დაწესება ასევე გორგასლის სახელს უკავშირდება.

აქ დამონმებულ ცნობათა საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენი საკვლევი ტოპონიმი სულ ცოტა 1500 წელს მაინც ითვლის.


ამ სოფელსაც მრავალჯერ განუცდია მტრის შემოსევებით აობრება-ანოკება. განსაკუთრებით მძიმე დრო დაუდგა მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, როცა რუსთველი ეპისკოპოსი, ლეკთა თარეშით შეწუხებული, იძულებული გახდა ღვთაების მონასტრიდან მარტყოფში ჩამოსულიყო თავისი კრებულთურთ. საცხენისი, როგორც იაღნოს ძირას მდებარე სოფელი, ლამის ერთიანად დაიცალა. თუმცა მის აღორძინებაზე რუსთველები თავგამოდებით ზრუნავდნენ. სტეფანე რუსთველმა (ჯორჯაძემ) მარტყოფიდან და მონასტრის სხვა სოფლებიდან ხელახლა დაასახლა რამდენიმე ათეული კომლი საცხენეში.

„ღმრთაების გუჯარში“ იმასაც ვკითხულობთ, რომ ამ სოფელში ეკლესიის გარდა ყმა-მამულს თავადაზნაურობაც ფლობდა: „ამისად (მარტყოფის მონასტრის — უ.ს.) გარდა სხვა სხვისა თავადთა და აზნაურთა უძენ წილნი“ (2, 271).

ერთი საბუთიდან იმასაც ვიგებთ, თუ მეფე გიორგი მეცამეტე როგორი მონადინებული ყოფილა ამ სოფლის მოშენებით: „ქ. მათის უმაღლესობის სრულიად საქართველოს მეფის ძის მემკვიდრის დავითის წინაშე მოხსენება მათის მონის ფარსადან ესიტაშვილისაგან. ხელმწიფე მამის თქვენისაგან მონდომებული იყო საცხენის შენობა, საცა კახეთში ჩემი კაცნი დგანან, ოქმი მიბოძა და იასაულად იოსებ ზაალასშვილი, უნდა აეყარა და საცხენისს დაეყენებინა. შვიდი კომლი სხვაც მიბრძანა, რომ ოქმები მაქვს, მაგრამ ის უამი იყო, რომ ველარ აყარე“, ვკითხულობთ 1801 წელს შედგენილ ერთ საბუთში „არზა ფარსადან ესიტაშვილის ყმის თაობაზე დავით მემკვიდრის ოქმით“ (32, 708). ესიტაშვილებს ძველადვე ჰქონიათ საცხენეში მამულები. ფარსადანის პაპას, დათუნა ესიტაშვილს, როგორც საბუთიდან ჩანს, ფიცით დაუბრუნებია თავისი მკვიდრი მამული, რომელსაც ტუცნასშვილები ტუსი და მამუკა ედავებოდნენ. საბუთი გვაუწყებს, რომ „სრულ უფროსნი კაცნიც ესიტაშვილს ემონმებოდა... ახლა რადგან ასე ამრიგად დაიფიცა (ხატზე — უ.ს.), ჩვენც ფიცი აღარ ჩაუტარეთ და დავანებეთ, წერს ნიკოლოზ რუსთველი, რომე დღეის უკან მაცილებელი აღარავინ ყუანდეს. ჩუენც ასე დაუმტკიცეთ და ეს წიგნი მივეცით. სრულ საცხენელნი მონმენი არიან და ფიცში დამწყუდეულნი, რომე ამასთან ჴელი აღარავის აქვს“ (31, 535-36. ხაზი — უ.ს.).

საცხენეში დღეს ამ გვარს აღარავინ ატარებს, ოღონდ აქ ყველამ იცის, რომ აქაური გივიაშვილების ძველი გვარი ესიტაშვილი იყო.

ტოპონიმ საცხენისის ეტიმოლოგია ადვილად იხსნება. მას საფუძვლად უდევს საზოგადო სახელი ცხენი და ტოპონიმის საბოლოო ვარიანტის გზაც ასე წარმოგვიდგება: ცხენ-ი→სა-ცხენ-ე→სა-ცხენ-ის-ი. ეს ტოპონიმი ლინგვისტური თვალსაზრისითაც მეტად საინტერესოა, რადგან ამ რეგიონში (საერთოდ კახეთში) -ის დაბოლოებიანი ტოპონიმები იშვიათია: სა-ცხენ-ის-ი, ფარცხ-ის-ი (ნორიო, მარტყოფი), თუმცა მათ ნაცვლად უფრო ხშირად იხმარება: საცხენე, ფარცხი.





## სად მდებარეობს სამგორი?

სათაურს ნაიკითხავს თუ არა მკითხველი, ალბათ იფიქრებს, ნუთუ საქართველოში მოიძებნება კაცი, სამგორი რომ არ იცოდესო. რამდენი რამ დანერვილა განახლებულ

სამგორზე...

1951 წელს მდინარე იორს მიმართულება უცვალეს და სამგორის არხით „თბილისის ზღვა“ გაჩნდა. სამგორის არხმა მორწყო ასობით ათასი ურწყავი მიწა და უდაბნოდ ქცეული მხარე ბალნარად აქცია.

საქართველოს მრავალი კუთხიდან მოაშურა ხალხმა აქეთ. ასე გაჩნდა სოფლები — სააკაძე, გამარჯვება, ახალი სამგორი; დასახლებები: სამგორის მევენახეობის მეურნეობის, ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკის, თბილისის მეფრინველეობის ფაბრიკის, სამგორის მეფრინველეობის მეურნეობის, სამგორის (საქარხნო რ-ნი), ვარკეთილის და სხვა. ზოგიერთი ძველი სოფელი კი (სართიჭალა, დიდი ლილო...) ერთიორად გაიზარდა ახალ-ახალი უბნებით.

ხალხი დაემკვიდრა ახალ საცხოვრებელზე, ახალმა თაობამ შეისისხლხორცა აქაურობა. ის უკვე აქაურია, ამ ადგილის ბატონ-პატრონი, მისი სახელის მატარებელი და პატრიოტი. მაგრამ რამდენადაც საცხოვრებელია კარგი, იმდენად ამ ადგილების ოფიციალური სახელები გახლავთ უხერხული, უფრო სწორად მოუხერხებელი. ყველასათვის ცნობილია, რომ ენა ლაკონიურობისაკენ ისწრაფვის. ამ კანონს კი განსაკუთრებით ადამიანთა სადაურობის სახელები ექვემდებარება. აბა, რა თქვას სამგორის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე მცხოვრებმა კაცმა, სადაური ვარო? სამგორის მევენახეობის მეურნეობელი? არა, ასე ვერ გეტყვით, მეტად მოუხერხებელია. სამგორელი გახლავართო, გეტყვით და მაშინვე უხერხულად იგრძნობს თავს, რადგან კარგად იცის, ზუსტი პასუხი ვერ მოგვათ. სამგორელები ხომ მარტო ამ მეურნეობის ტერიტორიაზე მაცხოვრებლები არ არიან? სამგორელია თბილისის სამგორის რაიონის სამგორის დასახლების მაცხოვრებელიც, სამგორის მეფრინველეობის მეურნეობის მუშაც და ახალი სამგორის მევენახეც...

რა დანიშნულება აქვს გეოგრაფიულ სახელს? მისი მთავარი მიზანი მიმართულების ჩვენება გახლავთ. გამოდგება კი ეს სახელები

ორიენტირად? რა თქმა უნდა, არა და რომ არ გამოდგება, ამას აქაურებიც გრძნობენ და მათი სტუმრებიც. ხშირია შემთხვევა, როცა უცხო კაცი ერთი ობიექტის ნაცვლად მეორეში აღმოჩნდება, მეორიდან სულ სხვაგან და ასე აღმა-დაღმა სიარულში შემოალამდება კიდევ. ან რა ქნას მგ ზაერმა, როცა სამგორის მევენახეობის მეურნეობის დასახლებაშიც გადის ავტობუსი თბილისიდან (მეტრო „სამგორიდან!“) და სამგორის დასახლებაშიც. განა ყველამ იცის, რომ ესენი სულ სხვადასხვა გეოგრაფიული პუნქტებია?

სახელის შერქმევისას მრავალ ფაქტორს უნდა ეწეოდეს ანგარიში: ჩვენ კი ამ შემთხვევაში როგორ მოვიქვეცით? სადაც სამგორის არხი მოხვდა და დასახლება გაჩნდა, თითქმის ყველას სამგორი დავარქვით, სწორად დმოვიქვეცით? ისე არავინ გაგვიგოს, თითქოს ჩვენ „სამგორის“ წინააღმდეგი ვიყოთ, ან არ მოგვწონდეს. მოვალენიც ვართ, უკვდავეყოთ ეს სახელი. მაგრამ, გარდა იმისა, რომ ერთნაირმა სახელებმა კვალი აგვიბნია, ერთგვარი უსამართლობაც ჩაგვადენინა, რაც ყველაზე სამწუხაროა. თუკი ეს სახელი სამგორი ასე ძვირფასია ჩვენთვის, რატომ ვივინყებთ ნამდვილ სამგორს, რომლისაგანაც ყველა ამ დანარჩენი ობიექტის სახელი მომდინარეობს? ისტორიულ სამგორზე დაარსებული მეურნეობა რატომ ატარებს მუხროვანის სახელს და არა სამგორისას? ეს სახელი გეოგრაფიულად უფრო მიზანშეწონილი და ისტორიულადაც გამართლებული არ არის? ის სამი გორა ხომ ნამდვილად აქ მდებარეობს! ან სამგორის მევენახეობის მეურნეობის დასახლებას ოფიციალურად რატომ არ უნდა ერქვას ნასაგური (უფრო სწორად ქვემო ნასაგური)? აქეთა მხრის ხალხი (ნორიელები, მარტყოფელები, ლილოელები და სხვა) ამ ადგილს ხომ ასე უწოდებდა და ახლაც ასე უწოდებს! მათთვის აქაურები ნასაგურელები არიან. ადგილობრივი მოსახლეობაც არაოფიციალურად ნასაგურელს უწოდებს თავს. სამგორის დასახლებას და მის მიმდებარე ადგილებს (ორხევი, დამპალო, აეროპორტი) დღესაც ქარისებს ეძახიან. განა ქარისები ცუდი ტოპონიმი? პირიქით, გამჭვირვალეა და ამ ადგილისათვის ზედგამოჭრილიც. აქ ხომ ყველაზე ხშირად იცის ქარი. დახეთ, რა მარჯვე სახელი მოუძებნიათ ჩვენს წინაპრებს! ანდა რატომ არ უნდა აღგვედგინა ძველი სახელი ჩადივარი და გვენოდებიან იგი ახალი სამგორისათვის? ჩადივარი ხომ აქ, ამ ადგილებში მდებარეობდა. ეს ტოპონიმი მარტყოფელებსაც (და სხვებსაც) ახსოვთ და ისტორიული წყაროებიდანაც ვგებულობთ. აი, რას წერს ვახუშტი ბატონიშვილი — ხოლო საცხენისის და ლოჭინის სამჯრით არს სამგორის ველი და ჩადივარი“ (1, 538).

საქართველოში რამდენიც სოფელია, ერთი იმდენი ნასოფლარი გვხვდება. ნასოფლარის ნახვა ან გაგონება ყოველთვის მოძალადე

მტრის შემოსევასა და მოსახლეობის აყრ-გადასახლებას გაგვახსენებს ხოლმე. დიახ, მტერმა მრავალი სოფელი დაწვა, გადაბუგა და ალგავა პირისაგან მიწისა, მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, ზოგი კვლავ აღუდგენიათ მომრავლებულ და მოღონიერებულ წინაპრებს.

ამ პატარა რეგიონში, სამგორის მახლობლად, ოცი-ოცდახუთი წლის წინათ რომ გაგველოთ, უფრო ბევრ სოფელს ნახავდით, ზოგი მათგანი ახლა ნასოფლარად რომ ქცეულა. ეს ახალი ნასოფლარები ძირითადად მთის სოფლები იყო: შვინდაძე (ნორიოს საკრ.), მამუკა-ანი (ახალსოფლის საკრ.), ხინჭები (კოჭბაანის საკრ.), ჟატი (ხაშმის საკრ.) და სხვა. ზოგიერთი სოფელი უკვე სანახევროდაა დაცლილი. რამ გამოიწვია მათი დაცლა? ერთ-ერთი მიზეზი სამგორის სარწყავ სისტემაში ახალ-ახალი დასახლებების წარმოქმნა და კოლმეურნეობა-საბჭოთა მეურნეობების გამსხვილება იყო.

რა ემართება ამ ნასოფლარებს? ძირითადად რომელიმე მომიჯნავე მეურნეობა საძოვრებად ან სახნავ-სათესად აქცევს, ანდა სატყეო მეურნეობას გადაეცემა. ჩვენდა უნებურად, დღითი დღე ვკარგავთ უამრავ ტოპონიმიკურ მასალას, რომელიც, ვინ იცის, რა ძვირფასი განძი იქნებოდა საისტორიო გეოგრაფიისა და საერთოდ ქართული ენისათვის. გამოცდილებით ვიცით, რომ სულ ორი-სამი წლის წინათ დაცლილი სოფლის ტოპონიმიის სრული აღწერა უკვე შეუძლებელია. ალბათ, რამდენიმე წლის შემდეგ თვით ნასოფლარის სახელსაც ვეღარ ჩავინერთ, რადგან აღარავის ეცოდინება. ძველი სოფლების სახელების გადარჩენისათვის, რატომ არ შეიძლება ახალ დასახლებებში, რომლებიც ზოგი ისე გაიზარდა, რომ ქალაქის ტიპის დაბად იქცა, ქუჩებს იმ სოფლების სახელები ვუნოდოთ, საიდანაც ეს ხალხი მოვიდა? ამით ბევრ კარგ საქმეს გავაკეთებთ: ძველ ტოპონიმს არ დავკარგავთ; მომავალ თაობებს ნათელი წარმოდგენა შეექმნებათ ჩვენი დროის მიგრაციაზე; სტანდარტულ დასახლებებს ქუჩის სახელებით მაინც განვასხვავებთ. განა კარგი არ იქნებოდა, ახალ სამგორში რომ გექონდეს გოსტიბის, ჭავჭავისის, კაბერის, რკონის, გოგოთის, სალომის, სამოჭალოს, მერიის, დევინამუხლის, გარგლის ქუჩები? ამით ხომ ამ ძველ სოფლებს ერთგვარად სიცოცხლეს გავუგრძელებდით. ჩადივარი კი, მთელი სოფლისათვის თუ არა, ერთი ქუჩისთვის მაინც უნდა დაგვერქმია. ხომ აჯობებდა, რომ გამარჯვებაში ყოფილიყო შატილის, ჭერმის, ოკმის... ქუჩები! ეს სოფელი ხომ ძირითადად იქიდან მოსულმა ხალხმა შექმნა. ანდა რატომ არ უნდა იყოს აქ მარტყოფის ქუჩა? ეს ადგილები ადრე ხომ მარტყოფს ეკუთვნოდა? სოფელ გამარჯვების ძველ ტოპონიმაზე ადგილობრივ მოსახლეობას წარმოდგენაც არა აქვს (თუმცა ბევრი მათგანი მარტყოფელებმაც აღარ იციან, რადგან, ვინც ამ ადგილებს

ხნავდა და თესავდა, ცოტანილა არიან). ხომ შეიძლება ზოგიერთი ტოპონიმი გავაცოცხლოთ, ვთქვათ — საჯერნე, სააქლემო. განა ცოტა რამეს გვეუბნება ეს სახელები?

გამარჯვება და ახალი სამგორი სახელებით მაინც განსხვავდებიან. თქვენ წარმოიდგინეთ, რა მოხდება, როცა სამგორის მევენახეობის მეურნეობისა და სამგორის მეფრინველეობის მეურნეობის დასახლებებზეც დაარქმევენ ქუჩებს სახელებს. და თუ ამ სახელების შერქმევა აქაც განურჩევლად მოხდება, მაშინ მიდი და გაარკვიე, რომელ სამგორში ცხოვრობს კაცი!

ახლა სკოლაში შევიხედოთ, ვნახოთ, იქ რალა იციან სამგორზე! სახელმძღვანელოების შემდგენლების მიმართ მადლობის მეტი რა გვეთქმის, სამგორის წარსული ორ კლასში ისწავლება: მეორესა და მესამეში, მაგრამ... სჯობს, უფრო დანვრილებით გავეცნოთ. მეორე კლასის სახელმძღვანელოში შეტანილია ის თქმულება, რომელიც მოგვითხრობს ქართველებისა და სპარსელების ბრძოლაზე. ამ თქმულების შინაარსი ასეთია: „ვახტანგ გორგასლის დროს საქართველოს სპარსეთის ლაშქარი შემოესია. ქართველი მეფე და მისი ლაშქარი მამაცურად ებრძოდნენ მტერს და სასტიკად დაამარცხეს იგი. მიუხედავად ამისა, ბევრი ქართველი დაიღუპა. დახოცილი ვაჟ-კაცებისაგან სამი გორა დადგა. ამ ველს ამიტომ ეწოდება სამგორი“.

სახელმძღვანელოს შემდგენლებს გვინდა შევახსენოთ, რომ ამ თქმულების ერთ-ერთ ვარიანტს ასეთი დასასრული აქვს: „გამარჯვებულმა ქართველებმა სამი დიდი საფლავი გათხარეს, გმირულად დაღუპული ვაჟკაცები შიგ ჩაანვინეს და მერე ყველამ თითო მუჭა მიწა მიიყარა. ასე გაჩნდა სამი გორა და ველსაც ამიტომ უწოდეს სამგორი“. ეს უფრო უკეთეს ვარიანტად მიგვაჩნია, თორემ აბა, რა პატივია, დახოცილი ვაჟკაცების გორა-გორად დადგმა. ეს რომანტიკული დასასრული (მუჭა-მუჭა მიწის დაყრა) ისე შთამბეჭდავია, რომ სულ გვავიწყდება ამ გორების პროზაული სახელები: საციკნიგორა, შულაგორა, კოხიაგორა.

რაც შეეხება დასაწყისს, უზუსტობასთან გვაქვს საქმე, სამგორის ველი თბილისს არ აკრავს და არც თვალუნეოდნელ სივრცეზეა გადაჭიმული. შემდგენლებს, ალბათ, სამგორის ველი და სამგორის სარწყავ სისტემაში მოქცეული ტერიტორია ერთი და იგივე ჰგონიათ.

ახლა მესამე კლასის სახელმძღვანელო გადავფურცლოთ. ჩავიკითხოთ „ლოჭინის ხეობა“, რომლის შინაარსი ასეთია: „ლოჭინის ხეობაში ორი სვეტი მდგარა. ამ სვეტებს დარაჯი ჰყოლია, რომელიც მტრის გამოჩენისთანავე სვეტებზე ცეცხლს ანთებდა და თბილისს ნიშანს აძლევდა. ასეთი დარაჯი ყოფილა ვინმე ლოჭინი. მას ორი ვაჟი ჰყოლია. ერთხელ ლოჭინს ადიდებულ მდინარეში ირემი დაუნა-



ხავს, შესულა და გადაურჩენია დახრჩობას. ირემი შეეჩვია მათ და თურმე ესაუბრებოდა კიდევაც. ლოჭინი მომკვდარა, დარაჯებად მისი ვაჟები დაუყენებიათ. ერთხელაც ღრმად დასძინებიათ ვაჟებს. ამ დროს მტერი შემოსევია მათ ხეობას. ირემს ძლივს გაუღვიძებია ძმები. მტერს ისრები დაუხლია, მაგრამ მათ ცეცხლის დანთება მაინც მოუსწრიათ. შემოსეული მტერი სასტიკად დაუმარცხებია ქართველობას. ირემს ძმები მოუკითხავს, რაკი ორივე მკვდარი დახვედრია, სიმწრისაგან მასაც თავი მოუკლავს. ეს ძმები და ირემი დიდი ამბით ცალ-ცალკე დაუმარხავთ ველზე. თითოეულის საფლავზე თავისით დადგმულა გორა. მას შემდეგ ამ ველს სამგორის ველს უწოდებენ“.

ამ ორ თქმულებას ერთიმეორეს თუ შეუდარებს მკითხველი, რომ არც ლოჭინი ენახოს და არც სამგორის ველი, მაინც უამრავი კითხვა გაუჩნდება. სად გაიგონეს ასეთი თქმულება? ლოჭინის ხეობის ახლომახლო მდებარე სოფლების მოსახლეობამ ამისი მსგავსი არაფერი იცის. ან ეს ლოჭინი საიდან გაჩნდა. ასეთ პერსონაჟს არც ქართული მხატვრული ლიტერატურა და არც ზეპირსიტყვიერება არ იცნობს. იგი არც ისტორიულ წყაროებში დასტურდება. დავსძენთ მხოლოდ, რომ ვახუშტი ბატონიშვილი ამ მდინარის მეორე სახელად ომანის ხევს ასახელებს. ომანი კი, როგორც ვიცით, ძველად საკმაოდ გავრცელებული სახელი იყო.

ვთქვათ, ეს ყველაფერი სწორია, ასეთი თქმულება არსებობს და შემდგენლებმაც ასე შეიტანეს სახელმძღვანელოში. მაგრამ ნუთუ მათ არ იციან, რომ მეორე კლასის სახელმძღვანელოშიც არის თქმულება, რომელიც სამგორზე მოგვითხრობს? მესამე კლასის მოსწავლეს, რომელსაც წინა კლასში ნასწავლი უთუოდ ეხსომება, ხომ საგონებელში ჩავაგდებთ? რას უპასუხებს მასწავლებელი ცნობისმოყვარე მოსწავლის კითხვას? დავუშვათ, ადრე ნასწავლი სულაც არ ახსოვთ ბავშვებს (რაც მეტად სამწუხარო იქნება), იმ მასწავლებელმა რაღა ქნას, რა უპასუხოს კლასკომპლექტის (ასეთი კლასკომპლექტები კი ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრია) მოსწავლეებს. ახლა ის ბავშვები წარმოვიდგინოთ, რომლებმაც ლოჭინიც იციან, სად არის და სამგორიც!

დიახ, მათ კარგად იციან, რომ ისტორიული სამგორი ლოჭინიდან ათიოდე კილომეტრითაა დაშორებული და მათ შორის მდებარეობს: ტარიმანა, მწარე წყალი, მლაშე, ვაზიანი, ჭიაფერი, ჭიაფრისღელეები, ვაზიანისყელები და სხვა. ათიოდე კილომეტრი ზოგს იქნება არც ისე შორი ეჩვენოს. მაგრამ არა, საქართველო არც ისე ვრცელია და აქ მანძილი ასეული კილომეტრებით არ იზომება.

ჩვენი აზრით, რაკი მეორე კლასში ისწავლება შესანიშნავი თქმულება სამგორზე, აღარაა საჭირო მესამე კლასის სახელმძღვანელო-


შიც შევიტანოთ მსგავსი შინაარსის „თქმულება“. თუ მაინცდამაინც გვინდა ლოჭინიც გავაცნოთ ბავშვებს, მაშინ სხვა მოვძებნოთ, განა ცოტაა? ლოჭინის ხეობაც ხომ ბევრი ამბის მოწმეა. განა აქ არ შეაკვდა ორასი თბილისელი ჭაბუკი თემურლენგის ორი ათას მხედარს? ნადირობისას გიორგი სააკაძემაც სპარსელი მსტოვარი ხომ აქ შეიპყრო, რამაც დააჩქარა მარტყოფის ძლევა მოსილი ომის დაწყება? ანდა რად ღირს ის ამბავი — ცხენზე ამხედრებული, წიგნის კითხვით გართული დავით აღმაშენებელი მტერს რომ გადაეყრება აქ, ლოჭინის მიდამოებში! ვფიქრობთ, ეს ამბები უფრო დააინტერესებს ბავშვებს.


ზემოთ ჩამოთვლილ დასახლებებს არსებობის მეოთხედი საუკუნე უკვე შეუსრულდათ. იქნებ ახლა მაინც ვიფიქროთ მათი ქუჩების სახელწოდებებზე, ისტორიულ სამგორს კი თავისი სახელი დავუბრუნოთ!

და მაინც სად მდებარეობს ეს სამგორი? ვახუშტი წერს: „ხოლო საცხენისის და ლოჭინის სამჯრით არს სამგორის ველი და ჩადივარი. და სამგორს უწოდებენ სამის გორისათვის, რომელი არს ველსა სწორესა ზედა, ბალახოვანი და უწყლო სათის-ჭალამდე და გარეჯის მთამდე“ (1, 538).

როგორც ვხედავთ, ვახუშტი ბატონიშვილი ზუსტად მიუთითებს სამგორის ადგილმდებარეობას, ოღონდ, რაც შეეხება მისი უზარმაზარი შრომის ახალ გამოცემას (1973 წ.), საძიებელში სამგორი შეცდომით ქართლშია ნაჩვენები, თუმცა აქ მარტო სამგორი კი არა, მარტყოფიც ქართლშია მითითებული. აქ აშკარა შეცდომაა; კახეთის სამეფოს სადროშოს ქართლის სამეფოში არ ექნებოდა ცენტრი. მარტყოფი კი საუკუნეების მანძილზე კახეთის სამეფოს მემარცხენე ანუ სარუსთვლო სადროშოს ცენტრი გახლდათ, ეპისკოპოსი რუსთველები კი — ამ სადროშოს სარდლები იყვნენ.

იმედია, ამ შენიშვნებს გავეითვალისწინებთ, რათა დროულად აღმოვფხვრათ დაშვებული შეცდომები.





## სატიქალა

სოფელი სართიჭალა მდებარეობს გარეკახეთში, მდინარე ივრის მარჯვენა მხარეს, სამგორის ველზე, თბილისიდან 30 კილომეტრის დაშორებით. მის სამხრეთ-აღმოსავლეთ-

თიდან უკვე გარეჯის მთები იწყება.

სართიჭალა დღეს ერთ-ერთი დიდი სოფელია საქართველოში. მის ზრდას ხელი შეუწყო სამგორის არხის გამოყვანამ. ამ სოფელში ჩვენი საუკუნის ორმოცდაათიან წლებში საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსახლდა ხალხი.

სართიჭალას, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის მრავალ სოფელს, მეტად რთული და ძნელი ისტორიული გზა აქვს გამოვლილი. თანაც აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ დასახლებულ პუნქტს, როგორც ველზე გაშენებულ სოფელს, უფრო ხშირად განუცდია მტრის შემოსევა და ანიოკება-აოხრება. აქაც ხომ მრავალჯერ გალენილა სისხლიანი კალოები. საკმარისია გავიხსენოთ ორი დიდი ომი, როცა საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი გადაწყდა. 502 წლის ომი, სამგორის ველზე ქართველთა ლაშქარმა გმირი მეფის ვახტანგ გორგასლის მეთაურობით სამკვედრო-სასიცოცხლო ბრძოლა რომ გაუმართა სპარსელთა უზარმაზარ არმიას და 1625 წლის მარტყოფის ომი, როცა მცირერიცხოვანმა ქართველებმა გიორგი სააკაძისა და ზურაბ ერისთავის მეთაურობით სასტიკად დაამარცხეს ასევე უზარმაზარი და მანამდე უძლეველი სპარსელთა არმია და იხსნეს საქართველო საბოლოო განადგურებისაგან...

სართიჭალა ვახუშტი და იოანე ბატონიშვილებს შეტანილი აქვთ თავიანთი ნაშრომების სოფელთა სიაში. ეტყობა, ეს სოფელი მეთვრამეტე საუკუნის სამოცდაათიან წლებში მოშლილი იყო, რადგან გერმანელი მეცნიერი გიულდენშტედტი, რომელმაც დაწვრილებით აღწერა ქართლ-კახეთი და საქართველოს სხვა კუთხეებიც, სართიჭალას არსად არ ასახელებს. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ვახუშტი და იოანე ბატონიშვილები ამ სოფლის სახელად წერენ. სა-  
თიჭალას და არა სართიჭალას. ვახუშტი ბატონიშვილს ეს ტოპონიმი ამ ფორმით უწერია არა მარტო სოფელთა სიაში, არამედ საისტორიო მიმოხილვაშიც: „ხოლო არს მეოთხე სასპასპეტო (საუბარია ქართლის სამეფოს სადროშოებზე — უ.ს.) ტფილისიდან, ვიდ-

რე ტაშისკარამდე, მეფისა თანა მყოფნი, და იმზღვრების: აღმოსავ-  
ლით ლილოს საზღვრით, რომელი განვლის ხაზი შარობის ლილო-  
სასა აღმოსავლეთ-სამჭრითკენ ლოჭინამდე... მუნით განვლის სამ-  
გორსა და ჩადივარს შუა, და მრავალწყაროსა და სათისჭალას  
შუა" (1, 333). „გარეჯის მთა მიადგების სათის-ჭალას კუხეთის მთას“  
(იქვე, გვ. 527) და კიდევ: სამგორი „არს ველსა ზედა სწორესა, ბალა-  
ხოვანი და უწყლო სათის-ჭალამდე და გარეჯის მთამდე. სა-  
თის-ჭალას ზეით, კუხეთის მთის კალთას არს ხორაუგი“ (იქვე,  
გვ. 538. ხაზი ყველგან ჩემია — უ.ს.).

სათისჭალა, ალბათ, შორეულ წარსულშივე შეიქმნა, მაგრამ  
ამის დამადასტურებელ საბუთს ჯერჯერობით ვერ მივაგენით. ეს  
ტოპონიმი ყველაზე ადრე ლალა-ფაშას გამოსვლის ამბავთან დაკავ-  
შირებით იხსენიება: „კახი მეფე, ბატონისლევანის პატრონი ალექ-  
სანდრე, მიეგება ლალა-ფაშას, სათის-ჭალას (ხაზი — უ.ს.) შეე-  
ყარა, და შაქისა და შარვანზე წავიდეს“, ვკითხულობთ ახალი ქართ-  
ლის ცხოვრების მესამე ტექსტში (11, 523). ამავე ცნობას უფრო დან-  
ვრილებით გვანვდის ვახუშტი ბატონიშვილი (1, 578) და „პარიზის  
ქრონიკა“ (12, 52). „პარიზის ქრონიკისა“ და ვახუშტი ბატონიშვილის  
ცნობით, ეს ამბავი 1578 წელს მომხდარა. ამავე „პარიზის ქრონიკა-  
ში“ ვკითხულობთ, რომ 1648 წელს როსტომ მეფემ „დედოფლიანად  
კახეთის დავლა მოინდომა. წიგნი მისწერეს ქართლის თავადთა, წა-  
ვიდნენ... სამგორი ინადირა და სათისჭალაში დადგა.“ (იქვე, გვ.  
101. ხაზი — უ.ს.).

როგორც ვხედავთ, ჩვენს მიერ დამონშებულ წყაროებში ამ სოფ-  
ლის სახელად ყველგან სათისჭალა გვხვდება. მხოლოდ ერთ სა-  
ბუთში წერია სართიჭალა. ეს გახლავთ „არზა მეთოდი მდივანბე-  
გისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით“, რომელიც შედგენი-  
ლია 1789 წლის 3 ივნისს: „ერთი კომლი კაცი სართიჭალას ჩავი-  
და და გივმა ფარეშთუხუცესმა არ დაგვანება...“ ვკითხულობთ აღ-  
ნიშნულ საბუთში (33, 819). სხვა საბუთებში კი, სადაც ეს ტოპონიმი  
გვხვდება, რბგერა ყველგან შემდგენელ-გამომცემელს აღუდგენია  
(უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ საბუთშიც ეს ასო გამომცემლის მიერაა  
ჩამატებული). ერთ საბუთს აქ მთლიანად მოვიტანთ, რადგან მასში  
მრავალი საყურადღებო ცნობაა ჩვენს საკვლევ ტოპონიმზე და  
ვფიქრობთ. მკითხველსაც დააინტერესებს: ქ. ღმერთმან ბედნიერის  
ჯელმნიფის ჭირი მოსცეს სა[ს]თისჭალელთ. ჩვენ სხვარიგად  
გვაშინებენ და გვეუბნებიან: ეგ ადგილიც თავადიშვილისაა და  
თქვენც თავადშვილის მოგცემენო. ეს რომ გაიგონეს, რომელთაც  
ჩვენთან მოსვლა უნდოდათ და მამულიც შემოფარგლეს, ისინიც  
ალარ მოდიან, რომ თავადიშვილის ყმობა არ შეგვიძლიაო. თუ ეს მა-

მული სათავადიშვილო იქნება, არც ჩვენ შეგვიძლია მანდ მოსვლა, დადგომა.

თერთმეტი კომლი კაცი გზლები ვართ მანდ, კალო-საბძელს ვაკეთებთ, თქვენის ბრძანებით ხის კოშკები დაიდგა. და რადგან ისინი აღარ მოგვიდგნენ, მესერის მოვლება კი ველარ შევიძელით. ღმერთი გაგვიმარჯვებს, საიდუმლოდ ჩვენი ანბავი მოიხსენეთ, რომ ის ადგილი მოსაშლელი არ არის, ნუ მოგვაშლევინებთ, ნება თქვენია", ვკითხულობთ საბუთში „არზა სართიჭალელთა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით" (33, 445). თუ კარგად დავაკვირდებით, ეს საბუთი მეტად საყურადღებო ცნობებს გვანდის: სათისჭალის ხელახალ მოშენება-მოლონიერებას ცდილობს საქართველოს სამეფო კარი. აქ დროებით ხის კოშკებიც დაუდგამთ და, რაც მთავარია, ამ მდიდარი სავარგულების მიტოვება არ სურთ გლეხებს, ოღონდ ეგ არის, მათ მხოლოდ მეფის ყმობა უნდათ, თავადის ყმობას კი გაურბიან.

კიდევ უფრო მეტ ინტერესს ინვეეს მეფე ერეკლეს ოქმი: „ქ.ჩვენ მაგიერათ საგარეჯოს მოურავს ჯამასპის ასე უამბეთ. მერე ამათი მოხელე შენა ხარ, მართებულათ ყური მიუგდე, სანგარიც გაუკეთებინე, რაც მოსასვლელი კაცი იყოს, იმაზედაც ბეჯითი იყავ. ამ კაცთ ამაზე გული დააჯერონ. მამაჩვენსა და დედაჩვენსა ვფიცამთ, რომ მათ ჩვენ არ გავცემთ; რაც მამული არის, იმაზე მართებულს ღალას განვანესებთ, იმ ღალისას ნახევარს მინის მებატონეს მივცემთ და ნახევარს ჩვენ დავიჭერთ. რასაც ჩვენს სახასოში მოხენენ, ის ხომ ჩვენი იქნება. თუ რომ იქ დგომას არ მოინდომებენ, უკეთეს ალაგს ჩვენს სახასოში დავაყენებთ. ამ მამულის პატრონები თუ ამ გზით ამის ყაბულს არ გახდებიან, ამათ იქიდამ აყყრით და სხვა ალაგს დავაყენებთ" (იქვე, გვ. 446).

1801 წელს რუსეთმა საქართველო დაიპყრო. ჩვენს მინა-წყალზე უფრო მტკიცედ რომ მოეკიდებინა ფეხი, რუსეთის გუბერნიებიდან ხალხი გადმოსახლა და საიმედო კერების შექმნას შეუდგა. სათისჭალის მდიდარ სავარგულებზე გერმანელი კოლონისტები დაასახლეს და ქართველთა ხარჯზე დიდი შეღავათებიც დაუნესეს. ამკარად ეტყობა, მათი (აქაური გერმანელების) ერთგულების გამო იყო, რომ სათისჭალა გასული საუკუნის ათიან წლებში საბოქაულო ცენტრად აქციეს. ამ საბოქაულოში შედიოდა: ავჭალა, გრდანი, ნორია, მარტყოფი, საგარეჯო, მანავი და სხვა მრავალი სოფელი...


დააკვირდით, ისეთი დიდი სოფლებიც კი, როგორცაა საგარეჯო და მარტყოფი (მათ ხომ, გერმანელი მეცნიერის გიულდენშტედტის ცნობით, ქალაქებად თვლიდნენ!), სადაც ადრე, ქართველთა დროებაში, სამეფო რეზიდენციებიც იყო, ახლა სართიჭალას დაუქვემდებ-

ბარეს. წინათ კი, როგორც ზემოთ საბუთიდანაც შევიტყვეთ, საგარე-  
ჯოს მოურავი სათისჭალასაც განაგებდა. ამ საბოქაულომ 1917  
წლამდე იარსება (20, 77).

ახლა რაც შეეხება ტოპონიმ სათისჭალის ეტიმოლოგიას. რო-  
გორც დავინახეთ, წყაროთა უმრავლესობაში სათისჭალა დას-  
ტურდება. ჭალა მდინარისპირა ტყიან ადგილს ჰქვია, ეს, ვფიქ-  
რობთ; ყველასათვის ცნობილია. სათი კი, როგორც ჩვენი დიდი  
ლექსიკოგრაფები სულხან-საბა და ნიკო ჩუბინაშვილი გვეუბნებიან,  
არის გიშერი. „სათი — შავი ქარვა, გიშერი“, ადასტურებს ქარ-  
თული ენის განმარტებითი ლექსიკონიც. ამ სიტყვას თვით დიდი შო-  
თაც იცნობს: „ვარდმან ფერი განანათლა, ბროლი ბროლდა, სათი  
სათდა“ (ხაზი — უ.ს.), ვკითხულობთ „ვეფხისტყაოსანში“,

სათი — შავი ქარვა ანუ გიშერი მოიპოვებოდა ან ახლაც არსე-  
ბობს თუ არა სათისჭალის ტერიტორიაზე, ახლა ძნელია ამის  
თქმა, ამას, ალბათ, გეოლოგები თუ დაადგენენ. ისე კი, სახელის  
შერქმევისათვის მაინცდამაინც არაა აუცილებელი ამ ძვირფასი  
ქვის არსებობა. შავი ფერის ქვა ხომ ახლაც ბევრია ივრის ხეობაში.  
ეს ქვა სათს, გიშერს მიამსგავსეს ალბათ და შეიძლება სულაც ამი-  
ტომ უნოდეს ამ ადგილს სათისჭალა.

ტოპონიმიში ასეთი შემთხვევები საკმაოდ  
ხშირია ხოლმე.





## საჯერნო

ბავშვობაში ხშირად მომისმენია ფერეიდნელ ქართველებზე მონათხრობი ამბები. მომისმენია, თუ როგორ ანიოკებდა მტერი ჩვენს მინა-წყალს. როგორ ააოხრა შაჰ-აბას-

მა ქართლ-კახეთი და ქართველთა დიდი ნაწილი როგორ გადაასახლა სპარსეთში. თითისტოლა ბავშვებმა ისიც ვიცოდით, რომ შორეულ სპარსეთში არსებობდა სოფელი მარტყოფი, იყო სხვა ქართული სოფლებიც. ბევრს დოკუმენტური ფილმიც ენახა ფერეიდნელ ქართველებზე, ჩვენმა თანასოფელმა, გამოჩენილმა კინორეჟისორმა ირაკლი კანდელაკმა რომ გადაიღო ომის დროს, 1944 წელს.

ორმოცდაათიან წლებში ხმა დაირხა, ფერეიდნელი ქართველები სამშობლოში უნდა დააბრუნონო. მერე და მერე ეს ხმა უფრო დამაჯერებელი გახდა, რადგან მარტყოფის სამხრეთით, 10-15 კილომეტრზე, ტრიალ მინდორზე, მარტყოფელებს სახნავ-საძოვრები რომ ჰქონდათ, სოფლის გაშენება დაიწყეს. ეს ხომ ჩვენთვის კარგად ნაცნობი ადგილები იყო, რადგან ზაფხულობით კოლმეურნეებს თავთავის საკრეფად დაეყვებოდით. აქ, ამ ტრიალ მინდორზე თუ ნამდვილი სოფელი, თავისი ბალ-ვენახებით გაშენდებოდა, არ გვეჯეროდა...

მოუთმენლად ველოდით ჩვენს თანამოძმეებს, მაგრამ მოხდა ისე, რომ ფერეიდნელები მაშინ არ ჩამოასახლეს. როგორც ვიცით, 1953 წელს პოლიტიკური სიტუაცია დიამეტრულად შეიცვალა. ახლა ისიც კარგადაა ცნობილი, რომ ნიკიტა ხრუშჩოვს ქართველები ჭირისდღესავით სძულდა და აბა, ფერეიდნელ თანამემამულეებს ვინლა ჩამოგვისახლებდა, როცა გულში ჩვენი აყრა და ციმბირში გადასახლება სდომებოდა!

და აი, ამ ახლადმექმნილ სოფელში, რომელსაც პომპეზური სახელი „გამარჯვება“ უწოდეს, ხევსურთა ჩამოსახლება დაიწყო, მერე მათ ჭერმელებიც მოაყოლეს. 50-იანი წლების ბოლოს ჯავახეთის სოფლებიდანაც გადმოიყვანეს ხალხი, ძირითადად ოკმელები. მაშინ ეს მოქმედება საშვილიშვილო საქმედ მიაჩნდათ და ბევრმა, ალბათ, ჩინ-მედლებიც დაიკიდა. მაშინდელ ყურნალ-გაზეთებში ხომ მძლავრ ნაკადად მოჰქუხდა ხელისუფალთა ქება-დიდება. მახსოვს, ჩემს სოფელშიც, სკოლასა თუ კოლმეურნეთა კრებებზე საქებაარ სიტყვათა რა კორიანტელი იდგა... ჩვენ კი, მაშინდელი ბალები, სო-

ფელ გამარჯვებაში რომ ჩავედით ხევსური ბავშვების გასაცნობად და დასამეგობრებლად, გოცებულები დაერჩით, იქ რომ აღარავინ დაგვხვდა. დედაბუდიანად გაპარულიყვნენ ღამით. გვიკვირდა, რადგან ჩვენ არ ვიცოდით, თუ რა იყო მშობლიურ მიწას მონყვეტა და სხვაგან ძალით გადასახლება; გვიკვირდა, რადგან ჩვენ ხომ გვაჯერებდნენ, რომ ეს ხალხი იქ, მთაში, გაჭირვებით ცხოვრობდა, აქ კი სამოთხის შექმნას ჰპირდებოდნენ. ჩვენ ხომ არ ვიცოდით, რომ ამ მთის ამაყ შვილებს თავისუფლებას ართმევდნენ. მათი ბარში ჩამოსახლების ერთ-ერთი მთავარი მიზანი ხომ ის იყო, კოლმეურნეობაში შეერეკათ ისინი.

ამ მასობრივმა ჩამოსახლებებმა მთის (და არა მარტო მთის!) რეგიონები რომ დაგვიცარიელა, ამაზე ახლა ბევრი ინერება. ხშირად გაისმოდა მოწოდებები, მიტოვებულ სოფლებს დაუბრუნდესო მოსახლეობა. წიგნიც კი დაიწერა: „მთას დაუბრუნდა მთიელი!“. ბევრი, რა თქმა უნდა, გამოეხმაურა ამ პატრიოტულ მოწოდებას და პირი იბრუნა მამა-პაპის ნაფუძრისაკენ. ბევრმა ვერ გაბედა და ვერც ახლა ბედავს დაბრუნებას და, ალბათ, ვერც გავამტყუნებთ, რადგან ძალიან ძნელია ხელახლა ბუდის მოშლა. ჩვენ ხომ მომთაბარე ხალხის შთამომავლები არა ვართ, წარამარა ვიცვალათ ადგილსამყოფელი. არც ის იქნება კარგი, ახლა ბარის სოფლები დაცვალოთ ხელიერთპირად. მამა-პაპათა ნაფუძარზე დაბრუნება მხოლოდ ჭარბი მოსახლეობის ხარჯზე უნდა ხდებოდეს. სწორედ ასე იქცეოდნენ ჩვენი წინაპრები!

სოფელ გამარჯვებას სულ მალე შეუსრულდება საიუბილეო თარიღი. ამ სოფელში ახლა სამი მეოთხედი მაინც აქ დაბადებული ხალხი ცხოვრობს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს ადამიანები თავისი სოფლის ნამდვილი პატრიოტები არიან და ამაყად უნდა ატარონ მისი სახელი. ალბათ, სწორედ ამიტომაც, რომ მომწიფდა საკითხი, სოფელს შეეცვალოს ხელოვნური სახელწოდება და დაუბრუნდეს თავისი ნამდვილი სახელი.

მკითხველი, ალბათ, გაიკვირვებს და იკითხავს, თუკი სოფელი ჩვენს თვალწინ შეიქმნა, რომელი ძველი სახელის დაბრუნებაზეაო საუბარი. ერთი შეხედვით ეს კითხვა თითქოს სწორია, მაგრამ საქმეს თუ ღრმად ჩავხედავთ, ვნახავთ, რომ ამ ობიექტს (უფრო ზუსტად იმ ადგილს, სადაც ახლა ეს სოფელია) ძველად სულ სხვა სახელი ერქვა. ეს, რა თქმა უნდა, ამ სოფლის მკვიდრთაგან ბევრმა არც იცის. ამაში ჯერ კიდევ მაშინ დავრწმუნდი, როცა აქ ტოპონიმიკურ მასალას ვინერდი. მაგრამ იმათ კი, ვისიც იყო ძველად ეს ტერიტორია, კარგად ახსოვდათ. სწორედ მარტყოფელმა მოხუცებმა, ვისაც კი აქ სახნავ-საძოვრები ჰქონდათ, ჩამანერინეს ამ ადგილების სახელები: სა-



ბამბო გზა, სააქლემო ღელე, საჯერნე... და სხვა. ასე რომ, თუკი სოფელს სახელის გამოცვლა მოუწევს, აქ მდებარე ობიექტების სახელებისაგან უნდა შეერჩეს სახელწოდება. სოფელი გამარჯვება ხომ ძირითადად საჯერნეზე გაშენდა. ალბათ, ეს სახელი უნდა დაუბრუნდეს მას. საჯერნე საკმაოდ გავრცელებული ტოპონიმი. ერთი საჯერნე თბილისის ზღვის მიდამოებშიცაა. ოღონდ საჯერნე ჰქვია ამ ობიექტს და არა საჯეირნო! რადგან იმ ცხოველს, რომლის სახელიდანაც მომდინარეობს ეს ტოპონიმი, მარტყოფში (და არა მარტო აქ!) ჯერანი ჰქვია და არა ჯეირანი. სულხან-საბა ორბელიანსა და ნიკო ჩუბინაშვილსაც სწორედ ეს ფორმა აქვთ შეტანილი თავიანთ ლექსიკონებში: „ჯერანი (ოთხფეხი) ქურციკი, გარეთხა“. ჯერანი გვხვდება არა მარტო ზეპირმეტყველებაში, არამედ წერილობით ძეგლებშიც, როგორც საისტორიო წყაროებში, ისე მხატვრულ ლიტერატურაში. მაგალითად, როცა შაჰ-აბასმა ლუარსაბ მეფე სანადიროდ გაიტყუა, „მისრულთა ყარაიას ინადირეს და... მას დღესა მოკლა მეფემან (ლუარსაბ მეორემ — უ.ს.) იგ(ცამეტი) ჯერანი და სხუანი ნადირნი“ (1, 426, ხაზი — უ.ს.).

არჩილ მეფე თავის შესანიშნავ პოემაში „გაბაასება მეფის თეიმურაზისა და რუსთელისა“, როცა სანადირო ადგილებს ჩამოთვლის, ჩვენთვის საინტერესო ობიექტიც მათ წრეში ხვდება:

*„თორმეტი არის მინდორი სხვებისგან უკეთესების:*

*ირმის, ჯერნისა, დათვისა, ლორის, ტურის და მგელების...*

*ნინა მინდორი, შირაქი და ორივ ტარბანაეტი,*

*ორი ელიდრის მინდორი, ჯერან ჩულურში დაეტი,*

*ყაჩირლუხ, ბაიდიგოლი, სამგორი, ჩადივარები,*


*ყარაია ზე დაშერიან მესროლნი კარგ სადავები.*

*სხვა მინდვრები ირმით სავსე, ყარაიას ჯერანია...“ (35, 395-401)*

ხაზი — უ.ს.).

როგორც ვხედავთ, არჩილი მხოლოდ „ჯერან“ ფორმას ხმარობს. აქ ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია ის, რომ ამ სანადირო ადგილთაგან სამი ობიექტი ყარაია, სამგორი, ჩადივარი გარდაბნის რაიონის ტერიტორიაზეა. საინტერესო ისიც გახლავთ, რომ ეს ჯერანი გავრცელებული ყოფილა ამ რეგიონში, რასაც მოწმობს არჩილის სიტყვები: „სხვა მინდვრები ირმით სავსე, ყარაიას ჯერანია“. ამიტომ სარწმუნო ჩანს, რომ მარტყოფელ მოხუცებს ჩვენი საუკუნის დასაწყისში ბევრჯერ უნახავთ აქ, ამ სამგორსა და ჩადივარში ჯერნების ფარა. ეს სამგორი და ჩადივარი კი გამარჯვების გვერდზე მდებარე ტერიტორიებია. და ახლა, რაკი სოფელ გამარჯვების სახელწოდების შეცვლის საკითხი მომწიფდა, სამართლიანიც იქნება და უპრიანიც, თუკი მას დაუბრუნდება თავისი ძველი სახელწოდება საჯერნე.

ასე ნაწარმოები ტოპონიმები საკმაოდ ბევრია საქართველოს ტერიტორიაზე როგორც აღმოსავლეთით, ისე დასავლეთით, თუ სამხრეთით. შდრ.: საირმე (კურორტი), სათხე (სოფ. ჯავახეთში), საბუე (სოფ. ახმეტასა და ყვარელში), სამტრედია (ქალაქი), სამტრედია (სოფ. ტყიბულში) საცხენე//საცხენისი (სოფ. გარდაბანსა და ყვარელში), საცხენეთი (სოფ. ცხინვალში), სასირეთი (სოფ. ქარელსა და კასპში), საყვავისტყე (სოფ. ჩოხატაურში) და რაც შეეხება ამგვარი წარმოების მიკროტოპონიმებს, თითქმის ყოველ ნაბიჯზე დასტურდება.





## ნორიო

ნორიო ორ სოფელს ჰქვია საქართველოში. ერთი მდებარეობს სამეგრელოში, აბაშის რაიონში, მეორე აქვე, თბილისის აღმოსავლეთით, 20-25 კილომეტრზე, ლილოსა და მარტყოფს შუა. ჩვენ ამ მეორე ნორიოზე გვექნება საუბარი.

ნორიო ერთ-ერთი დიდი და ძველი სოფელია საქართველოში; მდებარეობს ხეობაში, მდ. ნორიხევის მარჯვენა მხარეს. სოფლის ცენტრში შემორჩენილია ციხე-გალავნის ნაშთები. ეს ციხე 1752 წელს აუგია მეფე ერეკლეს (14,94). ამ სოფელს ძველი თაობის ადამიანები ნორიას ეძახიან, აქაურებს კი ნორიელებს და არა ნორიოელებს. ასევე უწოდებენ მეზობელი სოფლების მაცხოვრებლებიც. ამავე ფორმით გვხვდება საისტორიო წყაროებში, სიგელ-გუჯრებსა თუ სამართლის ძეგლებში.

ერთ-ერთ საბუთში გვხვდება ტოპონიმი ნორიის უბანი. „სიონთა მლთისმშობლის ყმას იოანეს და მის ძმას მღვდელს მაკარის ნორიის უბანში ქიტაძის მამული ეყიდათ, იმ მამულზე დასახლდნენ ყოროვანში ნაკელციხლებს ქვემოდამ, მინებს ფოდიაშვილები ქიტა და მისი ძმა რამზა შეეცილენ. ჩვენ მარტყოფის ნაცვალი გუდუა, ფარსმანაშვილი რამაზა, დათუნა პაპაჩაშვილი, ულულური ნასყიდა, სტეფანაშვილი ნასყიდა, კურატასშვილი მლთისია, ქურციკაშვილი იესე, აზირაშვილი გიორგი, დავსხედით, გაუშინჯეთ. ქიტაძისა ყოფილიყო. იოანეს და მის ძმას მღვდელს მაკარის მივეციით“, ვკითხულობთ 1688 წელს გაცემულ საბუთში „განჩინება იოანესა და მაკარი მღვდლის მამულის საქმეზე“ (36, 151-52). მოტანილი საბუთი რომ ჩვენს საკვლევ ტოპონიმს შეეხება, ისიც მონიშნავს, რომ აქ დასახლებული გვარები: ფოდიაშვილები, ფარსმანაშვილები, კურატაშვილები, აზირაშვილები... დღესაც ცხოვრობენ ნორიოში.

ნორია ძირითადად სახასო ანუ სამეფო სოფელი იყო. მაგრამ აქ რომ ეკლესია-მონასტრებსაც ეკუთვნოდათ ყმა-მამული, მრავალი საბუთით დასტურდება. „რომელნიც ნორიოს ჩვენი ეკლესიის ყმანი ხართ ერთობით კლდეისელები, თქვენთან საბატონყმით ჴელი არავისა აქვსთ ჩვენსა მეტსა; და ვერცა რა ვინ რას შეგანუხებთ უბრალოთ“, აუნყებს ეკლესიის ყმებს 1808 წლის 29 ივლისს გაცემული საბუთით ანტონ II კათალიკოსი (26, 1103). როგორც ვხედავთ, ნორიო-

ში სვეტიცხოველსაც ჰქონია მამული და ეს კლდეისელებიც ახალი დასახლებულები ჩანან აქ. ამ სოფელში რომ მარტყოფის მონასტერიც ფლობდა ადგილ-მამულებს, ამის დასტურია ის, რომ სტეფანე რუსთველი ორი დღის მიწას უბოძებს თავისი ეკლესიის ყმას: „ჩვენ, ყოვლად სამღვდელომ რუსთველ არხიეპისკოპოსმა, ენისელთ მოურავის ძემ, სტეფანემ გიბოძე ნორიოს ორის დღის მიწა შენ ჩვენის ეკლესიის ყმას ორჟონდაშვილს თევდორეს, შეილსა შენსა ქიტესას, შეილთა და შომავალთა სახლისა შენისათა, ასე, რომ: უმამულო იყავ და ნორიოს ორის დღის მიწა იყო შემონირული — ერთის დღისა კოკიტასშვილის ივანესაგან. ქოპილაანთ საყდართან არის ორივე ერთად“, ამას გვამცნობს „წყალობის წიგნი სტეფანე რუსთველისა თევდორე ორჟონდაშვილისაადმი“, რომელიც დანერილია 1817 წლის 4 მაისს (26, 1128).

ნორიელებს მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს დიდი დავა ჰქონიათ ღვთაების მონასტერთან სახნავ-სათიბების თაობაზე. სასამართლოს შემადგენლობას თუ გავეცნობით, დავრწმუნდებით თუ რა მძიმე საქმე ყოფილა გასარჩევი. ეს სასამართლო განჩინება სხვა მხრივაც იქცევს ყურადღებას, ამიტომ ვრცელი ციტატები უნდა დავიმონწმოთ: „ქ. ყოვლად სამღვდელოს რუსთველს სტეფანეს რომ ნორიელნი სახნავს მიწებს ეცილებოდნენ, რომელიც ძველთა მეფეთაგან გუჯრით ღმრთაების ეკლესიას შენირულია ჭოპარტის სოფელნი და მამულები, რუსთველი იმას არ სჯერდება და ჩვენ მამულებს გვართმევსო“ (37, 221), ასეთი საჩივარი შეუტანიათ ნორიელებს სასამართლოში. საქმის გარჩევა სასამართლოს კომპეტენტური პირებისათვის დაუვალებია. საქმე გაირჩა სადავო ადგილზე იოანე ბატონიშვილის თავმჯდომარეობით: „ჩვენ, მეფის ძემან იოანე, მდივანბეგი სოლომონ (ბეგთაბეგიშვილი — უ.ს.), მარტყოფის მოურავი ზაალ (ანდრონიკაშვილი — უ.ს.), კახნი თავადიშვილები, ნაცვალი, მღვდელი ქრისტესია, მარტყოფელნი და ნორიელნი გვერთ ვიახელით, ყოვლად სამღვდელოს რუსთველს სტეფანეს მოვუწოდეთ“ (იქვე).

ღვთაების ეკლესიისა და წმინდა ანტონის საფლავის მოლოცვის შემდეგ ჭოპარტის მთაზე ასულან, გუჯარი ნაუკითხავთ და ის ადგილები, ეკლესიას რომ ეცილებოდნენ ნორიელები, მიჯნით-მიჯნამდე დაუვლიათ. რუსთველსა და ნორიელებს მოწმეებად სამი სანდო კაცი ამოურჩევიათ: ფოდიაშვილი, დელიბაშვილი (ტიქსტში შეცდომით დელუბაშვილი წერია) და იმერლიშვილი. ამათგან ერთი რუსთველის ყმა ყოფილა, ორი კი — სახასო ყმა, რომელთაც კარგად ხსომებიათ მიჯნები. ამათ „ჭოპარტის მთიდან ჩამოველოთ და ლილოს მთის სისწვრივ ამოსულიყვნენ, ჩვენც ეს მიწები დავამტკიცეთ და შეუდევით მტკიცესა და უცვალებელს ღმრთაების ეკლესიის გუ-

ჯარს" (იქვე). შემდეგ კიდევ ერთი მონმე დაუმატეს: „თუ კიდევ ნორიელთ ამაზე ცილობა და სარჩელი დაიწყონ, რომელნიც ნორიელთ თავეთის ყაბულობით ზემორე სახელდობ დანერილნი სამნი მონამენი მიჯნებზე ჩამოუტარებიათ, ისიც მონამენი და მეოთხე განჯაშვილი დათუნა... ამ ოთხთ ღმრთაების ხატი ჴელთ იპყრან, ოთხნიც უფროსნი კაცნი ნორიელნი ღმრთის მოშიშნი, რომელნიც რუსთველმა ირჩიოს, ისინიც თან მიჰყვენ და როგორც ფიცი შეეძლოთ, ისე გაიფიცონ და ჩვენმა იასაულმა მიჯნები ჩაჰყაროს“ (37, 222).

ოცი დღე მისცეს ვადა, „ამ ოცს დღეზე ვერ დაიფიცვენ, მერე ფიცი აღარ იქნება და დარჩება საბოლოოდ როგორც გუჯარში სწერია: ჭოპარტის წვერი პირდაპირ ლილოს მთამდის სისწვრივ გადმოსჭრის, იმას ზეითი უცილებლად ღმრთაების ეკლესიას და ქვეითი ნორიელთ“ (37, 222. ხაზი — უ.ს.).

ნორიელთათვის ეს მართლაც მეტად მნიშვნელოვანი საბუთია. ჯერ მარტო ის რად ღირს, რომ მათ სადავო საქმეს არჩევს მეფის ძე იოანე, დიდი ქართველი მეცნიერი-ენციკლოპედისტი. საყურადღებოა ისიც, რომ ამ საბუთში ოთხი გვარია დაფიქსირებული: ფოღიაშვილი, დელუბაშვილი, იმერლიშვილი, განჯაშვილი, რომელთა შთამომავლებიც დღესაც ცხოვრობენ ნორიოში (სამწუხაროა, რომ პირველი სამის სახელი არაა დაფიქსირებული საბუთში). საინტერესო ისიც გახლავთ, რომ აქ, ნორიის მახლობლად ყოფილა სოფელი ჭოპარტი...

შეიძლება ვინმემ ისიც იფიქროს, რომ ეკლესია და სამეფო კარი მოსახლეობას ავიწროვებდაო და ეს საქმეც სწორედ ამიტომ გადანყვიტესო ეკლესიის სასარგებლოდ. ასეთ დაეჭვებას თვით ეს საბუთი გააქარწყლებს: „ქ. ღმრთაების ეკლესიის შეწირულს სათიბს აღაგებში ვინც ბალახი გათიბოს, ხუთი — გამთიბავს და მეექვსე ღალად რუსთველს მიერთვას“. კომუნისტებს ის მაინც რომ გაეკეთებინათ, ხუთი თვითონ წაეღოთ და ერთი გლეხისთვის დაენებებინათ, ალბათ, ასე ხელიერთპირად არ დაიშლებოდა მეურნეობები.

ტოპონიმ ნორიას ნაცვლად გვიანდელ საბუთებში ნორიო ფორმა გვხვდება: „ქ. წყალობითა ღეთისათა ჩვენ... მეფემან XIII გიორგიმ... გიბოძეთ ზემო ნორიოს ხუთი საკომლო მამული... კურთხეულ მამაჩვენს მარტყოფის ნაცვლობა ორისავე ხევისა თქვენთვის ებოძებინა და ჩვენც ასე დაგვიმტკიცებია“, ვკითხულობთ ქრისტეფორე კეჟერაშვილ-ბადრიძისადმი მიცემულ სიგელში (14, 214-15). ამ ქრისტეფორე კეჟერაშვილის (სახელგანთქმული მწიგნობარი იყო ერეკლესა და გიორგის მეფობის დროს) და მისი ძმების შთამომავლები ცხოვრობენ ნორიოში. მათი ოფიციალური გვარი ბადრიძეა, ოღონდ იმ უბანს, სადაც ისინი ცხოვრობენ, კეჟერაანთუბანს ეძახიან. ამავე სოფელში არსებობს კეჟერაანთ კოშკიც.

„1795 წელს, დამდეგ ოქტომბერს შეიკრიბა 4 ათასი ლეკი და დააპირეს პანკისში ხოჯის შემოსევის გახიზნულ კახელებზე დაცემა. ხოჯა აიყარა და გაბრუნდა თუ არა გახიზნულნიც ჩამოვიდნენ და თავთავის ადგილას დაბინადნენ, ლეკნი რომ აქ ვერას გახდნენ, გადმოვიდნენ მთით იალნოზედ და მოადგნენ ნორიოს, მაგრამ დახვდა აქ მარტყოფის მოურავი კუზიანი ზაალ ანდრონიკაშვილი, გამოჩენილი მებრძოლი მთელ საქართველოში და გაფანტა“ (14, 195. ხაზი — უ.ს.). ზაალ ანდრონიკაშვილი ზემოთაც შეგვხვდა. ეს ის ზაალი გახლავთ, რომელსაც ზაალ ბარათაშვილთან, ზაალ ორბელიანთან და ზაალ მაჩაბელთან ერთად შესანიშნავი სტრიქონები უძღვნა ჩვენმა დიდებულმა პოეტმა გრიგოლ ორბელიანმა პოემა „სადღეგრძელოში“:

*„და მეფის ძალნი ოთხნი ზაალნი,  
თითო ერთ ჯარად დაფასებულნი!..“ (38,359)*

ნორიაში ლეკთა დამარცხების ამბავს გვაუწყებს დავით ბატონიშვილიც: „იხილეს რა ლეკთა უძღურებაი ქართველთა, შეკრბნენ უმეტეს ათას ხუთასისა, მივიდნენ ნორიოს, გარნა იძლივნენ ფრიად მოურავისაგან მათისა ზაალ ენდრონიკაშვილისაგან, რომელიცა იყო სიმხნით აღმოჩენილ ყოველსა საქართველოსა შინა“ (16, 24).

ეს და აქ დატრიალებული ბევრი სხვა ამბავი დღესაც კარგად ახსოვთ ნორიელებს. დანვრილებით შემოუნახავს ხალხის მეხსიერებას, ზეპირსიტყვიერებას, ტოპონიმებს. მტრის შემოსევებს უნდა გაეჩინათ ნორიის ტერიტორიაზე ამდენი ნასოფლარი: ნილუბანი, შუბნიხევი, ახალუბანი, ნაქალაქარი... ახლა საძოვრებისა და სახნავ-სათიბების სახელებად რომ ჩაგვანერინეს ნორიელებმა.

გენერალმა გულიაკოვმა აქ, ნორიის ბოლოზე დაიბანაკა, როცა 1803 წელს მარტყოფში თავშეყრილ მამულიშვილებს უნდა დასხმოდა თავს. იმ ადგილს, სადაც რუსის დამსჯელი ჯარი მდგარა, ახლა ნარუსლებს ეძახიან.

სოფელი ნორია მარტყოფის სამოურავოში შედიოდა და მანაც მარტყოფთან ერთად მრავალჯერ განიცადა აოხრება-ანოკება. ამავე დროს აქაც, ისევე როგორც მარტყოფში, მტერმა მრავალჯერ წაიტეხა კისერი. ერთ ასეთ შემთხვევაზე ზემოთ უკვე გიამბეთ. ახლა მოვუსმინოთ, რას გვაუწყებს „ცხოვრება საქართველოსა“ ანუ „პარიზის ქრონიკა“, როგორც ამ ნაშრომს უწოდებენ. სხვათა შორის ჯერჯერობით ესაა პირველი საბუთი, სადაც ყველაზე ადრე იხსენიება სოფელი ნორია. „ბრძანება იყო ყაენისა (შაჰ-აბასისა — უ.ს.), რომე კახი კაცი გაენყვიტა და კახეთში ყიზილბაშნი დაესახლებინა. და კიდევ პატრონობდა ბარდის ხანი. ფეიქანის ხანმა შეიყარა კახთ ლაშქარი, მოვიდეს მუხრანს; ალღუმი მოინდომა, ფონთხელადამ

ქანდამდი იქით-აქათ ჯარით გაკრეს. გაატარიან თითო-თითო კახნი, იქიდან გატარებული ასე მოკლიან, ერთიმეორის სიკვდილს ვერ შეიტყობდა. ალაიანის მინდორში ყათლამი უყვეს, ლალატით ერთობილნი კახნი დახოცეს... მერმე თარეში გაუსია კახეთს. თითონ ნორიას დადგა (12, 90. ხაზი — უ.ს.). შემდეგ ამავე ქრონიკაში ვკითხულობთ: „მოურავის (გიორგი სააკაძის — უ.ს.) პირობით ქართველნი შეიყარნენ, დაესხნეს მარტყოფში, ნორიას, ხარების ღამეს ყიზილბაშთა თავსა. ყარჩიხა-ხან -- სარდარი და უსუფ-ხან — შირვანის ხანი და სხვა ხანები და სულთნებიც მრავალი დაჭოცეს; ალივსნეს საშოვრითა, ოქროთა, ვერცხლითა, თვალითა მარგალიტითა, მრავლის უცხოს ნაქსოვითა, ცხენ-აქლემითა და ჯორითა“ (12, 91. ხაზი — უ.ს.).


ღიხ, ასეთი სიხარულის დღეებიც ბევრი უნახავს მრავლის მომსწრე ისტორიულ სოფელ ნორიას. ეს ბედნიერი წამი კი, „პარიზის ქრონიკამ“ რომ გვამცნო, 1625 წლის 25 მარტს (ძველი სტილით), ხარებობა დღეს დაუდგათ ქართველებს.

როგორც გითხარით, ნორია მარტყოფის სამოურავოში შედიოდა და ნორიელებს ერთი მეტად საპატიო მოვალეობაც ჰქონდათ დაკისრებული. აქაური ჭიჭინაძეები (ეს ზემოთაც აღვნიშნეთ) სარუსთვლო დროშის (ანუ მარტყოფის დროშის) მტვირთველნი იყვნენ და ეს საპატიო მოვალეობა თაობიდან თაობას გადაეცემოდა. „ამისნი დროშის მტვირთველნი ნორიას ჭიჭინაძენი ყოფილიყვნენ და ჩვენცა მათვე მივანდევით, ეგრეთ რომე, ოდეს დროშა წაასვენონ, ერთს ძლიერსა და უმჯობესსა კეთილ-ცხენოსანსა კაცსა ჴელთა მიათვალევდენ და სხვანი ჭიჭინაძენი გარე შემოეხვეოდენ ომსა შინა, გინა მშვიდობასა და, ოდეს ადგილსა დაისავანონ, ქეშიკი და მცველობა ამათ მიანდონ დროშისა“, ვკითხულობთ „სარუსთვლო დროშის განწესებაში“, რომელიც შედგენილია კახეთის მეფის დავით მეორის (იმამ-ყული-ხანის) მიერ, 1710 წელს (2, 385. ხაზი — უ.ს.).

ტოპონიმ ნორიოს ეტიმოლოგია ჯერჯერობით დადგენილი არაა. მაგრამ როგორც ვნახეთ, საისტორიო წყაროებსა თუ სხვა საბუთებში უფრო ხშირად გვხვდება ნორია ფორმა. ასე იხმარება ზეპირმეტყველებაშიც. ამ სახელწოდებისაგან ნაწარმოები ჰიდრონიმიც ნორიხევია და არა ნორიოსხევი. ადამიანთა სადაურობის სახელადაც ნორიელი იხმარება, ნორიოელი კი — უფრო იშვიათად.

-ია დაბოლოება მარტო ამ ტოპონიმში არ ქცეულა იო-დ. ქართულში ეს საერთო ფონეტიკური მოვლენა ჩანს. ამ ტიპის თითქმის ყველა ტოპონიმში -ა ო-დაა შეცვლილი: გოკია→გოკიო, გონია→გონიო, ხოსპია→ხოსპიო...

საინტერესო ჩანს ტოპონიმების ზემო ნორიისა და ნორიისუბ-  
ნის წარმომავლობა-ისტორიაც, რაც შემდგომში დამატებით კვლე-  
ვა-ძიებას საჭიროებს.







## ლილო

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით ლილო არის „თოვლჭრელი, რა თოვლი აჭრელდეს, იგი არს ლილო“. „ლილო — თოვლი აჭრელებული, აქა-იქ გამდნარი“, გვიდასტურებს ნიკო ჩუბინაშვილიც.

ეს სიტყვა დღესაც იხმარება, ასე რომ, ტოპონიმ ლილოს ეტიმოლოგია ადვილად ასახსნელია. ჩვენ შევეცდებით უფრო მის ისტორიას გადავავლოთ თვალი.

ლილოსმთა (ზოგიერთ წყაროში ამ ობიექტის სახელად ლილოს სერი წერია) მდებარეობს თბილისის აღმოსავლეთით. გვიან შუა საუკუნეებში ეს მთა (სერი) ქართლ-კახეთის სამეფოთა ადმინისტრაციულ საზღვარს წარმოადგენდა.

ჩვენს ხელთარსებული პირველი თარიღიანი საბუთი, სადაც დასტურდება ტოპონიმი ლილო, გახლავთ „მამულების მფლობელობის განახლების წიგნი ალექსანდრე II-ისა (კახთა მეფის — უ.ს.) სვეტიცხოვლისადმი“, რომელიც შედგენილია 1579 წელს. ამ წიგნში ვკითხულობთ, რომ „ლილოს გვერდის სოფელი ახალდაბა“ ეკუთვნის სვეტიცხოველს (2, 200). როგორც ვახუშტი ბატონიშვილი გვაუწყებს, ლილო ძველი კუხეთის შემადგენელი ნაწილი ყოფილა (1, 523-24).

ტოპონიმი ლილო ძალიან ხშირად გვხვდება XVI-XVII-XVIII საუკუნეების ამბების ამსახველ საისტორიო წყაროებსა თუ სიგელ-გუჯრებში. 1581 წლის „შემდგომად კულად შემოიკრიბნა მეფემან (სვიმონ დიდმა — უ.ს.) სპანი და თვსთა წარჩინებულთა ცოლნი მოიყვანნა, წარიყვანა დედოფალი და იგინი და აღვიდა ლილოსა ზედა“, — წერს ვახუშტი ბატონიშვილი (1, 413). ამასვე ადასტურებს ბერი ეგნატაშვილი. მეფე დადგა ტბასა ლილოსა, თავსა, რომელი არის გორა მაღალი (11, 373). აქ დაფიქსირებული „ლილოს ტბა“ დღეს აღარ არსებობს. 1951 წელს, როცა სამგორის არხით ივრის წყალმა „თბილისის ზღვის“ ავსება დაიწყო, ეს ტბა და მასთან ერთად კიდევ ორი, ილღუნაინის ტბა და კუკიის ტბა ამ „ზღვამ“ დაფარა.

როცა გიორგი სააკაძე ქართლიდან განდევნეს, იგი და ნუგზარ არაგვის ერისთავი ღამით „განვიდენ ლილოსა და გაჰხედეს ყურყურთას მტკუარს ფონად, და განვიდენ და მივიდენ აღჯაყალასა“ (11, 391. ხაზი — უ.ს.). „პარიზის ქრონიკაშიც“ ვკითხულობთ, რომ სააკა-

ძე და ნუგზარ ერისთავი „ნავიდენ ცოლშვილითა, ჩამოიარეს საგურამოსა, ლილოს პირი გამოუარეს, ლოჭინზედ ჩავიდენ და ყურყურათას ფონს გავიდენ“ (12, 76. ხაზი - უ.ს.). ამავე „ქრონიკიდან“ ვიგებთ, რომ 1648 წელს როსტომს კახეთში „ექესკურსია“ მოუწყვია: „გაზაფხულისას მეფემ (როსტომმა -- უ.ს.) კახეთის დავლა მოინდომა. ნიგნი მისწერეს ქართლის თავადთა. ნავიდენ, და ლილოს მიბძანდა“ (12, 101).

ლილოს მთაზე მდებარე სოფლები ძველთაგანვე მარტყოფის მონასტრისადმი ყოფილა შეწირული. „ღმრთაების გუჯარში“ ვკითხულობთ: „სამწყსოთათვის და სამრევლოთათვის, რაოდენიცა ქონან, ესე არიან: მარტყოფნი და ბოსტან-ქალაქელნი, ნასომხარნი, ვანკოდა და ლილონი...“ (2, 363). ამავე გუჯარში ცოტა ქვემოთ კი წერია: „ლილო სრულიად სამწყსოდ რუსთველისა ყოფილა, და ერთი სოფელი ქვიტკირისა ლილო ძველად ჩვენთა ტომთაგანცა და ანცა მეფეს თეიმურაზს მრერთვა ყმად, და მიერიდგან, ოდეს მეფეს როსტომს კახეთი დაეჭირათ, არცა მათ მოეშალათ ესე სოფელი, და თვითცა გუჯრითა დაემტკიცებინა და რისხვით შემოეწირა და არა გამოეკვა. მერმე სულ ბრწყინვალეს მამასა ჩვენსა ერაკლეს დიდის ფიცით და გუჯრით შემოეწირა, და არცა ამას გამოეკვა“, წერს კახეთის მეფე დავით II იმამ-ყული ხანი (2, 372-73). „ღმრთაების გუჯარი“ იმასაც გვაუწყებს, რომ „ლილონი, გლდანი და ჯაჭვნი ანგარებით და მძლავრობით მიეტაცათ ქართლისა კათალიკოზთა და თბილელთა, ვითარმედ ესე იუნწყეთ: რაოდენ ესე ეკლესია აღუმართებიათ მეფეთა, მასვე ჟამსა ესე სამწყსონი ღმრთაებისა არს და, ვისცა შიში გქონან, კუალად ამასვე აგენით თვისნი სამწყსონი“ (2, 364. ხაზი - უ.ს.).

როგორც ვხედავთ, ჩვენი წინაპრები სიმართლის თქმას არ ერიდებოდნენ და დანაშაულის ჩამდენტ საჯაროდ ამხელდნენ.

ლილოს მთის კალთებზე დღეს ოთხი დასახლებული პუნქტია: დიდი ლილო, პატარა ლილო, ლენინისი და წითელუბანი. ლენინისი და წითელუბანი ერთხანს გლდანის სასოფლო საბჭოში შედიოდა, ახლა ნორიოს საკრებულოს ექვემდებარება. თბილისის ახალი საცხოვრებელი მასივი — ლილოს დასახლება, ლილოს მთის სოფლებში არ შევა. აქ რკინიგზის სადგურს უწოდეს ლილო, რადგან ამ სადგურთან ყველაზე ახლოს სოფელი დიდი ლილო მდებარეობდა. სადგურის სახელწოდება მექანიკურად-დაერქვა დასახლებასაც.

დიდი ლილო და პატარა ლილო მეცხრამეტე საუკუნეში დამკვიდრებული ტოპონიმებია, თუმცა, უნდა ითქვას, რომ დიდი ლილო მანამდეც დასტურდება რამდენიმე საბუთში. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ტოპონიმები: დიდი ლილო და პატარა ლილო უფ-

რო ოფიციალური სახელწოდებებია. ადგილობრივ (ასევე მეზობელ სოფლებშიც) დიდ ლილოს — ლილოს ეძახიან, პატარა ლილოს კი — ფშავრობს.

ვახუშტი ბატონიშვილს სოფელთა სიაში ხუთი დასახლებული პუნქტი შეაქვს ლილოს საერთო სახელწოდებით. ტექსტშიც ამ ტოპონიმს ხშირად მრავლობითის ფორმით ხმარობს. „კუალად მოიყვანა (მაჰმად-ყული-ხანმა — უ.ს.) ლეკნი, ნარუძღუნანა კახნი და მოსტყუევენეს სრულიად ლილოები“ (1, 620. ხაზი — უ.ს.). ამ ტოპონიმში „ლილოები“, რალა თქმა უნდა, ლილოს მთაზე მდებარე სოფლები იგულისხმება, თანაც ქართლის სამეფოში შემავალი სოფლები; რადგან მამად-ყული-ხანი თავის მამულს არ ააოხრებდა. ნაშრომის საძიებელში აქ დამონმებული მრავლობითი რიცხვის ფორმა ერთ ტოპონიმადაა გატანილი და იგი ასეა განმარტებული: ლილოები (=ლილოს მინა-წყალი), რაც, ჩვენი აზრით, სწორი არაა. ვახუშტი ბატონიშვილს ცოტა უფრო ზემოთ ამავე ამბებთან დაკავშირებით „ლილოს დაბნები“ უწერია: „კუალად მოუძღუნა მაჰმად-ყული-ხან. კახნი ჭარელთა და მოსტყუევენეს ლილოს დაბნები“ (1, 500. ხაზი — უ.ს.). „ლილოს დაბნებში“ რომ რამდენიმე ობიექტი მაინც იგულისხმება, ვფიქრობთ, ამაში ეჭვი არავის შეეპარება.

როგორც ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომში, ისე მარტყოფის „ღმრთაების გუჯარში“ თუ სხვა წყაროებში, ნაწილობრივ ეს ზემოთაც დავინახეთ, ამ ობიექტებს ცალ-ცალკე სახელწოდებებიც აქვთ: ქვიტკირის ლილო, კოდის ლილო, მთის ლილო, შარობის ლილო... ეს შარობის ლილო იგივე პატარა ლილოა, რომელსაც, როგორც აღვნიშნეთ, ადგილობრივ ფშავრობს უწოდებენ.

იოანე ბატონიშვილს „ქართლ-კახეთის აღწერაში“ ლილოს სახელწოდებით ორი დასახლებული პუნქტი აქვს შეტანილი — ერთი ქართლში, მეორე — კახეთში. გარეკახეთის სოფლებში შეტანილია: „ლილო სამეფო დარჩა აშკარეთად წოდებული“ (17, 66). ქართული სამართლის ძეგლების მეორე ტომის საძიებელში გატანილია ტოპონიმი „სამეფოს ლილო“, რაც აშკარად შეცდომაა, რაშიც, თუ კარგად ჩაუვკვირდებით, ადვილად დავრწმუნდებით. „დიღმელთ ჴვნა რომ აძეთ, ნაგებში ჴნან, იმათვე მოიმუშაონ. ამას გარდა ერთი სამეჭრეო გორს, ერთი კავთიჴევს, ერთი ორსავ სამეფოს ლილოზე...“ (2, 260. ხაზი — უ.ს.), ვკითხულობთ „დასტურლამალში“. აი, ამ ტექსტიდანაა საძიებელში გატანილი „სამეფოს ლილო“ ტოპონიმად, მაგრამ აშკარაა, ამ ტექსტში საუბარია არა რომელიმე დასახლებულ პუნქტზე, არამედ ლილოს მთაზე, რომელიც, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ორივე სამეფოს — ქართლსა და კახეთს ეკუთვნოდა, ორივე სამეფოს საზღვარს წარმოადგენდა. აღმოსავლეთი მხარე კა-

ხეთისა იყო, დასავლეთი მხარე -- ქართლისა. ამ მთაზე ქართლის მეფესაც ჰქონდა საზაფხულო აგარაკი და კახეთის მეფესაც. სწორედ ამ მთაზე, ლილოს საზაფხულო აგარაკზე კახეთის მეფემ არჩილმა ქორწილი გადაუხადა თავის ძმას, რასაც გვაუწყებს ვახუშტი ბატონიშვილი: ხოლო შემდგომად (ლეკები რომ ალაგმა და კახეთი მოაშენა ... უ.ს.) უქმნა არჩილ ქორწილი ძმასა თვისა ლუარსაბს ლილოსა ზედა, რევაზ ერისთავის ასულსა ზედა" (1, 603. ხაზი — უ.ს.). ამავე რეზიდენციაში არჩილ მეფემ ისტუმრა სპარსეთის დიდმოხელე ზაჰირ ალდინ თაფრეში 1969 წლის გაზაფხულზე (39, 97).

ლილოსთან ერეკლე მეფის სახელიცაა დაკავშირებული. როგორც „საქართველოს ისტორიის ქრონიკებში“ ვკითხულობთ, მეფე ერეკლეს 1771 წ. ორი ძმა მაჩაბელი გადაუსახლებია ლილოში (14, 129). ლილოს მთაზე გამოდის წყარო, რომელსაც პლატონ იოსელიანი „აშქარეთის წყაროს“ უწოდებს. ერეკლეს ამ წყლის გაყვანა სდომებია თბილისში, მაგრამ ალა-მაჰმად-ხანის შემოსევას შეუშლია ხელი. ეს წყალი ახლა ნორიაშია გაყვანილი. ამავე წყაროს მეორე ტოტი, რომელსაც ლილველები დიდი მეფის პატივსაცემად „ერეკლეს წყაროს“ უწოდებენ, ტყით დაფარულ ღრმა ხეობაში გამოედინება. 60-იან წლებში კეთილმოაწყვეს, მარმარილოთი მოაპირკეთეს და წარწერაც გაუკეთეს. ხეობის მონაკვეთი შესანიშნავ დასასვენებელ ადგილად აქციეს. მაგრამ, შარშან, 1996 წლის ზაფხულში, ტოპონიმიკური მასალის გადასამოწმებლად რომ ვიყავი ლილოში, სამწუხარო ფაქტი ვიხილე. ის კეთილმოწყობილი წყარო ამ ბოლო არეულობის დროს ვიღაც უკეთურებს სულ გაეპარტახებინათ. მარმარილოს ფილები გაეძარცვათ და სპილენძის ლამაზი ასოებიც სულ დაეგლიჯათ!


ჩემი მეგზურ-ინფორმატორები გოგი ფუხაშვილი და ვაჟა კაბულაშვილი თვალცრემლიანები მათვალეირებინებდნენ ამ ვანდალიზმის შედეგს. მჯერა, ისინი და მათი თანასოფლელებიც, რომლებიც სამართლიანად ამაცობენ თავიანთი სოფლის წარსულით, კვლავ აღადგენენ „ერეკლეს წყაროსაც“ და მის შემოგარენსაც. ოპტიმიზმის მიზეზს ის მშვენიერფრესკებიანი ეკლესია მაძლევს, რომლის აღდგენაც უკვე დაეწყათ.

დავუბრუნდეთ კვლავ ტოპონიმ ლილოს. როგორც აღვნიშნეთ, დღეს ამ რეგიონში ოთხი სოფელია: დიდი ლილო, პატარა ლილო, ლენინისი და წითელუბანი. ლენინისიცა და წითელუბანიც მხოლოდ ოფიციალური სახელწოდებებია. ამ სოფლებს მოსახლეობაში სულ სხვა სახელებს უწოდებენ, ერთს — ქვიშიანს, მეორეს კი — ხუტრებს.

ერთხანს, გასაბჭოებამდე ამ სოფლებს „ოლგინსკოებსაც“ ეძახ-

დნენ, რუსეთის მეფის რომელიღაც ქალიშვილის სახელის გამო...  
თუმცა ეს სახელი მოსახლეობაში ნაკლებად ახსოვთ...

უკვე დიდი ხანია მომწიფდა საკითხი, აღდგეს სამართლიანობა  
და ამ ობიექტებს დაუბრუნდეთ თავიანთი ძველი სახელწოდებები:  
ლენინისს – ქვიშიანი, წითელუბანს კი კვირიკეთი ან ქვითკირის  
ლილო. ეს სახელწოდებები ხომ ამ რეგიონში დავაფიქსირეთ. ქვით-  
კირის ლილო ძველი ნასოფლარია, კვირი-  
კეთისხევი//კირკობისხევი და, წმინდა კვი-  
რიკეს საყდარი ხომ აქვე, ამ სოფლების  
გვერდით მდებარეობს.





## ნასაბჭო

ამ რამდენიმე წლის წინათ ტოპონიმიკის ლაბორატორიაში შემოვიდა წერილი, რომელსაც ხელს აწერდა გარდაბნის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე გ.ი. ფირცხალაიშვილი. წერილში ვკითხულობთ, რომ დიდი ლილოს სადაბო საბჭოს უნდა გამოეყოს სამგორის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დასახლება, რომელიც ამიერიდან მიეკუთვნება სოფლების ჯგუფს და გვთხოვდნენ ამ სოფლისათვის სახელის რეკომენდაციას. აღმასკომის თხოვნას თან ერთვოდა ამ დასახლების მცხოვრებთა კრების ოქმი. კრებაზე წარუდგენიათ რამდენიმე ალტერნატიული სახელი, რომელთაგანიცაა: ივერთუბანი, სანავარდო, ნაჯაფი, სავანე, სამგორი, კრებული, უღევარი, ფარი. აქ ჩამოთვლილ ტოპონიმთაგან მხოლოდ ორი — სამგორი და უღევარი — ამ რეგიონში ნამდვილად არსებული გეოგრაფიული ობიექტების სახელებია. დანარჩენი კი გახლავთ ხელოვნურად შეთხზული ტოპონიმი, რომელთა დარქმევა დასახლებული ობიექტისათვის ახლა ყოველად გაუმართლებელი და მიუღებელია. გაუმართლებელია თუნდაც იმიტომ, რომ მოსახლეობა ისეთ ხელოვნურ სახელებს, როგორცაა: შრომა, განთიადი, განახლება, ცოდნა... რომელთაც ოც-ოცდაათიან წლებში არქმევდნენ დასახლებულ ობიექტებს და ძირძველ ტოპონიმებს შეგნებულად თუ შეუგნებლად მასობრივად სპობდნენ. ჩვენდა საბედნიეროდ და სასიხარულოდ, დღეს იმ სოფლებს კვლავ უბრუნდებათ თავიანთი ნამდვილი სახელები. სწორედ ამიტომაც ახლა, სახელის შერქმევისას, გვჭირდება დიდი დაფიქრება. როგორც იტყვიან, ასჯერ უნდა გავზომ-ავწონოთ და ისე დავარქვათ ამა თუ იმ ობიექტს სახელი, რომ ხვალ ისევ გამოსაცვლელი არ დაგვიხდეს.

დავუბრუნდეთ აღნიშნული დასახლების სახელწოდების საკითხს. მეურნეობის დასახლების მცხოვრებთა საერთო კრებას საბოლოოდ დაუდგენია: სამგორის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დასახლებას დაერქვას სახელი „სამგორი“.

რა შეიძლება ამაზე ითქვას?

ორმოცდაათიან წლებში, როცა გამოიყვანეს სამგორის სარწყავი არხი, ბევრგან გაჩნდა ახალ-ახალი დასახლება, ზოგი ძველ ნასოფლარზე, ზოგიც დაუსახლებელ ადგილზე. მეტად სამწუხაროა, რომ

მაშინდელი ხელმძღვანელობა, ვისაც უშუალოდ ევალებოდა ეს საკითხი, სახელთა დარქმევისას წინდაუხედავად მოიქცა და სადაც სამგორის არხი მისწვდა, ახალ დასახლებათა უმრავლესობას „სამგორი“ უწოდა. ასე ხელოვნურად გაჩნდა: სოფელი ახალი სამგორი (ძველად კი ამ ადგილს ჩადივარი ერქვა). ეს სახელწოდება დღესაც კარგად ახსოვს მოსახლეობას, კერძოდ მარტყოფელებს, ადრე ვისიც იყო ეს ტერიტორია. ტოპონიმ „ჩადივარს“ იცნობს ქართული საისტორიო ძეგლები. „საცხენისის და ლოჭინის სამყრით არს სამგორის ველი და ჩადივარი“, — წერს ვახუშტი ბატონიშვილი (1, 538). ვახუშტისაგანვე ვიგებთ, რომ ჩადივარი ძველი კუხეთის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი ყოფილა (იქვე, 333).

ორმოცდაათიან წლებშივე თბილისის მახლობლად, ქარისების ველზე, ორხევის ზემოთ, ახლანდელი თეთრხევჭესის გვერდზე, შეიქმნა დასახლება, რომელსაც ასევე ხელოვნურად „სამგორის დასახლება“ უწოდეს (ახლა ეს დასახლება თბილისს შეუერთდა და მის ერთ-ერთ უბანს წარმოადგენს). ახალ სამგორსა და სოფელ გამარჯვებას შუა მდებარეობს კიდევ ერთი დასახლება, რომელსაც „სამგორის მეფრინველეობის ექსპერიმენტული ფაბრიკის დასახლება“ უწოდებენ. „სამგორი“ ჰქვია თბილისის მეტროპოლიტენის ერთ-ერთ სადგურს, აგრეთვე რესტორანს, საფირმო მალაზიას — ვაკეში...

სოფელ ნორიოს ჩამოაჭრეს საკმაოდ ვრცელი ტერიტორია, სადაც ორი დიდი მეურნეობა შეიქმნა: ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკა (ახლა ამ ფაბრიკის დასახლებას „წინუბანი“ ჰქვია!) და სამგორის მევენახეობის მეურნეობა. აი, სწორედ ამ მეურნეობის დასახლების სახელწოდებად ითხოვდნენ ტოპონიმ „სამგორს“. როგორც ვხედავთ, მაშინდელმა „ნათლიებმა“ ვერ გაითვალისწინეს ან არ გაითვალისწინეს მთავარი, რომ ტოპონიმის ძირითადი დანიშნულებაა მისამართის ჩვენება! ერთ რეგიონში ამდენ ერთსა და იმავე ტოპონიმს საორიენტაციო ფუნქცია რომ დაკარგული აქვს, ამ დასახლებათა მცხოვრებლები დიდი ხანია გრძნობენ და მტკივნეულად განიცდიან. აქვე უნდა ითქვას, რომ ყველა ამ ობიექტს თავისი საკუთარი სახელი გააჩნია და არაოფიციალურად გამოიყენება კიდევ. სამგორის მევენახეობის მეურნეობის დასახლებას, რომელსაც უკვე დიდი ხანია უფლება აქვს სოფლის სტატუსი ჰქონდეს, ოდითგანვე წასაგური ჰქვია. ამ სახელით იცნობენ მას გარდაბნის რაიონის, ეგრეთ წოდებული, ზემო ზონის სოფლების: დიდი ლილოს, მარტყოფის, ახალსოფლის, საცხენისის და, რაც მთავარია, ნორიის მოსახლეობა, ადრე ვისაც ეკუთვნოდა ეს ტერიტორია.

წასაგურის ტერიტორიაზე საუკუნეების მანძილზე გადიოდა

ქართლ-კახეთის სამეფოთა საზღვარი. ამას ადასტურებს ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ და ვახტანგ მეექვსის მიერ შედგენილი კანონთა კრებული „დასტურლამალი“.

ნასაგური გამჭვირვალე სახელია. იგი „ნასაკირალის“ ტიპის ტოპონიმია, ოღონდ უფრო გამარტივებული, ისე როგორც „ნახიდი“ (ნახიდი — სოფელია შიდა ქართლში). ნასაგურალი→ნასაგურალი→ნასაგური.

ნორიელებს, ვისგანაც 70-იან წლებში ჩავინერეთ ნასაგურის ტერიტორიაზე არსებული ტოპონიმია, კარგად ახსოვთ, რომ ამ ადგილებში ბევრი სააგურე ყოფილა, მათი ნაშთი აღწერის დროსაც იყო შემორჩენილი. ეს სახელწოდებაც სწორედ ამიტომ დარქმევია ამ ადგილს.

სულ ახლახან თბილისის საქარხნო რაიონს სამგორის რაიონი უწოდეს. ახლა კიდევ ერთ სოფელს რომ დავარქვათ — „სამგორი“, ვფიქრობთ, ყოვლად გაუმართლებელი იქნება (ეს კი არა, რაიონსაც აჯობებდა ქარისების ან ვერკეთილის რაიონი დარქმეოდა!). რაც მთავარია, ეს ტოპონიმი სამგორი თავის დანიშნულებას ვერ შეასრულებს, მას ვერ ექნება სამისამართო ფუნქცია. ამიტომ, როგორც ზემოთაც ითქვა, ამ დასახლებულ ობიექტს ოფიციალურადაც უნდა ეწოდოს თავისი ნამდვილი სახელი — ნასაგური! ვთქვათ და სამგორი დავარქვით, მას ხომ კვლავ დასჭირდება დამატებითი ცნობები, თუ რომელ სამგორზეა საუბარი? აქაურმა მოსახლეობამ ხომ ისევ უნდა დაანეროს წერილს სადგური ლილოც ან მგელაძის მეურნეობა (პირველი დირექტორის სახელი), რათა სამგორის სხვა დასახლებებში არ აერიოთ.


ისე კი, საოცარი ხალხი ვართ, სადაც სამგორის არხი გავიდა, ყველა დასახლებას ლამის „სამგორი“ დავარქვით. ნამდვილ, ისტორიულ სამგორს კი, სადაც მართლაც მდებარეობს სამი გორა-ყორღანი, ჩვენდა დაუდევრად სახელი გადავარქვით და აქ მდებარე მეურნეობას „მუხროვანის მეურნეობა“ ვუწოდეთ, თუმცა, სოფელი მუხროვანი ათი-თხუთმეტი კილომეტრითაა აქედან დაშორებული. უკვე დადგა დრო, ყველაფერს დავუბრუნოთ თავისი ნამდვილი სახელი. ტოპონიმთა წარამარა გადაკეთებით კი ჩვენს ისტორიულ წარსულს ამკარად შეურაცხვეყოფთ. როგორც ჩანს, ზოგიერთები ამას ვერ გრძნობენ და ვერ ხედავენ.

სამგორი შესანიშნავი ტოპონიმია, მაგრამ ეს არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ იგი ყველა ობიექტს დავარქვათ. ეს ტოპონიმი შესანიშნავია თავისი ისტორიული წარსულით, იმ გადმოცემით, რაც ხალხმა შექმნა მასზე. უღერადობაც მხოლოდ ამ გადმოცემამ მიანიჭა მას. რა უღერადობა ჰქონდა ტოპონიმ „წერაქვს“? არაფერი! მაგ-



რამ ამ სოფელმა შობა დიდი ქართველი მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი და ტოპონიმიც საქვეყნოდ გახმაურდა.

ტოპონიმი ნასაგური, დაგვეთანხმებით, წერაქვზე უღერადია თავისი შემადგენელი ბგერებით. თუმცა შეიძლება ზოგს არ მოსწონდეს, რადგან ამ დასახლებულ ობიექტს ისტორიული წარსული არ გააჩნია. მაგრამ რაკი სოფელი უკვე დამკვიდრდა, აქ დაბადებული თაობა მისი პატრიოტია უკვე. გავა წლები და შეიძლება აქაც დაიბადოს დიდი მწერალი, მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე... და მაშინ ამ სოფლის — ნასაგურის -- სახელიც საქვეყნოდ გახდება ცნობილი!





## ვარკეთილი თუ ვერკეთილა?

თბილისის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე მეხილეობის მეურნეობას „ვარკეთილი“ ჰქვია. იგი სამგორის არხის გამოყვანის შემდეგ, ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში შეიქმნა. ადრე ამ ადგილს „ვერკეთილას“ უწოდებდა მოსახლეობა და ძირითადად საძოვრებად და სახნავ-სათესად იყენებდნენ. ბალ-ვენახების გაშენების შემდეგ სახელწოდება „ვერკეთილა“ უკვე შეუფერებელი ეჩვენათ და მეურნეობას „ვარკეთილი“ უწოდეს. ახალმა ნათლიებმა სიტყვა „ვერკეთილა“ — ცუდის, უხეიროს, ხრიოკის შინაარსით გაიგეს, თითქოს ეს ადგილი თვითონვე ამბობდეს: „ვერა ვარ კეთილიო“, ახლა კი, როცა აქ ბალ-ვენახები გააშენეს და ხრიოკი ადგილი ააყვავეს, ძველი სახელი აღარ შეეფერებოდა. მეურნეობის ტერიტორიის მიმდებარე საცხოვრებელ მასივსაც, რომელსაც 1968 წლამდე „დამპალა“ ერქვა, საქალაქო საბჭოს დადგენილებით „ვარკეთილი“ უწოდეს. მიზეზი იგივე იყო, სახელწოდება „დამპალა“ თანამედროვეობას არ შეეფერებოდა.

1974 წელს, როცა ამ მხარეში ვაგროვებდი ტოპონიმიკურ მასალას და ჩვენთვის საინტერესო გეოგრაფიული სახელი ადგილზე შევისწავლე, ძველი სახელწოდების — გაგება, რაც მას უხეიროს, ცუდის, ხრიოკის შინაარსს სძენდა, საეჭვოდ მეჩვენა. მიზეზი საკმაოდ ბევრი იყო. ჯერ ერთი, ეს მხარე — თბილისის ზღვის ტერიტორია — ძველი მლაშე ტბების (ანუ ტბების, როგორც შემოკლებით უწოდებდნენ) ნაპირები და მათი მიმდებარე ადგილები წინათ ხომ ზამთრის საუკეთესო საძოვრებად ითვლებოდა. სანამ აქ „ზღვა“ გაჩნდებოდა, პატარა ლილო, დიდი ლილო, ლენინისი (ძველი ქვიშიანი), წითელუბანი, ნორიო, მარტყოფი, გლდანი და აგრეთვე სხვა ახლომახლო თუ შორეული სოფლები თავიანთ ცხვარ-ძროხას მთელი ზამთრის განმავლობაში აქ აძოვებდნენ. მეორეც, როგორც ფშავრობელმა (პატარლილოელმა) მოხუცებმა (ვისი ტერიტორიაც იყო დღევანდელი ვარკეთილი) გვითხრეს, იქ პურეულის კარგ მოსავალს იღებდნენო. და, კიდევ, ტოპონიმთა აღწერის დროს დადგინდა, რომ ვერკეთილა თავდაპირველად ერქვა წყაროსა და მასთან ახლოს მდებარე გორას, შემდეგ კი ეს სახელი წყაროს-გარშემო მდებარე მინდორზეც გავრცელებულა.

ბუნებრივია კითხვა: სხვაგანაც თუ გეხვდება ეს ტოპონიმი? ჯერჯერობით სულ რამდენიმეს მივაკვლიეთ: დუშეთის რაიონის სოფელ სოდევეში „ვერკეთილი“ ხატს ჰქვია (მისი სახელი კი ხშირად ადგილის სახელწოდებიდან მომდინარეობს ხოლმე); სოფელ წინამხარში კი (ესეც დუშეთის რაიონშია) ვაკე ადგილს უწოდებენ „ვერკეთილს“. ვერკეთილი სოფლის სახელწოდებად ვახუშტი ბატონიშვილსაც აქვს შეტანილი თავის ფუნდამენტურ შრომაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ მაშავრის ხეობის სოფლების სახელებთან ერთად.

ზემოიქვეთის ტოპონიმიკურ მასალაში, რომელიც უშუალოდ ტოპონიმიკის ლაბორატორიის თანამშრომელთა მიერაა ჩანერილი, დასტურდება ასეთი ტოპონიმები: ვერხმელა (სახნავია თერჯოლის რაიონის სოფელ გოდოგანში), ვერხმელა//ხერხმელა (ხევის სახელია ჭიათურის სოფელ გეზრულში), ვერტყვილა ჰქვია სოფელსა და ხევს ხარაგოულის რაიონში. ეს ვერტყვილა ვახუშტისაც აქვს აღნიშნული თავის ნაშრომში.

ზემოიქვეთის ტოპონიმებში „ვარხმელა“ რვაჯერ გვხვდება, აქედან შვიდი ჰიდრონიმია.

სიტყვა ხმელი (ხმელა) მშრალის მნიშვნელობით იხმარებოდა და ახლაც იხმარება, რაც ტოპონიმიაშიც დასტურდება. ყველასთვის კარგად ცნობილია სოფელი ტაბახმელა თბილისის გვერდით. ამ ტოპონიმში ხმელს (ხმელას) გამოჰყოფენ, ტაბა კი ტბის ადრინდელი ფორმაა. ტაბახმელა სხვაგანაც დასტურდება, კერძოდ, იგი ახალციხის რაიონის სოფელ მუსხში ერთ ჩადაბლებულ ადგილს — ლელეს ჰქვია.

უეჭველია, ამ ვერხმელა-ვარხმელა-ში უნდა გამოიყოს „ხმელა“. თუ აქაც ვერკეთილა-ვარკეთილის ანალოგიასთან არა გვაქვს საქმე, მაშინ ეს ძირები: ვერ-ვარ ვარიანტებად უნდა ჩავთვალოთ. როგორც ვთქვით, ამ ვერ-ვარ ძირების შემცველი ტოპონიმები ვერკეთილა, ვერხმელა, ვარხმელა, ვერტყვილა და სხვა, ძირითადად ჰიდრონიმები ანდა წყლისპირად მდებარე ადგილების სახელია.

მტკვრის მარჯვენა შენაკადს, რომელიც თბილისში ერთვის, ვერე ჰქვია. ამ მდინარეს ზოგჯერ ვერასაც ეძახიან. როგორც ჩანს, ადრე მას სხვა სახელიც ეწოდებოდა. ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „ხოლო კოჟრის ჩრდილო კერძ არს სკვრეთის მდინარე, ან ნოდებუ-ლი ვერედ“ (1, 329). ვერე კიდევ ერთ მდინარეს რქმევია, რომლის გვერდზეც დაბა და ციხეც ყოფილა ამავე სახელწოდებისა. ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომში ვკითხულობთ: „მტკვრის სამჯრით დასავლეთიდან ერთვის ატენის-წყალს ნედისის-ჭვევი... კუალად ატენისწყალს მოერთვის აღმოსავლიდან ვერის-ჭვევი“ და იქვე „ვერის დაბის

დასავლეთ არს, დანახვისის მთის ძირს, მონასტერი... ყოვლადმინდისა". (1,342-43).

გომბორის საკრებულოში (საგარეჯოს რაიონშია) შედის სოფელი ვერონა, სადაც ამჟამად ხევსურები ცხოვრობენ. ვერნები ჰქვია სოფელს აჭარაში (ხულოს რაიონის ხიხაძირში შემავალი სოფელია). ვერონასაც და ვერნებსაც ერთნაირად ხსნის ხალხური ეტიმოლოგია. „სოფელი მტერს აუოხრებია, გაუვერანებია და ამიტომ ჰქვია ეს სახელი“. რა თქმა უნდა, ხალხურ ეტიმოლოგიას გულისყურით უნდა მოვეყიდოთ, მაგრამ ვფიქრობთ, აქ ჩვეულებრივ გადააზრიანებასთან უნდა გვეკონდეს საქმე. ხალხმა ტოპონიმები სიტყვა „ვერანას“ დაუკავშირა და ადვილად გასაგები შინაარსი ჩადო შიგ. ჩემი აზრით, ამ ტოპონიმებში უნდა გამოიყოს საერთო ძირი „ვერე“. საინტერესოა, რომ ვახუშტის ნაშრომში ვერონის ნაცვლად ვერენის ციხე გვხვდება. ვერენა დასტურდება უფრო ადრეც, 1579 წელს სვეტიცხოვლისადმი გაცემულ ერთ-ერთ გუჯარში, რომელსაც ხელს აწერს კახეთის მეფე ალექსანდრე მეორე.

დავუბრუნდეთ კითხვას — ვერკეთილა თუ ვარკეთილა?

ყოველივე ზემოთქმულიდან ჩვენ ვერკეთილას ვუჭერთ მხარს, რადგან ვერკეთილა უნდა ნიშნავდეს კეთილ, კარგ ვერეს და არა, „ვერ იკეთილას“ ანუ ცუდს, უხეიროს!

შეიძლებოდა კი, რომ ამ წყაროს „კეთილი ვერე“ შერქმეოდა? ჩვენ ვიცით, რომ სახელდების პროცესში მრავალი ფაქტორი მონაწილეობს. კერძოდ, გეოგრაფიულ გარემოსა და ობიექტის ნიშანთვისებასაც დიდი ანგარიში ეწევა. ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმს კი იმიტომ უნდა შერქმეოდა ეს სახელი, რომ იგი ახლო-მახლო მდებარე წყაროებთან შედარებით ყველაზე უკეთესი წყალი იყო. შედარებისათვის ისიც კმაროდა, რომ ვერკეთილის სამხრეთით მდებარეობდა ჭაობიანი მინდორი, რომელსაც „დამპალა“ ერქვა.


გამოჩენილი ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი „მარტყოფის მონასტრის აღწერაში“ ლილოს მთაზე გამომდინარე აშკარეთის წყაროს შესახებ წერს, რომ ეს არისო „ერთადერთი უკვდავების წყალი მთელ საქართველოში“. მართალია, აშკარეთის წყალი კარგი სასმელია, მაგრამ დღეს რომ მასზე გაცილებით უკეთესი წყაროებია გამოვლენილი საქართველოში, ეს ხომ ცხადზე ცხადია, თუმცა, ჩვენ მართალი არ ვიქნებით, ისტორიკოსს რომ არ დავუჯეროთ...

როგორც უკვე ვთქვი, ვერე საკმაოდ ბევრ ტოპონიმში დასტურდება: ვერკეთილა, ვერხმელა, ვერტყვილა, შულავერი, მაშავერი და სხვა. აქედან უმრავლესობა ჰიდრონომია. მეტიც, ვერე ორ მდინარესაც ჰქვია საკუთარ სახელად. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ვერე ჰიდრონიმული ტერმინია, თუმცა ამას შემდგომი კვლევა დაადგენს.

ახლა კი ისევ ვერკეთილას დაეუბრუნდეთ. ჩვენს ობიექტს ორი გარემოების გამო უნდა დარქმეოდა ეს სახელი. ჯერ ერთი, მის გვერდით მდებარეობდა დაჭაობებული ადგილები — დამპალა ანდა, შეიძლება მართლაც გამორჩეული იყო ეს წყარო — ვერკეთილა! გავიხსენოთ, რომ თბილისის ზღვის ტერიტორიასა და მის მიმდებარე ადგილებს ოდითგანვე ზამთრის საძოვრებად იყენებდნენ, ვერკეთილის წყალი კი მარილიანია, პირუტყვის სასმელად მეტად საჭირო და სასარგებლო, შეიძლება ჩვენმა წინაპრებმა სწორედ ამიტომ უწოდეს ვერკეთილი// ვერკეთილა, (ე.ი. კეთილი ვერე, კარგი წყალი!).

როგორც ვხედავთ, ტოპონიმ ვერკეთილის შეცვლა ვარკეთილად გაუგებრობისა თუ დაუკვირვებლობის ბრალია. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მსგავსი წარმოება ქართული ტოპონიმისათვის უცხოა.

სამართლიანობა აღდგება, თუ ამ გეოგრაფიულ პუნქტს დაეუბრუნებთ თავის ძველ სახელწოდებას — ვერკეთილას.





## გლდანი თუ გრდანი?

აკადემიკოს შალვა ნუცუბიძისათვის უკითხავთ: — ბატონო შალვა, რომელი უფრო სწორია — „გლდანი“ თუ „გრდანი“?

— გლდანიო, — უთქვამს ბატონ შალვას.

— რატომაო?

— იმიტომ, რომ მე ასე ვამბობო.

არ ვიცი, მართლა იყო თუ არა ასეთი საუბარი. ის კი დანამდვილებით ვიცი, რომ ამ სოფლის მკვიდრი მოსახლეობა, განსაკუთრებით ძველი თაობა, ასევე ახლომახლო მდებარე სოფლების: საგურამოს, ლილოს, ნორიოს, მარტყოფის მაცხოვრებლები სოფელს გრდანს ეძახიან, აქაურებს კი — გრდანელებს.

საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარებში (ბოლო გამოცემებში) „გლდანი“ ფორმითაა შეტანილი, თუ რატომ მიენიჭა ამ ფორმას უპირატესობა, არაა ახსნილი.

ამ რამდენიმე წლის წინათ ერთი საინტერესო წერილი წავიკითხე სახელგანთქმულ ქართველ ფალავანზე, რომელმაც პირველმა დაუდო საფუძველი ქართულ პროფესიულ ჭიდაობას. გაზეთში მოთავსებული იყო სპორტულ ფორმაში გადაღებული მისი სურათიც, რომელზეც მუქი, დიდრონი ასოებით ეწერა: კულა გრდანელი. ეს სურათი ამ წარწერით სხვაგანაც მინახავს, მძლოლების კაბინებში, საპარიკმახეროებში... საგაზეთო წერილში, საპირისპიროდ სურათის წარწერისა, ყველგან „გლდანელი“ ეწერა. თუ რატომ, ეს არ იყო ნათქვამი.

ცნობილია, რომ აკაკი წერეთელს კულა გრდანელზე პოემა აქვს დანერილი (მართალია, ავტორი დადებითად არ აფასებს კულას სპორტულ საქმიანობას, მაგრამ ეს სულ სხვა საკითხია და ამაზე აქ არ შევჩერდებით) და სახელმოხვეჭილი ფალავანის ფსევდონიმი ათჯერ დასტურდება ამ თხზულებაში და ათჯერვე „გლდანელის“ ფორმით.

1923 წელს ივანე ჯავახიშვილის რედაქტორობით გამოცემულ საქართველოს ისტორიულ რუკაზე ამ სოფლის სახელწოდებად გრდანია დატანილი.

ჩვენს ხელთ არსებულ საისტორიო წყაროებსა თუ სამართლის

ძეგლებში სოფლის სახელწოდება ორივე ფორმით დასტურდება, ოღონდ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უფრო ხშირია „გრდან“ ფორმა. დიდ ქართველ ისტორიკოსს ვახუშტი ბატონიშვილს თავის ფუნდამენტურ შრომაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ეს ტოპონიმი ცხრაჯერ აქვს დაფიქსირებული და ცხრაჯერვე „გრდანი“ წერია. „არამედ შემდგომად განდგომისა გრიგოლ მთავრისა (კახეთის მთავრის — უ.ს.), — ვკითხულობთ ვახუშტის შრომაში, — ამას დაედა გრდანი, ლილო და მარტყოფი, და იწოდა ესენი გარდაბნად“ (1, 380. ხაზი --- უ.ს.).

კუხეთის აღწერისას ვახუშტი გვაუწყებს, რომ „კუხოსს მისცა საზღვარი: აღმოსავლით მთა კახეთისა, სამკრით საზღვარი ჰერეთისა, რომელი არს ხუნანის გამოსწვრივ გულგულადმდე, დასავლით მტკვარი და არაგვ; ჩდილოთ იგივე მთა კახეთისა და ამას შორისს ქუეყანას ეწოდა კუხეთი, კუხოსის სახელის გამო, არამედ ან უწოდებენ თიანეთს, საგურამოს ანუ თეძმის ჴევს... კულად გრდანი, მარტყოფი, ლილო, დიდუბე, სამგორი, ჩადივარი, ომანისჴევი, ყარალაჯი, ნაგები და ყარაია“ (1, 524-25. ხაზი — უ.ს.); როგორც ვხედავთ, ვახუშტი ბატონიშვილი გრდანს ლილო-მარტყოფთან და საგურამოთიანეთთან ერთად ისტორიულ კუხეთში ათავსებს. შემდეგ იმასაც გვაუწყებს, რომ, როცა კახეთის მეფემ კვირიკე დიდმა თავისი სამეფო საერისთავოებად დაჴყო, ერთი ერისთავი ქალაქ რუსთავში დასვა და მისცა „სრულიად კუხეთი, რომელი არს ნაგები (რუსთავის გვიანდელი სახელწოდებაა — უ.ს.) ყარაია, ჩადივარი, სამგორი, უჯარმა, ლილო, მარტყოფი, გრდანი. ხერკი (იგივე საგურამო — უ.ს.) და თიანეთი, არაგვს კერძო ჟინვანამდე“ (1, 561. ხაზი — უ.ს.).

ვახუშტი ბატონიშვილი სხვა ადგილას უფრო ზედმინევნით აღწერს გრდანსა და მის სანახებს. „აღმოსავლით აქუს ამ მთას (ზედაზენს — უ.ს.) ერწო, დასავლით გრდანი, ხოლო ზედაძნის მთას უძეს სამკრით გრდანი და ჩდილოთ ხერკი, და არს ტყიანი მთა ესე და ნადირიანი... ამას ქუეთით გრდანამდე არს ველი მთასა და მტკუარს შორისი, და არს დაბნები მთასა შინა მცირე ნყაროთი, უვენახო, უხილო. ხოლო ჴეობა გრდანისა და მდინარე მისი გამოსდის ზედაძნის შესართავს ერწოს მთას, დის გრდანამდე ჩდილოდამ სამკრით, მერმე აღმოსავლიდამ დასავლეთად და მიერთვის ავჭალას აღმოსავლეთიდან მტკუარსა... განჴყოფს გრდანს: აღმოსავლით ერწოს მთა, სამკრით ჴევძმარი, ლილო, მარტყოფი, ჩრდილოთ იალონი, დასავლით მტკუარი და არაგვ“ (1, 536-37. ხაზი — უ.ს.).

სოფელთა სიაში, რომელიც ვახუშტი ბატონიშვილმა დაუტოო თავის ნაშრომს, გრდანისა და საგურამოს ხეობაში ორი სოფელი დასტურდება ამ სახელწოდებით, მათ გვერდით დასახელებულია „დუმაგრდანიც“ (15, 205). ამავე ფორმით აქვს შეტანილი იოანე ბატონიშვილსაც „ქართლ-კახეთის აღწერაში: „კახეთს რაც სოფლები მიეწერება ჩრდილოეთის კერძობ, რომელიც მდებარეობს გრდანისა და საგურამოს ხეობისა, არიან შემდგომნი ესე, სამეფო, სათავადო, სააზნაურო და საეკლესიო სოფლები და ადგილნი: გრდანი (2), ავჭალა (2), ტევანი. დუმაგრდანი (2), მანკოდა, ლელუბანი, ტუტალა, ჯაჭვი, ფოსო, ჯვარი...“ (17, 64, ხაზი — უ.ს.), როგორც ვხედავთ, იოანეს დროს დუმაგრდანიც ორია. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ტოპონიმი 1923 წლის რუკაზეცაა დატანილი, ოღონდ აქ რატომღაც „დუმაგრდი“ წერია.

ერთ-ერთ სამართლის ძეგლში „არზა ეფიფანესი და ფარსადანისა მამულის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით“, რომელიც გაცემულია 1789 წლის 9 სექტემბერს, ვკითხულობთ: „ქ. ღმერთმა მათის უმაღლესობის ჩვენის ხემნიფის დედოფლის ჭირი მოსცეს მათს მდაბალს მონათ ეფიფანესა და ფარსადანს. ჩვენო ხემნიფევ, გრდანში თქვენი წყალობა მამულები გვაქ, ჩვენ იქიდამ ვერასა ვრჩებით სიშორით და ხან მოუცლევლობით, ჩვენი განაყოფები ... ჩვენ წილს არ გვაძლევენ მართებულათ“ (32, 16-17).

ეს ტოპონიმი ამ ფორმით კიდევ ერთ საბუთში გვხვდება. ეს გახლავთ „მამულების მფლობელობის განახლების წიგნი ალექსანდრე II-ისა (კახეთის მეფის — უ.ს.) სვეტიცხოვლისადმი“, რომელსაც 1579 წლით ათარილებენ. ამ საბუთით ვიგებთ, რომ „გრდნული შარა“ საზღვარია სვეტიცხოვლის მამულებისა (2, 200). ეს ძეგლი ჩვენს ხელთარსებული პირველი თარიღიანი საბუთია, სადაც ტოპონიმი „გრდანი“ დასტურდება. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ამავე საბუთში „გლდანიც“ გვხვდება: „გლდანს ლაჭიაძე გიორგი და გულბათ თავისის მამულითა“, ეკუთვნოდა სვეტიცხოველს“ (იქვე).

„ღმრთაების გუჯარი“ გვაუწყებს, რომ ეს სოფელი მარტყოფის მონასტრის სამწყსო ყოფილა. „ხოლო სამწყსოთათვის და სამრევლოსათვის, რაოდენიცა ქონან, ესე არიან: მარტყოფნი და ბოსტანქალაქელნი, ნასომხარნი, ვანკოდა და ლილონი, გლდანი და ჯაჭვნი...“ (2, 363). ამავე საბუთიდან იმასაც ვიგებთ, რომ „ლილონი, გლდანი და ჯაჭვნი ანგარებითა და მძლავრობით მიეტაცათ ქართლისა კათალიკოსთა და თბილელთა...“ ამის თაობაზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ



და აქ აღარ გავაგრძელებთ. „ღმრთაების გუჯარი“ იმასაც გვაუწყებს, რომ ეს სოფელი ჯანდიერიშვილებისა ყოფილა. „ამა მათა მინა (საუბარია გრდანის მიმდებარე მთებზე უ.ს.), ოდეს საბალახე აილებიან, ჩვენ მეფეთა არა რა წილი გვიძენ, არცა ჩვენთა მოჭელეთა. გარნა ორნი წილნი ღმრთაებისა არიან და ერთი წილი ჯანდიერიანთ, რომე გლდანი და ჯაჭვნი მათნი არიან“ (2, 374. ხაზი უ.ს.).


ჯანდიერიშვილები ამ სოფელში მამულებს რომ ფლობდნენ, ამას სხვა საბუთიც ადასტურებს, ესაა „მორიგების წიგნი ჯანდიერიშვილებისა გურამიშვილებისადმი გლდანისა და ავჭალის წყლის საქმეზე“, რომელსაც მეთექვსმეტე საუკუნის ოთხმოციანი წლებით ათარილებენ. „ქ. ნებითა ღმრთისათა ჩუენ, ჯანდიერიშვილებმა, გრიგოლ, როსაბ, შიოშ, სულხან, ბეჟან, ჯანდიერ, ხოსრომ და გოგიჩამა ესე ამიერიტგან უკუნისამდე ჟამთა გასათავებელი წიგნი მოგახსენე თქუენ — ბატონსა იოთამს, შიოშს, ყაფარბეგს და თქუენთა შვილთა ასრე და ამა პირსა ზედა, რომე ჩუენსა და თქუენს შუა ბევრი რამ სარჩელი იყო გლდნისა და ავჭალის წყლის საქმეზედა. მივდეგით ზედა, მოკითხულით ვქენით და საფიცრად ვარდებოდა. ჩუენ ფიცი აღარა ვქენით, ფიცი ორთავ დაგვაზიანებდა და მოგეცით ლომსაურთ რუ და დაგანებეთ“ (37, გვ. 606). ამ ვრცელ ამონაწერში ისიც საყურადღებოა, რომ ეს ტოპონიმი ნათესაობით ბრუნვაში შეკუმშული ფორმითაა წარმოდგენილი: „გლდნის... წყალი“, ასევე შეკუმშულია 1579 წლის საბუთშიც „გრდნული შარა“, ეს კი მეტად საინტერესოა ენათმეცნიერებისათვის.

ცნობილ რუსთველთა შორის ორნი ჯანდიერისშვილები არიან, არაა გამორიცხული, რომ ერთ-ერთი მათგანი (ან ორივენიც), ზემოთ ნახსენები ჯანდიერიშვილების წარმომადგენელი იყოს. აქ ზდამონმებული „ღმრთაების გუჯარი“ დომენტი ჯანდიერიშვილს შეუქერვინებია 1737 წელს. „მე ყოვლად უღირსმან რუსთველ მიტროპოლიტიმან დომენტიმ ეს ღმრთაების გუჯარი დაშლილ იყო და შევაკერვინე... მჯდომარებასა ჩემსა ხარისხსა ამას ზედა წელსა მეორესა“ (51, 87).

სხვა საბუთების დამონმება შორს წაგვიყვანდა. ვფიქრობთ, ამ ტოპონიმის ისტორიის გასაცნობად ესეც საკმარისია. როგორც ვხედავთ, აქ მოტანილ წყაროებში ორგვარადაა წარმოდგენილი: გრდანი//გლდანი, უფრო ხშირია პირველი ფორმა. ასევეა ზეპირ საუბარშიც. რომელია მათ შორის სწორი ფორმა, გრდანი თუ გლდანი. ამას მომავალი კვლევა დაადგენს. ოღონდ აქ კი ვიტყვით, რომ ე.წ.

„გლდანულა“, ახალი დასახლების (მასივის) სახელად რომ ვრცელდება, შეცდომაა. უნდა იყოს გრდანულა.

როგორც ზემოთაც დავინახეთ, ამ სოფელზე ჩამომდინარე წყალს ვახუმტი გრდანის წყალს უწოდებს. გრდანის წყლის პარალელური ფორმაა გრდანულა. -ურა სუფიქსი რომ ჰიდრონიმთა მანარმოებელია, ეს ცნობილი ფაქტია. დილომ-ი → დილმ-ურა, ჩარგალ-ი → ჩარგლ-ურა... თუ ფუძეში რ ბგერა გვაქვს და მას უშუალოდ მოსდევს ურა სუფიქსი, იგი დისიმილაციით ულა-დ იქცევა. ამიტომაც გრდან-ი → გრდან-ულა. ეს ჰიდრონიმი გლდან ფუძიდან რომ მომდინარეობდეს, მაშინ იქნებოდა: გლდან-ი → გლდან-ურა და არა გლდანულა.





## მამკოდა

გრდანისწყლის (გრდანულის) ხეობას თუ აუწყებთ, მარცხენა მხარეს თვალწინ გადაგვემლება ნასოფლარი მამკოდა. ზემოთაც ვთქვით, როდესაც ნასოფლარს, ნაქალაქარს, ნავენახარს, ნაბლარს... გავიგონებთ, ან სადმე ამოვიკითხავთ, მაშინვე მტრის შემოსევები გაგვახსენდება, როცა ჩვენს სამშობლოში ველური ურდოები ქვას ქვაზე აღარ ტოვებდნენ. და აყვავებული ქვეყნის ნაცვლად რჩებოდა ნასახლარები, ნაფუძრები, ნასოფლარები... ასეთი გეოგრაფიული სახელწოდებები უამრავია საქართველოს მიკროტოპონიმიაში.

ნასოფლართა რიგს განეკუთვნება მამკოდაც. თუმცა უნდა ითქვას, რომ იგი გარეშე მტერს არ აღუგვია პირისაგან მიწისა. შინაურმა მტერმა, ჩვენმა გულგრილობამ და წარსულისადმი უპატივცემლობამ აქცია ნასოფლარად. ამ ორმოციოდე წლის წინათ თბილისის შემოგარენში მრავალი სოფელი კიდევ არსებობდა, შემდეგ კი კოლმეურნეობების გაზრდა-გამსხვილებამ, უფრო კი მათმა გადაკეთებამ საბჭოთა მეურნეობებად, ბევრი სოფელი დაშალა და დააცარიელა. ეს დაცარიელებული ადგილები ძირითადად საძოვრებად თუ სახნავეებად აქციეს ან სატყეო მეურნეობებს გადასცეს გასატყეებლად. და აი, ამ ათი-თორმეტი წლის წინათ, როცა გრდანულის ხეობა აღვწერე, აქ აღარცერთი სახლი აღარ დამხვედრია. ამ მშვენიერ ადგილას, ადრე რომ სოფელი უნდა ყოფილიყო, ამას მხოლოდ ნასოფლარს ზემოთ, მთაზე შეფენილი ძველი სასაფლაო და აქვე მდგარი ლამაზი ეკლესია ადასტურებდა.

ამ ნასოფლარის ტოპონიმთა (გეოგრაფიული ობიექტების სახელების) აღწერაში დიდი დახმარება გავგინია ძველი მამკოდის მკვიდრმა ლადო ბერიძემ, რომელმაც თვალცრემლიანმა ფეხდაფეხ დაგვატარა მთელი ტერიტორია და თითოეული მტკაველი მიწის სახელი საგულდაგულოდ ჩაგვანერინა (თუ ოდესმე აღდგა სოფელი მამკოდა, ამ ჩანენერებს გამოვიყენებთ და უკლებლივ დავუბრუნებთ ძველ ტოპონიმებს!).

როდის შეიქმნა სოფელი მამკოდა, ახლა ძნელია ამის თქმა, ის კი ამკარაა, რომ იგი ქართულ სამეფო კარს ძველთაგანვე მარტყოფის მონასტრისათვის შეუწირავს. „ხოლო სამწყსოთათვის და სამრევ-

ლოთათვის, რაოდენიცა ქონან (მარტყოფის მონასტერს — უ.ს.) ესე არიან: მარტყოფნი... ვანკოდა, და ლილონი, გლდანი, და ჯაჭვნი, და ლელუბანნი..." ვკითხულობთ „ღმრთაების გუჯარში" (2, 363).

ამ საბუთიდან იმასაც ვიგებთ, რომ მამკოდა მხოლოდ რუსთველებისა და აღნიშნული მონასტრის სოფელი ყოფილა, მასზე ხელი არავის ჰქონია, არც თავადაზნაურობას და არც თვით სამეფო კარს: „ვანკოდა სრულიად რუსთველისა და საყდრისა (მარტყოფის მონასტრის — უ.ს.) არის ყოველის საქმით, რომელ ჩუენთა მოსაქმეთა შეუვალ არს. უკეთუ ვინმე ბართა ანუ მათათა შემოეცილებოდნენ მეზობელნი, მივიდენ ჩვენი არგანთა მპყრობელნი (ანუ დღევანდელი პოლიციელები — უ.ს.) და რუსთველის ყმათ ვანკოდელთ თავისი მამული იფიცონ. ამისთვის რომე ხატი ღმრთაებისა მათ უტვირთავნ და სამონოდ ამის ხატისანი არიან" (2, 364).

მარტყოფის მონასტერი მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის სახელზეა აგებული. როგორც ამ ვრცელი ამონაწერიდან ვიგებთ, მამკოდელებს დიდი და საპატიო მოვალეობა ჰქონიათ, სწორედ ისინი ყოფილან მტვირთველნი ამ დიდებული ხატისა, რომლის სასწაულმოქმედება მთელ საქართველოში იყო განფენილი.

ამავე „ღმრთაების გუჯარში" დაწვრილებითაა აღწერილი მამკოდის საზღვრები: „ამიერიდან მახლობელად ღმრთაების საყდრისა პირისპირ არიან სოფელნი ჭოპორტა, ზოგნი მსახლობელნი და უმეტეს უშენნი, ნაოჭარნი, ესე ჭოპორტა არს სამძღვრით ვანკოდამდე და აქეთ ნორიის თავადმდე... ხოლო ვანკოდის საზღვრებნი და რიგნი ზემოცა დაგვიწერიან და აქაცა ამის ვანკოდისა გარიგება იუნყეთ, თუ მთანი ანუ ბარნი, ვითარ და რაოდენ აქვსთ: ბოლო ვანკოდისა და მინდორი არს ვიდრე მტკვრამდენ, ავჭალის ჩამოღმა ლელვთყელამდე... ესე მინდორნი ამა საზღვართა შუა ვანკოდისანი არიან და წყლის სანაპირო სათევზეთ ბადეთა სასმელად..." (2, 373-74. ხაზი — უ.ს.).


როგორც ვხედავთ, ძველ მამკოდას საკმაოდ ვრცელი ტერიტორია სჭერია, მისი საზღვარი ავჭალამდე და მტკვრამდე ვრცელდებოდა. როგორც ამავე „გუჯარიდან" ჩანს, მდინარე მტკვარშიც კი ჰქონია სათევზაო ადგილები. თუ იმასაც აღვნიშნავთ, რომ სულ რაღაც სამი აბაზი უნდა გადაეხადათ სახელმწიფოსთვის, მკითხველი უეჭველად დაგვეთანხმება, რა დიდი პატივით უსარგებლია აქაურ მოსახლეობას: „მარტყოფის ხუცესთა და ვანკოდოისათა (სხვა ხელნაწერში მანკოდისათა წერია — უ.ს.) ყოველთა აღვსებათა სამნი აბაზნი აძენ და სხვა არა-რა" (2, 364).

მოტიანილ ციხატებში ვანკოდა წერია, ჩვენ კი ტოპონიმ მამკოდაზე დავიწყეთ საუბარი. შეიძლება მკითხველს ეჭვი გაუჩნდეს, აქ სხვა

ტოპონიმი ხომ არ იგულისხმება ამ ციტატებშიო. არა, მოტანილ ამონაწერებში სწორედ ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმ „მამკოდაზეა“ საუბარია.

ამ სოფელს (ახლა უკვე ნასოფლარს) ადრე ვანკოდა ერქვა. მეთერთმეტე საუკუნიდან მანკოდა ჩნდება. ამ ფორმით აქვთ შეტანილი სოფელთა სიაში ვახუშტი და იოანე ბატონიშვილებს თავიანთ შრომებში. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, „ღმრთაების გუჯარში“ (ერთ-ერთ ხელნაწერში) ამ ფორმითაცაა დაფიქსირებული.

ტოპონიმის განვლილი გზა ასე წარმოგვიდგება: ვანკოდა → მანკოდა → მამკოდა (როგორც ცნობილია, ვ და მ მონაცვლე ბგერებია (ვანკოდა → მანკოდა), შემდეგ მ-ს ასიმილაციით ნ მ-დ იქცა (მანკოდა → მამკოდა). ტოპონიმი ვანკოდა გამჭვირვალეა. იგი ორი სიტყვისაგანაა მიღებული. ვანი ეკლესიის სინონიმია. კოდი კი (მისი ერთ-ერთი მნიშვნელობა) — ჰიდრონიმული ტერმინია. კოდივეძა, კოდინყარო... საკმაოდ ხშირია მთელ საქართველოს ტერიტორიაზე. როგორც ჩანს, ამ დიდებული ტაძრის (რომელიც ახლაც დგას ძველი ნასოფლარის თავზე) გვერდით გამომდინარე წყაროს ერქვა ვანისკოდი//ვანკოდა, რომელიც შემდეგ მთელ სოფელზე გავრცელდა.





## ავჭალა

საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ავჭალა დიდი ხანია აღარ შეაქვთ, რადგან ის ობიექტები, რომელთაც ავჭალა, უფრო ზუსტად კი ზემო ავჭალა და ქვემო ავჭალა ერქვა, თბილისის ფარგლებში მოექცა. ჩვენს დედაქალაქს, როგორც დიდი მეცნიერი ვახუშტი ბატონიშვილი გვაუწყებს, თავიდანვე მძლავრად გაუშლია მხრები: „მცხეთა აღთხელდებოდა და ტფილისი აღშენდებოდა; არმაზი შემცირდებოდა და კალა გამდიდრდებოდა...“ (1, 119). თბილისმა ათას ხუთასი წლის წინათ თუ მარტო ძველი დედაქალაქი მცხეთა დააცარიელა, ახლა, ჩვენს საუკუნეში, ლამის საქართველოს ნახევარმა მოსახლეობამ აქ მოიყარა თავი. ქალაქმაც გაიწია და გაიწია განზე. გველემპივით გადაყლაპა რამდენიმე ათეული სოფელი თავისი ბალ-ვენახებითა და სათიბ-საძოვრებით. თუ დროზე არ შეჩერდა თბილისის უთავბოლო ზრდა, კიდევ მრავალ სოფელს გამოუყვანს წირვას და შეიძლება სულ მალე ძველ დედაქალაქ მცხეთასა და განახლებულ და ასევე მხრებგაშლილ რუსთავსაც სწვდეს ყელში...

ასეთი რამ მარტო ჩვენთან რომ არ მომხდარა, მაგალითების ძებნა არ დაგვჭირდება. როცა რომელიმე დასახლებული ობიექტი სხვა უფრო დიდ დასახლებულ ობიექტს შეუერთდება, იმ დასახლებული პუნქტის სახელი უკვალოდ არ იკარგება, უფრო სწორად კი, არ უნდა დაიკარგოს. გასულ საუკუნეში თბილისის მიმდებარე სოფლები იყო ჩულურეთი, კუკია, დიდუბე, შავსოფელი, დოლაბაური, ნავთლული... ეს დასახლებული ობიექტები კაიხანია ჩვენი დედაქალაქის შემადგენელ ნაწილებად იქცნენ, მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ და სასახელოდ, მათი სახელწოდებები კვლავ შემოგვრჩა უბნის, ქუჩის, მეტროსადგურისა თუ რაიონის სახელებად. ტოპონიმ ავჭალას კი მეტად უსულგულოდ მოვექეცით. ჯერ იყო და ტოპონიმი ზემოავჭალა აბრევიატურით — ზაჰესით შევცვალეთ, რომელიც ბევრისათვის გაუგებარიც კი იყო. ერთადერთი ტოპონიმი, რომელშიც შემონახული იყო ძველი სახელწოდება ავჭალა, გახლდათ ავჭალის გზატკეცილი და ისიც ახლახან ნავშალეთ, რადგან ამ გზატკეცილს

გურამიშვილის სახელობის გამზირი უწოდეს. მე არ ვიცი, რა აუცილებელი იყო ამ ისტორიული სახელწოდების, რომელიც, ალბათ, რამდენიმე საუკუნეს ითვლის, შეცვლა, მაგრამ ის არგუმენტი, პრესაში რომ დაიბეჭდა, გურამიშვილების მამული ავჭალამდე ჩამოდიოდა და ამიტომ ეწოდეთ ამ გამზირს გურამიშვილის სახელიო, ნამეტნავად უსუსურია. ჯერ ერთი სოფელი ავჭალა მარტო გურამიშვილებისა არ ყოფილა, იგი სამეფოც იყო, საეკლესიოც და აქ წილი ჰქონდათ, როგორც საბუთებიდან ჩანს, გარაყანიძეებსა და ჯანდიერიშვილებს. და, რაც მთავარია, დიდ პოეტს ამით მაინც ვერ ვეცით პატივი, რადგან მოსახლეობა ამ ქუჩას ისევ ავჭალის გზატკეცილს უწოდებს. ეს კი შემთხვევით არ ხდება ხოლმე. ხალხი რაკი შეეჩვევა, შეისისხლხორცებს ამა თუ იმ სახელწოდებას, უძნელდება მისი დავიწყება. მე თუ მკითხავთ, დიდ პოეტს ამით შეურაცხყოფა უფრო მივაყენეთ. აბა, დაუკვირდით, გამზირს გურამიშვილის სახელი ჰქვია და ხალხი ისევ ავჭალის გზატკეცილს უწოდებს! ახლა მეორე მხრიდან შევხედოთ ამ ფაქტს. გურამიშვილის სახელს ატარებდა თბილისის ერთ-ერთი მთავარი მაგისტრალი, რომელიც აკავშირებდა ორ რაიონს, ორ დიდ უბანს — ვაკესა და საბურთალოს! და კიდევ, ამ მაგისტრალს ახლა მიხეილ თამარაშვილის სახელი უწოდეს. რა გამოდის, სხვისა გამონაცვალს შენ რომ მოგცემენ, ჩანს, შენ უფრო ნაკლები დამსახურება მიგიძღვის, შენ უფრო ნაკლებ პატივს გცემენ. არა და ქვეყანამ იცის, მიხეილ თამარაშვილს რა ღვაწლიც მიუძღვის ერის წინაშე, მის შრომას დიდმა ილიამ ხომ მეორე „ქართლის ცხოვრება“ უწოდა!

დაეუბრუნდეთ ისევ ტოპონიმ ავჭალას. ეს სახელწოდება საკმაოდ ხშირად გვხვდება ქართულ საისტორიო წყაროებსა თუ სიგელ-გუჯრებში, სამართლის ძეგლებში. „ავჭალა არს მტკურის კიდესა ზედა, სანადირო კეთილი. ამ ავჭალის ბოლოს არს ჴევძმარი, ჩამოვარდების მშრალი ჴევი ქვიტკირის ლილოდამ მტკურამდე. და ეს არს საზღვარი ანინდელი ქართლ-კახეთისა“, ნერს ვახუშტი ბატონიშვილი (1, 537). იოანე ბატონიშვილი ავჭალის სახელწოდებით ორ დასახლებულ პუნქტს ასახელებს (17, 64). „ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში“, რომელიც დამტკიცებულია მეფე ალექსანდრეს მიერ 1392 წლის 1 დეკემბერს, ვკითხულობთ, რომ სხვა მრავალ ეკლესია-სოფელთან ერთად „... არაგუს გაღმა მონასტერი ჯუარისა, მამულითა; სოფელი ფოსი, სოფელი ჯაჭვ, სოფელი ავჭალა...“ ეკუთვნის სვეტიცხოველს (26, 180). „...ავ-

ჭალა მისითა მზღვართა...“ დაუმტკიცა სვეტიცხოველს მეფე გიორგიმ 1447 წლის 25 დეკემბერს (26, 190).

ტოპონიმ ავჭალას ორჯერ ახსენებს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი: „შენვენითა ღმრთისათა მოეშენა ქუეყანა ქართლისა, განძლიერდა დავით და განამრავლნა სპანი. და არლარა მისცა სულტანსა ხარაჯა, და თურქნი ვერლარა დაიზამთრებდეს ქართლს. რამეთუ ვიდრე აქამომდე ზამთრისა მოწვენასა თანა ფალანგებითა მათითა ჩამოდგინა ავჭალას და დილომს, ჩალმართ მტკურისა და იორის პირთა, რამეთუ მათი იყო სადგური“ (3, 326. ხაზი — უ.ს.).

აღბათ, გახსოვთ, ერთხელ, წიგნის კითხვაში გართული მეფე დავითი როგორ გადააწყდა მტრის რაზმებს. ეს ამბავი, როგორც ისტორიკოსი გვაუწყებს, ავჭალის სანახებში მომხდარა: „შემოვიდა ოდესმე ქარავანი დიდი განძით, და თან შემოჰყვეს თურქნი დიდნი. ცნა რა მეფემან, გაგზავნა მონათაგანნი თხუთმეტნი კაცნი რჩეულნი, რათა ლოჭინით კერძო ნახირი მძოვარი ქალაქისა წარმოიტაცონ, ნუ უკუე იგი თურქნი გამოვიდენ დევნად, და მოსწყდნეს ამით ღონითა. ხოლო თვთ საშასისა ოდენ მჭედრითა დაიმალა ლელეთა ავჭალისათა, და არავის მიენდო მჭედარსა სხუასა, არამედ თვთ მარტო წარვიდა ყოვლად უსაჭურველო, წრმლითა ოდენ“ (3, 349-50 ხაზი უ.ს.).

ავჭალა, როგორც ვთქვით, მდებარეობდა ქართლ-კახეთის საზღვარზე და სტრატეგიული თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვან ობიექტს წარმოადგენდა, აღბათ, ესეც იყო მიზეზი, რომ იგი ბევრი ისტორიული ფაქტის მოწმე და მონაწილე ყოფილიყო.

„1735 წელს, ზაფხულში, ისაყ-ფაშამ აღაშენა ავჭალის გალავანი და საყარაულო კოშკები — დიღმის ბოლოდან ატენის ნყლამდის თორმეტი კოშკი, სადაც მტკვარში გასასვლელი ფონები იყო“, ვკითხულობთ „საქართველოს ისტორიის ქრონიკებში“ (14, 85). ამავე „ქრონიკებიდან“ ვიგებთ, რომ „1746 წლის თებერვალში უკუდგნენ ოსნი ერისთავისანი და ზემო ქართლს დაუწყეს რბევა. დაიბარა ერეკლემ ლეკნი — ანწუხელნი, თებელნი და ყარაზელნი, ესენი ჰმონებდნენ კახბატონს, მოვიდა მათი ჯარი და დააყენეს ავჭალას, გაისტუმრეს და ააკლებინეს ოსეთი, უთავეს ამილახორის შვილი იესე“ (14, 81). ამავე ცნობას მცირე განსხვავებით გვანვდის ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი, „მოვიდა ჯარი ლეკისა, დააყენეს ავჭალას, მისცეს ულუფა, მცირეთა ხანთა შინა გაატანეს ბელადად მაჩაბელი და იასე ამილახორის შვილი და გაუსივეს უკუდგართა ოსთა...“ (19, 110). „ნაბძანდა კახი ბატონი (ერეკლე მეფე) კახეთს, შემოეყარა ჯა-



რი კახეთისა და მინდობილნი ლეკნი ანწუხისა და მთის ჯარი სრულიად და ჩამობრძანდა ქალაქს, შემოიყარეს ქართლის ჯარიც. კახეთის ჯარი დააყენეს ავჭალას და ქართლის ჯარი -- ლილოზე", კვლავ გვაუწყებს პაპუნა ორბელიანი (იქვე, გვ. 113).

როცა შაჰ-აბასის ურდოებმა იავარყვეს კახეთი, ავჭალაც ვერ გადაურჩა მტარვალის ხელს. ამ შემზარავ ამბავს ასე გადმოგვცემს უცნობი ისტორიკოსი: „...ესოდენი რისხვა ღთისა მოანია ცოდვათა ჩვენთათვის კახეთსა ზედა, რომელ აროდეს ყოფილ არს დღეთა მათთა განსაცდელი ეგევითარი, და არცალა ყოფად არს. და აღწოცნა პირითა მახვილისათა ყოველი ქვეყანანი მთისანი — ერწო, თიანეთი, პირი არაგვისა ზემოთგან ვიდრე ავჭალამდე...“ (12, 79).

როგორც ცნობილია, მეთვრამეტე საუკუნეში ქართველთა უკუბრუნებელ სენად იქცა ლეკთა თარეში. ლეკთაგან რბევა-ანიოკებას სოფელი ავჭალაც ხშირად განიცდიდა. „მოვიდა ჯარი ლეკისა, დაესხა ავჭალას და საქონელი სულ წაიღეს“, ნერს პაპუნა ორბელიანი (19, 69). „საქართველოს ისტორიის ქრონიკებში“ კი ვკითხულობთ, რომ „1749 წელს წავიდა დალისტანში სამშვილდიდან ყოჯახ ბელადი, შემოიყარა ცხენოსანი ჯარი, მიუხდა ღამე ავჭალას და ქალაქის საქონელი და გარემო სოფლებისა (სულ ლილოზე იდგა) ერთიანად წაასხეს“ (14, 90). აჯი-ჩალაბთან ქართველთა დამარცხებამ უფრო მეტად გაათამამა ლეკები. ქართლსა და კახეთში „მრავალი ალაგი წაახდინეს. მეფე ერეკლემ მანავის თავში ამოწყვიტა ლეკის ჯარი... მოვიდა სხვა ჯარი ლეკისა, დაესხა ავჭალას, წაიღეს საქონელი, მოხსენდა ბატონს (თეიმურაზ მეორეს — უ.ს.)... მაშინვე მიბძანდა მარტყოფს, იქ შემოეყარა ძე თვისი მეფე ერეკლე, წაენივნენ ივრის პირზე. გაემარჯვათ დიდად, რომ რისხვა ღმრთისა დასცეს“, გვაუწყებს პაპუნა ორბელიანი (19, 182-3). აბდულა-ბეგი, იესე მეფის შვილი, მოიმხრობს ყიზილბაშებს და ქართლიდან ერეკლეს განდევნას განიზრახავს. მეფის მოუცლევლობით ისარგებლეს ლეკებმა და როგორც დავით ბატონიშვილი წერს: „მაშინ გამოვიდა ლეკი და მობრძანდა ავჭალა და მარტყოფი და წავიდა“ (16, 3).

1798 წელს, როცა ერეკლე მეორე გარდაიცვალა, დიდი ჭირიანობა იყო საქართველოში, ამიტომ მეფის ცხედარი თბილისის გვერდის ავლით გადაასვენეს მცხეთაში. „კვირა დღეს“, ვკითხულობთ „საქართველოს ისტორიის ქრონიკებში“, „დაასაფლავეს ერეკლე მეფე მცხეთაში... ჭირიანობის გამო, თელავიდან მიცვალებული მიასვენეს ავჭალაზედ, მცხეთის გამოღმა არაგვის პირზედ დაასვენეს“ (14, 210).

საისტორიო წყაროებიდან ვიგებთ, რომ ავჭალაში ძველადვე ყოფილა საპყრობილე. „შესწამეს ქალაქის მელიქს ალას ლალატი და ციხელების ლაპარაკი, დაიჭირა მეფე ერეკლემ, პატიმარყო ცოლშვილით ავჭალას, წაართვა მელიქობა და ათასი თუმანი ჯარიმა...“ წერს პაპუნა ორბელიანი (19, 142).

ავჭალა ქართველთა აშლილობის მონმეც ბევრჯერ გამხდარა. „ხოლო წელსა 1800 კვალად აღადგინეს შფოთი ძმათა მეფისათა იულონმა, ვახტანგმა და ფარნაოზმა და მოიკრიბნეს რაოდენიმე მთის კაცნი არაგველნი და ლიახველნი და დაუწყეს კირთება სნეულსა ძმასა თვისსა გიორგის“, წერს ბაგრატ ბატონიშვილი „ახალ მოთხრობაში“ (16, 75).

ზემოთ უკვე ვთქვით, რომ იოანე ბატონიშვილს თავის შრომაში ორი დასახლებული ობიექტი აქვს ავჭალის სახელწოდებით შეტანილი. ამავე საუკუნის სამართლის ძეგლებში გვხვდება ტოპონიმები: ზემო ავჭალა და ქვემო ავჭალა. „ქ. ღმერთმან მისის უწმინდესობის საქართველოს პატრიარქის მეფის ძის ანტონის ჭირი მოსცეს ზაალ გურამიშვილს. ავჭალას რომ გიახელით, მაშინ ჩემს განაყოფებს საბა დეკანოზი ჰყვანდათ მლუდლად და ჩემს მლუდელს ჩემი წილი კაცი ეჭირა სამწყსოთ და ზემო ავჭალა... ზემო ავჭალიდამ თქვენი ყმა გიორგი მლუდელი მოვიყვანე, რომ ჭირს არ მოერიდა და ერსაც და მეც ისე მოგვიარა, ეს სამი წელიწადია“; ვკითხულობთ ერთ საბუთში (32, 411-12). პატრიარქის ბრძანებაში კი დასტურდება ტოპონიმი „ქვემო ავჭალა“. „ქ. საქართველოს პატრიარხი მეფის ირაკლის ძე ანტონი გიბრძანებ, თუხარელო დავით!.. გიორგი მლუდელი დიდად გარჯილა და ამაგი დაუდვია ამ ზაალის სახლობაზედ. გიორგი მლუდელმა ამ ზაალის სახლობას და ამის საყმოს უმღევდელს და ტატიშვილმა იოანე მლუდელმა სხუათ ქვემო ავჭალას მყოფთ უმღუდელს“ (იქვე, 412. ხაზი — უ.ს.).


სამართლის ძეგლებში საკმაოდ ხშირად გვხვდება ტოპონიმი ავჭალა. ყველას დამონება ძალიან შორს წაგვიყვანს. მოვიტანთ რამდენიმეს: „ქ. ზაალ გურამისშვილს მათის უმაღლესობის ბედნიერის ჴელმწიფისათვის არზა მიერთმია და თავის განაყოფებისათვის ეჩივლა, უფროსი კაცისშვილი ვარ და ავჭალის სოფელში საუფროსოს არ მაძლევენო... მსაჯულებმა ეს სამართალი მისცეს: „რადგანაც ზაალ უფროსის კაცის შვილია და გურამიანთ მამულის მონახვერე და ახლა ავჭალის სოფელს იყოფენ, უფროსს საუფროსო საქართველოს სამართლის ძალით არ დაეჭირვის. ავჭალის მამული უნდა

გაიზომოს და რამდენის დღის მიწაც დადგეს, ათზედ ერთი საუფრო-სოდ ზაალს უნდა მიეცეს, სარწყავისა -- სარწყავში და ურწყავისა -- ურწყავში" (37, 172-73).

როგორც აღვნიშნეთ, ავჭალაში ყმა-მამულს ფლობენ სხვა თავად-აზნაურთა წარმომადგენლებიც. გარაყანიძეთა ერთი განჩინება იმასაც გვატყობინებს, რომ მეთვრამეტე საუკუნეში ხელახლა აუშენებიათ სოფელი ავჭალა: „გარაყანიძე ლუარსაბ ჯაჭველს ბერუკაშვილებს ქიტესასა და გოგიას ყმობით უჩიოდა. ჩვენ, მსაჯულთ ესენი სამართალში ვალაპარაკეთ... ლუარსაბს მონმათ ორი ავჭალელი გურამისშვილის ყმა ვთხოეთ და ორი გურამისშვილის ყმა მონმათ მოეყვანა და ერთი ჩოკასშვილის ყმა. სამთავ ფიცით ასე იმონმეს: ავჭალა რომ აშენდაო, გარაყანიძე ფარემუზ ქალაქს ჩამოვიდაო და ბერუკას აქედამ ჰყრიდაო და ავჭალას მიჰყვანდაო..." (36, 670-71). ერთ საბუთში კი, რომელიც XVI საუკუნის ოთხმოციანი წლებითაა დათარიღებული, ვკითხულობთ: „ქ. ნებითა ღმრთისათა ჩუენ ჯანდიერიშვილებმა მოგეცით (გურამიშვილებს-უ.ს.) ლომსაურთ რუ და დაგანებეთ ასრე რომე, წყალცოტაობა იყოს — ცოტაობით არ დააკლდეს ავჭალას წყალი და დიდი იყოს — დიდობით..." („მორიგების წიგნი ჯანდიერიშვილებისა გურამიშვილებისადმი გლდნისა და ავჭალის წყლის საქმეზე" (37, 606).

ციტატების მოტანა კიდევ შეიძლებოდა სხვა საბუთებიდანაც, მაგრამ ალბათ ესეც კმარა ტოპონიმი ავჭალის ისტორიის გასაცნობად. ტოპონიმი ეტიმოლოგიურად თითქოს გამჭვირვალე ჩანს. შედგება ორი სიტყვისაგან. ამ სიტყვაში შერწყმულია ზედსართავი სახელი ავი და არსებითი სახელი ჭალა, ე.ი. ეს ადგილი ყოფილა ავი, ცუდი ჭალა. გამორიცხული არაა, რომ ეს ტოპონიმი სწორედ ასე იყოს წარმოქმნილი. თუმცა უფრო სავარაუდოა სხვა ვარიანტი. შეიძლება ამ ტოპონიმის პირველ შემადგენელ ნაწილში იმავე შინაარსის სიტყვა იდოს, რაც ავქაშში და ავკურში. ავქაში, ალბათ, ყველამ იცის, ქათმის, საერთოდ ფრინველის, ხორცის (ძვლის) ერთ-ერთ ნაწილს ჰქვია. ავკური კი თვალის ერთგვარი ავადმყოფობაა. მას სხვანაირად „ქათმის ავადმყოფობასაც" ეძახიან. „შენ რა, ავკური ხომ არა გჭირსო", ეტყვიან კაცს. ე.ი. ბეცი, ბრმა ხომ არა ხარო. საინტერესოა, რომ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში დასტურდება ლათინური სიტყვა ავგურ-ი, რომელიც ასეა განმარტებული: „ისტ. ძველ რომში — ქურუმი, რომელიც წინასწარმეტყველებდა ფრინველთა ფრენის მიხედვით".

როგორც ვხედავთ, სამივე სიტყვა: ავქაში, ავკური, ავგური ფრინველს უკავშირდება. იბადება კითხვა: ტოპონიმ „ავჭალის“ პირველი შემადგენელი ნაწილი ხომ არ უკავშირდება ფრინველს, ქათამს და ავჭალა ხომ არ ნიშნავს ფრინველის, ქათმის ჭალას? აქ კვლავ შეგახსენებთ, რომ ვახუშტი ბატონიშვილი ავჭალას „კეთილ სანადირო“ ადგილს უწოდებს (1, 537). ჭეშმარიტებას მომავალი კვლევა-ძიება დაადგენს.





## ჯაჭვი

ბავშვობაში ხშირად მომისმენია ერთი სიმღერა, რომელსაც „ჯვარის მონასტერი“ ეწოდება. ამ სიმღერას ჩემი თანასოფლელი ფანდურზე მღეროდა ხოლმე და ისე ვირტუოზულად ასრულებდა, რომ ხშირად ვამეორებინებდით. სიმათლელ გითხრათ, ეს სიმღერა ხალხური მეგონა, მერე გავიგე, რომ ტექსტის ავტორი ჩვენი ცნობილი პოეტი გიორგი ქუჩიშვილი ყოფილა:

*„ვის უნახავს ძველისძველი  
ჯვარის მონასტერი,  
რომლის გუმბათს თავს ევლება  
ნისლი მშენიერი“...*

როგორც ჩანს, პოეტს ძველი ლეგენდა-გადმოცემა გაუღექსავს. ეს ლეგენდა კი გვეუბნება, რომ ჯვრის მონასტერში უცხოვრია ერთ ბერს, რომელიც ერთხელ ჯაჭვის ხიდით მონასტრიდან მცხეთაში გადადიოდა. ამ დროს ხიდქვეშ, მდინარე არაგვში, ლამაზი ქალი ბანაობდა თურმე. შიშველ ქალწულს მოჰკრა თუ არა თვალი, ბერს თავბრუ დაეხვა... ბოლოს ხიდიც ჩანყდა და ბერი წყალში ჩავარდა. ოღონდ ცოცხალი გადარჩა თუ დაიღუპა ბერი, ლეგენდა ამას აღარ გვეუბნება... ეს ლეგენდა, როგორც ეტყობა, შორეულ წარსულშივე შექმნილა. იგი ჯერ კიდევ ამ ორასი წლის წინათ ჩაუნერია გერმანელ მეცნიერს გიულდენშტედტს, რომელმაც საქართველოში იმოგზაურა მეთვრამეტე საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში. აი, რას ვკითხულობთ მის ნაშრომში: „არაგვის მარცხენა ანუ აღმოსავლეთ მხარეს, მთის ყველაზე მაღალ ადგილას, ჩანს დანგრეული მონასტერი ჯაჭვის საყდარი (ე.ი. ჯავშან-ეკლესია). არსებობს ლეგენდა, რომ მისი კოშკიდან გაჭიმული იყო რკინის ჯაჭვი მცხეთის კოშკამდე, რის მეშვეობითაც წმინდანები ერთმანეთს ესტუმრებოდნენ ხოლმე, აქედან [არის] მისი სახელწოდებაც“ (7, 59). თუ კარგად დავაკვირდებით, აკადემიკოსი გიულდენშტედტი მეტად საყურადღებო ცნობებს გვანვდის. რაღა თქმა უნდა, მცხეთის აღმოსავლეთით, არაგვის მარცხენა მხარეს, ყველაზე მაღალ ადგილას დგას ჯვრის მონასტერი. როგორც ეტყობა, ნაშრომის ავტორს მხოლოდ შორიდან შეუხედავს მონასტრისათვის, რომელიც იმ დროისათვის დანგრეული ჩანს (ალბათ, გალავანი?). ინფორმატორები მას აცნობენ, როგორც „ჯაჭვის

საყდარს", თან იქვე უთარგმნიან სახელწოდებას, „ჯავშან-ეკლესი-  
ას" ნიშნავსო. მერე უკვე ზემოთ ნახსენებ ლეგენდასაც აწერინებენ:  
საყდრის „კოშკიდან გაჭიმული იყო რკინის ჯაჭვი მცხეთის კოშკამ-  
დეო... აქედან [არის] მისი სახელწოდებაც“, დაასკვნის მეცნიერი... ამ  
ციტატაში ნახსენებ მცხეთის კოშკში, ალბათ, დღევანდელი „ბებრის  
ციხე“ უნდა ვივარაუდოთ, რომელიც დღესაც გადაჰყურებს არაგვის  
ჭალებს.

რა თქმა უნდა, ლეგენდა-თქმულებებს ყოველთვის რალაც ისტო-  
რიული ფაქტი უდევს ხოლმე საფუძვლად. მაგრამ ამ კონკრეტულ  
შემთხვევაში ძნელი დასაჯერებელი ჩანს, რადგან ჯვრის მონასტრი-  
დან მცხეთის კოშკამდე ჯაჭვის ხიდს ვერ გაჭიმავდნენ მაშინ, და  
რომც გაეჭიმათ ასეთი ხიდი, ზედ ვერავინ გაივლიდა... მაშ რა სა-  
ფუძველზე უნდა შექმნილიყო ასეთი ლეგენდა? საქმე ის გახლავთ,  
რომ აქ, ჯვრის მონასტრის ძირას, არაგვის მარცხენა მხარეს მდებარეობდა  
სოფელი ჯაჭვი, რომელიც მრავალ საისტორიო წყაროში  
დასტურდება. ჩვენს ხელთარსებულ საბუთებში სოფელი ჯაჭვი ყვე-  
ლაზე უნინ ქართლის მეფე ფარსმან ქველის საგმირო ამბებთან და-  
კავშირებით გვხვდება. ფარსმან ქველმა როცა მოკლა სპარსელი გო-  
ლიათი ჯუმბერი, „მოიქცა სპისა თჳსისა კერძო, და ჳმა-ყო ჳმითა  
მალლითა და რქუა მათ: „აჰა, ლომნო მძნვარენო, ცხოვარნი და-  
სეტყვლნი!“ მაშინ მიეტევნეს ქართველნი და სომეხნი სპარსთა ზე-  
და, აოტნეს და მოსწყვდნეს და ტყუე ყვნეს ურიცხუნნი, და წარვიდა  
მირდატ მეოტი სპარსეთადვე. და წელსა მეორესა კუალად მოვიდა  
მირდატ სპითა უძლიერესითა, ხოლო ფარსმან ქუელმან შემოკრიბნა  
სპანი თჳსნი, მჳედარნი და ქუეითნი და დადგა მცხეთას ქალაქსა ში-  
ნა, რამეთუ არა ჰყვნეს სპანი მირდატის სპათა ოდენი, მოვიდა მირ-  
დატ და დადგა ჯაჭუს, და ეგრეთ ყოველთა დღეთა იბრძოდიან ბუმ-  
ბერაზნი“, წერს ლეონტი მროველი (3, 52. ხაზი — უ.ს.). აქედანვე ვი-  
გებთ, რომ ამ ბრძოლაში ფარსმან ქველმა მოკლა თორმეტი ბუმბე-  
რაზი, მისმა სპასპეტმა ფარნავაზმა კი — თექვსმეტი. ამავე ბრძო-  
ლის ამბავს ვახუშტი ბატონიშვილიც გვაუწყებს: „... კუალად წელსა  
მესამეს მოვიდა მირდატ უმრავლესითა ლაშკრითა და დადგა ჯა-  
ჭუს“ (1, 50. ხაზი — უ.ს.).

სოფელი ჯაჭვი მეზუთე საუკუნის ბოლოსაც გახდა დიდი ამბების  
მონმე. როცა ვახტანგ გორგასალმა დაამარცხა სპარსელთა ლაშქარ-  
ი და კეისარმა გამოუგზავნა ოთხმოცი ათასი მეომარი მაშველად,  
„აიყარა მეფე სპარსთა, და უკუდგა რუსთავად, და გადმოვიდეს იგი-  
ნი განთიად და დადგეს ველსა კალაისასა: რამეთუ ტფილისი სოფე-  
ლი და კალაიცა მოოწრებულ იყო მაშინ, ხოლო მეფე ვახტანგ დადგა  
ჯაჭუს“, გვაუწყებს ისტორიკოსი ჯუანშერი (3, 181. ხაზი — უ.ს.).

1069 წელს კი, როგორც ვკითხულობთ ვახუშტი ბატონიშვილის შრომაში, „მოვიდა სულტანი ჯაჭუს და განუტევა მუნიდამ მარბიელი ცისკრად და მწუხრამდე აღივსო ყოველი ქართლი და გარდავიდნენ არგუეთს, მიუნივეს სვერამდე“ (1, 150).

„ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის :გუჯარში“, რომელიც დათარიღებულია 1392 წლის 1 დეკემბრით, ვკითხულობთ, რომ ჯაჭვი სვეტიცხოვლის სამწყსოში შედიოდა (26, 180). ამასვე გვატყობინებს 1447 წელს გაცემული საბუთიც (26, 190). ალექსანდრე II (კახთა მეფე) 1579 წელს სოფელ ჯაჭვის მფლობელობას უახლებს სვეტიცხოველს (2, 200). სოფელ ჯაჭვში ყმა-მამული ეკუთვნის მარტყოფის ღვთაების მონასტერსაც. „ხოლო სამწყსოთათვის და სამრეკლოთათვის, რაოდენიცა ქონან (ღმრთაების საყდარს — უ.ს.), ესე არიან... ლილონი, გლდანი, ჯაჭვნი და ლელუბანნი...“ ვკითხულობთ „ღმრთაების გუჯარში“ (2, 383). ეს გუჯარი, იმასაც გვატყობინებს, რომ რამდენიმე სოფელს, მათ შორის ჯაჭვსაც, ამ დროისათვის სხვა ეპარქიები დაპატრონებია. ამავე გუჯრიდან იმასაც ვიგებთ, რომ სოფელი ჯაჭვი თავად ჯანდიერიშვილებსა ყოფილა. „ამ მთათა შინა, ოდეს საბალახე აიღებიან, ჩვენ მეფეთა არარა წილი გვიძენ, არცა ჩვენთა მოჭელეთა, გარნა ორნი წილნი ღმრთაებისა (მარტყოფის მონასტრის — უ.ს.) არიან და ერთი წილი ჯანდიერიანთ, რომე გლდანი და ჯაჭვნი მათნი არიან“ (იქვე, 374, ხაზი — უ.ს.).


როგორც ვხედავთ, ეს სოფელი ბევრ საისტორიო წყაროშია მოხსენებული და თანაც თუ დაუკვირდით, წყაროთა უმრავლესობაში ტოპონიმი მრავლობითი ფორმით გვხვდება, რაც გვაგვარაუდებინებს, რომ ჯაჭვი სულ ცოტა ორ დასახლებულ ობიექტს მაინც უნდა რქმეოდა. ვახუშტი და იოანე ბატონიშვილები თავიანთ ნაშრომებში სოფელთა ჩამოთვლის დროს მხოლოდ ერთ ჯაჭვს ასახელებენ, ოღონდ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მათ სიებში დასტურდება სოფელი ჯვარიც. იბადება კითხვა, ხომ არ იყო ეს სოფელი ჯვარი იგივე ჯაჭვი ანუ მეორე ჯაჭვი? აქ იმასაც თუ გავიხსენებთ, რომ გიულდენშტედტი ჯვრის მონასტერს ჯაჭვის საყდარს უწოდებს, ეს ვარაუდი მთლად უსაფუძვლო არ უნდა იყოს. როგორც ჩანს, მეთვრამეტე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში, როცა გერმანელი მეცნიერი საქართველოში მოგზაურობს, ამ ადგილებში აღარც სოფელი ჯაჭვი ჩანს და აღარც სოფელი ჯვარი. „იმ მთის ძირში, რომელზეც დგას მონასტერი, ოდნავ ზემოთ, არაგვზე არის სოფელი წინამურა, ერთი პატარა მდინარის სამხრეთ მხარეზე“, გვაუწყებს გიულდენშტედტი (7, 59). გერმანელ მეცნიერს აქ, ახლო-მახლო სხვა დასახლებული პუნქტები არ დაუფიქსირებია. მეთვრამეტე საუკუ-

ნის მინურულში კი, როცა იოანე ბატონიშვილმა ქართლ-კახეთი აღ-  
ნერა, სოფელთა სიაში ჯაჭვიც შეიტანა და ჯვარიც. ეს სოფლები,  
როგორც სხვა მრავალი, კვლავ აღსდგა თუ იოანე ბატონიშვილმა ვა-  
ხუშტისაგან მექანიკურად გადმოიწერა, ახლა ძნელია ამის თქმა.  
ჭემმარიტებას მომავალი კვლევა-ძიება დაამტკიცებს.

აქ, მდინარე არაგვზე იყო თუ არა რაიმე ხიდი, გიულდენშტედტი  
არაფერს გვეუბნება, მტკვარზე კი ყოფილა პატარა ხიდი. „მცხეთი-  
დან 1/4 საათი მივდიოდით დასავლეთისაკენ. ჩვენ მივყვებოდით  
მტკვრის მარცხენა ნაპირს ზევით, დაახლოებით ერთ ვერსზე, და გა-  
დავედით მის ხიდზე, რომლითაც სარგებლობისათვის ერთი მცხე-  
თელი აზნაური იღებდა ხიდის ბაჟს. ხიდმა ძლივს გაუძლო ჩვენს გა-  
დასვლას“ (იქვე).

აქ დამონმებულ საისტორიო წყაროებიდან ამჟამად ჩანს, რომ  
ჯვრის მონასტრის დაბლა, მთის ძირას მდებარეობდა სოფელი ჯაჭ-  
ვი. ამ ტოპონიმის ეტიმოლოგია ძნელი არ არის ასახსნელად. სიტყვა  
ჯაჭვის შინაარსი ხომ ყველამ იცის, ოღონდ გარკვევა სჭირდება  
იმას, თუ რატომ უნდა შერქმეოდა სოფელს ჯაჭვი. ზემოთ დამონმე-  
ბული ლეგენდა გვეუბნება, თუ რატომ ჰქვია ამ მონასტერს „ჯაჭვის  
საყდარი“. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ლეგენდაში გადმოცემული ამბა-  
ვი დაუფერებელი ჩანს. ოღონდ ის კი დასაშვებად მიგვაჩნია, რომ  
მდინარე არაგვზე შეიძლება მართლაც არსებობდა „ჯაჭვის ხიდი“  
ანუ ბონდის ხიდი და აქვე მდებარე სოფელსაც ამიტომ უწოდეს  
„ჯაჭვი“. მაგრამ მეორე ვარაუდი უფრო სარწმუნოდ გვეჩვენება. სა-  
ხელწოდება „ჯაჭვი“ სოფელს გეოგრაფიული მდებარეობის გამო  
უნდა შერქმეოდა. ვინც დაკვირვებული თვალით დახედავს აღნიშ-  
ნულ გარემოს, დარწმუნდება, რომ აქ მდებარე სოფელი მთისა და  
მდინარის (არაგვის) ვიწრო ზოლში „ჯაჭვივით“ უნდა ყოფილიყო  
განოლილი და ალბათ, ეს სახელიც ამიტომ შეარქვეს.

თუმცა ტოპონიმი ჯაჭვი, როგორც სოფლის სახელი, დღეს და-  
კარგულია, მაგრამ აქვე, ამ მიდამოებში მდებარე (გამომავალ) წყარო-  
ს დღესაც „ჯაჭვის წყარო“ ჰქვია და,  
ალბათ, ესაა მცირე ნიშანი ისტორიულ სო-  
ფელ ჯაჭვის არსებობისა.







## საგურამო

იანო-ზედაზნის მთის დასავლეთ კალთების ძირას, მდინარე არაგვის მარცხენა მხარეს მდებარეობს ბალ-ვენახებში ჩაფლული და საქართველოში ერთი ყველაზე სა-

ხელგანთქმული სოფელი საგურამო. ალბათ, ჩვენს ქვეყანაში არ მოიძებნება კაცი, ქართულ ლიტერატურაში ოდნავ მაინც გათვითცნობიერებული, რომელსაც არ ენახოს ან არ გაეგონოს სოფელი საგურამო. რადგან აქ, ამ სოფელთანაა დაკავშირებული ორი დიდი მწერლის, დიდი მამულიშვილის სახელი — ილია ჭავჭავაძისა და დავით გურამიშვილისა. ჩვენდა სასიხარულოდ საგურამოში ამ ბოლო დროს დავით გურამიშვილის სახლ-მუზეუმაც დაიდო ბინა.

საგურამოს რომ მდიდარი და თვალწარმტაცი სანახები აკრავს, ეს ჯერ კიდევ ადრე აღუნიშნავთ ჩვენს წინაპრებს და სხვა ადგილების შესადარებლადაც ასახელებდნენ მას. როცა ვახუშტი ბატონიშვილი მარტყოფის ნაყოფიერ და ლამაზ გარემოს აღწერს, ასეთ შედარებას აკეთებს: „არს ეს მარტყოფი ვენახოვანი, ხილიანი და ყოვლითა შემკული, ვითარცა საგურამო. შავითა მშვენი“ (1, 538). ახლა ენახოთ თავად საგურამოს როგორ გვაცნობს დიდი ისტორიკოსი და გეოგრაფოსი: „არს ესე საგურამო ნაყოფიერი ხილით, ვენახით, მარცვლით, თვნიერ ბრინჯ-ბამბისა, პირუტყვთა, ნადირითა, ფრინვლითა, ტყითა, ველითა და მთით შემკობილი“ (1, 537. ხაზი — უ.ს.).

ტოპონიმი საგურამო ეტიმოლოგიურად ადვილად გასაშიფრი სიტყვაა. ადგილის სახელწოდება მომდინარეობს ფეოდალური გვარის — გურამიშვილების — სახელისაგან. სა-გურამ-ო, ე.ი. გურამიშვილების კუთვნილი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საგურამო ძველად ერთი სოფლის სახელი კი არ იყო, როგორც ახლა, არამედ მთელი თემისა, მთელი ხეობისა, რომელშიც ორ ათეულზე მეტი სოფელი მაინც შედიოდა. თვითონ ამ სოფელს კი, რომელსაც ახლა საგურამო ეწოდება, ადრე გორის-უბანი ერქვა. ამას გვიდასტურებენ ვახუშტი და იოანე ბატონიშვილების შრომებიც. ამას გვაუწყებენ სხვა საისტორიო წყაროები და თავად დიდი პოეტი დავით გურამიშვილიც: „მე ვიყავ ერთი თავადი, მოსახლე გორისუბანსა“, ვკითხულობთ „დავითიანში“ (40,398 ხაზი — უ.ს.).

გურამიშვილები, როგორც ვახუშტი ბატონიშვილი გვაუწყებს, ძველი ფეოდალური გვარის — ზედგინიძეების — განაყრები არიან: „გურამისშვილი და ტუსისშვილი — ზედგინიძენი, რომელთა გამოაჩენს სასაფლაო მათი დღესაც მღვიმეს“... (1, 35). თვითონ დავით გურამიშვილიც გვეუბნება, რომ მათ საგვარეულო სასაფლაო ჰქონიათ ქართლშიც და კახეთშიც. აი, რას ვკითხულობთ „დავითიანის“ ერთ ლექსში, რომელსაც ეწოდება „საფლავის ქვაზედ დასანერი“:

*„ნმინდა იოანე კახეთს ზედაძენს  
სასწაულობით ქვითკირს ცრემლთ ადენს:  
ქართლს ნმინდა შიო ღვიმეს ძვლებს ავლენს,  
ორნივე შვრებიან სასწაულს ამდენს.  
ამ ორს მონასტერს მაქენდა ალაგი,  
სასაფლაო და ძვალთ მასალაგი;  
ორივე ქვითკირით აღშენებული,  
სახლ-გალავნებით დამშვენებული“.* (40,592)

საისტორიო წყაროებიდან თუ ისტორიულ თემებზე დანერგილი მხატვრული ლიტერატურიდან ვიცით, თუ რა დიდი სამსახური გაუწია ერთიანი საქართველოს მეფეს — გიორგი მერვეს — მისმა ერთგულმა თავადმა ზედგინიძემ, რომელიც თვითონ შეაკვდა მტერს და მეფე გადაარჩინა. სწორედ ამ თავდადებისათვის უფრო აღაზევა თავისი ერთგული ყმის შთამომავლები და მათ აქ, ხერკის ხეობაში დიდი მამულები უბოძა. გურამ ზედგინიძის შთამომავლები შემდგომში გვარს იცვლიან და გურამიშვილობას ლებულობენ. სწორედ აქედან ჩნდება ტოპონიმი საგურამო, რომელიც ძველი ხერკის მაგიერ იხმარება, ზოგჯერ კი მასთან ერთად. „ხერკი არს საგურამო“, წერს ვახუშტი ბატონიშვილი (1, 53). „ხოლო მთა ესე კუხეთისა ანუ ზედაძინისა წარვალს აღმოსავლეთად შეერთბამდების ერწოს მთასა, რომელ არს ხერკისა, და არს ამათ შორის ხერკი, არამედ აწ საგურამო ანუ თეზმისჯევი“ (1, 536). ვახუშტი ბატონიშვილი იმასაც გვაუწყებს, რომ საგურამო შედიოდა ისტორიულ კუხეთში: „...ქუეყანას ეწოდა კუხეთი, კუხოსის სახელის გამო, არამედ აწ უწოდებენ თიანეთს, საგურამოს, ანუ თეძმის ჯევის (რომელსა ეწოდებოდა ხერკი...)“ (1, 523-24). ვახუშტი ბატონიშვილი ცოტა ქვემოთ გვიზუსტებს საგურამოს მდებარეობას, გვეუბნება, რომ „ავჭალის ბოლოს არს ჯევიმარი... ეს არს საზღვარი აწინდელი ქართლ-კახეთისა. აქამდე უწოდებენ საგურამოს ხერკითურთ გურამიანთ გამო“ (1, 537). როგორც ვხედავთ, საგურამოს ძველად ხერკი ეწოდებოდა. აქ იმასაც ვიგებთ, რომ ეს ხეობა თეზმისხევის სახელითაცაა ცნობილი. პიდრონიმი „თეზამი“ კი დღესაც ცოცხალია, ეს მდინარე ჩამოედინება დღევანდელი საგურამოს, გალავნისა და ცხვარიჭამიის საკრე-

ბულოთა ტერიტორიაზე. ამ მდინარეს გერმანელი მეცნიერი გიულ-დენშედტი, საგურამოსხევს უწოდებს „ნარეკვავის შესართავის აღმოსავლეთით ჩანს სოფ. ფონთხელას ნასახლარები და არაგვის აღმოსავლეთით, მისი მარცხენა ნაპირიდან 4 ვერსზე — დანგრეული ციხე საგურამო, მდ. საგურამოსხევის ჩრდილოეთ მხარეზე, რომელიც ნარეკვავის ზემოთ რამდენიმე ვერსზე ჩადის არაგვში“ (7,59 ხაზი-უ.ს).

იოანე ბატონიშვილი „ქართლ-კახეთის აღწერაში“ გრდანიისა და საგურამოს ხეობაში 38 ტოპონიმს ასახელებს, მათ შორის გორის-უბანს და საგურამოს ციხეს. „კახეთს რაც სოფლები მიენერება ჩრდილოეთის კერძო, რომელიც მდებარეობს გრდანიისა და საგურამოს ხეობისა, არიან შემდგომნი ესე, სამეფო, სათავადო, სააზნაურო და საეკლესიო სოფლები და ადგილნი“. (17,64) ვახუშტი ბატონიშვილს კი, ამავე რეგიონში 32 სოფელი აქვს შეტანილი.

აღნიშნულ ტერიტორიაზე — გრდანიისა და საგურამოს ხეობაში — დღეს 20 სოფელი არსებობს, თუმცა ბევრი ტოპონიმი არ ემთხვევა ვახუშტი და იოანე ბატონიშვილების შრომებში დადასტურებულ ტოპონიმებს. ბევრი სახელწოდება უკვალოდ გაქრა და ძნელდება მათი ლოკალიზაცია. ზოგიერთი ტოპონიმი გვიანდელი შერქმეული ჩანს. მაგ., ტოპონიმებს კოტორაანთკარს, წინამძღვრიანთკარს, ნავდარაანთკარს, ჭილაანთკარს არც ვახუშტი იცნობს და არც იოანე ბატონიშვილი. ამ ტიპის ტოპონიმი მხოლოდ ერთი — ბაღნიანთკარი — გვხვდება მათთან. ზემოთ აღნიშნული ტოპონიმები, როგორც ჩანს, მეცხრამეტე საუკუნეში უნდა გაჩენილიყო. ამას ის გვაგარაულებინებს, რომ თვითონ სოფელ საგურამოსაც მეცხრამეტე საუკუნეში ოფიციალურად შედგენილ საბუთებში გურამიანთკარს უწოდებენ. ეს სახელწოდება ახსოვთ საგურამოელებსაც. აქაურმა მოხუცებმა გულისტკივილით ისიც გვიამბეს, რომ გასაბჭოების შემდეგ, როცა მასობრივად ძირკვავდნენ ძველ ქართულ ტოპონიმებს, განსაკუთრებით კი ისეთ სახელწოდებებს, რომლებიც დაკავშირებული იყო რელიგიასთან და ფეოდალურ გვარ-სახელებთან. თურმე საგურამოსაც შეუცვალეს სახელი და „არაგვიანი“ უწოდეს (საკვირველია, რატომ ორჯონიკიძის ან ბერბიჭაშვილის სახელი არ დაარქვეს?!). მაგრამ აქაური მოსახლეობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ეს შეთითხნილი და ძალით თავსმოხვეული ტოპონიმი „არაგვიანი“ არ მიიღეს, არ დაამკვიდრეს და შავი ტალახი არ გადაასხეს ისტორიის უტყუარ ფურცლებს. ისტორია კი საგურამოსა და საგურამოელებს სასახელო და საამაყო აქვთ. ეს მშვენიერი კუთხე ბევრჯერ გამხდარა მრავალი ისტორიული ფაქტის მონმე და მონაწილე. აქაც ბევრჯერ დაუღვრიათ სისხლი ერთგულ მამულიშვი-

ლებს სამშობლოს თავისუფლებისათვის. მომხდურ გადამთიელს კი აქაც ხშირად ნაუტეხია კისერი.

როგორც აღვნიშნეთ, საგურამო ანუ ხერკი ისტორიულ კუხეთში შედიოდა. მეთხუთმეტე საუკუნის 70-იან წლებში, როცა ერთიანი საქართველო სამეფო-სამთავროებად დაიშალა და ქართლსა და კახეთს შორის ისევ ძველი საზღვრები გაავლეს, საგურამო კვლავ კახეთის სამეფოში მოხვდა. თუმცა, როგორც საისტორიო წყაროებიდან ვიგებთ, მისი დათმობა არ უნდოდა ქართლის მეფე კონსტანტინეს. ვახუშტი ბატონიშვილი გვაუწყებს, რომ „არცა უტევებდა კონსტანტინე მეფე პყრობად დავითს (კახეთის მეფეს — უ.ს.) მარტყოფს, საგურამოს, ხერკსა“ (1, 567). როცა უზუნ-ასან ყეენის ურდოები შემოესია საქართველოს, ყველაზე სასტიკად ეს მხარე ააოხრა მტერმა. მოარბიეს „ქართლი და ხერკი, საგურამო და თიანეთი, მოსწყდეს და მოაოწრეს“ (1, 385). ვახუშტი ბატონიშვილი იმასაც გვაუწყებს, რომ გიორგი მეფემ მხოლოდ დიდი ძღვენით მოაღბო მტარვალის გული: „ხოლო მოსლვლასა უზუნ-ასან ყეენისასა, რა მოსრნეს ხერკი, საგურამო, მარტყოფი, თიანეთი, ამან გიორგი უძღუნა ყეენს ძღუენი დიდი და ტყუენი ქალ-ყრმანი და აღუთქუა მორჩილება და ადადგრა მშკდობით“ (1, 568).

საგურამო-ხერკი რუსთველი ეპისკოპოსის სამწყსო იყო და აქაური მოსახლეობაც ბრძოლის დროს სარუსთველო დროშის ქვეშ გამოდიოდა (1, 536). საგურამოში ყმა-მამული რომ სვეტიცხოველსაც ეკუთვნოდა, ამას გვაუწყებს „მამულების მფლობელობის წიგნი ალექსანდრე II-ისა სვეტიცხოვლისადმი“, რომელიც გაცემულია 1579 წელს (2, 200). მეფე ერეკლე პირველმა ამიღბარ მაღალაშვილს განუახლა გუჯარი და უბოძა სვეტიცხოვლის სალთხუცობა და ჯანიშინობა, საბუთში ვკითხულობთ: „როგორც თქვენი მამა-პაპათ კახეთის სვეტიცხოვლის მამულების სალთხუცობა და ჯანიშინობა ძუელთ ჴელმწიფეთ ჩვენთა მამა-პაპათაგან გქონებოდათ. ახლა ჩვენც მათი ბრძანება წიგნი დაგიმტკიცეთ და გიბოძეთ სალთხუცობისა და ჯანიშინობის წიგნი, გიბოძეთ ამა წესითა: პირიქით და პირაქეთ საგარეჯოსა, ჯიმითისა, ახალშენს, ვერძისჯევს, ერნოსა, ბინმენდს, საგურამოს რაც სვეტიცხოვლის მამულები არის და ჯუარის სახასო მამულებში სთუელს თქვენ აიღებდეთ“ (37, 371).

მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეში გახშირდა მტრის შემოსევები, ამას ზედ დაერთო შინაური აშლილობა, და ქურდბაცაცა და ლესტენელების თარეში. ჩვენი ქვეყნის ამ გამოუვალ მდგომარეობას დავით გურამიშვილმა „ქართლის ჭირი“ უწოდა. ყველა წიგნიერმა კაცმა იცის, რომ „დავითიანში“ აღწერილი ფაქტების თვითმხილველი და მონმე იყო თვითონ პოეტი. დაღესტნელთაგან ანიოკება-აოხ-

რება არც მის მშობლიურ მხარეს დაკლებია. რადგან ლეკთა სათარემო გზა იალნო-ზედაზნის მთაზე გადიოდა, თანაც საგურამო, როგორც ქართლისა და კახეთის საზღვარზე მდებარე კუთხე, ხშირად ხდებოდა ძმათა შეხლა-შემოხლის ასპარეზი, სწორედ ამანაც გააპარტახა ეს ბუნებისაგან შემკული და მდიდარი მხარე. გაუტანლობამ, ბეზღებამ, მტრობამ და შურმა ერთმანეთს გადაჰკიდა ქართლი და კახეთი. თუ 1719 წელს ქართლის მეფე ვახტანგ მეექვსემ და კახეთის მეფე დავით მეორემ „იხილეს ურთიერთი, განაახლეს სიყვარული და ჰქმნეს პირი“ (1, 617). ახლა ვახტანგის ძმამ, იესემ, იმდ. ჩს მიიღნია, რომ ერთმანეთს გადაჰკიდა ვახტანგი და კახეთის მეფე კონსტანტინე, ავმა ენებმა სამეგობროდ განწყობილი მამულიშვილები დაუძინებელ მტრებად აქცია, რამაც ქართლ-კახეთის სამეფოები კრიზისულ მდგომარეობამდე მიიყვანა. ეს შეხლა-შემოხლა ყველაზე მეტად საგურამოს დაატყდა თავს: „სპანი მეფისანი (ვახტანგ VI-ის — უ.ს.) და მაჰმად-ყული ხანისანი, — როგორც გვაუნყებს ვახუშტი ბატონიშვილი, — ბრძოდნენ ყაზახსა ზედა. კუალად მოუძღუნა მაჰმად-ყული ხან კახნი ჭარელთა და მოსტყუევნეს ლილოს დაბნები. ამათი მსმენელი მეფე (ვახტანგი — უ.ს.) უკმოიქცა და მოვიდა ტფილისს. მერმე წარავლინა ბაქარ და იესე, რათა მოაოჭრონ საგურამო“ (1, 500. ხაზი — უ.ს.). ვახუშტი ბატონიშვილი ქვემოთ კიდევ ერთხელ შეგვახსენებს ამ საძრახის ამბავს: „მერმე მოვიდნენ ბაქარ და იესე მცხეთას. არბევდიან საგურამოს“ (1, 620).


როგორც ზემოთაც გითხარით, საგურამოს გვერდით მდებარე იალნო-ზედაზნის მთა დაღესტნელ ლეკთა სათარემო გზად იქცა. ამ გზით მიჰქონდათ მოთარემე ლეკებს ნაალაფარი, მიუდიოდათ საქონელი და მიჰყავდათ ტყვეები. ალბათ, ამ გზითვე გადაატარეს დავით გურამიშვილიც. ქართველებიც ხშირად დახვედრიან მარბიელებს საგურამოს მიდამოებში, დაუმარცხებიათ ისინი და ნაურთმევიათ ტყვეები და საქონელი. „ასე გათამამდნენ [ლეკები — უ.ს.], რომ ქალაქის პირიდან მუდამ ნაშოვარი მოქონდისთ. დახვდნენ კახნი საგურამოს ლეკთა, ნაშოვარი მრავალი დააყრევინეს, დახოცეს ლეკნი და დააჭრეს თავები“, ვკითხულობთ პაპუნა ორბელიანის შრომაში „ამბავნი ქართლისანი“ (19, 70). „დახვდა ბატონიშვილი ერეკლე, და ეს ურუმები სულ დაიჭირა, ეგრე ხელმწიფესთან გაგზავნა, აიყარა თითონაც და მობრძანდა საგურამოს“ (19, 79) და კიდევ: „გაბძანდა მეფე (თეიმურაზ II — უ.ს.) საგურამოს, დახვდა წინ ლეკთა, მომავალთა სომხითით, ამონყვიტეს ლეკნი. თუ რამ მიჰქონდათ, სულ დააყრევინეს. შემობრძანდა ქალაქსა შინა“ (19, 107). მოთარემე ლეკები საგურამოს მარტო გზად არ იყენებდნენ, აქაურ მოსახლეობასაც ანიოკებდნენ და საქონელს სტაცებდნენ. „მოუხდა კიდევ სხვა ჯარი

ლეკისა საგურამოს და მრავალი საქონელი წაიღეს. გაუსივა ჯარი (თეიმურაზ მეორემ — უ.ს.), მიენივნენ, ... და წაართვეს საქონელი სრულად" (19, 183).

მოძალადე მტრისაგან სოფელს თვითონ რომ დაეცვა თავი, თეიმურაზმა და ერეკლემ ყველგან ციხეების შენება დაიწყეს. ერთი ასეთი ციხე აუგიათ საგურამოშიც. „მარად ცდილობდნენ მეფენი (თეიმურაზ II და ერეკლე II — უ.ს.) ქვეყნის შემატებასა და აშენებას, ვითაც ლეკისაგან ქართლისა და კახეთის ქვეყანა დიდად შენუხებულყო. მოინებეს, სადა მოსავალი გზა იყო, ციხეების აშენება. ნაბძანდნენ ორივე მეფენი საგურამოს, მოიყვანეს ქართლის მუშა და აღაშენეს ციხე ბოკონინს, დააყენეს კაცნი ფრიადნი“, გვატყობინებს პაპუნა ორბელიანი (19, 158).

აღამაჰმადხანის მსახვრალი ხელი საგურამოსაც მისწვდა. როცა მეფე ერეკლემ მთიულეთს შეაფარა თავი, „აღამაჰმადხანმა გაუსია ათიათასამდე ჯარი ნახჩევნის ხანის ქალბალის მეთაურობით... ერეკლე დაიჭირეთო და ცოცხალი მომგვარეთო... 1795 წ. 14 სექტემბერს ქალბალი ხანმა მცხეთის ახლო ფონთხელაზედ ჯარი ორად გაჰყო, ერთი გაისტუმრა გორისაკენ, მეორეთი გავიდა არაგვი საგურამოსაკენ და გასწია ჟინვალისაკენ“, ვკითხულობთ „საქართველოს ქრონიკებში“...

საისტორიო წყაროებიდან ციტატების მოტანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ ვფიქრობთ ესეც საკმარისია ტოპონიმ საგურამოს ისტორიის გასაცნობად.





## პატარძელი

„ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები“ 165-ე პარაგრაფში საუბარია წარმომავლობის სახელებზე, სადაც ვკითხულობთ: „პატარძელი“ (სოფელია გარეკახეთში)

ფუძეზე დართულ ეულ-ს გულისხმობს: პატარძ/ლ/-ეულ-ი (41, 129).

გადმოცემით გამიგონია, თითქოს გიორგი ლეონიძეს ეთქვას, ჩემ სოფელს იმიტომ ჰქვია პატარძელი; რომ იქიდან სულ ლამაზი პატარძლები გამოდიანო. თუ ნამდვილად უთქვამს, ეს პოეტ გ.ლეონიძის ნათქვამია. მკვლევარი გ.ლეონიძე კი, როგორც ჩანს, ამ გეოგრაფიული სახელწოდების წარმომავლობას გვარსახელ „პატარიძესთან“ აკავშირებდა. იმავე „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ ვკითხულობთ, რომ „პოეტ გ.ლეონიძის ცნობით, პატარძელში 1 კომლი პატარიძე ცხოვრობს. პატარძელის ეკლესიაში XVII ს-ის ჯვარზე მოხსენებულია, რომ ეს ჯვარი პატარიძეს შეუწირავსო“ (41, 129)\*. აკაკი შანიძე არ ეთანხმება ამ აზრს და იქვე წერს, რომ „მაგრამ პატარძელი უკვე XI ს-ში მელქისედეკ კათალიკოსის სიგელში იხსენება“.

აკ.შანიძეს ტოპონიმი პატარძელი სპეციალურად არ უკვლევია, მაგრამ, როგორც დავინახეთ, იგი თვლის, რომ ეს სახელწოდება წარმოქმნილია საზოგადო სახელ პატარძალზე ეულ სუფიქსის დართვით.

სოფელ პატარძელის ტოპონიმი სრულყოფილად აღწერილი. ტოპონიმიკის ლაბორატორიას დღეისათვის მოეპოვება 300 ტოპოერთულზე მეტი სანდო მასალა, რომელიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა პირის მიერაა შეკრებილი. ამ სოფლის ბევრი ტოპონიმი ფიქსირებულია გ.ლეონიძის „ნატურის ხეშიც“.

პატარძელი მდებარეობს გარეკახეთში, ცივ-გომბორის ქედის სამხრეთ-დასავლეთი კალთების ძირას, მდ.ივრის მარცხენა მხარეს. დასავლეთიდან ესაზღვრება სოფ. ხაშმის ტერიტორია, აღმოსავლეთიდან კი — ნინოწმინდა-წყაროსთავისა.

\* „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ არაა მითითებული, თუ სად იკვლევს გ.ლეონიძე „პატარძელის“ ეტიმოლოგიას. როგორც ჩანს, პოეტს აკ.შანიძისათვის ზეპირად მიუწოდებია ეს ცნობა.

თუ რატომ ჰქვია ამ სოფელს ეს სახელი, აქაური მთქმელი-ინფორმატორები გეტყვიან: მეფე ერეკლეს აქ ციხე რომ უშენებია, ლეკის ჯარი დასხმია თავს, მეფეს მცირე რაზმი ჰყოლია, მაგრამ სასტიკად დაუმარცხებია მტერი. რაკი პატარა რაზმით სძლია, ამ სოფელს დარქმევია „პატარა ძლეული“. „პატარა ძლეულიდან“ მივიღეთ „პატარძეული“. თუმცა ამ ხალხურ ეტიმოლოგიაში თვითონვე ეპარებათ ეჭვი. ჩვენი სოფელი ერეკლე მეფეზე ადრე არსებობდაო.

ამ გადმოცემაში ერთი რამ არის საყურადღებო. ხალხის მეხსიერებას კარგად შემოუნახავს ერთი ისტორიული ფაქტი. ერეკლე მეფემ პატარძეულის ციხის აშენების დროს მართლაც დაამარცხა ლეკები. აი, რას ვკითხულობთ იესე ბარათაშვილის (მსაჯულის) „ანდერძში“: „1758 წ. მეფენი თეიმურაზ-ერეკლე პატარძეულის ციხეს რომ აშენებდნენ, მოუხდნენ ლეკნი, მალე დაბრუნდნენ, დაუხვდათ ერეკლე აზამბურში და დაამარცხა. სამასი მეტი ლეკი დახოცა“ (14, 111-112. ხაზი — უ.ს.). ამასვე გვაუწყებს დავით ბატონიშვილიც: „მრავალთა ლეკთა იხილეს სასწაული წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისა სასწაულთმოქმედი, და იტყოდნენ ლეკნი მის მიერ ბრძოლასა და დაკვეთებასა. ხოლო ესე იყო წელსა 1758, უწინარეს წლისა ამისასა, ოდეს აშენებდა მეფე თეიმურაზ ციხესა პატარძეულისასა, მუნ მოვიდნენ ლეკნი, ხოლო მეფემან ირაკლიმ მოსწყვიტნა აზამბურს უმეტესს სამასისა“ (16, 8).

ამ ცნობას სიტყვასიტყვით იმეორებს თეიმურაზ ბატონიშვილიც (42, 51).

როგორც „საქართველოს ისტორიის ქრონიკებიდან“ ვიგებთ, პატარძეულის ციხის შენება 1756 წელს დაუწყიათ. „1756 წ. თეიმურაზ-ერეკლემ იწყეს შენება ციხე-გალაენისა პატარძეულში, თვითონ იქ ბრძანდებოდნენ ზაფხულში“ (14, 110. ხაზი — უ.ს.).

პატარძეულში მანამდეც რომ ყოფილა მეფეთა სადგომი, ამას საისტორიო წყაროთა მონაცემებიც ადასტურებს. ვახუშტი ბატონიშვილი გვაუწყებს, რომ 1716 წელს „მოკუდა გაზაფხულს დედოფალი ანნა, მოვიდნენ იესე და ელენე მოტირლად პატარძეულს და დაფლეს ანნა ალავერდს“ (1, 616). „საქართველოს ისტორიის ქრონიკებში“ უფრო ზუსტი თარიღია მითითებული: „1716 წ. აპრილის 10-14 მიიცვალა დედოფალი ჩოლოყაშვილის ასული ანნა მეფე ერეკლეს (პირველის — უ.ს.) მეუღლე, პატარძეულში, მოვიდნენ მოტირლად მეფე იესე და დედოფალი ელენე, ალავერდს წაასვენეს“ (14, 49). ამავე „ქრონიკებიდან“ ვიგებთ, რომ „1744 წ. აღვინობისთვის დედოფალი კახეთისა ქეთევანი მიიცვალა, ერეკლეს (მეორისა — უ.ს.) მეუღლე, ორბელიანის ქალი, პატარძეულში (ალავერდს წაასვენეს)“ (14, 79).

პატარძეული სამეფო სოფელიცაა და საეკლესიოც. აქ ყმა-მამუ-



ლი ეკუთვნის როგორც სამეფო კარს, ისე ნინონმინდის ეკლესიას, გარეჯის მონასტერსა და სვეტიცხოველს. „ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმნიფის ჭირი მათს სამარადისოდ მლოცველს ნინონმიდელს საბას მოსცეს. ამას მოგახსენებთ ჩვენ ჯელმნიფეს. დიალ, მრავალჯერ თავი გვიწყენია და მოგვიხსენებია და თვით ნმიდის მონამის ქეთევან დედოფლის ნიგნებიც მოგართვით ... ახლა კიდევ ამასვე გვედრები და გვაჯები, ჩემო ჯელმნიფევ, რომ ეს გამირიგოთ და აღარ დამაყოვნოთ. პატარძეულს არის საკვამლო ოთხი...“ ვკითხულობთ 1766 წლის 17 იანვარს შედგენილ ერთ-ერთ არზაში (33, 127-28). „რაც პატარძეულსა და თვალზე ნმიდის დავითის ყმა და მამული მომებარა, იმის გარდა ჩემგან ნასყიდი და შემატებული... პატარძეულს: კავთელა კვამლი ერთი... ამას გარეთ უნინდელი ჯელმნიფეთაგან შემონირული და ან ნინამძღვრებისაგან დასახლებული თვალზე და პატარძეულსა. არს პატარძეულს: ლაფერაშვილი კვამლი ა, ესტატაშვილი კვამლი ა...“, გვაუწყებს 1712 წელს დაწერილი საბუთი „შენირულების გუჯარი ნინამძღვარ ონოფრე მაჭუტაძისა დავით-გარეჯისადმი“ (26, 689-93).

პატარძეული საკმაოდ ღონიერი სოფელი უნდა ყოფილიყო. ეს იქიდანაც ჩანს, რომ იმერეთიდან გადმოხვენილი ხალხი მეფე ერეკლეს სთხოვს, აქ დაასახლონ: „ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმნიფის ჭირი მოსცეს ჩიკორიძეებს. ექვსნი ძმანი გახლავართ, ჩვენის ხიზნით ავიყარენით იმერეთიდან და თქვენს საფარველს მოვატანეთ. ხიზანი ზოგი ნინონმინდაში გვყავს და ზოგი ველისციხეში მოვასხით. თუ თქვენი ნება იქნებოდეს, პატარძეულში დაგვაყენეთ“ (33, 332-33). და კიდევ: „ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმნიფის ნინაშე მოსახსენებელი მათის მონის მეთოდისაგან, თქვენი წყალობა ორიოდ კომლი იმერელი გახლავთ. ჩემი თან გადმოყოლილი იმერლები პატარძეულს სამი წელიწადია აღარ უმსახურიათ რა“ (32, 537-38).

სამართლის ძეგლებიდან იმასაც ვიგებთ, რომ პატარძეულელებს ხშირად დავა ჰქონიათ მეზობელ სოფლებთან თუ სხვა ეკლესიის ყმებთან. 1770 წ. გაცემულ ერთ-ერთ საბუთში „არზა სამების ეკლესიის ყმებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით“, ვკითხულობთ: „ქ. ღმერთმან ყოვლად მონყალის ჯელმნიფის ჭირი ერთობით ნმიდის სამების ეკლესიის ყმათ მოსცეს... რაც ნმიდის სამების ეკლესიის შენირული ჯელმნიფეთაგან მამული არის, უფროსიერთა პატარძეულელნი ჯვნენ, სამამულეთაც გვეცილებიან...“ (33, 342).

კიდევ მრავალი საბუთის დამონშება შეიძლებოდა, მაგრამ ვფიქრობთ, ესეც საკმარისია პატარძეულის ისტორიული წარსულის თვალის გადასაგლებად, ოღონდ აქ ერთი შემადრწუნებელი ცნობაც უნ-

და მოვიტანოთ, რათა დავრწმუნდეთ, ეს მრავალჭირნახადი და შეუდრეკელი სოფელი ერთხელ უსიტყვოდ რატომ დანებდა „მოყვრულად“ მოსულ მტერს: „მაშინ მარკიზი (პაულინი — უ.ს.) მოსრულ იყო ტფილისს ბაქოით. სცნა რა ესე (კახეთის ამბოხი — უ.ს.), მოიკრიფნა ყოვლის ადგილით რუსნი, წარემართა და მივიდა ხაშმს, შეესივა ხაშმსა და მოასრევეინნა უბრალონი ქრისტიანენი მარკიზმან ვიდრე ასადმდე ჩვილითურთ, მსგავსად იროდისა. და მუნ მოკლეს ხიშტითა მონოზონი აბაშიძის ასული მარიაჲ, ოთხმეოცისა წლისა დედაკაცი. ესე სცნეს რა კახთა, სამებას მყოფთა, ძალისა მორთვა მარკიზისა, გარდავიდნენ მთასა... მარკიზი მივიდა პატარძეულს, მოერთვა პატარძეული...“ ამ სამწუხარო ამბავს თეიმურაზ ბატონიშვილი გვაუწყებს (42<sup>o</sup> 82. ხაზი — უ.ს.).

პატარძელი ვახუშტი და იოანე ბატონიშვილებს თავიანთ ნაშრომებში შეტანილი აქვთ გარეკახეთის სოფლების სიაში (15,205; 17,66). ყველაზე ადრინდელი წყარო კი, სადაც ეს ტოპონიმი დასტურდება, არის „ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულეების სითარხნის გუჯარი“, რომელიც შედგენილი (თუ განახლებული) ჩანს 1392 წლის 1 დეკემბერს.\* ამ ძეგლში ვკითხულობთ, რომ სხვა მრავალ ყმა-მამულთან ერთად „თუალნი, გიორგინშიდა, ბერთუბანი და პატარძელნი, მათითა მამულითა“ ეკუთვნის სვეტიცხოველს (26, 180). როგორც ვხედავთ, ორი ტოპონიმი „თუალნი“ და „პატარძელნი“ მრავლობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი. საისტორიო წყაროებიდან ვიცით, რომ დღევანდელი საგარეჯოს ტერიტორიაზე მდებარეობდა სამი სოფელი, რომელთაც ძველი ეწოდებოდათ (15, 205; 17, 66). შესაძლებელია პატარძელიც რამდენიმე ობიექტს ერქვა და საბუთშიც ამიტომ შეიტანეს მრავლობითი რიცხვის ფორმით. დღევანდელი პატარძელის შემადგენელი ნაწილია ბერთუბანი. მაგრამ ამ ობიექტს ვერ მივიჩნევთ მეორე პატარძელად, რადგან ზემოთ დამონმებულ წყაროში პატარძელის გვერდით ბერთუბანი ცალკე ერთეულადაა დასახელებული.

ახლა რაც შეეხება პატარძელის ეტიმოლოგიას. ხალხურ გადმოცემას, თითქოს ეს სახელწოდება უნდა მომდინარეობდეს „პატარა ძლეულიდან“, ანდა საზოგადო სახელ „პატარძლისაგან“, ვფიქრობთ, საფუძველი არ გააჩნია. ჯერ ერთი, საზოგადო სახელი „პატარძალი“ შედარებით უფრო ახალი სიტყვაა. იგი არ გვხვდება ი.აბულაძის მიერ შედგენილ „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“, რომელშიც უძველესი ქართული ლიტერატურული ძეგლებია და-

\* „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ ვკითხულობთ, რომ „პატარძელი უკვე XI ს-ში მელქისედეკ კათალიკოსის სიგელში იხსენება“ (41, 129).

მონმებული: „ყრმა-ლა იყო და ახალსძალ“... „მრავალნი ახალსძალნი მიცთუნნა და განაშორნა ქმართაგან მათთა“. „ახალი რძალი“ ნაცვლად პატარძლისა მეცხრამეტე საუკუნეში დაწერილ ნაწარმოებებშიც კი დასტურდება: „არა გამოჩინებული ქორნილი მეფისა ძისა (ერეკლე მეორის ძის, ბატონიშვილ გიორგის — უ.ს.) მოითხოვდა, რათა არა გამოჩენილადცა ყოფილიყო მიღება სასახლესა შინა ახალი რძალისა“ (13, 80. ხაზი — უ.ს.).

უნდა აღინიშნოს, რომ ტოპონიმი „პატარძელი“ ობლად არ გამოიყურება. საისტორიო წყაროებსა თუ სიგელ-გუჯრებში გვხვდება ამ ტიპის გეოგრაფიული სახელწოდებებიც: კურტანაძელი, ნიშარძელი... „ამ ციხის (მარილისის — უ.ს.) გვერდზედ აღმოსავლეთის მხრისკენ ჩამოუდის მდინარე კურტანაძელი“, ვკითხულობთ 1785 წლის 14 იანვარს გაცემულ ერთ საბუთში „განჩინება სალთხუცეს ქაიხოსროსა და კობიაშვილების მამულის საქმეზე“ (31, 289). „ნიშარძელი“ კი ერთ-ერთი საზღვარია სვეტიცხოვლის მამულეებისა, „... სადა გრდანული შარა გარდაუქცევს, შარა-შარა ნავლით, სადა დიდნი სხალნი დგანან, იქიმდინ ნიშარძელის ნასახლარამდე...“ გვაუწყებს 1579 წელს შედგენილი „მამულობის მფლობელობის წიგნი ალექსანდრე მეორისა (კახთა მეფის — უ.ს.) სვეტიცხოვლისადმი“ (2, 200).

ახლა ძნელია ამ ტოპონიმის ლოკალიზება, ოღონდ მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ „ნიშარძელის წყალი“ გ.ლეონიძის „ნატურის ხის“ ერთ-ერთი ნოველის სათაურია და ტექსტშიც ხშირად გვხვდება: „მთელი სიცოცხლე მეცადინეობდა, რათა მრავალქაფა ნიშარძელის წყალი ჩვენს სოფელში ჩამოეყვანა... თითქმის ყოველ კვირას ნიშარძელში ადიოდა, იქ ჩანჩქერის ჩქროს ესაუბრებოდა, ესიყვარულებოდა, ელაციცებოდა“ (43, 187-188. ხაზი — უ.ს.).

აქ ერთი რამ ცხადია, „კურტანაძელი“ ანთროპონიმული ტოპონიმია. მასში აშკარად გამოიყოფა გვარსახელი „კურტანაძე“. ადამიანთა გვარსახელები უნდა გამოიყოს ტოპონიმებში „პატარძელსა“ და „ნიშარძელშიც“.

ტოპონიმ „პატარძელში“ (ასევე „ნიშარძელში“) გამოიყოფა ულ (← ურ) ნარმომავლობის აფიქსი, რომელიც ტოპონიმებში ყოლა-ქონების მანარმოებლად გამოიყენება. ურ (ულ) ბოლოსართით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელწოდებები ათასობითაა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე: ამბროლაური, ასკილაური, ბადიაური, გუჯაბაური, დილიკაური, კალაური, თოხლიაური, შალაური, ჩოხატაური, ხარაგაული...

თუ ტოპონიმ „პატარძელში“ ულ (← ურ) სუფიქსს გამოვყოფთ, დარჩება „პატარძე“, რაც, უნდა ვივარაუდოთ, რომ პატარი-


ძის შეკუმშული ფორმაა. მართალია, სალიტერატურო ქართულში ი და უ ბგერები რედუქციას არ განიცდიან, მაგრამ დიალექტებში ამ მოვლენასაც რომ აქვს ადგილი, ამის დამადასტურებელია ტოპონიმები: დულარძიანი//დულარძიანთუბანი (სოფ. ქოდალა, გურჯაანის რ-ნი) და წულკიძიანი//წულკიძიანთუბანი (სოფ. კონდოლი, თელავის რ-ნი). ამ ტოპონიმებს საფუძვლად უდევს გვარსახელები: დულარიძე და წულუკიძე. აქ ამკარაა, აღნიშნულ ტოპონიმთა ფუძეებიდან (შესაბამისად) ამოვარდნილია ი და უ ხმოვნები.

ჩვენი აზრით, უფრო სავარაუდოა, რომ ტოპონიმ „პატარძელს“ საფუძვლად უდევს საკუთარი სახელი (ან მეტსახელი) „პატარიძე“ ან „პატარძე“. ქართულში რომ ძე-ზე გათავებული საკუთარი სახელებიც გვხვდება, ეს ვაჟა-ფშაველას პოემა „ბახტრიონიდანაც“ ცნობილია: „აქა ვარ გამოთხოვილი, ბერიძე მყვანდა ქმარია“, ეუბნება სანათა კვირიას (52, 416. ხაზი — უ.ს.). ამასვე ადასტურებს გვარები: ბერიძიშვილი (ცხოვრობენ მარტყოფში) და ბერიძიაშვილები (ფშავეში არიან). ამავ მოდელის გვარები ჩანს გვრიძიშვილი და ილურიძიშვილი, სამართლის ძეგლებში რომ გვხვდება: „ქ. ერთი იკორთელი კაცი პატარძელს ჩამოსულიყო, მეარაყე მამუკა, ცოტა რამ მამული ეყიდა, ის კაცი უშვილო ყოფილიყო. ის თავისი ნასყიდი მამული და თავისი თავი წმინდის დავითისათვის შეენირა, ის კაცი მომკედარიყო და ერთი იკორთელი მისი ნათესავი კაცი საგარეჯოს ჩამოსულიყო და წინამძღვრის შეუტყობრად მალვით ის მამული გვრიძიშვილისათვის მიეყიდა“ (36, 371). სხვა საბუთში ვკითხულობთ: „დედას უნდა მისცენ ოთხავ ძმათ (სოლოლაშვილებმა — უ.ს.) წელიწადში პური კოდი ოცი, ღვინო საპალნე ერთი... და პატარძელს რომ ამათი კაცი დგას ილურიძიშვილი იოსებ უმამულოდ“ (37, 314).

სოფ. ქოდალაში (გურჯაანის რ-ნი) ცხოვრობენ ბოლლოციშვილები. მათი ადრინდელი გვარი ყოფილა ბოლლაძიშვილი, ეს თავადაც ახსოვთ და ქართული სამართლის ძეგლებშიც დასტურდება. აქ დამოწმებულ გვარებში: ბერიძიშვილი (ბერიძიაშვილი), ბოლლაძიშვილი (→ ბოლლოციშვილი), ილურიძიშვილი, გვრიძიშვილი — გამოიყოფა ბერიძე, ბოლლაძე, ილურიძე და გვრიძე (— გვარიძე?), რომლებიც, როგორც ვხედავთ, ადამიანთა საკუთარი სახელებია (მეტსახელები) და არა გვარები. გვარის ფორმები ადამიანთა მეტსახელებად დღესაც ხშირად გვხვდება. მაგ., მარტყოფში ჩავინერეთ მეტსახელები: ღვინიაშვილი, მახათაშვილი, ბოლქვაძე, ნატალენკო...

ზემოთქმულიდან უნდა დავასკვნათ, რომ ტოპონიმი „პატარძელი“ ანთროპონიმული წარმოშობისაა. იგი მომდინარეობს ადამიანის

საკუთარი სახელისაგან ან მეტსახელისაგან „პატარიძე“, ანდა შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ტოპონიმის ამოსავალი ფუძეა საკუთარი სახელი (მეტსახელი) „პატარიძე“ (შდრ.: პატარკაცი, პატარქალი...). ამ ტოპონიმს რომ საფუძვლად ადამიანის საკუთარი სახელი (მეტსახელი) უდევს, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ურ სუფიქსის წინ ფუძისეული ე არაა შეკვეცილი (შდრ.: ახმეტა → ახმეტ-ურ-ი, ბოდბე → ბოდბ-ურ-ი, მაგრამ შალა → შალა-ურ-ი, პავლე → პავლე-ურ-ი); ბოლქვაძე (გვარი) → ბოლქვაძის სახლი, მაგრამ ბოლქვაძე (მეტსახელი) → ბოლქვაძეს ბიჭი.





## საგარეჯო

ქალაქი და რაიონული ცენტრი საგარეჯო მდებარეობს გარეკახეთში, მდინარე თვალთხევეზე (ივრის მარცხენა შენაკადია).

ამ დასახლებულ პუნქტს ადრე თვალი რქმევია. ეს აქაურ მოსახლეობასაც ახსოვს და საისტორიო წყაროებიდანაც ცნობილია, ამის უტყუარი საბუთი ისიცაა, რომ ქალაქში ჩამომდინარე ხევს თვალთხევი ჰქვია. ჰიდრონიმი კი შემთხვევით არაა მრავლობითის ფორმით. ვახუშტი ბატონიშვილის შრომაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (სოფლების სიაში) ვკითხულობთ, რომ გარეკახეთში თვალი სამ დასახლებულ პუნქტს რქმევია (15, 205). იოანე ბატონიშვილსაც გარეკახეთის სოფლებში გარკვევით უწერია: „თვალი ანუ საგარეჯო (სამი)“ (17, 355), მაშასადამე, დღევანდელი ქალაქის ადგილზე ყოფილა სამი სოფელი — თვალი.

საგარეჯო დღესაც სამი ძირითადი უბნისაგან შედგება: დოდოსუბანი, ვაკისუბანი, გაღმაუბანი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს უბნები ძველად ცალკე სოფლები იყო და შემდეგ გაერთიანდა. ამ სოფლებს საერთო სახელად (ოფიციალურად) თვალი ერქვა, ადგილობრივ კი, ერთმანეთისაგან რომ გაერჩიათ, სხვადასხვა სახელს უწოდებდნენ. მსგავსი ვითარება სხვაგანაც დასტურდება. ვახუშტი ბატონიშვილს იმავე ნაშრომში ტოპონიმ ლილოში ხუთი სოფელი აქვს გაერთიანებული. სხვა წყაროებსა და თვით ვახუშტისავე ნაშრომში დასტურდება, რომ ამ სოფლებს საკუთარი სახელწოდებები ჰქონდათ: დიდი ლილო, მთის-ლილო, ქვითკირის-ლილო, კოდის-ლილო, შარობის-ლილო. ჯიშითიც სამი სოფლისაგან შედგებოდა: საკუთრივ ჯიშითი, გადრეკილი და დარბა (სოფელი დარბა სამოციან წლებში დაცარიელდა. იქაური მოსახლეობა კაჭრეთის ბოლოზე გადმოსახლდა).

საისტორიო წყაროებსა თუ სიგელ-გუჯრებში ხშირად გვხვდება ტოპონიმები: წინასაგარეჯო, უკანასაგარეჯო, პირიქითასაგარეჯო, პირაქეთასაგარეჯო, თვალსაგარეჯო. ერთი შეხედვით შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ ეს ტოპონიმებიც, ალბათ, ადგილობრივი სახელწოდებები იყო ტოპონიმ „თვალით“ აღნიშნულ დასახლებულ პუნქტებისა.

ტოპონიმი თვალი ჯერ კიდევ მეთოთხმეტე საუკუნის საბუთებში

გვხვდება. 1392 წელს გაცემულ „ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში“ ვკითხულობთ, რომ ქართველ მეფეებს „...თუალნი, გიორგიწმინდა, ბერთუბანი და პატარძელნი, მათითა მამულითა...“ სვეტიცხოვლისადმი შეუწირავთ (26, 180).

1579 წ. ალექსანდრე (კახთა) მეფემ პირობა მისცა ნიკოლოზ კათალიკოსს საგარეჯოს მამულების გაუცემლობის შესახებ. ლეონ (კახთა) მეფემ დაადგინა, რომ წინა და უკანას საგარეჯოს გამოსაღები შუაზე გაყოფილ იყო და ნახევარ-ნახევარი კათალიკოსს და დავით გარეჯს მისცემოდა, რაც შემდეგში ხელახლა დაამტკიცა ალექსანდრე II (კახთა მეფემ) 1579 წელს. როსტომ მეფემ უბოძა ზაქარია მაყაშვილს ლუარსაბის ნაქონი მამული პირაქეთ საგარეჯოში 1637 წ. ნაზარალიხანმა (ერეკლე პირველმა) 1700 წ. უბოძა ამილბარ მალალაძეს სახლთუხუცესობა და ჯინიშინობა სვეტიცხოვლის მამულებისა, რომელშიც შედიოდა „პირიქით და პირაქეთ საგარეჯო“ (44, 180). „რაც ამ სოფელს (ყანდიაურს — უ.ს.) გამოსავალი იქნებოდეს, ნახევარი სამეფოდ მიერთმეოდეს და ნახევარი წმიდისგიორგის ალავერდის ეკლესიას მიერთმეოდეს; როგორც წინასაგარეჯო და უკანასაგარეჯო სამეფოთა და სვეტიცხოვლისათვის სანახევროდ ძეგს, ესეც იმ წესით უნდა იყოს“, ვკითხულობთ 1797 წ. 23 თებერვალს გაცემულ საბუთში „განჩინება ანტონ II-სა სოფელ ყანდიაურის თაობაზე“ (37, 14). 1806 წ. 17 ივლისით დათარიღებულ საბუთში „განჩინება მალალაშვილების სახელოების თაობაზე“, რომელიც ასევე კათალიკოს ანტონ II-ს გაუცია, წერია: პირიქით და პირაქათ საგარეჯოსა, ჯიმითსა, ახალშენს, ვეძისხევს, ერნოსა, ბინშენდს, საგურამოს რაც სვეტიცხოვლის მამულები არის და ჯუარის სახასო მამულებში სთუელს თქუენ აიღებდეთ“ (37, 371).

არა, აქ ჩამოთვლილი ტოპონიმები: წინასაგარეჯო, უკანასაგარეჯო, პირიქითა საგარეჯო, პირაქეთა საგარეჯო; რომელიმე ცალკეული დასახლებული პუნქტების სახელწოდებები კი არ არის, არამედ ამ ტოპონიმებში ერთიანდება ცივ-გომბორის ქედის ორივე მხარეს მდებარე სოფლები თუ ადგილ-მამულები, რომლებიც გარეჯისადმი შეუწირავთ მეფეებს.

ახლა უნდა დაეადგინოთ, თუ რა ობიექტებს გულისხმობს ეს ტოპონიმები.

„ქ. შემოგვეცილნეს ჩუენ, წინასაგარეჯოველთ, მთისა სამძღვარსა ჭაეჭავაძე მამუჩი, და მისი ძმისწული გიორგი, გულბაათ და იასონ მისი განაყოფი... დავიფიცეთ ჩუენ, ქართლისა კათალიკოზმან პატრონმა ქრისტეფორემ და საგარეჯოს მოურავმან ჯანდიერიშვილმან როსებ... და სრულიად მცხეთელთა და წინასაგარეჯოთა...“ ვკითხუ-

ლობთ 1654 წ. 2 იანვარს გაცემულ საბუთში „გამოფიცულობის წიგნი ქრისტიფორე კათალიკოსისა სვეტიცხოვლის მამულების საქმეზე“ (36, 95). ამავე თარიღით შედგენილ მეორე საბუთში კი „წიგნი ქრისტიფორე კათალიკოსისა სვეტიცხოვლის მამულების საქმეზე“ — ვკითხულობთ: „...წინასაგარეჯოელთ შემოაცილნეს მთასა და სამძღურებსა ჭავჭავაძე მამუჩი... ცოტა რამ ქართული ვაჩნაძიანთაც ილაპარაკეს. ჩუენ ხელმწიფეს მეფეს როსტომს მოვაზსენეთ და ფიცი ვთხოვეთ. მეფემ როსტომ კახეთის სარდალს ერისთავს ზაალს (არაგვის ერისთავს — უ.ს.) უბრძანა და ყოფიჩბაშს ბარამს და სუფრაჯს ბიძინასა (ჩოლოყაშვილს, კახეთის აჯანყების გმირს — უ.ს.)... შემდეგ მოფიცართა შორის ჩამოთვლილნი არიან სხვადასხვა თანამდებობის პირნი, როგორც საერონი, ისე სასულიერონი. „...და სრულიად მცხეთელთა და წინასაგარეჯოელთა ერთ პირობითა; უკანასაგარეჯოელთა: ნაცვალმან მანელაშვილმა თამაზამ, ბუტულაშვილმა ლაზარემ, ზუკაკიშვილმა მაზიტამ, დრეიძემ იასემ და საჩინომ... და მივედით, წავდექით გოგასწყაროსთან სამძღურამდინ და იქით დევთ-ნასახლარზედ და დევთ-ნასახლარიდამე ომანაშვილის სასაკლაომდინ, ეს სამძღურები გომთ-წყალზედ მოვიდა და სადაც გომ-წყალი ჭერემის წყალს შეერთვის, იქამდისინ მთა და ბოლო სულ გამოგვიფიცავს. ვანთა, ბუშატი სვეტიცხოვლის სოფელია, ასრე გამოგვიფიცავს: არც ვანთას და არც ბუშატს, არც მთასა, არც ბოლოში და არც სოფელში მიწასა და წყალზედ სამამულედ არც ჯანდიერიშვილსა აქუს ხელი, არც ვაჩნაძესა და არას კაცსა. მამული სახასო კათალიკოსისაა, სამოურაო — ჯანდიერიშვილის. იქით კისისწყველნი ხოდაშნელთ ცოტას მთაზედ ცილობდენ... ისიც ფიცით გამოვიტანეთ, და საგარეჯოს მთა საგარეჯოს დარჩა“ (36, 96-97).

ამ ვრცელ ამონაწერში მრავალი ტოპონიმი, რომელთაგან: ჭერემწყალი, ვანთა, ბუშატი, ხოდაშენი, კისისხევი... ყველამ კარგად იცის, სადაც მდებარეობს. ზოგიერთი ტოპონიმის ლოკალიზაციაც ადვილად დადგინდება. მარმაროვანი იგივე მარმარილო უნდა იყოს, შაშიან-კალაურის ტერიტორიაზე მდებარე ერთ ადგილს რომ ეძახიან. გომთწყალი კი იგივე გომწყალია, სალანძილიდან რომ გამოდის სოფელ ჭერემის ტერიტორიაზე და მარცხენა მხრიდან ერთვის ჭერემხევს.

რაც შეეხება ვანთას, ბუშატს, ხოდაშენს... ეს სოფლები (ან ნაწილი ამ სოფლების ყმა-მამულისა) რომ გარეჯის მონასტრებსაც ეკუთვნოდა, იქიდანაც ჩანს, რომ მათ ტერიტორიაზე დღესაცაა შემონახული წმინდა დავითისა და ნათლისმცემლის ეკლესიები. სწორედ ამ სოფელთა მკვიდრები უნდა იყვნენ მოფიცარი წინასაგარეჯოელები. უკანასაგარეჯოელთა სახელით კი იფიცავენ: ნაცვალ



მანელაშვილი თამაზა, ბუტულაშვილი ლაზარე, ზუკაკიშვილი მაზიტა, დრეიძე იასე და საჩინო. უკანასაგარეჯოდ ამ ტექსტში უნდა ვიგულისხმოთ დღევანდელ საგარეჯოსა და მასთან ერთად გარეკახეთში მდებარე ის ადგილ-მამულები, რომლებიც გარეჯისათვის იყო შენიღული. საგულისხმოა ისიც, რომ გვარი დრეიძე მხოლოდ გარეკახეთის ამბებთან დაკავშირებულ საბუთებში ფიგურირებს და ისიც, რომ სოფელი დრეიძე (ახლა უკვე ნასოფლარი) მდებარეობს საგარეჯოს მახლობლად, ნინოწმინდა-პატარძელის ზემოთ, ტყეში.

როგორც ვხედავთ, საგარეჯო რომელიმე გარკვეული ობიექტის სახელი კი არაა, არამედ ამ პერიოდისათვის ფართე ცნება აქვს და მოიცავს ყველა იმ სოფელსა თუ სოფლის ნაწილს, რომელიც კი შენიღულია გარეჯის მონასტრებისათვის. ვახუშტი ბატონიშვილიც იცნობს ტოპონიმ საგარეჯოს, მაგრამ აშკარად ჩანს, რომ იგი კრებითი სახელია. „ხოლო მანავის დასავლით არს ჴევი გიორგინშიდისა; გამოსდის შუა მთას და დის ჩდილოდამ სამჯრით. ამან მოიგო სახელი, ოდეს შესწირეს უდაბნოს დაბნები ესე, უწოდეს საგარეჯო“ (1, 529). ვახუშტისათვის საგარეჯო და თვალი ერთი და იგივე რომ ყოფილიყო, უთუოდ აღნიშნავდა სოფელთა სიაში.

გიულდენშტედტისათვის კი, რომელმაც მეთვრამეტე საუკუნის სამოცდაათიან წლებში და აღწერა ქართული სამეფო-სამთავროები, საგარეჯო გარკვეული პუნქტის სახელია, თვალსაგარეჯოს კი კახეთის ერთ-ერთ მხარეს უწოდებს: „კახეთის მხარეს თვალსაგარეჯოს უჭირავს იორის ქვედა დინება... მასვე ეკუთვნის კედლებითა და ციხეებით აღჭურვილი ადგილები: 1. მანავი, ყველაზე განაპირა აღმოსავლეთი ადგილი, 2. ნათლული, 3. მარტყოფი, რომელსაც თელიან ქალაქად, 4. ნორია, 5. ლოჭინი, 6. ბატორო, 7. სოული, 8. მონასტერი ნინოწმინდა, 9. ნანიანი და 10. საგარეჯო, რომელსაც აგრეთვე ქალაქი ჰქვია“ (7, 261). აქ რამდენიმე შეცდომაა. ბატორო და სოული რომ პატარძელი უნდა იყოს, ეს მთარგმნელსა და გამომცემელს გელა გელაშვილსაც აქვს შენიშნული. ნათლული, მარტყოფი, ნორია... კი საგარეჯოში არ შედიოდა.


ჩვენი აზრით, საკვლევი ობიექტის სახელი საგარეჯო კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ თვალსაგარეჯო. ე.ი. თვალსაგარეჯო უნდა იყოს ერთ-ერთი დასახლებული პუნქტის სახელი, საგარეჯო კი — მხარისა (სამოურაოსი), როგორც ეს ნყაროებიდანაც დავინახეთ.

საინტერესოა ტოპონიმი თვალსაგარეჯოც. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თვალი სამი იყო, მაგრამ ეს სოფლები ყველა არ ეკუთვნოდა გარეჯს. აქაური ყმა-მამული ზოგი სამეფო იყო, ზოგი სვეტიცხოვლისა და ზოგიც სანიწმინდლო... ვფიქრობთ, ამ სოფელთაგან

ერთ-ერთი მთლიანად თუ არა, მისი უდიდესი ნაწილი მაინც გარეჯი-სა იყო. ამიტომ უნდა გაჩენილიყო ტოპონიმი თვალსაგარეჯო, რათა გაერჩიათ სხვა თვალთაგან, რომლებიც არ ეკუთვნოდა გარეჯს. თვალსაგარეჯოში უნდა ყოფილიყო საგარეჯოს სამოურავოს ცენტრი, რამაც გამოიწვია ტოპონიმ საგარეჯოს დაკონკრეტება. ე.ი. თვალსაგარეჯო მოგვიანებით იქცა საგარეჯოდ. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს საისტორიო წყაროებიც.

წინასაგარეჯოსა და უკანასაგარეჯოზე უკვე ვთქვით, რომ წინასაგარეჯო ცრვგომბორის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეზე მდებარე სოფლების (გარეჯისათვის შეწირული) საერთო სახელწოდებაა, უკანასაგარეჯო კი — გარეკახეთში მდებარე სოფლებისა. სახელწოდებები წინამხარისა და უკანამხარის ანალოგიითაა შექმნილი. ეს ტოპონიმები დღესაც ცოცხალია. წინამხარს ცივ-გომბორის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთებს უწოდებენ, უკანამხარს კი — სამხრეთ-დასავლეთ მხარეზე მდებარე კალთებს. რაც შეეხება პირიქითა და პირაქეთა საგარეჯოს, პირიქითაში შიდაკახეთის სოფლებისა თუ ადგილ-მამულების ერთობლიობა იგულისხმება, პირაქეთა საგარეჯოში კი — გარეკახეთისა. ამას გვაგარაუდებინებს ის საისტორიო და სამართლის ძეგლები, რომლებშიც ეს ტოპონიმები დასტურდება. რადგან ეს საბუთები შედგენილია თბილისში ან მცხეთაში, ამიტომ შემდგენელთათვის პირიქითა საგარეჯო შიდაკახეთში იქნება, პირაქეთა საგარეჯო — გარეკახეთში.

ტოპონიმი საგარეჯო გამჭვირვალეა, ამიტომ მისი შინაარსიც ადვილად აიხსნება: სა-გარეჯ-ო, ე.ი. გარეჯისათვის განკუთვნილი.





## ყანდაურა

ახლა კი, როგორც ზემოთ დავპირდით ძია ნიკოს, ვისაუბროთ სოფელ ყანდაურის შესახებ. ყანდაურა მდებარეობს გარეკახეთში, ცივ-გომბორის ქედის სამხრეთ-დასავლეთ კალთაზე. ყანდაურა ორია დღეს: ზემო ყანდაურა და ქვემო ყანდაურა. ამათ გარდა ყანდაურის საკრებულოში შედის კიდევ სამი სოფელი: ბადიაური, შიბლიანი და ბოგდანოვკა (ანუ უფრო სწორედ — თელიანი).

საკრებულოს ცენტრი ახლა ბადიაურშია, ადრე, ოციოდე წლის წინათ, ამ სასოფლო საბჭოს ცენტრი ქვემო ყანდაურა იყო. ცენტრის გადმოტანა ბადიაურში გზამ განაპირობა, რადგან ბადიაური კახეთის გზაზე მდებარეობს, აქვეა რკინიგზის სადგურიც, თანაც დანარჩენი სოფლებისათვის ბადიაური უფრო მოსახერხებელია მისასვლელად. სწორედ რომ გზამ და სადგურმა განაპირობა ბადიაურის ზრდაც. სამაგიეროდ ყანდაურა (განსაკუთრებით ზემო ყანდაურა) თანდათან დაიცალა და ხალხი ბადიაურში ჩამოსახლდა.

საბედნიეროდ უნდა ითქვას, რომ მოსახლეობა ნელ-ნელა კვლავ უბრუნდება ძველ საცხოვრისს. ეს უფრო ზემო ყანდაურაზე ითქმის. ამ ათი-თორმეტი წლის წინათ თავად ვნახე ახლად მიბრუნებული ხალხიც და საძირკველჩაყრილი სახლებიც და, ალბათ, ამ სოფელში, სადაც საუკეთესო ჰაერი, წყალი, ტყე და ბაღა-ბაღებია, უკვე საკმაოდ მომრავლდა მოსახლეობა.

საისტორიო წყაროებში, სიგელ-გუჯრებსა თუ სამართლის ძეგლებში ერთი ყანდაურა გვხვდება, ისიც გვიანდელ საბუთებში. ვახუშტი ბატონიშვილს ასეთი ტოპონიმი საერთოდ არ აქვს სოფელთა სიაში შეტანილი. იოანე ბატონიშვილი კი გარეკახეთის სოფლების ჩამოთვლისას ყანდაურასაც ახსენებს და თან იმასაც გვამცნობს, რომ ეს სოფელი მირიან ბატონიშვილს (ერეკლე მეორის ვაჟს) რგებია წილად. რომელი სოფელი უნდა იგულისხმებოდეს იოანე ბატონიშვილის ნაშრომში, დღევანდელი ზემო ყანდაურა თუ ქვემო ყანდაურა? რა თქმა უნდა, ზემო ყანდაურა! სწორედ რომ ეს სოფელი გახლავთ ისტორიული ყანდაურა, რომელსაც აგერ უკვე ორასი წელი უსრულდება ხელახალი აღდგენა-აღორძინებიდან. რა უფლებით ვამბობთ, რომ ძველ წყაროებში მოხსენებული ყანდაურა

(უფრო სწორად — ყანდიაური!) დღევანდელი ზემო ყანდაურა უნდა იყოს და არა ქვემო ყანდაურა? საქმე ის გახლავთ, რომ დღევანდელ ქვემო ყანდაურას ძველად სულ სხვა სახელი ერქვა და იგი შეტანილია როგორც ვახუშტის, ისე იოანე ბატონიშვილის შრომაში. ამ სოფელს, ქვემო ყანდაურას, ძველად ალაკანი ერქვა. ასეთი სახელწოდების სოფელი, მართალია, აღარაა შეტანილი საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარში, მაგრამ იგი სულ არ გამქრალა ხალხის მეხსიერებიდან. ამის დასტურად ისიც საკმარისია, რომ ქვემო ყანდაურის ცენტრსა და აქ გამომდინარე წყაროსაც ყანდაურელები დღესაც ალაკანს ეძახიან.

როგორც ვხედავთ, ალაკანი უფრო ძველი სოფელია, ვიდრე ყანდაურა, რადგან ყანდაურა ვახუშტის არ შეუტანია სოფელთა სიაში, რაღაც ორმოცი თუ ორმოცდაათი წლის შემდეგ იოანე ბატონიშვილი კი ალაკნის გვერდით ყანდაურასაც ათავსებს. სხვა წყაროები რომ არ გვექონდეს, ვიფიქრებდით, ეს სოფელი გვიან შეიქმნაო. საისტორიო წყაროებიდან და სამართლის ძეგლებიდან ვიგებთ, რომ სოფელი ყანდაურა ძველადაც არსებულა, მაგრამ შაჰ-აბასის ურდოებმა კახეთი რომ მოაოხრეს, მაშინ ეს სოფელიც დაუნგრევიათ, აქაური მოსახლეობა, როგორც ჩანს, ან ერთიანად ამოწყვიტეს ან შორეულ სპარსეთში გადაასახლეს, ზოგი კი აქეთ-იქით გაიფანტა და, როგორც კი დადგა ჟამი უფრო მშვიდობიანი, ხალხი ისევ მიუბრუნდა მშობლიურ კერას. ძველი სოფლის აღდგენაზე ზრუნავენ და ყოველმხრივ ხელს უწყობენ სამეფო კარი და ეკლესია.

ყანდაურა, როგორც ჩანს, ალავერდის წმინდა გიორგის მამული ყოფილა. მეთვრამეტე საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში მეფე ერეკლეს აქ თავისი სახასო ყმები დაუსახლებია. ამას გვამცნობს „განჩინება ანტონ II-ისა სოფელ ყანდიაურის თაობაზე“, რომელიც შედგენილია 1797 წლის 23 თებერვალს. ამ საბუთში იმდენი საგულისხმო რამ არის ნათქვამი, რომ ვფიქრობთ, უინტერესო არ იქნება მისი ნაკითხვა. „ქ. ყანდიაური სოფელი ძველთაგანვე ალავერდის წმიდის გიორგის ეკლესიის შენირული არის და შააბაზ ყეენს რომ კახეთი მოუოხრებია, მასუკან ხარაბათ იყო, რომ ყანდიაურის სოფელში შენობა აღარ ყოფილა. ახლა მისმა უმაღლესობამ მეფემან ქართლისამან და მეფემან კახთამან და სხვათა ირაკლი მეორემან იგულა და იგულსმოდგინა ამ ყანდიაურის სოფლის გაკეთება, მოიყვანა და თავისი სახასო კაცნი დაასახლა და სხვაც მრავალი ხარჯი ჰქმნა. ახლა ჩვენ, ყოვლის საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქმან ალავერდელმან... ანტონიმ ჩვენი დიკასტირიის თანადასწრებით ასე განვსაჯეთ: რადგანაც კაცნი მისის უმაღლესობის მეფის სახასო ყმანი არიან და მამული ალავერდის წმინდის გიორგის ეკლესიისა არის,

რაც ამ სოფლის გამოსავალი იქნებოდეს, ნახევარი სამეფოდ მიერთ-  
მეოდეს და ნახევარი წმიდის გიორგის ალავერდის ეკლესიას მიერთ-  
მეოდეს ... სადაც რომ დღეს ყანდიაური სოფელი სახლობს, იმის ჩა-  
მოსწვრივ ალაკნითვე თავის გასადევრით ყანდიაურის სოფლისათ-  
ვის დაგვიდვია სამკვიდროდ და საბოლოოდ. და თუ სადმე ალაკნელი  
მემკვიდრე კაცი არის, მოვა და თავის მამულს ხელს მოჰკიდებს,  
იმას თავის მამულს ვერავინ შეეცილება და იმისი გამოსავალი სა-  
კუთრად ალავერდის ეკლესიისა იქნება.

და კიდევ ვინ იცის, როგორ მოხდეს, რომელიც კაცნი მისმა უმაღ-  
ლესობამ ყანდიაურსა და ალაკანში დაასახლა, ესენი რომ აქ აღარ  
დადგნენ და დაიფანტნენ, ის მამული ისევ საკუთრად ალავერდის  
წმინდის გიორგისა იქნება" (37, 13-14).

ამ ვრცელ ამონაწერში ბევრი რამ არის საგულისხმო და, ალბათ,  
დღესაც მისაღები და გასაზიერებელი. დააკვირდით, მოშლილ, დაქ-  
ცეულ სოფელზე თავგამოდებით ზრუნავს სახელმწიფო, ცდილობს  
და ყოველნაირად ხელს უწყობს, რათა სოფელს დაუბრუნოს თავისი  
მკვიდრი მოსახლეობა, სხვადასხვა მიზეზით აქეთ-იქით რომ გაფან-  
ტულა. კარგი იქნება, თუ ამას გაითვალისწინებენ დღევანდელი პარ-  
ლამენტარები და მთავრობის ის თანამდებობის პირები, ვისაც ქვე-  
ყანამ, სახელმწიფომ მიანდო მინის პრევატიზაციის პროცესი.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რას გვაუწყებს ორასი წლის წინათ  
შედგენილი ეს საბუთი: თუ რომელიმე სოფლის მკვიდრი კაცი მო-  
ვა და მამულს მოჰკიდებს ხელს, იმას თავის მამულს ვერავინ შე-  
ეცილებაო. აქვე იმასაც გარკვევით გვეუბნება, რომ თუ ეს კაცი იქ  
აღარ დადგება, მამული ეკლესიას, სახელმწიფოს დარჩებაო.

ვფიქრობ და, ალბათ, ყველა დამეთანხმება, ეს საბუთი დღესაც  
ანგარიშგასაწევია.

მივუბრუნდეთ ისევ ჩვენს ტოპონიმს. როგორც ეს განჩინება გვა-  
უწყებს, სოფელი ყანდიაური მეჩვიდმეტე საუკუნის ათიან წლებში  
დაუნგრევეია მტერს და თითქმის მთელი ორი საუკუნის მანძილზე აქ  
ნასოფლარილა ყოფილა. მეფე ერეკლეს დროს, როგორც კი ხალხმა  
ოდნავ ამოისუნთქა, მაშინვე შეუდგა ქვეყნის მოშენებას. და სულ მა-  
ლე ეს სოფელი ისე მომძლავრებულა, რომ მას საკუთარი მოურავიც  
კი ჰყავს. ამას გვაუწყებს საბუთი „არზა დავით კახაბრიშვილისა გა-  
მოსაღების თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით“, რომელიც 1800 წლის 30  
ოქტომბერსაა შედგენილი: „კაკაბეთს ობლობით გავიზარდე, —  
ვკითხულობთ არზაში, — ერთ წელიწადსაც ბიძაჩემთან ნიახურას  
გახლდით. ყანდიაურის მოურავს ოქმი აელო დავითიშვილს დიმიტ-  
რიზე, მოვიდა გურჯაანში, უნდა აიყაროო...“ (32, 682. ხაზი — უ.ს.).  
თუმცა, როგორც პლატონ იოსელიანი გვაუწყებს, გიორგი მეფის

დროს ჯიშითსა და ყანდაურას ერთი მოურავი ჰყავს, ეს გახლავთ როსეფ ჯანდიერი (13, 273).

როგორც ჩანს, ყანდაურაში თვითნებურადაც სახლდებოდა ხალხი. «ცანკაშვილი ჩემი ყმა ბარათში ნარგები ცოლ-შვილით ამეყარა და ყანდაურაში დასახლდა», მეფესთან ჩივის ოტია მდივანბეგი რასაც გვაუწყებს, «არზა ოტია მდივანბეგისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1793 წ. 12 აგვისტო» (32, 234). ეტყობა, ეს ცანკაშვილი ვერ გაიყვანეს ამ სოფლიდან, რადგან ხუთი წლის შემდეგ ოტია მდივანბეგის შვილი ადამ მდივანბეგი გიორგი მეფეს იმავე საჩივრით მიმართავს: «ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს ადამ ერასტიშვილს. ახლა ამას მოვახსენებ ბედნიერს ხელმწიფეს. ცანკაშვილი იოთამ ჩემს ბარათში ნარგები ყმა არის, ამეყარა და ყანდაურას მივიდა, დადგა. იმისი ძმები ექვს კომლად არიან გაყრილნი. ხუთი იმათი ძმები აქ (ვეჯინში — უ.ს.) მისახლობენ და ის კაცი კი ამეყარა და ყანდაურს მივიდა» (32, 469). მართალია, მეფე გიორგი უბრძანებს ეპიკალაბაშს: «... მდივანბეგს ადამს ამ არზით ასე რომ მოუხსენებია, ცანკაშვილი ამისი ყმა არის, ყანდაურზე თურმე დგას, ახლავე უნდა აუყარო და ამას მოაბარო» (იქვე), მაგრამ ეს დავა ორ წელიწადს კიდევ გაგრძელებულა. ახლა ცანკაშვილები ჩივიან მეფესთან. «მათის უმაღლესობის ბედნიერის ხელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ჰანდაშურს მახლობელი გოგია ცანკაშვილისა.

ადამ მდივანბეგს თქვენთვის მოუხსენებია, ყანდაურაში ერთი კომლი კაცი მყავსო. მე ძველთაგანვე თქვენი ყმა გახლავართ სახასო ყარლიაჩივად. ცანკაანთ საყდარი ხომ მოგეხსენებათ, იმ ეკლესიის გამკეთებლის შვილი გახლავართ ... გევედრებით ამის სამართალი გვალისოთ» (32, 648). გიორგი მეფე საქმის გამოძიებას დავით ბატონიშვილს ავალებს. «მათის უმაღლესობის ბრძანებისამებრ, ჩვენ, საქართველოს მემკვიდრემან მეფის ძემან დავით, მდივანბეგების თანადასწრებით, ესენი სამართალში ვალაპარაკეთ და დიდად გამოვიძიეთ და ეს გოგია ცანკაშვილი ადამ მდივანბეგის ბარათის ყმად აღმოჩნდა და დარჩა ყმად სამკვიდროდ», ვკითხულობთ 1800 წ. 5 ივნისის შედგენილ საბუთში «არზა გოგია ცანკაშვილისა ყმობის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით და დავით მეფის ძის განჩინებით» (32, 648).


ერასტიშვილებმა (იმავე ანდრონიკაშვილებმა), მართალია, საჩივარი მოიგეს, სასამართლომ ცანკაშვილები მათ ყმებად სცნო, მაგრამ, როგორც ჩანს, ისინი ამ სოფლიდან აღარ აუყრიათ, რადგან ყანდაურაში დღესაც ცხოვრობენ ცანკაშვილები და ერთ უბანს ცანკაანთუბანიც ჰქვია. როგორც ერთი სხვა განჩინება გვაუწყებს,

ამ სოფელში ქართლიდანაც გადმოსახლებულა ხალხი. 1801 წელს, როცა „სოლალაშვილები ძმობაში ველარ მოთავსდნენ და ლაპარაკი მოუხდათ, მოვიდნენ ჩვენ — აბრამიშვილს დავითთან, ხერხეულიძე ომანთან და თურქისტანიშვილ იოანესთან და შუაკაცად დაგვსხეს. ოთხი ძმანი არიან: იესე, ზაზა, იოანე და იოსებ ... ვალაპარაკეთ... ერთი კომლი საერთო კაცი კახეთს ყანდიაურში რომ დგას მამუკაშვილები — ესეები ზაზას მივეცი“, გვაუნყებს „შუაკაცთა განჩინება სოლალაშვილების გაყრის საქმეზე, 1801 წ. 8 დეკემბერი“ (37, 312).

კიდევ მრავალი საბუთის მოტანა შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობ, ესეც საკმარისია ამ სოფლის წარსული ფურცლების გასაცნობად. როგორც ვხედავთ, აღდგენილ-განახლებულ ყანდაურას მრგვალი თარიღი, ორასი წელი უსრულდება. საბუთებიდან ისიც ნათლად ჩანს, რომ სოფლის სახელი სხვადასხვა ფორმითაა წარმოდგენილი, ზოგჯერ ყანდიაური წერია, ზოგჯერ — ყანდაური თუ ყანდაურა. ამ ფორმათაგან ყანდიაური უფრო ადრე გაცემულ საბუთებში დზასტურდება.

ტოპონიმი ყანდაურა//ყანდიაური ანთროპონიმული წარმოშობისაა. ე.ი. მას საფუძვლად უდევს ადამიანის საკუთარი სახელი (მეტსახელი) ყანდია თუ ყანდა. ამ სახელებისაგანვე (მეტსახელებისაგან) მომდინარეობს კახეთში გავრცელებული გვარები ყანდიაშვილი და ყანდაშვილი.

ბარემ აქვე ვიტყვი, რომ ამავე საკრებულოში შემავალი სოფლის „ბადიაურის“ სახელწოდებაც ასევე ანთროპონიმული წარმომავლობისაა, მას საფუძვლად უდევს ადამიანის სახელი (მეტსახელი) ბადია. ბადია → ბადია-ური, ე.ი. ბადიას კუთვნილი.





## ვაშნაშვილი

ამ რამდენიმე წლის წინათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტოპონიმიკის ლაბორატორიამ გურჯაანის რაისაბჭოს აღმასკომისაგან მიიღო წერილი, რომლითაც გვატყობინებდნენ, რომ სოფელ შრომის მცხოვრებთა სურვილია დაუბრუნდეს სოფელს ძველი სახელი „ვაშნაძიანი“ და გვთხოვდნენ დასკვნას. ტოპონიმიკის ლაბორატორიამ შეასრულა მათი მოთხოვნა. მოამზადა სათანადო რეკომენდაცია-განმარტება და შუამდგომლობა აღძრა საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე. პრეზიდიუმმაც დააკმაყოფილა მათი თხოვნა. იმედია, სულ მალე საქართველოს რუკაზეც კვლავ გაჩნდება ტოპონიმი ვაშნაძიანი.

მკითხველს, ალბათ, დაინტერესებს ტოპონიმ ვაშნაძიანის ისტორია-ეტიმოლოგია. როგორც ვხედავთ, ვაშნაძიანი ანთროპონიმული წარმოშობის ტოპონიშია, რომელსაც საფუძველად უდევს გვარსახელი ვაშნაძე. გასარკვევი გვრჩება, თუ როდიდან გვხვდება ტოპონიმი ვაშნაძიანი და მისი წარმოშობის მიზეზები.

ვახუშტი ბატონიშვილმა თავის ფუნდამენტურ შრომას „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ბოლოში სოფლების სიაც დაურთო და გეოგრაფიულ თუ ადმინისტრაციულ საფუძველზე დააწყო ისინი. მაგალითად, შუამთის სოფლების ჩამოთვლისას სიაში შეაქვს შემდეგი დასახლებული პუნქტები: თელავი, კურდღელაური, შალვაური, ნასომხარი, კისისწყვი, ვარდისუბანი, კონდოლი, წინანდალი, ბალთსადგომი, ქვემო ხოდაშენი, ვანათი, აკაურა (უნდა იყოს ვანთა, აკურა — უ.ს.), კალაური, შანშიანი, მუკუზანი, ურიათუბანი (15, 207).

იოანე ბატონიშვილმა 1794-99 წლებში მეფე ერეკლესა და მეფე გიორგის დავალებით აღწერა ქართლ-კახეთის სამეფო. დაადგინა, თითოეულ სოფელში რამდენი კომლი ცხოვრობდა, ვის ეკუთვნოდა ესა თუ ის სოფელი. ე.ი. სამეფო იყო, სათავადო, სააზნაურო თუ საეკლესიო. აი, რას ვკითხულობთ მის ნაშრომში ჩვენთვის საინტერესო რეგიონზე: „შუამთას რაც მიენერება სოფლები ანუ ადგილნი, სამეფო, სათავადო, სააზნაურო და საეკლესიო არიან ესენი: შუამთა მონასტერი, თელავი ქალაქი, კურდღელაური, ძველი გალავანი, შალვაური ანუ შალაური, ნასომხარი, კისისხევი, ვარდისუბანი, კონდოლი, წინანდალი, ბალთის სადგომი, ქვემო ხოდაშენი, ვანათი, აკუ-



რი, კალაური, ტოლნიანი, შანშიაში, მუკუზანი, ურიათუბანი, ველის-ციხე, ზეგანი, ჭერემი, ახაშენი, ჩუმლაყი“ (17, 68-69).

მრავალმხრივ საყურადღებო და ბევრ შემთხვევაში ფასდაუდებელ ცნობებს გვანდის ჩვენი ერის წარსულის შესწავლისათვის გერმანელი მეცნიერი გიულდენშტედტი. მან 1771-1772 წლებში საგულდაგულოდ შეისწავლა საქართველოს გეოგრაფიული გარემო, ბუნებრივი სიმდიდრეები, მოსახლეობა, დასახლებული პუნქტები, ციხესიმაგრეები და სხვა. ზუსტად აღწერა, თუ სად მდებარეობდა ესა თუ ის პუნქტი, რა მანძილითაა ერთმანეთისაგან დაშორებული, რამდენი საათის სავალია და სხვა. არც მის დღიურებში და არც აქ სპეციალურად მოტანილ ვრცელ ამონაწერებში სანდო ნაშრომებიდან სოფელი ვაჩნაძიანი არ დასტურდება. თუმცა იოანე ბატონიშვილის ნაშრომსა თუ სხვა სიგელ-გუჯრებში გვხვდება ტერმინები ვაჩნაძიანი, სავაჩნაძო, მაგრამ ესენი რომელიმე დასახლებული პუნქტების სახელწოდებები კი არაა, არამედ ვაჩნაძეების საგვარეულო ადგილ-მამულების საერთო სახელი, ისევე როგორც საანდრონიკო — ანდრონიკაშვილებისა და სხვა.

როგორც ვხედავთ, სავაჩნაძო სოფლების სიაში არ მოხვდა არც ვაჩნაძიანი და არც მის გვერდით მდებარე სოფელი კალაური. ამას აუცილებლად სჭირდება ახსნა.

კალაური საკმაოდ ცნობილი ისტორიული სოფელია. ჩვენს ხელთ არსებულ საბუთებში იგი პირველად იხსენიება „ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში“, რომელიც გაცემულია 1392 წლის 1 დეკემბერს. მეფეთაგან სვეტიცხოვლისათვის შეწირულია „...სოფელი ახალშენი, სოფელი შანშიანი, სოფელი კალაური, სოფელი ვანთა, სოფელი აკურა, სოფელი ხოდაშენი...“ (26, 180). 1428 წელს ალექსანდრე მეფემ კალაური შესწირა სვეტიცხოველს. 1455 წელს გიორგი მეფემ განუახლა ასათ ვაჩნაძეს კალაურნის წყალობა (44, 117).

კალაური (გარდა საკათალიკოსო ყმა-მამულისა) ნინოწმინდელს ეკუთვნოდა. 1757 წელს, როცა ჭერემლის საეპისკოპოსო კათედრა მოიშალა, მისი სამწყსო ალავერდელს, ბოდბელსა და ნინოწმინდელს გაუნაწილეს და „უფალს ნინოწმინდელს ტუსიშვილს საბას ერგო ჭერემლის სამწყსო: კალაურში თავადის-შვილები ვაჩნაძეები, თავეთის ყმითა და სახასო ძველთაგანვე ნინოწმინდლისა არის; და ამას გარდა სოფელი ურიათუბანი სრულიად, სოფელი ჩუმლაყი სრულიად და სოფელი ზეგანი თავადის-შვილის ჯანდიერთა...“ (2, 410. ხაზი — უ.ს.).

დღევანდელი შრომა-კალაურის ტერიტორიაზე სვეტიცხოველსა და ნინოწმინდას მამულები რომ ჰქონიათ, ამას ჩვენს მიერ შეკრები-

ლი ტოპონიმიკური მასალაც ადასტურებს. სოფელ შრომაში ანუ ვაჩნაძიანში ყოფილა სვეტიცხოვლის ეკლესია, თუმცა ახლა მისი ადგილმდებარეობა რამდენიმე მოხუცსდა ახსოვდა. კალაურში კი მდებარეობს ნინოწმინდის ეკლესია, რომელსაც მაშინ, ალწერის დროს, ჩვენდა სამწუხაროდ, კოლმეურნეობის საწყობად ხმარობდნენ.

როგორც ვნახეთ, ვაჩნაძეები კალაურში მეთხუთმეტე საუკუნეშივე ცხოვრობენ. ისინი აქ ჩანან მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარშიც. თუმცა ამ დროისათვის აქ უფრო მეტად სხვა თავადური გვარის ხალხი გვხვდება, უმეტესად — ჯანდიერიშვილები, რომლებიც კალაურის, შაშიანის, ველისციხისა და სხვა სახასოთა მოურავები არიან. მეთვრამეტე საუკუნის პირველი მეოთხედის კახეთის ხალხის ალწერის ერთ-ერთ დავთარში ჩამოთვლილია კალაურის თავადობა და მათი ყმა-გლეხობა. ამ კალაურელი ყმა-გლეხების შთამომავლები დღეს ზოგი კალაურში ცხოვრობს, ზოგი კი — შრომაში. კალაურში ცხოვრობენ: ბაციაშვილები, ბასოშვილები, გულმაგარაშვილები, ფოცხვერაშვილები, ნაქევხრიშვილები... შრომაში: ზარდიაშვილები, კაციაშვილები, ცაცაბაშვილები, გულმაგარაშვილები, ძამსაშვილები, ნატროშვილები, მოძღვრიშვილები... როგორც ვხედავთ, აქ ჩამოთვლილი გვარები წინათ ყველანი კალაურის მაცხოვრებლები არიან. ეს კი იმას ადასტურებს, რომ ძველად შრომა და კალაური ერთი სოფელი უნდა ყოფილიყო, უფრო სწორად, ერთი სოფლის ორი უბანი, რომელთაც პატარა ხევი ჰყოფდა შუაზე. ის უბანი, რომელსაც, ალბათ, ვაჩნაძიანთუბანს ეძახდნენ, მეცხრამეტე საუკუნეში უნდა გამოჰყოფოდა კალაურს ცალკე სოფლად. ყოველ შემთხვევაში ვაჩნაძიანი, როგორც დამოუკიდებელი სოფელი, უკვე დასტურდება გასული საუკუნის მეორე ნახევარში შედგენილ საკომლო დავთრებში.


მეოცე საუკუნის ოციან წლებში აქ ცხოვრობენ ჯანდიერები. აქაურ მოხუცებს კარგად ახსოვთ თავადი ლევან ჯანდიერი, რომლის სასახლეშიც 1980 წლამდე მოთავსებული იყო შრომის საშუალო სკოლა. ახლა კი აქ ერთი დიდებული მუზეუმი.

მკითხველი, ალბათ, დაინტერესდება, თუკი ამ სოფელში ჯანდიერები ცხოვრობდნენ, სასახლეც მათი იყო, მამ რატომღა უწოდეს სოფელს ვაჩნაძიანი და არა ჯანდიერიანი? როგორც ვთქვით, ამ უბანს ძველადვე, სანამ ცალკე სოფლად გამოეყოფოდა, უნდა რქმეოდა ვაჩნაძიანთუბანი. აქვე, სოფლის თავში შემორჩენილია ძველი სასახლისა და ციხე-დარბაზების ნანგრევები, რომელთაც აქაურები ვაჩნაძიანთ პალატებს ეძახიან. და მეორეც, ჩვენი ვარაუდით აქაური ჯანდიერები შეიძლება ვაჩნაძეების განაყოფები იყვნენ. ამ ვარა-

უდის საბაბს გვაძლევს ერთი სასამართლო განჩინების ცნობა, სადაც წერია, რომ „ახურელნი (უნდა იყოს აკურელნი — უ.ს.) და ჯანდიერ-ვაჩნაძიანნი მამულსა და სამზღვარზედ დაობდნენ. ახურელთ კახ ეფისკოპოზ-დარბაისელთ განაჩენი აქვსთ, რომელზედაც გაუშველებიათ და უზუნაურის ახოზედ და ნარბიელზედაც“ (31, 334).

თუკი ჩვენი ვარაუდი სწორი არაა, მაშინ ეს უფრო დიდ პატივს სდებს იმ ჯანდიერებს, რომელთაც თავიანთი გვარ-სახელი კი არ დაარქვეს სოფელს, არამედ ის, რასაც ხალხი უწოდებდა. ამიტომ სამართლიანობას აღვადგენთ, თუ გამოვასწორებთ ოციან წლებში ჩადენილ უხეშ დანაშაულს და სოფელს დავუბრუნებთ თავის ნამდვიელ სახელს — ვაჩნაძიანს, რითაც აქაურ მოსახლეობას სამოცდარვა წლის ნატვრას ავუსრულებთ. კარგი იქნება, თუ სოფლის გვერდზე ჩამომდინარე წყალსაც, რომელიც ასევე ხელოვნურად მონათლეს „შრომისხევად“, ოფიციალურად დავარქმევთ მღვრიეს, როგორც მას აქაურები უწოდებენ.

*P.S. აქვე უნდა გითხრათ, რომ სამართლიანობა აღსდგა, ხალხის ნება-სურვილმა გაიმარჯვა. სოფ. შრომას უკვე დაუბრუნდა თავისი ნამდვილი სახელი და შრომის ხევსაც კვლავ „მღვრიე“ ჰქვია. ოღონდ ეგაა საწყენი, რომ ზოგიერთებს ისევ ყურთბალიშზე სძინავთ და ჯერაც არ აპირებენ გამოფხიზლებას. რადგან მათ სამარშრუტო ავტობუსს ისევ „თბილისი-შრომა“ აწერია. მაშ რაღა საჭირო იყო სახელის გამოცვლა?! სადაც წესი და რიგი არსებობს, სადაც კანონი კანონობს (ერის წარსულის შეურაცხყოფაზე რომ არაფერი ვთქვათ), ამისთანა უხეში დარღვევისათვის დამნაშავეს ადმინისტრაციულ სასჯელს ადებენ!*





## მერე

პატივცემულო რედაქცია, -- გვწერს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი კოტე ჭრელაშვილი, -- მოგესხენებათ, ძველი ქართული გეოგრაფიული სახელების შენარჩუნებას რა დიდი

მნიშვნელობა ენიჭება ერის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით. მათი მნიშვნელობა უფრო ფასეული ხდება, თუ ისინი დაკავშირებულია გამოჩენილ პიროვნებათა ბიოგრაფიასთან. ერთი ასეთი ტოპონიმი თელავის რაიონის სოფელი „მერე“. ამჟამად ეს პატარა სოფელი შეუერთებით სოფელ ვარდისუბნისათვის (თუმცა მათ შორის მანძილი ერთ კილომეტრამდეა) და მისი სახელიც გაქრა. ჩვენ ამ სოფლის სახელზე ყურადღებას ვამახვილებთ იმიტომ, რომ აქ დაიბადნენ ჩვენი მწერლები ძმები გიორგი ქუჩიშვილი და დავით თურდოსპირელი (ჩხვიძეები). გარდა ამისა, ტოპონიმი „მერე“ იხსენიება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაშიც“.

ამიტომ, ჩვენი აზრით, სასურველია, აღნიშნული ტოპონიმი თელავის რაიონში შეგვენარჩუნებინა.

ქართული ტოპონიმების შესახებ საინტერესო ინფორმაციებს აწვდის მსმენელებს თბილისის უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელი უშანგ სახლთხუციშვილი. საინტერესოა მისი აზრი ამ საკითხზე. ხომ არ არის შესაძლებელი მისი კვლავ აღდგენა.

## პატივისცემით კოტე ჭრელაშვილი.

ბატონ კოტეს წერილში მეტად საყურადღებო საკითხებია დასმული. შევეცდებით შეძლებისდაგვარად გავცეთ პასუხი.

თელავის რაიონის ტერიტორიაზე ტოპონიმიკური მასალა ჩავინერეთ ამ 15-16 წლის წინათ. ამავე რეგიონის ტოპონიმიკური უფრო ადრე აღწერა და ჩვენს ლაბორატორიას გადმოსცა თელავის ინსტიტუტის პედკოლექტივმა. თავიდანვე ერთი მცირე შენიშვნა უნდა გავაკეთო. ეს ტოპონიმი „მერე“ სულ არ გამქრალა, როგორც პატივცემული პროფესორი კოტე ჭრელაშვილი გვწერს თავის წერილში. მართალია, ამ დასახლებულ ობიექტს სოფლის სტატუსი გაუუქმეს, ე.ი. „საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში“ იგი სოფლად აღარაა შეტანილი; ისე კი, ადგილობრივ მას კვლავ მერედ იცნობენ, უფრო სწორედ, ახლა მას მერისუბანს ეძახიან, აქაურებს კი — მერისუბნელებს, მერე, მერისუბანი მდებარეობს მდინარე

თურდოს პირას, ცივ-გიომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთი კალთების ძირას, ვაკეზე. ვისაც თბილისიდან კახეთის ძველი გზით (ახლა მას გომბორის გზას ეძახიან) შიდაკახეთში უმოგზაურია, გომბორის უღელტეხილს რომ გადაივლის და თურდოს ხეობით დაბლა-დაბლა დაუყვება, ლამაზი სანახაობა გადაეშლება თვალწინ. პირველი სოფელი, გზად რომ შემოეგებება, სწორედ ეს გახლავთ მერე.

ცამდე მართალია ბატონი კოტე ჭრელაშვილი. ჩვენ აუცილებლად უნდა შევინარჩუნოთ კახეთში ტოპონიმი მერე. ჯერ ერთი იმიტომ, რომ აქ დაიბადნენ, აქ აღიზარდნენ, ამ ლამაზი სოფლის ბუნებაში, აქაურმა ხალხმა შეაყვარა სამშობლო ჩვენს გამოჩენილ მწერლებს — ძმებს — გიორგი ქუჩიშვილსა და დავით თურდოსპირელს (ჩხეიძეებს), რომელთა შემოქმედებაშიც მადლიერებით გამთბარი მრავალი სტრიქონი ეძღვნება მშობლიურ სოფელს, მის თვალწარმტაც ბუნებას. ეს ტოპონიმი არ უნდა დაიკარგოს იმიტომაც, რომ იგი ეხმიანება, როგორც ბატონი კოტეც მიუთითებს, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ მოხსენიებულ ტოპონიმ „მერეს“, რომელსაც ყველა წიგნიერი ქართველი კარგად იცნობს და ამიტომ მასზე სიტყვას აღარ გავავრძელებ.

მერე საკმაოდ გავრცელებული ტოპონიმი გახლავთ. სოფელი მერეთი მდებარეობს გორის რაიონში, სოფელი მერენია — ახალქალაქის რაიონში, მერია — ოზურგეთში, მერისი — ქედის რაიონში. როგორც ვხედავთ, ტოპონიმი მერე (უფრო ზუსტად, ამ ფუძის ტოპონიმი) დასტურდება ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, გურია-აჭარაში. ეს ტოპონიმი განსაკუთრებით გავრცელებულია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. პროფ. იური სიხარულიძეს აჭარის ტერიტორიაზე რამდენიმე ათეული მიკროტოპონიმი: მერე, მერია, მერიები, მერიახევი, მერიაღლე, მერიბოლო... აქვს დაფიქსირებული (45.)

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით: მერე არის „მეიდანნი, სწორი ვაკე“. დიდი ლექსიკოგრაფი სხვა ვარიანტში კიდევ უფრო აზუსტებს, „მერე არს მდინარის კიდე“. ეს სიტყვა, ოღონდ ცოტა განსხვავებული ფორმით, თავის ლექსიკონში შეუტანია ნიკო ჩუბინაშვილსაც: „მერედე, მერედი მდინარის კიდე დაცემული ვაკე ადგილი, ანუ მეიდანნი, ფორე, რავნინა, პლოშად“. ივანე ჯავახიშვილის დაკვირვებით მერე „მხოლოდ ნყლის სანაპიროზე მდებარე ადგილს ეწოდებოდა“.

ამართლებს თუ არა ჩვენთვის საინტერესო ობიექტი ამ სახელწოდებას. ზედმიწევნით ამართლებს. თელავის რაიონში არსებული დასახლებული პუნქტი, რომელსაც მერე (მერისუბანი) ეწოდება, სწორედ რომ ვაკე ადგილზე, მდინარე თურდოს სანაპიროზე მდებარეობს.

ალბათ, საინტერესო იქნება ამ ტოპონიმის ისტორიაც.

ვახუშტი ბატონიშვილს ამ სახელწოდებით სამი ობიექტი შეაქვს თავისი ნაშრომის სოფელთა სიაში. ორი მათგანი მდებარეობს ქართლში, ერთი — კახეთში. იოანე ბატონიშვილს კი „ქართლ-კახეთის აღწერაში“ დადასტურებული აქვს ხუთი ტოპონიმი მერე, ოთხი ქართლში, ერთი — კახეთში. როგორც ვახუშტის, ისე იოანე ბატონიშვილის ნაშრომში კახეთის ტერიტორიაზე ფიქსირებული ტოპონიმი მერე ჩვენი საკვლევი ობიექტის სახელი გახლავთ. როდის შეიქმნა ეს სოფელი, ახლა ძნელია ამის დადგენა. ისე კი, ჩვენს ხელთ არსებულ საბუთებში იგი პირველად იხსენიება 1522 წელს. „მერე ძველი შუამთის სანიამძღვრო სოფელი ალექსანდრე (კახთა) მეფემ შესწირა ალავერდს ძველ შუამთასთან საზიაროდ“ (44, 141). ეს ტოპონიმი საკმაოდ ხშირად გვხვდება მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებში შედგენილ საბუთებში. „ქ. მერელს ავთანდილს რომ ევდომოზ ლუდელი ბატონყმობაზეც უჩიოდა, ჩიქინაშვილი ხარო, სანიამძღვროო, მის სიმაღლეს მეფესთან ამათმან საჩივარმან არზით გაიარა. ეს ზემოხსენებული ავთანდილი ამას უპასუხებდა: მე აზნაურიშვილი ვარო, ჩემი მამა და პაპა იმერეთიდან ჩამოსულან, გვარად ბაქრაძენი ყოფილანო, ამავე მერეს დამდგარანო მამულზედაო. ნეტარხსენებულს ალექსანდრე მეფეს წმინდის გიორგისათვის შეუწირავსო და წმინდის გიორგის სახასო ყმა აზნაურიშვილნი ვყოფილვართო“, ვკითხულობთ 1772 წელს გაცემულ საბუთში „განჩინება ალავერდლის ყმის ავთანდილ ბაქრაძის საქმეზე“ (36, 626). სხვა საბუთიდან ვიგებთ, რომ ამ ბაქრაძეს ახლა მეზობლები უჩივიან: „ქ. ბაქრაძე თამაზას თავისი მეზობლები მერელნი სახნავს მინაზედ ედავებოდნენ... ამავე მერელთ და ამ ბაქრაძემ გულგულიდან მახსოვარნი და მოწამენი იმონმეს და მოიწვიეს... ამ მახსოვართ მოწმობა, რადგან ასე იმონმეს და სარწმუნოს სიტყვით გვარწმუნეს, ეს მინა ამათის მოწმობის ძალით თამაზა ბაქრაძეს დარჩა, რომ მერელთ სიტყვა აღარა აქვთ რა... და აღარც მერის წინამძღვარს“, გვეუბნება საბუთი „განჩინება თამაზა ბაქრაძის მამულის თაობაზე“ (36, 680). თამაზა ბაქრაძისათვის ნიკოლოზ ალავერდელს სამი დღის მინა უბოძებია. უფრო ადრე კი ამავე ბაქრაძისათვის ზენონ ალავერდელს სოფელ მერეში უბოძებია ხატის ვენახი „სამკვიდროთ და საბოლოოთ“.


1792 წელს აღმასხან (იგივე ვახტანგ) ბატონიშვილი მეფე ერეკლეს ბრძანებით ერთმანეთს მოარიგებს გულგულელ-არტოზნელებს, მაყაშვილებს, მგალობლიშვილებსა და მერელებს (32, 138).

და ბოლოს კიდევ ერთი მეტად საყურადღებო საბუთი უნდა დავიმონწმოთ. ეს გახლავთ „განჩინება ვარდისუბნელთა, მგალობლიანთა და მერელთა მამულის საქმეზე“, რომელიც დათარიღებულია 1800

ნლის 20 ივნისით. „სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარხისა და ამა ალავერდელ მიტროპოლიტის, სრულიად საქართველოს სანატრელის მეფის მეორის ირაკლის ძის, ანტონის წინაშე ეჩვილათ ვარდისუბნელთ მერელებისაგან თავიანთ მამულების მიმდლაერებაზედ და ამ მერელებთან მგალობლიანთაც უჩიოდნენ ვარდისუბნელნი, ამისათვის იმისმა უწმინდესობამ ჩუენ, მოსამართლენი, შეგვეკრიბა და ამ ვარდისუბნელთ და მერელთ საჩივრის გამოძიება და სამართალი გვიბრძანა... მგალობლიანნი და მერელნი ვარდისუბნელებს ეუბნებოდნენ... მისის უწმინდესობის ბრძანებით წარვედით და ამ ვარდისუბნელების სადავო მამულები დავიარეთ... შემდგომ ამისა მოვატანიინეთ მერის გუჯარი, რომელში ჰსწერს და შეუწირავს სანატრელს მეფეს ალექსანდრეს ალავერდის წმიდის დიდის მთავარმონაშის გიორგისთვის მერის სოფელი სანინამძღვრო და სამი კომლი ბაქრაძე აზნაურიშვილები... ვარდისუბანიცა და მერეც, ორივე დიდის მთავარმონაშის გიორგის ყმანი არიან, მაგრამ ამათი მამულები კი გარჩეული ყოფილა და არც ერთმანეთში არეული ექნებოდათ, ამისათვის რომ მერე სახასო სანინამძღვრო ყოფილა და ვარდისუბანი სათავადისშვილო კახაბრისა...“ (37, 204-205. ხაზი — უ.ს.).

როგორც დავინახეთ, თელავის რაიონში მდებარე დასახლებული პუნქტი, რომელსაც მერე ეწოდებოდა და სულ ცოტა ხუთი საუკუნის ისტორია მაინც აქვს, ჩვენს დროში რაღაც გაურკვეველი მიზეზებისა თუ ხელისუფალთა დაუდევრობის გამო უსახელოდ დაუტოვებიათ.

პატივცემული პროფესორის კოტე ჭრელაშვილის წინადადება ჩვენ სამართლიანად მიგვაჩნია, ამიტომაც მხარი უნდა დავუჭიროთ მის მოთხოვნას და ამ მშვენიერ სოფელს ოფიციალურად დავუბრუნოთ თავისი ნამდვილი სახელი „მერე“. ეს სახელწოდება გამჭვირვალეცაა და, რაც მთავარია, იგი კახეთიდანაც ეხმიანება მთელ საქართველოში არსებულ ამავე ფუძის ტოპონიმებს. არადა, მართლაც უსამართლობაა მისი დაკარგვა კახეთში, სადაც სამი-ოთხი რაიონის ტერიტორიაზე სოფლები ერთმანეთზე ისეა გადაბმული, რომ სად იწყება ერთი და სად მთავრდება მეორე, კაცი ვერ გაიგებს, მაგრამ სახელი არც ერთს არ დაუკარგავს (ორიოდე გამონაკლისის გარდა). სოფელი მერე კი ყველასაგან განცალკევებითაა, ახლო მდებარე ვარდისუბანი კილომეტრნახევრით მაინც იქნება დაშორებული.





## რომელი სახელი დაუბრუნდეს?

ალაზნის ველზე, ყვარლის რაიონის ტერიტორიაზე მდებარეობს სოფელი ოქტომბერი (შედის ჭიკაანის საკრებულოში), სადაც ძირითადად აზერბაიჯანიდან გადმოსახლებული უდინები ცხოვრობენ. ამ სოფელს 1938 წლის 16 ნოემბრამდე ზინობიანი რქმევია. როცა 1984-85 წლებში ყვარლის რაიონის ტერიტორიაზე ტოპონიმიკურ მასალას ვკრებდი, საკმაოდ მდიდარი მასალა ჩავიწერე სოფელ ოქტომბერშიც. ამ საქმეში დიდი ამაგი დაგვდო ჭიკაანის მაშინდელმა სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ, ან განსვენებულმა გიორგი ჩიკვაიძემ, რომელიც წარმოშობით სოფელ ოქტომბრიდან ბრძანდებოდა.

ყველას კარგად მოეხსენება, რომ ახლა ბევრ დასახლებულ პუნქტს უბრუნდება ძალით წართმეული ძველი სახელწოდება. როგორც შევიტყვეთ, ოქტომბრელებსაც გასჩენიათ სურვილი თავიანთ სოფელს დაუბრუნონ ძველი სახელი.

გაზეთ «ყვარელში» მოთავსებულია პენსიონერ არჩილ აჯიაშვილის სტატია «წერილი რედაქტორს». წერილის დასასრულს პატივცემული ავტორი სთხოვს გაზეთის რედაქტორს: „თქვენს გაზეთში გამოაქვეყნოთ ეს მასალები და გადმოგცეთ მთელი სოფლის სურვილი — დაუბრუნდეს სოფელს ძველი სახელი — ზინობიანი“. ამ წერილში ბევრი მეტად საყურადღებო ცნობებია მოწოდებული და, ვფიქრობ, ყველასთვის საინტერესო იქნება მისი გაცნობა. წერილიდან ვიგებთ, რომ ან განსვენებულ მწერალ ილო ბეროშვილს რაიონის ხელმძღვანელობის წინაშე დაუყენებია საკითხი ყვარლის რაიონის ზოგიერთი სოფლის სახელის შეცვლის თაობაზე, რასაც ბევრი გამომხმაურება მოჰყოლია. აქ, სხვათა შორის, საუბარი ყოფილა სოფელ ოქტომბრის სახელის შეცვლაზეც.

ჩვენ არ ვიცით, პატივცემული ილო ბეროშვილი ამ სოფლის სახელად ზინობიანის აღდგენას მოითხოვდა თუ არა თავის წერილში. ერთი კი არის, რომ ის კაცი, ვის სახელსაც ატარებდა სოფელი, სილიკაშვილი ყოფილა და არა ჯეირანაშვილი, რაზეც მიუთითებს პატივცემული არჩილ აჯიაშვილი.

მკითხველმა, ალბათ, იცის, რომ ტოპონიმთა ჩამწერთათვის არსებობს სპეციალური ინსტრუქცია, რომელსაც ახლავს ათი კითხვი-



საგან შემდგარი კითხვარი. ესა თუ ის ტოპონიმი — გეოგრაფიული სახელწოდება — მაშინ ითვლება სრულყოფილ ჩანერილად, როცა ყველა კითხვას აქვს პასუხი გაცემული. შეგახსენებთ ამ კითხვარის მეხუთე კითხვას: „რატომ ჰქვია ამ ობიექტს ეს სახელი?“ ჩამწერი ვალდებულია სრულად ჩაიწეროს, რასაც ინფორმატორები მოუყვებიან ამ სახელწოდების თაობაზე, თუნდაც მათ მიერ მოწოდებული ცნობები ერთიმეორის გამომრიცხავი იყოს. ჭეშმარიტება კვლევა-ძიების დროს დადგინდება. სწორედ ასეთი სრულყოფილი ჩანანერი გვაქვს აღნიშნულ ტოპონიმზეც. მაგრამ ახლა სჯობია პატივცემულ არჩილ აჯიაშვილის მონათხრობი დავიმონწმოთ, როგორც უკვე პრესაში ფიქსირებული ცნობა: „ცნობილია, რომ ამ სოფელს ადრე ზინობიანი ერქვა მისი დამაარსებლის ზინო სილიკაშვილის პატივსაცემად, — გვიყვება არჩილ აჯიაშვილი. — აზერბაიჯანიდან, სოფელ ვართაშენიდან აქ ხალხი გადმოსახლდა 1922 წელს სწორედ ზინო სილიკაშვილის თავკაცობით. მაშინაც დიდი არეულობა იყო აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის და სხვა ეროვნების ხალხმა (მათ შორის ჩვენმა მამა-პაპამაც) თავი გაარიდა ხიფათს. როგორც აღვნიშნე, — განაგრძობს აჯიაშვილი, — სოფელს ზინობიანი დაერქვა. მაგრამ 1938 წელს „სამეულმა“ ზინო სილიკაშვილი „ხალხის მტრად“ გამოაცხადა და გააქრეს, ხოლო სოფელს, რომელიც ამიერიდან „ხალხის მტრის“ სახელს ველარ ატარებდა, მყისვე შეუცვალეს იგი და ოქტომბერი დაარქვეს“. შემდეგ წერილის ავტორი იმასაც გვაუწყებს, რომ „სამეულს“ ზინო სილიკაშვილისათვის განაჩენი გამოუტანია 1938 წლის 18 ოქტომბერს. სოფლისათვის კი, როგორც საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარი გვეუბნება, იმავე წლის 16 ნოემბრის დადგენილებით შეუცვლიათ სახელი.

გაზეთ „ყვარელში“ დაბეჭდილი წერილიდან იმასაც ვიგებთ, რომ ამიერკავკასიის სამხედრო ტრიბუნალს 1956 წლის 21 თებერვალს განუხილავს ზინობი სილიკაშვილის ბრალდების საქმე, გაუუქმებია 1938 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილება, ახლა საქმე „შენწყვეტილია და სილიკაშვილი მთლიანად რეაბილიტირებულია“.

და ბოლოს, როგორც ზემოთ უკვე გითხარით, წერილის ავტორი გვაუწყებს თანასოფლელთა სურვილს, დაუბრუნდეს სოფელს ძველი სახელი ზინობიანიო.

ჩვენ, რა თქმა უნდა, იმის მომხრე ვართ, რომ სოფელს ერქვას თავისი ნამდვილი სახელი და არა ხელოვნური, ძალით ხავსმოხვეული; ამავე დროს პატივცემულ არჩილ აჯიაშვილს და მის თანასოფლელებს გვინდა შევახსენოთ, რომ ის სახელწოდებაც — ზინობიანი, — რომლის აღდგენაც სურთ, ასევე ხელოვნურია და თანაც ძალით თავსმოხვეული. მე არ ვიცი, რევოლუციის წინაშე რა დამსახურება

მიუძღვის ან საბჭოთა წყობილების დამყარებაში რა როლი ითამაშა ზინობი სილიკაშვილმა, რომ სიცოცხლეშივე უკვდავყვეს მისი სახელი. ისე კი, როგორც ამ წერილიდან ირკვევა, ეს კაცი რაიონშიც კარგად არ უცვნიათ, რაკი ისეთ სანდო კაცს, მთელი ყვარლის რაიონის ანმყოსა და წარსულის ბრწყინვალე მცოდნეს, ილია ჭავჭავაძის მუზეუმის ყოფილ დირექტორს, მწერალ ილო ბეროშვილსაც კი არ ხსომებია, რა გვარი იყო იგი: ჯეირანაშვილი თუ სილიკაშვილი?

თანაც ახლა ხომ ადრე დაშვებული შეცდომების გამოსწორებას ვცდილობთ, მამ რალად უნდა გავიმეოროთ ის შეცდომა, რაც ოცოცდაათიან წლებში დაეუშვით? არ ვიცით, რამდენი წლისა ბრძანდება პატივცემული არჩილ აჯიაშვილი, მაგრამ რაკი იგი უკვე პენსიონერია, ალბათ, მომსწრე და მხილველი უნდა იყოს თავისი თანასოფლელების აქ ჩამოსახლებისა. როგორც თვითონაც წერს, მათი მამა-პაპანი ჩვენთან, ჩვენს მინა-წყალზე გაჭირვებამ მოიყვანა. უფრო სწორად კი — დავარქვათ ყველაფერს თავისი სახელი — ისინი თავიანთი მამულიდან აპყარეს და გამორეკეს, თავშესაფარი ჩვენთან პპოვეს. დასახლდნენ ყვარლის რაიონის სოფელ ჭიკაანის ტერიტორიაზე, ძველ ნასოფლარზე, რომელსაც დღესაც ნაუტრები პქვია (ამ ნაუტრების ღვინის ქება ხომ შორსაა გავარდნილი!). აქვე ჩავინერეთ ბევრი საინტერესო ტოპონიმი: მერქნისხიდი, სანერეთლო, კობაანი... შეუძლებელია, ამ ტოპონიმთა არსებობა პატივცემულმა აჯიაშვილმა არ იცოდეს. ჩვენ ხომ სწორედ მათმა თანასოფლელებმა და ჭიკაანელმა მოხუცებმა (ეს ადგილები ვისიც იყო ძველად) ჩავანერინეს ამ ათიოდე წლის წინათ.

აქ მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში სოფელი რომ ყოფილა, ამას ადასტურებს იოანე ბატონიშვილის ნაშრომი „ქართლ-კახეთის აღწერა“, სადაც ვკითხულობთ: „ნეკრესის ადგილს რაც მიენერება სამეფო, სათავადო, სააზნაურო და საეკლესიო ადგილნი, არიან ესენი: ქ. ნეკრესი, ქ. კურტანიძე, ქ. სანავარდო, ქ. გავაზი, ქ. გრძელმინდორი, ქ. წმინდა სტეფანე, ქ. ჭიკაანი (2), ქ. ჭუკატანი, ქ. არბუხი, ქ. ნაუტარი (ხაზი — უ.ს.), ქ. ბედიყარა“ (17, 71). ამავე სოფლებს, ნაუტარისა და სანავარდოს გარდა, ვხვდებით ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომშიც (15, 208). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს სოფლები — ნაუტარი და სანავარდო — XVIII საუკუნის მეორე ნახევარში აღორძინდნენ. საინტერესო ისიცაა, რომ იოანე ბატონიშვილის „აღწერაში“ ჭიკაანის სახელწოდებით ორი სოფელი დასტურდება. მეორე ჭიკაანი რომელ სოფელს ერქვა, სად მდებარეობდა, ან რა ბედი ეწია, ამას, ალბათ, მომავალი კვლევა გამოავლენს. იოანე ბატონიშვილის ნაშრომი ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმზე ერთ საყურადღებო ცნობასაც გვანჯდის. იგი დასახელებულია სამეფო მინ-


დვრებს შორის: „ქ. საძოვარნი ადგილნი და სათიბნი მინდორნი და მთებნი და სანადირო ადგილნი სამეფო: ქ. აღმოსავლეთის მხარეს: ქ. ალაზანგალმა ჭიურას მინდორი, ქ. ლაგოდეხის მინდორი, ქ. გორნითელი, ქ. კართუბანი, ქ. ნაუტარას მინდორი, ქ. ალვანის მინდორი...“ (17, 79. ხაზი --- უ.ს.).

და ახლა, რაკი დადგა სოფლის სახელწოდების გამოცვლის საკითხი, სწორედ ეს ძველი ტოპონიმი ნაუტარი უნდა დაევბრუნოთ მას, ანდა შევეურჩიოთ აქ არსებული ადგილსახელებიდან: მერქნისხიდი, სანერეთლო, კობაანი... ზინო სილიკაშვილის პატივსაცემად კი (თუკი მართლა დაიმსახურა ეს), აჯობებს ქუჩას ან რაიმე დაწესებულებას ვუნოდოთ მისი სახელი, ეს უფრო ბუნებრივი იქნება.

კიდევ ვიმეორებ, თუ გვინდა მართლები ვიყოთ ისტორიისა და ხალხის წინაშე, ალუდგინოთ სოფელს თავისი ნამდვილი სახელი! სოფლის სახელწოდებად ზინობიანის, რაც უნდა გამართლებული იყოს ზინო სილიკაშვილი, ხელახლა დარქმევა გაუმართლებელია. იგი მაშინაც კი, როცა სოფელს დაარქვეს, დიდი შეცდომა იყო, ისე, როგორც ორჯონიკიძის, მახარაძის, წულუკიძის, ცხაკაიას, ჯაფარიძის, შაუმიანის, ზნაურ აიდაროვისა და სხვათა სახელების ტოპონიმებად ქცევა.

დაუდევრობით თუ განზრახ მიყენებულ ჭრილობებს თანდათან იშუშებს გამოლვიძებული ჩვენი მიწა-წყალი და, ალბათ, სულ მალე საბოლოოდ განიკურნება. ახლა ძველ ჭრილობებზე რომ ახალი იარები გავუჩინოთ, მომავალი თაობა არ გვაპატიებს ამას.

ტოპონიმი ნაუტარი („ნაუტრები“) ნა-არ წინავითარების აფიქსებითაა ნაწარმოები: ნა-უტ-არ-ი. რას ნიშნავს ან საიდან მომდინარეობს ამ ტოპონიმის ძირი უტ, ამას შემდეგტი კვლევა-ძიება სჭირდება.





## სიღნაღი

საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ბოლო, 1987 წლის, ცნობარის მიხედვით ქიზიყში — სიღნაღისა და დედოფლისწყაროს რაიონების ტერიტორიაზე — 42 დასახლებული პუნქტია. ამათ გარდა არის კიდევ რამდენიმე დასახლება, რომელთაც სოფლის სტატუსი ჯერ არ მიუღიათ, მაგ., თავწყარო (მდებარეობს გამარჯვებასა და დედოფლისწყაროს შუა, შედის ოზაანის საკრებულოში), ციხიანყურე ანუ ე.წ. ერისიმედი (მდებარეობს ალაზნის მარცხენა მხარეს) და სხვა.

ქიზიყის ოიკონიმები (დასახლებულ პუნქტთა სახელწოდებანი) აგებულიების მიხედვით შეიძლება რამდენიმე ჯგუფად დავყოთ. ერთ ჯგუფში შევა ის სახელწოდებები, რომელთა შინაარსიც გამჭვირვალეა ანუ ადვილად ამოსაცნობი: ჯუგაანი, ტიბაანი, მაჩხაანი, მირზაანი, ოზაანი, მაღარო, წნორი, საქობო, ასახური, ბოდბისხევი, გამარჯვება, დედოფლისწყარო... მეორე ჯგუფში კი — ის ტოპონიმები, რომელთა შინაარსის დადგენა ჯერჯერობით ვერ ხერხდება ანუ გამჭვირვალეა: ბოდბე, ქიზიყი, ხირსა, ანაგა, არბოშიკი, ვაქირი... ცალკე ჯგუფად უნდა გამოიყოს უცხოური წარმომავლობის ოიკონიმები (დასახლებული ობიექტების სახელწოდებანი): ხორნაბუჯი, ყარაღაჯი, სიღნაღი, ულიანოვკა, ლენინოვკა...

ქიზიყის ტოპონიმია აღწერეს თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტებმა პროფ. ალ. ლლონტის ხელმძღვანელობით 80-იანი წლების დასაწყისში. გამოიცა ცალკე წიგნად 1983 წელს (იხ. ა. ლლონტი, ქიზიყის ტოპონიმია). პირადად მე ამ რეგიონის ტოპონიმია ვკრებდი 1985-86 წლებში. ჩაწერილია დიდძალი მასალა: ტოპონიმები, ადამიანთა გვარები, მეტსახელები... მასალა გამზადებულია სალექსიკონოდ.

ჩვენთვის საინტერესო რეგიონის ტერიტორიაზე ვახუშტი ბატონიშვილს თავის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ დაფიქსირებული და სოფელთა სიაში შეტანილი აქვს 25 სახელწოდება. დაახლოებით ამდენივეა გიულდენშტედტის შრომაშიც.

იოანე ბატონიშვილი, რომელმაც გიულდენშტედტის მერე, 25-30 წლის შემდეგ, აღწერა ქართლ-კახეთი, ქიზიყის რეგიონში აფიქსირებს 49 სოფელს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მეფე ერეკლე მეო-

რის ხანაში მრავალი ახალი სოფელი გაშენდა ან ძველი ნასოფლარი განახლდა.

1886 წლის კამერალური აღწერის მონაცემებით კი აღნიშნულ რეგიონში სულ რაღაც ოციოდე დასახლებული პუნქტილაა შემორჩენილი. როგორც ჩანს, ერეკლეს დროს მოშენებული სოფლები რუსობის პერიოდში კვლავ გაპარტახდა და დაიცალა.

თვალს თუ გავადევნებთ ზემოთ დასახელებულ საისტორიო წყაროებს და მათ ერთმანეთთან შევაჯერებთ, აშკარად დავრწმუნდებით, რომ ქართული სამეფო კარი და ეკლესია თავდაუზოგავად ცდილობდა ქვეყნის მოშენება-მოდონიერებას. აგებდა და აახლებდა ეკლესია-მონასტრებს, ციხე-სიმაგრეებს, აშენებდა სოფლებსა და ქალაქებს. მზრუნველი ხელი ატყვია ქიზიყის რეგიონსაც. რადგან იმ დროისათვის აქაც მრავალი დასახლებული პუნქტი შეიქმნა.

დღევანდელი ჩვენი საუბარი შეეხება ორ ობიექტს: სიღნაღსა და ნუკრიანს, ამ ტოპონიმების ისტორიასა და ეტიმოლოგიას.

ქალაქ სიღნაღისა და მისი ციხის მშენებლობა მეფე ერეკლე მეორის სახელთანაა დაკავშირებული. საქართველოს ისტორიის ქრონიკებში ვკითხულობთ: „1772 წელს ერეკლემ იწყო სიღნაღის ციხის შენება, რვა წელიწადს მოუნდა“ (14, 132). თუ ეს ცნობა სწორია, სიღნაღის ციხის მშენებლობა 1780 წელს დამთავრებულია. ჩვენს დაქვევებას იწვევს ის, რომ გიულდენშტედტი, რომელმაც საქართველოში მეთვრამეტე საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში იმოგზაურა, სიღნაღის ციხეს თვლის ერთ-ერთ ძლიერ სიმაგრედ თბილისისა და გორის ციხეების შემდეგ. „სიღნაღი, გვაუწყებს გიულდენშტედტი, აშუამად არის ამ მხარის (ქიზიყის — უ.ს.) ერთადერთი სიმაგრე. ის მდებარეობს სამხრეთის მთისწინეთის ჩრდილო ფერდობზე, კირიანი მთის პირდაპირ, სოფლების საქობოს (N8) და მაშნარის (N9) ახლოს. მისი, 10 ფუტი სიმაღლის, 4 ფუტი სისქის ქვიშაქვის და კირქვის, კირით ამოყვანილი კედელი აძლევს მას 80 საჟენის დიამეტრის კვადრატის ფორმას და [აქვს] სამი მხრიდან კარები. მისი თავდაცვა შედგება 5 ექვსფუნტიანი ქვემეხისაგან, რომლებიც მოდარაჯე გარნიზონის ხელში მას აქაური იოლი მტრისათვის აუღებელს ხდის, ისე კი კედელი სუსტია. 1772 წ. მისი მცხოვრებლები შესდგებოდნენ 84 სომხური კომლისაგან, რომლებიც აგრეთვე იცავენ მას, თუმცა უმეტესად კედელს გარეთ ცხოვრობენ. გაჭირვების შემთხვევაში აქ მოედინება ყველაფერი და ყველა გამოქცეული მამაკაცი აძლიერებს გარნიზონს. თბილისის და გორის შემდეგ, რომლებიც მტკვარზე მდებარეობენ, ის [სიღნაღი] არის უდიდესი და უძლიერესი სიმაგრე მთელ საქართველოში“ (7, 259).

ამ ვრცელ ამონაწერში ბევრი რამ არის ჩვენთვის საყურადღებო.

როგორც ვხედავთ, სიღნაღში ერეკლეს დაუსახლებია 84 კომლი სომეხი და არა ასი, ხშირად რომ გაიგონებს კაცი. მეორეც, ამ სომეხებს ციხეში კი არ უტყვორიათ, არამედ მის გარეთ. მისი ძველი საცხოვრისი შეიძლება იყოს ის ადგილი, დღემდე შემორჩენილი ტოპონიმი, ე.წ. „ნასომხრები“ რომ მიგვანიშნებს.

მართალია, ქრონიკებში სხვა ადგილასაც ვკითხულობთ, რომ სიღნაღის ციხის შენება ერეკლემ 1780 წელს დაასრულაო (14, 146), მაგრამ ქალაქი სიღნაღი რომ 1773 წელს უკვე არსებობდა, იგივე ქრონიკები გვაუწყებს: „1773 წ. შემოიყარა ჯარი ხუნძახის ბატონმა ნურსალბეგმა და უეცრათ მიუხდა ქიზიყს სოფელ ბოდბეს და აიღო, მოეშველა სიღნაღით მოურავი რევაზ ანდრონიკაშვილი, დაამარცხა და გაჰფანტა. ამ ბრძოლაში მხნეთ იყვნენ ბოდბური ბალაშვილები ყარა პაატას წინამძღოლობით“ (14, 135). ხუნძახის ბატონი სხვა დროსაც დაუმარცხებიათ ქართველებს სიღნაღის მისადგომებთან: „ქდ შეიყარა ხუნძახის ბატონმან ნურსალი-ბეგმან მხედრობაჲ დიდი ლეკთა და შთავიდა შაქი-შირვანისა კერძო, მუნით უეცრად წარმოვიდა და დაესხა ბოდბეს და დაიპყრო რაოდენიმე უბანი. მაშინ მხნედ იყუნენ ბალაანი, რომელთაც სომხნითა თვისითა დაიცვეს ბოდბე. ამოვიდა სიღნაღით მოურავი რევაზ ანდრონიკაშვილი მალაროს, სადაც შემოკრბენ ჳიზიყელნი, სძლეს და მოსწყვიტეს უმეტეს ათასისა ლეკნი და მუნ ლეკმან ერთმან ჳყო ტყვედ დიაცი ერთი, სწადდა რა დამდაბლება მისი, წაადრო ხანჯალი და მოკლა ლეკი იგი დიაცმან მან და ესრეთ განერა დიაცი იგი. წარვიდა ნურსალ სირცხვილეული“, გვაუწყებს თეიმურაზ ბატონიშვილი (42, 55).

სიღნაღის ციხეში ქიზიყელების გარდა სხვა სოფლების ხალხიც აფარებდა თავს. ქრონიკებში ვკითხულობთ, რომ „1797 წ. 26 აგვისტოს, ერეკლე უბრძანებს საენდრონიკო და სავაჩნაძო ხალხს: ომარხანი დალისტნის ჯარით ბელაქანში ჩამოსულა, ნებას გაძლევთ, სიღნაღის ციხეში დაიხიზნენით, ან აქ თელავს ამოდით. ამ ორ ალაგს უფრო გამაგრებულნი ვიქნებით და უფრო კარგათ მივეშველებით ერთმანეთსა. ვეჯინის ციხის გამაგრება და დახიზნვა არ იქნება და არც ხიზანი დაიყენება“ (14, 206).

სიღნაღში რუსებსაც ხშირად ნაუტყხიათ კისერი: „მაშინ (კახეთში გამოსვლები რომ დაიწყო — უ.ს.) ქიზიყელთაცა მოსწყვიდნეს რუსნი და დანაშთნი დამაგრდნენ ციხესა სიღნაღისასა ორდღე. შემდგომად ორისა დღისა აიღეს სიღნაღიცა, მოკლეს კამენდატი და სუდიები (ესე იგი მდივანბეგი რუსთანი) და ისპრავნიკი, აიკლეს ხაზინა რუსთა, ტყვია-წამალი და პური, რომელიცა აქუნდათ ამბართა მხედრობისათვს“, გვაუწყებს დავით ბატონიშვილი (16, 42).

სიღნაღის ისტორიის გასაცნობად უამრავი საბუთის დამონმება

კიდევ შეიძლება, მაგრამ ეს ძალიან შორს წაგვიყვანს. ოღონდ იმას კი ვიტყვით, რომ ქართულ საისტორიო წყაროებში უფრო ადრეც გვხვდება ეს ტოპონიმი. თუმცა იქ სულ სხვა გეოგრაფიულ ობიექტზეა საუბარი. „1750 წ. იანვარში, გვაუნყებს საქართველოს ისტორიის ქრონიკები, მოვიდნენ ორი სილნალის მელიქნი და სომხის ეპისკოპოზნი [თეიმურაზ მეფესთან], ითხოვეს, „ფანა-ხანისაგან დაგვიხსენითო“ (14, 93). „სილნალელინი, — წერს პაპუნა ორბელიანი, — აჯიჩალაბს შერიგდნენ, ფანა-ხან განძლიერდა, ამის შესატყობლად მეფეთა ჩვენთა (თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ — უ.ს.) ჩაფრები გაგზავნეს... ჩვენი ჩაფრები ჩამოვიდნენ სილნალიდამ, ვართაპეტიც თან მოჰყვა“ (19, 190). პაპუნა ორბელიანი ცოტა ქვემოთ გვაუნყებს: „აიყარა ქართველი ბატონი (თეიმურაზ II — უ.ს.) განჯიდამ, ჩაბძანდა აზარმათს, თან იახლა განჯის ხანი. შემოეყარათ სილნალის მელიქები ჯარით... მოართვეს ხარჯი ჯარისა, რაც ენებებოდათ“ (19, 192).

პაპუნა ორბელიანის შრომაში ეს ტოპონიმი კიდევ მრავალჯერ გვხვდება, მაგრამ ციტატებით თავს აღარ შეგანყენთ. ოღონდ ერთ ცნობას კი უეჭველად დავიმონებთ, საიდანაც ვიგებთ, რომ სილნალი არა მარტო ერთი დასახლებული ობიექტის სახელწოდებაა, არამედ მთელი მხარის, მთელი ქვეყნისა. „იმ დღეს აღარ მოხდა შებმა. ნაბძანდენ ბატონები (თეიმურაზ II და ერეკლე II — უ.ს.), ჩამოხდენ სილნალის ქვეყანაში“ (19, 167).

ამ საისტორიო წყაროებიდან იმასაც ვიგებთ, რომ ის 84 კომლი სომეხი, ქართველმა მეფემ რომ შეიკედლა და ქიზიყში დაასახლა, იმ სილნალის ქვეყნიდან იყვნენ ლტოლვილნი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ტოპონიმიც მათ ჩამოიყოლეს იქიდან.

როგორც ცნობილია, XVII-XVIII საუკუნეებში ყველაზე მძიმე დრო იყო ჩვენი ხალხისათვის. საქართველოში (ქართლ-კახეთში) გახშირდა მტრის შემოსევები. ამ პერიოდში ასევე იმძლავრა ბარბარიზმების შემოჭრამ ქართულ ენაში. უცხო სიტყვებით აჭრელდა მეტყველება. ლამის ყველა სამოხელეო ტერმინი თურქულ-სპარსულმა ლექსიკამ შეცვალა. მოძალებულ სენს ვერც ტოპონიმია გადაურჩა. სწორედ ამ დროისათვის მომრავლდა საქართველოს ტერიტორიაზე უცხო წარმომავლობის ტოპონიმები: თაქლა, ყარაჯალა, ყარალაჯი, ნარიყალა, სილნალი, დემურდალი... აქ უმეტესწილად ძველი ქართული სახელწოდებებია გადათურქულებული.


ზემოთ ვთქვით, რომ ტოპონიმი „სილნალი“ შესაძლებელია ლტოლვილმა სომეხებმა ჩამოიყოლეს იქიდან, საიდანაც ისინი თათრებმა გამოდევნესო. ამას გვავარაუდებინებს ის, რომ იმ მხარეს, სადაც ეს სომეხები ცხოვრობდნენ, ასევე „სილნალი“ ერქვა. თუმცა ეს თურქული ტერმინი იმ დროისათვის ქართულ ენაში უკვე დამკვიდ-

რებული ჩანს. თურქულად „სილნაგ“ „სამალავს“, „თავშესაფარს“ ნიშნავს. ასეთი „სილნალები“ ჩვენთანაც იყო და მეზობელ ქვეყნებშიც. ამის დამადასტურებლად, ვფიქრობ, ეს ცნობაც საკმარისია: „მთელი მეჯვრისხევის სილნალი და გალავანი ჩემს ვენახებში დგას, ორი ძველი კოშკი ჩემი არის, ჩემის მამის გარემოშიც დაჰყვა, რომე აღარა მომრჩომია, ორასის კოკის ვენახი წამიხდა, რომე სილნალი არის“, ვკითხულობთ ერთ-ერთ საბუთში „არზა კობახიძის მამულების თაობაზე მსაჯულთშეკრებულების განჩინებით“, რომელიც გაცემული 1785 წ. 14 ივლისს (31, 309-310. ხაზი — უ.ს.).

ბუნებრივ თავშესაფარს, სამალავს, ქართულად „ქვაბი“ ეწოდება. სწორედ ასეთი ბუნებრივი ქვაბების გამო უნდა დარქმეოდა იალნოს ქედზე მდებარე მთას „ქვაბთავი“, ახლანდელი „ქოფთავი“. ლილოს მთაზე მდებარე კლდეს კი — ქვაბთკლდე, რასაც ვახუშტი ბატონიშვილიც აფიქსირებს. ამკარაა, ცივ-გომბორის ქედის აღმოსავლეთ კალთებზე, ქიზიყის ტერიტორიაზე მდებარე სოფელმა საქობომაც აქედან მიიღო ეს სახელწოდება. აღსანიშნავია, რომ ვახუშტი ბატონიშვილი „საქობოს“ ნაცვლად „საქვაბეს“ ხმარობს: „არამედ საქაუბე — ასანურამდე არს ადგილი ქისიყისა, რომელი მოხვევია მთასა, ცივის მთიდან ჩამოსულსა“ (1, 543).

ქალაქი სილნალი და ციხე-სიმაგრე, რომელიც მეფე ერეკლემ ააგო მეთვრამეტე საუკუნის 60-70-იანი წლების მიჯნაზე, ამ ძველი „საქვაბის“ ტერიტორიაზე მდებარეობს. ვისაც კახეთის ეს მხარეუნახავს, დაგვეთანხმება, რომ სწორედ ამ „ცივის მთიდან ჩამოსულ მთაზე“ მდებარეობს ქალაქი სილნალი.

შეიძლება ისიც ვივარაუდოთ, რომ, რაკი აქ მდებარე სოფელი უკვე ატარებდა ამ სახელწოდებას, საქვაბეს, ახალდაარსებულ ციხე-სიმაგრესა და ქალაქს მისი კალკირებული ფორმა „სილნალი“ უწოდეს, რათა ერთმანეთში არ არეოდათ, ანუ გარჩეული ყოფილიყო გვერდიგვერდ მდებარე დასახლებული პუნქტების: ქალაქისა და სოფლის სახელწოდებები.







## ნუკრიანი

ნუკრიანი ერთ-ერთი ყველაზე დიდი სოფელია სიღნაღის რაიონში. იგი მდებარეობს ცივ-გომბორის ქედზე, სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეზე. სამხრეთით მას ისტორიული სოფელი მალარო ესაზღვრება, ჩრდილოეთით — ქალაქი სიღნაღი, ჩრდილო-დასავლეთით კი — ჭოტორი, ყველაზე მაღალმთიანი სოფელი ქიზიყის ტერიტორიაზე. ჭოტორი ნუკრიანის საკრებულოში შემავალი სოფელია (ამაზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ).

სოფელი ნუკრიანი მთა-გორებზეა გაშენებული. იგი მთის კალთებს ვიწრო ზოლად გასდევს რამდენიმე კილომეტრზე. მისგან განცალკევებით მდებარეობს და ასევე ვიწროდ გრძელდება ტყით დაფარულ სერზე ამ სოფლის ერთ-ერთი დიდი უბანი ე.წ. „ნუკრიანის კალოები“.

ვახუშტი ბატონიშვილის შრომაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ძირითადად ტექსტში) ტოპონიმი „ნუკრიანი“ არ გვხვდება. იგი არაა შეტანილი სოფელთა სიაშიც, რომელიც ერთვის დასახელებულ შრომას.

როგორც ცნობილია, ვახუშტის შრომის ერთ-ერთი გადამწერია მღვდელი დავით ინანაშვილი, რომლის ანდერძში ვკითხულობთ: სრულ იქმნა ბაქოში წელსა 1816-სა, თთუესა იულისსა 26-სა, დიდება ღმერთსა ყოველთა სრულმყოფელსა, ჴელითა მღუჴდლისა დავით ინანიშვილისათა... (1, 018).

აი, სწორედ ამ მღვდელს, დავით ინანაშვილს, შეუტანია ვახუშტის შრომაში ზოგიერთი დამატებითი ცნობა, კერძოდ ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმები სიღნაღი და ნუკრიანი ინანაშვილის მიერ გადამწერილ შრომაში დასტურდება: „კუალად ამ ეკლესიის (ბოდბის — უ.ს.) ჩრდილოთ, კარგად მოშორვებით არს ქალაქი სიღნაღი, რომელი ალაშენა მეფემან ქართლისა და კახეთისამან ირაკლი მეორემან, ძემან ცხებულის მეფის თეიმურაზისამან, რომლისა ზღუდე მოავლო მაღალთა გორათა ზედა ფრიად ვრცლად, რომელ დაეტევის სრულად ქიზიყი დედა-წულითურთ, გარნა უწყლო. ამ სიღნაღის დასავლით და ჩრდილოთ აქვს ჴევი ანაგისა, გამომდინარე მისვე მთისა, აღმოსავლეთით ვაქირი, მაშრაანი, სამხრით ნუკრიანი და წმიდის ნინას ეკლესია“ (1, 542-43. ხაზი — უ.ს.).

ტოპონიმი „ნუკრიანი“ ჩვენს ხელთარსებულ საბუთებში პირველად მოხსენებულია ერთ საჩივარში „არზა ჩალაუბნელთა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით“, რომელიც შედგენილია 1768 წლის 26 აპრილს. ამ არზაში ვკითხულობთ: „ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს ჴელერთობ ჩალაუბნელთ... ჩვენი მემიჯნე თავს ანაგა არს, ბოლოს ნუკრიანი. ესეც კარგად მოეხსენებათ, თუ მამული ჩვენი არ იყოს, მაღაროელთან ჩვენ დაობა არ შეგვიძლია. შარშან ცემით დაგვხოცეს, ღმერთი გაგიმარჯვებს, ამისი სამართალი გვაღირსეთ“ (33, 130-31). 1770 წლის შედგენილ არზაში ახლა თავადი ვაჩნაძეები ჩივიან მეფე ერეკლესთან: „... ჩვენს მთაში ორიოდ სამი ღორი მოვკალით; მოვიდნენ ნუკრიანელნი და ჭოტორელნი ჩალაუბანს სოფლის პირში, მელორეც დაიჭირეს ტყვის მსგავსათ, მელორეც წაიყვანეს და ღორიც წაასხეს. მიასხეს სოფელში და ათი ღორი გამოარჩიეს, დახოცეს და სხვა ღორი და მელორე გამოეშოთ ჩვენს მამულში. ეს დაგვემართა, მთა აღარ შეგვრჩა და ბარი წაურთმეველი ჩვენის მემიჯნეებისაგან...“ (34, 73).

გიულდენშტედტის ნაშრომში ტოპონიმი „ნუკრიანი“ სამჯერ გვხვდება, ოღონდ ერთ ადგილას „ნუკრიანის“ ნაცვლად შეცდომით „ნეკივანი“ წერია: „მალაროდან გზა მიდიოდა თითქმის პირდაპირ დასავლეთისაკენ, სოფლების ნეკივანის და ჭოტორის ახლოს / ორივენი მთის თხემზე მდებარეობენ და 1/2 საათში მივედით დიდ ღრმა ხეობაში — ანაგის-კარში“ (7, 27). ამ ამონაწერში რომ ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმზეა საუბარი, ვფიქრობთ, ამაში ეჭვი არავის გაუჩნდება. გიულდენშტედტი ნუკრიანს 261-ე გვერდზეც ასახელებს და ჭოტორსა და მალაროს შორის ათავსებს. „შემდეგი ქართული... პუნქტები კი, უმეტესად ალაზანზე და იორზე, ნანილობრივ კი იორის შენაკადებზე მდებარენი, ეკუთვნის ერთს ან მეორე მხარეთაგანს“ ... (აქ ჩამოთვლილია მრავალი დასახლებული პუნქტი, მათ შორის ქიზიყის სოფლები: „... ანაგა, ჭოტორი, ნუკრიანი, მალარო, ბოდბისხევი, ბოდბე, ქედელი, ანაგა...“).

როგორც საისტორიო წყაროებიდან დავინახეთ, სიღნაღის მშენებლობა მეთვრამეტე საუკუნის 60-70-იან წლებში დაუწყია ერეკლე მეფეს. სოფელი ნუკრიანიც დაახლოებით ამ დროიდან იხსენიება. იოანე ბატონიშვილს იგი ცალკე სოფლად აქვს შეტანილი თავის „ქართლ-კახეთის აღწერაში“. ზემოთ უკვე ვთქვით, რომ მეფე ერეკლეს დროს ბევრი ახალი დასახლება შეიქმნა ჩვენს ქვეყანაში, ბევრი ნასოფლარიც განახლდა. სწორედ ამ აღმშენებლობაზე მეტყველებს, თუ ერთმანეთს შევადარებთ ვახუშტი და იოანე ბატონიშვილების აღწერათა მონაცემებს. იოანე ბატონიშვილის შრომაში ქიზიყის ტერიტორიაზე, როგორც აღვნიშნეთ, 49 დასახლებული პუნქტია

დაფიქსირებული, მათ შორის სიღნაღი და ნუკრიანი. „ჰერეთსა და ხორანთას რაც მიენერება ქისიყი და მისი ხეობა, — ვკითხულობთ დასახელებულ შრომაში, — სამეფო, საეკლესიო და სააზნაურო ადგილი და სოფლები წინამხარი და უკანამხარი, არიან ესენი... ასანაურნი, ჯუგაანი, ტიბაანი, პრასაანი... ფანიანი, მალარო, ნუკრიანი, ჭოტორი, სიღნაღი ქალაქი, ბაიდარაანი, ანაგა...“ (17, 68).

სოფელი ნუკრიანი მომდევნო წლებში კიდევ მრავალ საბუთშია დაფიქსირებული, მაგრამ, ვფიქრობთ, აღარაა საჭირო ყველას დამონება, ოღონდ ეს სოფელი იმ დროისათვის უკვე მნიშვნელოვანი პუნქტი რომ უნდა ყოფილიყო, ამის უტყუარი ფაქტი გახლავთ გიორგი ბატონიშვილის (შემდეგში მეფე გიორგი მეცამეტე) აქ მობრძანება, რასაც გვაუწყებს 1790 წელს შედგენილი ერთი საბუთი „არზა პაატა თოფჩიბაშისა მამულის თაობაზე“, სადაც ვკითხულობთ: „... აიდემურს ნუკრიანში თქვენთვის არზი მოერთმივნა და მოეხსენებინა, რომ ჩემი მამული თოფჩიბაშის კაცმა წამართვაო“ (32, 47).

ქართველებმა ალექსანდრე ბატონიშვილის მეთაურობით ნუკრიანში რუსებს კუდიტ ქვა ასროლინეს, ამას თეიმურაზ ბატონიშვილის „ახალი ისტორია“ გვატყობინებს: „... შთავიდა ალექსანდრე ქიზიყს. შეიბნენ ნუკრიანში და გამოყარეს რუსნი“ (42, 86. ხაზი — უ.ს.).

კიდევ მრავალი საბუთის დამონება შეიძლება, სადაც ტოპონიმი „ნუკრიანია“ დაფიქსირებული. მაგრამ, ვფიქრობთ, ამ სახელწოდების ისტორიის თვალის გასადევნებლად ესეც საკმარისია.

ახლა რაც შეეხება მის ეტიმოლოგიას. ერთი შეხედვით ტოპონიმი „ნუკრიანი“ თითქოს მიმართებითი ზედსართავი სახელი ჩანს, იან ყოლა-ქონების სუფიქსით ნანარმოები. ნუკრი → ნუკრ-იან-ი. თუმცა აქვე უნდა გითხრათ, რომ ცხოველ-ფრინველთა სახელებისაგან ყოლა-ქონების სუფიქსებით ნანარმოები ტოპონიმები არ გვაქვს. ამ ტიპის ტოპონიმები მცენარეთა სახელებისაგან იწარმოება: შვინდი → შვინდიანი, პანტა → პანტიანი, ვაშლიანი, წიფლიანი, მუხიანი, კაკლიანი და სხვა. სამაგიეროდ, ცხოველ-ფრინველთა სახელებისაგან სა-ე, სა-ო აფიქსებით ნანარმოები გეოგრაფიულ ობიექტთა სახელწოდებები საკმაოდ დიდი რაოდენობითაა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში დაფიქსირებული. ჩვენთვის საინტერესო ობიექტის სახელწოდებას ცხოველის სახელი რომ ედოს საფუძვლად, მაშინ ასეთი ფორმა ექნებოდა — სა-ნუკრ-ე, ე.ი. ადგილი, სადაც ნუკრები იცის. მსგავსი სახელწოდებები მიკროტოპონიმიაში უამრავია. მაკროტოპონიმიაშიც (ე.ი. დიდი ობიექტების სახელწოდებად) რომ გვაქვს, ამაში მკითხველიც დაგვეთანხმება. საბუე (სოფლებია ახმეტისა და ყვარლის რაიონებში), სათხე (სოფელია ნინოწმინდის რაიონში), სამტრედია რაიონული ცენტრიცაა და ერთ სოფელსაც ჰქვია


ტყიბულის რაიონში, საცხენე//საცხენისი (სოფლებია გარდაბნისა და ყვარლის რაიონებში), კურორტი საირმე და მრავალი სხვა. აქედან გამომდინარე, ტოპონიმ „ნუკრიანს“ ფუძედ ცხოველის სახელი კი არ უნდა დასდებოდა, არამედ ადამიანის საკუთარი სახელი (ან მეტსახელი) ნუკრი//ნუკრია, აქედან ნუკრიანი. ნუკრიანი, რა თქმა უნდა, თავდაპირველად აღნიშნავდა ამ ნუკრიას შთამომავლობას, მათ ერთობლიობას, ე.წ. შტოგვარს, რომელიც შეიძლება შემდეგში დამოუკიდებელ გვარადაც ქცეულიყო. აი, ამ მოდგმის ხალხი ცხოვრობდა ამ უბანში და გეოგრაფიულ ობიექტსაც ამიტომ ეწოდა ეს სახელი. ამ მოდელით ნაწარმოები ტოპონიმები საკმაოდ გავრცელებულია საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ კახეთში და თვით ქიზიყშიც: ტიბაანი, მაჩხაანი, ჯუგაანი, მირზაანი, ოზაანი, ფანიანი... უფრო კი, თუ კარგად დავაკვირდებით, ნუკრიანი, ფანიანი, ბურდინი, გურგენიანი, ბებურიანი, მიქელიანი, მღებრიანი, რუსიანი ერთი მოდელის ტოპონიმებია. აქ, ამ ტოპონიმებში აშკარად გამოიყოფა ადამიანთა საკუთარი სახელები: ბურდია, გურგენი, ბებური, მიქელი, რუსი, რომლებიც საფუძვლად უდევს გვარებს თუ შტოგვარებს: ბურდიაშვილებს, გურგენიშვილებს, ბებურიშვილებს, მიქელიშვილებს, რუსიშვილებს. მაშასადამე ტოპონიმ ნუკრიანში იან ყოლაქონების სუფიქსი კი არ გამოიყოფა, არამედ აქაც გვარის, შტოგვარის, სახლის ერთობლიობის აღმნიშვნელი სუფიქსი ან. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ტოპონიმები: ფანიანი, ნუკრიანი, ნანიანი ადგილობრივ გამოითქმის: ნანიიანი, ფანიიანი, ნუკრიიანი... საიდანაც აშკარად ჩანს, რომ ამ ტოპონიმებს საფუძვლად უდევს ადამიანთა საკუთარი სახელი (მეტსახელი): ფანია, ნანია, ნუკრია...

ჩვენმა ვარაუდმა, რომ ტოპონიმი ნუკრიანი ანთროპონიმული წარმომავლობისაა და მას საფუძვლად უდევს გვარსახელი (შტოგვარი) ნუკრიაშვილი, შეიძლება ეჭვი გამოიწვიოს, რადგან ამ სოფელში დღეს არც ასეთი გვარი არსებობს და არც შტოგვარი. თუმცა აქვე დავძენთ, რომ არც სოფლებში: ტიბაანში, ჯუგაანში, მაჩხაანში თუ მირზაანში ცხოვრობენ ტიბაშვილები, ჯუგაშვილები, მაჩხაშვილები თუ მირზაშვილები, მაგრამ ამ ტოპონიმებს რომ ეს სახელები (გვარსახელები) უდევს საფუძვლად, ამაში, ვფიქრობთ, ეჭვი არავის არ უნდა ეპარებოდეს. თუნდაც იმიტომ, რომ სოფელ ოზაანის მოსახლეობის ნახევარზე მეტი ოზაშვილები არიან. ოზაშვილების ერთობლიობის აღსანიშნავად რომ ოზაანიც იხმარება, ამის მტკიცება აღარ დაგვჭირდება.

დღევანდელი ნუკრიანის მთავარი უბნებია: ქვემონუკრიანი, ზემონუკრიანი, გიგინაური, მარტაანი და ნუკრიანის კალოები. ამათგან ნუკრიანის კალოები უფრო განცალკევებით მდებარეობს, შეიძ-

ლება ზოგს ცალკე სოფლადაც კი მოეჩვენოს. სამაგიეროდ მარტაან-  
თუბანთან ნუკრიანი და სოფელი მალარო ისეა ერთმანეთზე მიბმუ-  
ლი, რომ ვერც კი გაარჩევთ, სად მთავრდება ერთი და სად იწყება მე-  
ორე.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სანამ ნუკრიანი ცალკე სოფლად გამოიყო-  
ფოდა, ის მალაროს ერთ-ერთი განაპირა უბანი უნდა ყოფილიყო. ამ  
ვარაუდს, ალბათ, მალაროს მოსახლეობის  
საკომლო დავთრების ძველი მონაცემებიც  
დაუჭერს მხარს.





## ნიკორწმინდა ან ნიკორციხა

ტოპონიმიკური კვლევის ცენტრში — ტოპონიმიკის ლაბორატორიაში ძალიან ბევრი წერილს ვიღეთ. გვეკითხებიან ამა თუ იმ ტოპონიმის შესახებ, განსაკუთრებით თავი-

ანთი სოფლის სახელწოდება აინტერესებთ: მისი ისტორია, ეტიმოლოგია, დანერილობა და სხვა. გვთხოვენ, პასუხი გაზეთის საშუალებით გავცეთ, ყველასათვის მისაწვდომი და გასაგები რომ იყოს. ჩვენს რესპუბლიკაში ამ ბოლო დროს დატრიალებულმა ტრაგიკულმა ამბებმა და მძიმე პოლიტიკურმა სიტუაციამ საშუალება არ მოგვცა დროულად გამოვხმაურებოდით მათ შეკითხვებს, წერილი კი საკმაოდ ბევრი დაგვიგროვდა. პირველ რიგში პასუხი გვინდა გავცეთ დედოფლისწყაროს სოფელ ჯაფარიძის მაცხოვრებლებს და თანაც ბოდიში მოვუხადოთ პასუხის დაგვიანებისათვის. ყველასათვის გასაგები რომ იყოს მათი საჩივარი, აჯობებს ჯერ მათი წერილი მოვიტანოთ: „ბატონო უშანგ! — გვწერენ ჯაფარიძელები, — ყურადღებით წავიკითხეთ თქვენს მიერ „ახალგაზრდა ივერიელში“ გამოქვეყნებული წერილი ტოპონიმ „ალაზნის“ შესახებ. მოგმართავთ ყოფილი წითელწყაროს, ახლანდელი დედოფლისწყაროს რაიონის სოფ. ყოფილი ჯაფარიძის, ახლანდელი სამრეკლოს მაცხოვრებლები და გულშემატკივრები. ჩვენს სოფელს ადრე სვეჩინოვკა ერქვა. სახელი აქ დასახლებულმა რუსებმა შეარქვეს... შემდგომში ახლომახლო სოფლებიდან ჩამოსახლდნენ ქართველები და სახელიც შეუცვალეს. მას ეწოდა ცნობილი რევოლუციონერის ალიოშა ჯაფარიძის სახელი. წელს კი მოხდა სოფლის ხელახლა მონათვლა. სტიქიურად, ისტორიის, ტოპონიმიკის გაუთვალისწინებლად მას სამრეკლო დაარქვეს. მეორდება ისტორია. ასე წარმოიშვა საქართველოში რამდენიმე გამარჯვება, შრომა, დიდება და სხვა. ამ სახელობის სოფელი უკვე არსებობს საქართველოში. სახელი სამრეკლო მშვენიერია, მაგრამ ვფიქრობთ, ეს ჩვენი ისტორიის შეურაცხყოფაა. არ შეიძლება მისი ძირძველი ტოპონიმი არ არსებობდეს. სოფლის კრებაზე ინტელიგენციამ და ნამდვილმა მამულიშვილებმა ურჩიეს ახალგაზრდა თავკაცებს, ასე ნაუცბათევად საკითხი არ გადაწყვეტილიყო, მაგრამ მათ რჩევას ყური არ უგდეს ახალგაზრდებმა. სოფელს ოფიციალურად უკვე ეწოდა სამრეკლო.

სოფელთან ახლოსაა ხორნაბუჯის ციხე, მაგრამ უკვე არსებობს სილნალის რ-ნის სოფ. ხორნაბუჯი. სოფელს ჩამოუდის ქირხლის ნყალი, რომელიც ისტორიულად ცნობილია.

ჩვენი თხოვნაა, იქნებ გამოძებნოთ დრო და დაგვიზუსტოთ, რა ტოპონიმი შეესაბამება ჩვენს სოფელს. პასუხი უკეთესია გაგვცეთ გაზეთის „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებიდან, რადგანაც ყველას ძალიან გვაინტერესებს და გვინდა ყველასათვის იყოს ცნობილი. პასუხი რაიონის ხელმძღვანელობასაც ალბათ ეცნობება.

წინასწარ გიხდით მადლობას და ვფიქრობთ წარსულის შეცდომები არ უნდა გავიმეოროთ. ტოპონიმების შეცვლა პროფესიონალების საქმე უნდა გახდეს.

სოფელ სამრეკლოს მცხოვრებლები გთხოვთ, დროულად გამოგვიხმაუროთ“.

ავტორებს კიდევ ერთხელ გვინდა მოვუხადოთ ბოდიში პასუხის დაგვიანებისათვის. როგორც დავინახეთ, წერილი გულისტკივილითაა დაწერილი და ბევრი საყურადღებო საკითხია მასში დასმული. ეს საკითხები საფუძვლიან პასუხს მოითხოვს. დავინყოთ ბოლო წინადადებიდან: „ტოპონიმების შეცვლა პროფესიონალების საქმე უნდა გახდეს“, — იწერებიან ამ სოფლის მაცხოვრებლები. უნდა გახდეს კი არა, უკვე დიდი ხანია, რაც პროფესიონალები ამ საქმეს გულისყურით ეკიდებიან, უფრო ზუსტად კი, 1984 წლიდან მოყოლებული დღემდე არც ერთი სახელწოდება არ შეცვლილა ტოპონიმისტიების გარეშე. ეს სიტყვები, ალბათ, გაოცებას გამოიწვევს წერილის ავტორებში; თუ არ შეცვლილა, მამ ჩვენს სოფელს „სამრეკლო“ როგორღა უწოდესო.

მოგახსენებთ. მართალია, სოფლის კრებაზე ახალგაზრდა თავკაცებს უწოდებიათ სამრეკლო, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამ სოფელს ამიერიდან ოფიციალურად უკვე სამრეკლო ჰქვია. როგორც ჩანს, ამ ახალგაზრდა თავკაცებს არ სცოდნიათ წესი, თუ როგორ უნდა შეეცვალოს ამა თუ იმ დასახლებულ პუნქტს სახელწოდება. სხვათა შორის ამ რამდენიმე წლის წინათ წითელწყაროს რაიონის ხელმძღვანელობის წარმომადგენლები იყვნენ ჩვენს ლაბორატორიაში და მათ სათანადო რეკომენდაციები მიეცათ რაიონის ტერიტორიაზე გამოსაცვლელ თუ გადასარქმევ სახელწოდებათა თაობაზე. მართალია, ძველი ხელმძღვანელობა შეიცვალა, მაგრამ დაუჯერებელია, ეს საბუთები თან წაეღოთ. მაგრამ დაეუბრუნდეთ საკითხს. ჯერ ერთი, კრებაზე უნდა განეხილათ რამდენიმე ალტერნატიული სახელწოდება. კრების დადგენილება უნდა წარედგინათ რაიონული საკრებულოსათვის, რომელიც აღძრავდა საკითხს პარლამენტის წინაშე, რომელიც საბოლოოდ გადაწყვეტს, ოფიციალურად ეწოდოს თუ არა

ეს სახელი აღნიშნულ ობიექტს. ალტერნატიული სახელები სარეკომენდაციოდ გვეგზავნება ჩვენ — ტოპონიმიკური კვლევის რესპუბლიკურ ცენტრს. სწორედ ტოპონიმიკის ლაბორატორიის რჩევითა და რეკომენდაციით ბევრ დასახლებულ პუნქტს დაუბრუნდა თავისი ნამდვილი სახელი ანდა შესაფერისი ახალი სახელი ეწოდა.

ჩვენ არ ვიცით, ჰქონდათ თუ არა სხვა ალტერნატიული სახელწოდებები ამ სოფლებს, წერილში ამაზე არაფერი წერია. ტოპონიმი — სამრეკლო — ბევრს არ მოსწონებია, ეს კი აშკარად ჩანს, რადგან „კრებაზე ურჩიეს ახალგაზრდა თავკაცებს, ასე ნაუცბათევად საკითხი არ გადაწყვეტილიყო“. მაგრამ მათ რჩევას ყური რომ არ უგდეს, სწორედ ესაა მეტად სამწუხარო.

„სოფელს ოფიციალურად ეწოდა სამრეკლო“, გულისტკივილით გვწერენ ამ სოფლის მაცხოვრებლები. აქედანვე გვინდა დავამშვიდოთ წერილის ავტორები. არა, ამ სოფელს ოფიციალურად ჯერ კიდევ არ ჰქვია სამრეკლო. ახალი ტოპონიმი მაშინ ჩაითვლება ოფიციალურ სახელწოდებად, როცა მას პარლამენტი დაამტკიცებს.

„სახელი სამრეკლო მშვენიერია, მაგრამ, ვფიქრობთ ეს ჩვენი ისტორიის შეურაცხყოფაა. არ შეიძლება მისი ძირძველი ტოპონიმი არ არსებობდეს“, — ვკითხულობთ წერილში. რა თქმა უნდა, სამრეკლო მშვენიერი სიტყვაა, მაგრამ სოფლის სახელწოდებად ნამეტნავად ხელოვნურია. ასეთი გამოგონილი სახელების დარქმევა დასახლებული პუნქტისათვის ყოვლად გაუმართლებელია. ნუთუ გაკვეთილად არ კმარა ოცი-ოცდაათიანი წლების გამოცდილება? ანდა რა ხიერი მოგვიტანა ასეთმა პომპეზურმა სახელწოდებებმა, როგორცაა: ცოდნა, განთიადი, განახლება, შრომა, გამარჯვება, ოქტომბერი, პირველი მაისი და სხვა, ასე უხვად რომ მიმოაბნის მთელს რესპუბლიკაში. ამგვარი ოპერაციები კარგი რომ ყოფილიყო, ახლა გამოსაცვლელი ხომ აღარ გაგვიხდებოდა?

როცა რომელიმე ობიექტს სახელს ვუცვლით (ანდა სულაც ახლად ვარქმევთ!), დიდი დაფიქრებაა საჭირო. ემოციებს არ უნდა აყვებით. ვიფიქროთ იმაზეც, ჩვენ რომ მოგვწონს ახლა ეს სახელწოდება, ხვალ და ზეგ ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებსაც თუ მოეწონებათ. რომ არ მოეწონოთ და მათაც გამოცვალონ? ეს ხომ მართლაც ჩვენი ისტორიის შეურაცხყოფა იქნება.

ახლა რაც შეეხება იმ კითხვას, წერილის ავტორები რომ გვწერენ: „არ შეიძლება მისი (ე.ი. სოფელ ჯაფარიძის — უ.ს.) ძირძველი ტოპონიმი არ არსებობდესო“. მოგახსენებთ, ამ სოფლის ტოპონიმიკური მასალა თავად აღწერე 1986 წელს. მაშინდელმა სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ კ.ყოჩიაშვილმა გულთან ახლოს მიიტანა ეს საშვილიშვილო საქმე. თვითონვე გაგვინია მეგზურობა, შეგვახვედრა



კარგ ინფორმატორებს, მრავლის მნახველ მოხუცებს, რომელთაც საკმაოდ მდიდარი ტოპონიმიკური მასალა ჩაგვანერინეს.

მკითხველმა უკვე იცის, ტოპონიმების ჩამწერათათვის გვაქვს სპეციალური კითხვარი, რომელიც ათი კითხვისაგან შედგება. ტოპონიმისტი ვალდებულია ჩაწერისას თითოეულ ტოპონიმზე ყველა კითხვა დაუსვას ინფორმატორს. თუ ყველა კითხვაზე გასცემენ პასუხს, ეს იდეალური იქნება. თუმცა ჩვენ წინასწარვე ვიცით, რომ ყველა კითხვას ვერ გაეცემა პასუხი, მაგრამ შეკითხვით ყოველთვის ვეკითხებით. ალბათ, ახლა ყველა კითხვის ჩამონერა არაა საჭირო. მეზუთე კითხვა კი ასეთია: რატომ ჰქვია ამ ობიექტს ეს სახელი? თუ იციან, დაწვრილებით უნდა ჩაწერონ. შეიძლება პასუხი ორგვარი, სამგვარი და მეტიც იყოს. რალა თქმა უნდა, ეს პასუხები ერთმანეთს გამორიცხავენ, ე.ი. შეუძლებელია ყველა ჭეშმარიტი იყოს. ჩაწერისას უპირატესობას არც ერთს არ ვაძლევთ, უკლებლივ ყველა უნდა დავაფიქსიროთ.

როცა ამ სოფლის — ჯაფარიძის — სახელწოდებაზე ვავსებდი კითხვარს, ვიცოდი, თუ რატომ ერქვა ამ სოფელს ეს სახელწოდება, მაგრამ მაინც ვეკითხე. თქვენ წარმოიდგინეთ, იმ მოხუცებმა, ვისგანაც ვინერდი მასალას, არ იცოდნენ, ვინ იყო ის კაცი, ვის სახელსაც ატარებდა მათი სოფელი! ისე კი სჯობია, სრულად მოვიტანოთ მაშინდელი ნაამბობი:

„აქა, შვილო, ადრე რუსები ცხოვრობდნენ, პატარა სოფელი იყო, სერენოვკას ეძახდნენ. მერე ჩვენ ჩამოვსახლდით ზემოთა სოფლებიდან, უფრო მეტი წილი ზემო მაჩხაანიდან. მერე სხვა სოფლებიდანაც მოვიდნენ. ერთხანობას ამ ჩვენ ახალ სოფელს „ტბისპირს“ ეძახდით. აქვე, ჩვენი სოფლის გვერდით ტბაა ერთი, დიდტბას ვეტყვი, ალბათ, ნანახი გექნება. მეორე ტბაცაა ჩვენთან, იმას პატარატბა ჰქვია. რაკი ამ დიდტბის პირას დავსახლდით, სოფელს ტბისპირი დავარქვით. ჩვენ კი ტბისპირელებს გვეძახდნენ. მემრე ზევიდან მოვიდა ბრძანება, თქვენ სოფელს დღეიდან ჯაფარიძე დაუძახეთო. ვინ იყო, რა კაცი იყო ი ჯაფარიძე, ვერ გეტყვი, არაფერი ვიცი“.

ნაამბობით დაინტერესებულმა სხვებსაც ვეკითხე აქაც და მეზობელ სოფლებშიც. ამ სოფელს ჯაფარიძე რომ ჰქვია, თუ გაგიგონიათ, ვინ იყო ის ჯაფარიძე-მეთქი. ბევრმა მოხუცმა უარის ნიშნად თავი გააქნია. ერთმა კი, აი რა გვითხრა: „ეგ ჯაფარიძე, მგონი ის უნდა იყოს, თელავის მაზრაში თავადები რომ ამონყვიტა და მერე თვითონაც ზედ მიაკლესო“. მართალი გითხრათ, მაშინ ბევრი რამე კი გაგვეგონა კახეთში დატრიალებული ტრაგედიისა, მაგრამ მთავარი ჯალათის სახელი არ ვიცოდით...


დავუბრუნდეთ ისევ ჩვენს საკითხს. როგორც ამ სოფლის მოხუ-

ცებმა გადმოგვცეს, როცა ზემო სოფლებიდან ჩამოსულან აქ და ამ ტბის პირას დასახლებულან, სოფლისათვის ტბისპირი უწოდებიათ. თუმცა ასეთი ტოპონიმი — ტბისპირი — არსად არაა დაფიქსირებული სოფლის სახელწოდებად. ე.ი. როგორც ჩანს, ეს სახელწოდება ოფიციალურად არ ყოფილა დამტკიცებული. მოხუცებს ისიც კარგად ახსოვთ, რომ მანამდე აქ რუსებს უცხოვრიათ, და სოფელს სვეჩენოვკას ეძახდნენ. როგორც ვიცით, ქიზიყის ტერიტორიაზე რუსები მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში მკვიდრდებიან (რუსის ჯარის გარნიზონი იდგა აქ და ამან შეუწყოთ ხელი). მათ (ე.ი. რუსების) ჩამოსახლებამდე აქ რომ სოფელი უნდა ყოფილიყო, ამის უტყუარი დასტური გახლავთ აქ არსებული ძველი ნასაყდრები თუ ნასახლარები და, რაც მთავარია, ტოპონიმია... ელია, ნიკორციხე, ნიკორწმინდა, ნიკორციხის წყალი... სხვათა შორის, ქალაქ დედოფლისწყაროში, ამ სოფლის — ჯაფარიძის — მხარეს, არის ქუჩა, რომელსაც ნიკორციხის ქუჩა ჰქვია. თუმცა ისიც უნდა გითხრათ, რომ ვერავინ ამიხსნა, რატომ ეწოდა ამ ქუჩას ეს სახელი.

ნიკორწმინდა იგივე ნიკოლოზ წმინდაა. ე.ი. ამ სოფლის ტერიტორიაზე არსებობდა წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია-საყდარი, რომელსაც, როგორც ჩანს, ციხე-გალავანიც ჰქონია და ამიტომაც უწოდებიათ მისთვის ნიკორციხე. ჩვენდა სასიხარულოდ იოანე ბატონიშვილის „ქართლ-კახეთის აღწერაში“ აღმოჩნდა ტოპონიმები: ნიკორციხე და ნიკორწმინდა! დამაჯერებლობისათვის მოვიტანთ იოანე ბატონიშვილის ამ ცნობას: „პერეთსა და ხორანთას რაც მიენერებოდა ქისიყი და მისი ხეობა. სამეფო, საეკლესიო და სააზნაურო ადგილი და სოფლები წინამხარი და უკანმხარი, არიან ესენი... ასანაური, ჯუგაანი, ტიბაანი, პრასაანი, ბედიყურა, ხირსა, ძველი ანაგა, ქუნბათი, ყოლანთო, ნიკორწმინდა, ნიკორციხე...“ (სახელწოდებები მოვიტანეთ ისე, როგორც ტექსტში წერია. ოღონდ მკითხველს შევახსენებთ, რომ ამ „აღწერაში“ ნიკორწმინდა და ნიკორციხე ერთი ობიექტის სახელწოდებაა) (17, 67). „აღწერაში“ ჩამოთვლილი ტოპონიმებიდან ბევრი დღესაც არსებობს და ყველასათვის ცნობილია, ბევრიც მხოლოდ მიკროტოპონიმია შემოუნახავს. მათ შორისაა ნიკორწმინდა და ნიკორციხე. თუ გვინდა ისტორიული სამართლიანობა აღვადგინოთ, მაშინ ამ სოფელს უნდა დავუბრუნოთ თავისი ძველი სახელი ნიკორწმინდა ან ნიკორციხე.

არ ვიცით, ახალგაზრდა თავკაცებს რა მიზანი ჰქონდათ, როცა თავიანთ სოფელს „სამრეკლოს“ არქმევდნენ. თუ მათი სურვილი მხოლოდ ის იყო, რომ მათ სოფელს რელიგიური სახელი რქმეოდა, ნიკორწმინდის ან ნიკორციხის აღდგენით ეს სურვილიც დაკმაყოფილდება და წმინდა ნიკოლოზიც, რომელიც ერთ-ერთი დიდი წმინ-

დანია ქრისტიანულ სამყაროში, სამართლიანობის აღდგენისათვის  
მადლსა და ნათელს არ მოაკლებს ამ სო-  
ფელს და მის მაცხოვრებლებს.





## „ყაზბეგის“ ისტორია- ეთნოლოგიისათვის

რაიონული და სადაბო საბჭოს ცენტრი ყაზბეგი მდებარეობს მდინარე თერგის ნაპირებზე, საქართველოს სამხედრო გზაზე, ზღვის დონიდან 1740 მეტრზე. ალბათ, ყველამ კარგად იცის, რომ ამ დასახლებულ პუნქტს ადრე სტეფანწმინდა ერქვა. ოფიციალურად როდის შეეცვალა დაბას სახელწოდება, როდის იქცა სტეფანწმინდა ყაზბეგად, ჯერჯერობით ვერ დავადგინეთ. ასეთ ცნობას არ გვანუდის არც საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა და არც ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარიდან იმას კი ვგებულობთ, რომ 1922 წლის 22 დეკემბერს ყოფილ ხევის რაიონს ყაზბეგის რაიონი ეწოდა.

ენციკლოპედიიდან ვიგებთ, რომ 1910 წელს ამ დაბას სტეფანწმინდა რქმევია, 1925 წელს კი უკვე ყაზბეგი ჰქვია. ამას გვეუბნება ამ დაბაში დაბადებული გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა — პროფესორ ვანო შადურისა (დაბად. 1910 წ.) და აკადემიკოს ოთარ ლუღუშაურის (დაბად. 1925 წ.) ბიოგრაფიული ცნობები. პროფ. ვ. შადურს დაბადების ადგილად სტეფანწმინდა უწერია, პროფ. ო. ლუღუშაურს კი — ყაზბეგი.

როგორც ვიცით, მყინვარწვერსაც მეორე სახელად ყაზიბეგს ეძახიან. „და ყაზიბეგსა საამოდ ზედა ვარსკვლავი დაჰნათის...“ (38, 334. ხაზი — უ.ს.), ამბობს გრიგოლ ორბელიანი. „იმ საღამოს სტეფანწმინდას ამოვედი. მშვენიერი საღამო იყო, ასე რომ, იმ ღამეს იქ დავრჩი, რათა თვალი გამეძღო მშვენიერის სანახავეების ხილვითა... ოთახიდან გარეთ გამოვედი და შევხედე სტეფანწმინდის პირდაპირ აყუდებულს მყინვარსა, რომელსაც ყაზბეგის მთას ეძახიან“, — წერს ილია „მგზავრის წერილებში“ (46, 26წ. ხაზი — უ.ს.). როგორც ვხედავთ, ილია ამბობს, მყინვარწვერს ყაზბეგის მთას ეძახიანო და არა, ვეძახითო. ე.ი. ყაზბეგს სხვები ეძახიან, თორემ ჩვენთვის იგი მყინვარწვერია. აი, რას წერს ამის თაობაზე ცნობილი მეცნიერი პროფ. ვ. შადური: „... გაბრიელის (ალექსანდრე ყაზბეგის პაპის — უ.ს.) დამსახურებისა და მისდამი პატივისცემის ნიშნად რუსებმა მყინვარწვერსა და სტეფანწმინდასაც ყაზბეგი უწოდეს“ (47, 10). როგორც პატივცემული მეცნიერი წერს, „სტეფანწმინდა და მყინ-

ვარწვერი ყაზბეგად იწოდებიან იმდროინდელ (XVIII საუკუნის ბოლოს - უ.ს.) რუსულ წყაროებში" (იქვე).

ბატონი ვანო იმასაც დასძენს, რომ გაბრიელი მაშინ უკვე ატარებდა ახალ გვარს, და, მართლაც, ჯერ კიდევ 1791 წელს გაბრიელი ერეკლე მეფის წერილში დასახელებულია არა ჩოფიკაშვილად, არამედ ყაზიბეგიშვილად. ყაზიბეგიშვილების გვარი შემდეგ რუსულ ყაიდაზე ყაზიბეგოვად გადაკეთდა. ყაზბეგების (ყაზიბეგიშვილების) გვარის ფუძემდებლად ითვლება ყაზბეგი, იგივე დიმიტრი, როგორც ეს ნათქვამია ალექსანდრე ყაზბეგის მამის მიხეილის მიერ მთავრობისადმი წარდგენილ საბუთში. სწორედ ამ საბუთით ასკენის ბატონი ვანო შადური, რომ გაბრიელ ჩოფიკაშვილის მამა „ორსახელიანი“ ყოფილა. ე.ი. დიმიტრიც რქმევია და ყაზბეგიც. დიმიტრი ოფიციალურად, რადგან მისი შვილები ყოველთვის დიმიტრის ძეებად იხსენიებიან. ყაზბეგი კი მეორე, შერქმეული სახელი უნდა ყოფილიყო.

ჩოფიკაშვილები XVIII საუკუნეში აღზევებული ფეოდალები არიან. მათ განსაკუთრებით გაიქთვეს სახელი ერეკლე მეფისა და გიორგი მეცამეტის დროს. დიდი პატივით სარგებლობდნენ რუსების წინაშეც. მათი აღზევება კი გამოიწვია XVII-XVIII საუკუნეებში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გააქტიურებამ. ჩოფიკაშვილთა სახლის კაცები ხევის მოურავები იყვნენ, ხევი კი საქართველოს სამხედრო გზაზე მდებარეობს. სწორედ დარიალის ხეობის დიდმა სტრატეგიულმა მნიშვნელობამ აღაზევა ამ მხარის მოურავები, ჩოფიკაშვილები, რომელთაც მოურავობის გარდა, სხვა თანამდებობაც ჰქონდათ. ეს თანამდებობა კი ყაზიბეგობა (ყაზბეგობა) ვახლავთ.

ე.ი. დიმიტრი ჩოფიკაშვილს ორი სახელი კი არ ჰქონდა, იგი თანამდებობით ყაზბეგიც იყო, ყაზიბეგის მოვალეობასაც ასრულებდა. სანამ განემარტავდეთ, თუ რა თანამდებობა იყო ყაზიბეგობა, უნდა აღვნიშნოთ, რომ არამარტო დიმიტრი უნდა ყოფილიყო ყაზბეგი (ყაზიბეგი), არამედ მის წინაპრებსაც უნდა ჰქონოდათ ეს თანამდებობა. მეტად საეჭვოდ გვეჩვენება, რომ ვახტანგ მეფის დროინდელი ყაზიბეგი, ე.ი. XVIII საუკუნის ოციანი წლების დასაწყისისა და 70-იანი წლების დასასრულის ყაზიბეგი ერთი და იგივე პირი იყო, როგორც ამას ვარაუდობს პროფ. ვ. შადური. ეს დიმიტრი (ყაზბეგი) ამ დროისათვის სულ ცოტა 75-80 წლისა მაინც გამოდის და საეჭვოა მაშინ ამ ხნის კაცი დაენიშნათ მოურავად (უფრო საეჭვოს ის ფაქტიც ხდის, რომ ამ დიმიტრის ზოგიერთი შვილი სწორედ მისი მოღვაწეობის ბოლო წლებში ჩანს დაბადებული). აქვე ისიც გავიხსენოთ, რომ ყაზიბეგიშვილობა არა მარტო გაბრიელმა და მისმა ძმებმა მიიღეს, არამედ ზოგიერთმა სხვა ჩოფიკაშვილმაც. გიორგი მეფის ერთ-ერთ წყალობის წიგნში ნათქვამია: „ეს წყალობის წიგნი გიბოძეთ შენ, ჩვენს ერთგულსა და თავდადებით ნამსახურსა და ყაზიბეგიშვილს

შიოს...“ როგორც ვიცით, აღზევებული ფეოდალი გვარს იმიტომ იცვლიდა, რომ სხვათაგან, ყოფილ თანამოგვარეებისაგან გამორჩეულიც ყოფილიყო. არა გვგონია, ზვიად ფეოდალ გაბრიელ ყაზბეგს სხვა ჩოფიკაშვილებისთვისაც გაეზიარებინოს ახალი გვარი, ამ ბიძაშვილებსაც ასეთივე უფლება რომ არ ჰქონოდათ, ყოფილიყვნენ ყაზიბეგიშვილები.

აქვე ისიც უნდა შეგახსენოთ, რომ, როცა რუსეთის მმართველობამ მყარად მოიკიდა ფეხი საქართველოში, სწორედ მაშინ, XIX საუკუნის ორმოციან წლებში მიმდინარეობდა ფეოდალური გვარის შვილების თავადებად და აზნაურებად დამტკიცება უკვე რუსული მმართველობის მიერ. წყაროებიდან ისიც ცნობილია, რომ ბევრ თავადასა და აზნაურს ძალიან გაუჭირდა თავისი წოდების დამტკიცება, რადგან ქართველ მეფეთაგან მიცემული სიგელ-გუჯრები აღარ შემორჩენოდათ. ასეთ შემთხვევაში საჭირო ხდებოდა მოწმეთა ჩვენება. მაგრამ ხშირად ეს მოწმეები ამტკიცებდნენ საპირისპიროს. რადგან რუსის მთავრობა ახალ მინა-წყალს კი არ უმტკიცებდა მომჩივანს, არამედ თვით ამ მოწმეთათვის უნდა ჩამოეჭრა მამული და ის მიეცა, ამიტომ იყო, რომ ზოგჯერ ღვიძლი ბიძაშვილიც კი სასტიკად უარყოფდა მეორე პირის ნათესაობას. ბევრმა ქართველმა თავად-აზნაურმა ამიტომაც დაკარგა ადრინდელი წოდება. ცნობილია, რომ მარტო აღმოსავლეთ საქართველოში ექვსას ოჯახზე მეტმა ველარ დაამტკიცა თავისი წოდება და გლეხთა კატეგორიაში ჩანერეს. აი, ამ ფონზე მეტად გულკეთილები ჩანან ყაზიბეგიშვილები, რომელთაც თავიანთი ბიძაშვილები — ჩოფიკაშვილები ყაზიბეგიშვილებად აღიარეს. თუმცა გიმეორებთ, ამ ჩოფიკაშვილების წინაპრებიც რომ არ ყოფილიყვნენ ყაზიბეგები (ყაზბეგები), ყაზიბეგიშვილობას ვერ მიიღებდნენ.

ახლა კი გავარკვიოთ, რა თანამდებობა იყო ეს ყაზიბეგობა და რა შინაარსი დევს ამ ტერმინში.

ყაზიბეგი ორი სიტყვისაგან შედგება — ყაზისა და ბეგისაგან. ორივე ნასესხები სიტყვაა და შემოსულია აღმოსავლური ენებიდან. ბეგი, ალბათ ყველასათვის ნაცნობი სიტყვაა, ქართულად ნიშნავს: უფროსს, ბატონს, მემამულეს. ყაზი ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მოწმობით იგივეა, რაც ყადი. ყადი კი გახლავთ სასულიერო მსაჯული, მოსამართლე. მაშასადამე, ყაზიბეგი, ნიშნავს მოსამართლეთუფროსს, მოსამართლეთუხუცესს. შეიძლებოდა ასეთი თანამდებობა, ყაზიბეგობა ჰქონოდათ ჩოფიკაშვილებს? როგორც ვთქვით, ჩოფიკაშვილები ხევის მოურავები იყვნენ და მოურავები კი, ჩვეულებრივ, მოსამართლის მოვალეობასაც ასრულებდნენ. ამის დამადასტურებელი მაგალითების ძიება არ დაგვჭირდება, რადგან „ქართული სამართლის ძეგლებში“ თითქმის ყველა საბუთში ამოიკითხავთ.

აქვე უნდა ითქვას, რომ გვიანფეოდალურ საქართველოში, როსტომის მეფობიდან მოყოლებული, აღმოსავლური სამოხელეო ტერმინოლოგია შემოდის და თანდათან დევნის თანამედებობის აღმნიშვნელ ძველ ქართულ სიტყვებს.


სხვათა შორის, ჩამოთვლილი აქვს ქართველ თავად-აზნაურთა მუდმივი თანამედებობანი: ქართლის სახლთუხუცესი, კახეთის სახლთუხუცესი, ნაზირი, ეპიკალასბაში, მდივანბეგი (ოთხი), მდივანი (ექვსი), ერისთავი, მოურავი, გზირი, ყაზბეგი — სოფლის მოსამართლე, ანდა დიდი ან პატარა სოფლის ან ადგილის მეთაური, მეითარი, ყაფიჩბაში... და სხვა (7, 229-31) (რამდენად თანამიმდევრულია ეს თანამედებობანი, ამჯერად ვერ გეტყვით).

როგორც ვხედავთ, ყაზბეგი გიულდენშტენდტისათვის სამოხელეო თანამედებობაა. და რადგან ჩოფიკაშვილებში მემკვიდრეობით გადადიოდა ხევის მოურავობა და ამასთანავე ყაზბეგობაც, მათმა შთამომავლებმა ამიტომაც მიიღეს იგი გვარსახელად: ყაზიბეგიშვილი (ყაზბეგიშვილი — ყაზიბეგოვი), ყაზბეგოვი — ყაზბეგი.

როდის შეერქვა სოფელ სტეფანწმინდას ყაზბეგი, ამის დამამტკიცებელ ოფიციალურ დოკუმენტს ვერ მივაგენით. ისე კი, ვფიქრობთ, ოციათ ნლებში მექანიკურად (თუ განგებ არა!) უწოდეს მას ეს სახელი. მაგრამ არა ალექსანდრე ყაზბეგის საპატივცემოდ, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ, არამედ რუსული ლიტერატურული წყაროებისა და რუსული რუკების გავლენით, რუსულ წყაროებში კი ეს სახელწოდება გაჩნდა გაბრიელ ყაზბეგის (მწერლის პაპის) პატივსაცემად, ალბათ იმ დიდი დამსახურების აღსანიშნავად, რაც მას მიუძღვის რუსეთის დამკვიდრებისათვის საქართველოში...

როგორც გავიგეთ, ხალხი (მოხვევთა ერთი ნაწილი) მოითხოვს ძველი სახელწოდების სტეფანწმინდის აღდგენას. ვფიქრობთ, მხარი უნდა დაუჭიროთ მათ სურვილს, რათა დაბა ყაზბეგს დაუბრუნდეს თავისი ძირძველი სახელწოდება, ყაზბეგის რაიონს კი, ალბათ, უპრიანი იქნება, ისევ ხევის რაიონი ეწოდოს, როგორც 1932 წლამდე ერქვა.

ღრმად ვარ დარწმუნებული, ალექსანდრე ყაზბეგი ცოცხალი რომ ყოფილიყო, ისიც მხარს დაუჭერდა ამ წინადადებას.





## ხარაბაული

ტოპონიმმა „ხარაგაულმაც“ განიცადა ე.წ. „რეპრესიები“. 1949 წ. 27 ივლისის დადგენილებით „რკინის კომისრის“ პატივსაცემად ორჯონიკიძე უწოდეს. თუმცა ტოპონიმი

„ხარაგაული“ სულ არ ამოუფხეკიათ საქართველოს რუკიდან, რადგან ეს სახელწოდება კვლავ შემორჩა ამ დაბაში არსებულ რკინიგზის სადგურს. ამ რაიონს 1932 წლის 17 თებერვალს, ჯერ კიდევ სერგო ორჯონიკიძის სიცოცხლეში, დაარქვეს ორჯონიკიძის რაიონი და, ალბათ, ყველას გაუკვირდება, როგორ მოხდა, რომ წლების მანძილზე რაიონს სხვა სახელი ერქვა, რაიონულ ცენტრს კი — სხვა. დაბასაც რატომ მაშინვე არ შეუცვალეს სახელწოდება?

ვფიქრობთ, ამის ერთ-ერთი მიზეზი ეკონომიკური პირობები უნდა ყოფილიყო. სხვაგვარიც მაშინდელ ხელისუფალთა სურვილსა და მონადინებას წინ აღარაფერი დაუდგებოდა. მთელი ჩვიდმეტი წელი დასჭირდა, სანამ რაიონულ ცენტრსაც შეუცვლიდნენ სახელს!

ნათქვამი უფრო გასაგები რომ იყოს, აუცილებელია განმარტება. თითოეული დასახლებული ობიექტის სახელწოდების შეცვლას ბევრი სირთულე ახლავს. მათ შორისაა ეკონომიკური ფაქტორიც. ქალაქს, დაბასა თუ სოფელს როცა სახელი ეცვლება, ამ დასახლებული პუნქტის მთელ ტერიტორიაზე არსებულ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, მაღაზიებს, სკოლებს, ბაგა-ბალებს, ფაბრიკა-ქარხნებს, მეურნეობებს, საავადმყოფოებს და ა.შ. უნდა შეეცვალოთ ბეჭდები, შტამპები, ბლანკები, აბრები... მოსახლეობას კი — პასპორტები. ყველაფერი ეს დიდ სახსრებს მოითხოვს. ჩემი აზრით, ალბათ, იმიტომაც ვერ გადაარქვეს ამ დაბაში რკინიგზის სადგურს სახელი, რადგან სადგური „ხარაგაული“ მთელი იმპერიის სარკინიგზო ცნობარებში იყო შეტანილი. თუკი ამ სადგურს ორჯონიკიძეს დაარქმევდნენ, ეს ცვლილება უნდა ასახულიყო მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, რასაც დიდი თანხა დასჭირდებოდა... ვიმეორებ, სადგურს რომ შემორჩა ძველი ტოპონიმი — ხარაგაული — სწორედ ეს უნდა იყოს მთავარი მიზეზი და არა მაშინდელი ფუნქციონერების „ნარსულისადმი ტრფობა-აღერსი“.

მართალია, დაბასა და რაიონსაც ოფიციალურად უწოდეს ორჯონიკიძე, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ძველი ტოპონიმი — ხარაგაუ-



ლი — მაინც არ მისცემია დაეინყებას. საუბარში კვლავ ადრინდელი სახელწოდება დომინირებდა. თანაც ამავე რაიონში მდებარე ერთ-ერთ სოფელსაც ხომ პატარა ხარაგაული ჰქვია. საყურადღებო ისიც გახლავთ, რომ ამ რაიონში „ხარაგაული“ ადრე სხვა დასახლებულ პუნქტებსაც რქმევია. ამას ადასტურებს სოფელ ზვარეში ორი ნასოფლარის არსებობა, ასევე ხარაგაულს რომ უწოდებენ. ზვარეშივე ჩამოდის პატარა მდინარე — ხარაგაულის წყალი. აქვე მდებარეობს ხარაგაულის ეკლესია, თუმცა მას მეორენაირად „საელიოზო ეკლესიასაც“ უწოდებენ.

როგორც ვხედავთ, ტოპონიმი „ხარაგაული“ აღნიშნულ რეგიონში საკმაოდ გავრცელებულია. იგი სულ ცოტა ექვს ობიექტს მაინც ჰქვია: დაბას, სოფელს, მდინარეს, რკინიგზის სადგურსა და ნასოფლარებს (48, 162-248).

როდოდან გვხვდება ტოპონიმი „ხარაგაული“? ჩვენს ხელთ არსებული საისტორიო წყაროთა მონაცემებით ჯერჯერობით იგი მეთვრამეტე საუკუნეში დასტურდება. „საქართველოს ისტორიის ქრონიკებში“ ვკითხულობთ: „1731 წელს, მკათათვეში ლეკები გადავიდნენ ნუნისში, ხარაგაულში, იქიდან გადმოვიდნენ ქვიშხეთში, ჩამოიარეს ციხისძირი, საციციანო და აიკლეს...“ (14, 61. ხაზი — უ.ს.).

ეს არის ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი ცნობა, სადაც დასტურდება ტოპონიმი „ხარაგაული“.

ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ეს ტოპონიმი ოცდაათჯერ გვხვდება. აქედან თხუთმეტჯერ ძირითად ტექსტში: „ხოლო ძირულას მდინარე გამოსდის პერანგის მთასა ... ხეფინისწყვის ვერტყვილიდამ ხარაგაულამდე დის სამკრეთს-დასავლეთ შუა, ხოლო ხარაგაულიდამ შორაპნამდე დის აღმოსავლეთიდამ დასავლეთად“ (1, 757. ხაზი — უ.ს.).

ხარაგაულიც ბევრჯერ გამხდარა თავდასხმების ობიექტი. აქაც ხშირად დატრიალებულა საზარელი ამბები. 1735 წელს, ვკითხულობთ ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომში, „უკუდგა ნერეთელი პაპუნა ზურაბ აბაშიძის გამო, რამეთუ ზურაბ მოიპარა მამუკაშვილის ციხე ხარაგაულისა, მოკლა მამუკაშვილი და დაიპყრა თვით. ამისათვის მოუჭდა მეფე პაპუნას, მოაოჭრა სანერეთლო. არამედ ციხე მოდამნახისა ვერა წარულო. უკუნიქცა, ეზრახა ხარაგაულის მეციხოვნესა, რომელმაც მისცა ზურაბს, მანვე მოსცა მეფესა იგივე ციხე, შეიპყრა, მოჰკუთნა მას ჯელფერწნი და აღმოჭადნა თუალნი და ციხე მისცა მეპატრონისა ძესავე“ (1, 889. ხაზი — უ.ს.).

ტოპონიმი „ხარაგაული“ გვხვდება გერმანელი მეცნიერის გიულდენშტედტის ნაშრომშიც. იმერეთის სამეფოს აღწერისას გიულდენშტედტი ცალკე გამოჰყოფს „ხრამის მხარეს“ და წერს, რომ „მას

უკავია ხევი (ხრამი) ანდა მდინარე ჩხერიმელის გაშლილი ვაკე იმე-  
რეთის ციხის ჩხერის ზემოთ ... მისი სოფლებია ... შემდეგი რიგით: 1.  
იგორეთი 2. ლვერკი 3. ხორითი 4. სარგვეში 5. საბე 6. მირონწმინდა  
7. მლაშე 8. ქროლი 9. ბაზალეთი 10. ლარიხევი 11. ჩხერი, ციხე 12.  
ფარცხნალი 13. ხარაგაული, დანგრეული ციხე..." (7, 309. ტექსტში  
შეცდომით „გარაგაული“ წერია - უ.ს.).

გიულდენშტედტი ნაშრომის ამავე გვერდზე ამატებს სიას „იმე-  
რეთის ქალაქებისა ანუ ადგილებისა, რომლებიც ქალაქებს ედარე-  
ბიან და ზემოთ დასახელებულ მხარეთა აღწერის დროს ყველა არ  
იყო დასახელებული, ამასთან ზოგი ნანგრევებადაა ქცეული: ქუთა-  
ისი ანუ ქუთათისი, ჩხერი ... გვიშტიბი, გეგუთი, ხიდარი ... ხარაგაუ-  
ლი, სასირიო, ჭალატყე..." (7, 309. ხაზი — უ.ს.).

1893 წელს გამოცემულ ერთ-ერთ ცნობარში „თბილისისა და ქუ-  
თათისის გუბერნიების მიწათმფლობელობის სტატისტიკური მონა-  
ცემების დავთარში" (რუსულ ენაზე) ვკითხულობთ, რომ „ხარაგაუ-  
ლის სასოფლო თემი შედიოდა წიფის უბანში" (49, 54).

როგორც დამონმებული ციტატებიდან ჩანს, წყაროთა უმრავლე-  
სობაში „ხარაგაული“ ფორმა დომინირებს. „ხარაგეული“ კი (ხარა-  
გულთან ერთად) მხოლოდ ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომში  
გვხვდება. ბუნებრივია ასეთი კითხვის დასმა: რომელია მათ შორის  
სწორი ფორმა?

სანამ ამ კითხვას გავცემდეთ პასუხს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს  
ტოპონიმი — ხარაგოულის ფორმით — ზემოთ დასახელებულ არც  
ერთ წყაროში არ დასტურდება. ეს კი არა, ამ ტიპის ოიკონიმი, ანუ  
სოფლის სახელწოდება, საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერი-  
ტორიული დაყოფის ცნობარშიც კი ორადორი გვხვდება: კორბოუ-  
ლი და ბერეჟოული (გორაბერეჟოული) (50, 76-84).

აღნიშნულ ცნობარს თუ გადავავლებთ თვალს, ვნახავთ რომ ურ  
(→ულ) სუფიქსიანი ტოპონიმი საკმაოდ ბევრია. იგი თითქმის ყველ-  
განაა გავრცელებული როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ სა-  
ქართველოს რეგიონებში: ამბროლაური, ასკილაური, ბადიაური,  
ბეგიაური, გუჯაბაური, გვიმრალაური, გუდაური, დილიკაური,  
ჩოხატაური, ხელვაჩაური... უფრო საინტერესო ისაა, რომ გვხვდე-  
ბა ერთი და იგივე ოიკონიმებიც. მაგ., კალაური (სოფელია გურჯაა-  
ნისა და ჭიათურის რაიონებში), შალაური (თელავისა და საჩხერის  
რაიონებში).

ტოპონიმ „კორბოულში“ რომ ულ(←ურ) სუფიქსის წინამდებარე  
ო ხმოვანი ე-ს ასიმილაციითაა მიღებული, ამკარად დასტურდება  
წყაროთა მონაცემებიდან. ეს ტოპონიმი ვახუშტი ბატონიშვილის  
ნაშრომში რამდენჯერმე გვხვდება. მხოლოდ ერთგან წერია „კოლ-

ბოური“, სხვაგან ყველგან „კოლბეურია“. „ამას ზეით (ძირულის შუა გორებს ზემოთ — უ.ს.) მოერთვის ძირულასვე კოლბოურის ჴევი“, და იქვე: „ამ კოლბეურის ჴევის შესართავს ზეით ერთვისვე ძირულას ვაშლების ჴევი და ამაშუკეთისა“ (1, 758).

კოლბეურიდან კოლბოურის მიღება (შემდეგ კი — კორბოული-სა) ძნელი დასასაბუთებელი არაა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ტოპონიმის უფრო ადრინდელი ფორმა „კოლბაური“, რაც ორჯერ დასტურდება მეთვრამეტე საუკუნის ერთ საბუთში „განჩინება სოლომონ II-ისა პაპუნა და ბეჟან ნერეთელების გაყოფის საქმეზე“, სადაც ვკითხულობთ, რომ გაყრის შემდეგ „პაპუნას ერგო საუმფროსო აზნეურშვილი: ქ. კაციელა გოდაბრელიძე მისის მამულითა... ქ. კოლბაურს: დათუკი ღვინიაშვილი; ფარფალა ღვინიაშვილი; გლახა კვინიკაძე... აზნეურშვილი: ქ. ბეჭუა აბდუშელიშვილი მისის მამულ-ალაგ-ყოფა-ცხოვრებით... ქ. გლეხი კაცი კოლბაურს: ხახუტი მანაშვილი ... ქ. ლაზარიკა იაკობიძე...“ (37, 428-29).

დავუბრუნდეთ ისევ ტოპონიმ „ხარაგაულს“. როგორც აღვნიშნეთ, წყართა უმეტესობა მხარს უჭერს „ხარაგაულ“ ფორმას. თვით ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომში ორივე ფორმა დასტურდება: ხარაგაული//ხარაგეული.

საენათმეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ელ, ურ, იურ, დელ, ეულ წარმომავლობის აფიქსებია (41, 122). აქვე ისიცაა მითითებული, რომ ურ(→ულ) სუფიქსს უფრო მეტი დატვირთვა აქვს. იგი „აღნიშნავს არაადამიანთა სადაურობას... ზოგ-ზოგ კილოში ადამიანთა სადაურობასაც... გამოყენებულია გვარების საწარმოებლად... აღნიშნავს თვისებას სათანადო საგანთან მიმართებით“ (41, 127-28). ეულ სუფიქსი კი „აღნიშნავს წარმომავლობას პირთაგან და ნათ. ბრუნვის ფორმას ერთვის: პატარძლის-ეულ-ი, ერისთვის-ეულ-ი“ (41, 129).

აქედან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ტოპონიმ „ხარაგაულ//ხარაგეულში გამოიყოფა ულ(←ურ) და ეულ სუფიქსები. მართალია, ურ და ეულ აფიქსები ტოპონიმთა საწარმოებლადც გამოიყენება, მაგრამ მათგან ნაწარმოებ ფორმათა შორის საგრძნობი განსხვავებაა როგორც წარმოების მხრივ, ისე შინაარსობრივადაც. ურ (ულ) სუფიქსი პირდაპირ ერთვის ფუძეს, მაგ.; პაპალა → პაპალა-ურ-ი, კურდღელა → კურდღელა-ურ-ი. ეულ სუფიქსი კი ნათ. ბრუნვის ფორმას დაერთვის: პაპალა → პაპალას-ეულ-ი, კურდღელა → კურდღელას-ეულ-ი.

ამ ფორმათა შორის შინაარსობრივადც დიდი განსხვავებაა. პაპალაური ნიშნავს პაპალას კუთვნილს, პაპალასეული კი — პაპალას ნაქონს, ე.ი. პაპალაური (ვენახი, ბალი...) გვეუბნება, რომ ტო-

პონიმი ნარმოშობის პროცესში ეს ადგილი პაპალას ეკუთვნის, პაპალასია. პაპალასეული კი — პირიქით, ტოპონიმის ნარმოშობის პროცესში ეს ადგილი პაპალასი აღარაა, უკვე მისი ნაქონია.


დღეს ურ (ულ) სუფიქსი ტოპონიმთა სანარმოებლად ნაკლებად გამოიყენება, სამაგიეროდ ეულ სუფიქსი მეტად პროდუქტიულია. ეს კი იმიტაც უნდა იყოს განპირობებული, რომ კერძო პირებს მინა ჩამორთმეული ჰქონდათ.

ტოპონიმ „ხარაგაულში“ გამოიყოფა ქონების მანარმოებელი სუფიქსი ულ (←ურ). თუ ამ ფორმანტს ჩამოვაშორებთ, დარჩება ხარაგა, რაც ადამიანის საკუთარი სახელი (ან მეტსახელი) უნდა იყოს. მაშასადამე, ამ ტოპონიმის ნარმოშობის პროცესში ეს ადგილი ეკუთვნოდა ვინმე ხარაგას.

როგორც ვხედავთ, ამ ფორმათაგან: ხარაგაული//ხარაგეული, უფრო სწორია ხარაგაული, არა მარტო იმიტომ, რომ მას წყაროთა უმეტესობა უჭერს მხარს, არამედ იმიტომაც, რომ ხარაგაულიდან ხარაგეულის მიღება ჩვეულებრივი ფონეტიკური მოვლენაა, პირუკუ პროცესი კი მეტად საეჭვოა. კუთხური ფორმა „ხარაგოული“ კი „ხარაგეულის“ შემდგომი ეტაპია. ამ ტოპონიმის განვლილი გზა ასე ნარმოგვიდგება: ხარაგაული → ხარაგეული → ხარაგოული. ამ ფორმათაგან „ხარაგოული“ წყაროებში არსად არ გვხვდება, იგი მხოლოდ ზეპირმეტყველებაში დასტურდება. წყაროთა მონაცემებიდან ჩანს, რომ ასეთივე გზა გამოუვლია ტოპონიმ „კორბოულსაც“: კოლბაური → კოლბეური → კოლბოური → კორბოული.

დავუბრუნდეთ ისევ ტოპონიმ „ხარაგაულს“. რომელი ფორმაა უფრო სწორი: ხარაგაული, ხარაგეული თუ ხარაგოული? რა თქმა უნდა, ხარაგაული, რადგან იგი ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს ეყრდნობა და თანაც საისტორიო წყაროთა უმეტესობა მას უჭერს მხარს. ხარაგეული//ხარაგოული კი დიალექტური ფორმებია, რაც ფონეტიკური პროცესების (ასიმილაციის) შედეგადაა მიღებული.

როცა ვარიანტების არჩევანი დგება, სალიტერატურო ფორმას ეძლევა უპირატესობა.



## დამონები ული ლიტერატურა

1. ქართლის ცხოვრება, ტომი IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973
2. ქართული სამართლის ძეგლები, II, ტექსტები გამოსცა, შენიშენები და საძიებლები დაურთო პროფ. ი.დოლიძემ, თბ., 1965.
3. ქართლის ცხოვრება, ტომი I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955.
4. აკ.მათიაშვილი, მარტყოფის მონასტერი, თბ., 1953.
5. ზ.ცხოვრებოვა, სამხრეთ ოსეთის ტოპონიმია წერილობით წყაროებში (რ4უსულ ენაზე), თბ., 1979.
6. პლ.იოსელიანი, მარტყოფის მონასტრის აღწერა (რუსულ ენაზე) წიგნში: პრ.რატიანი, ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობისათვის, თბ., 1969.
7. გიულდენ შტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტომი პირველი, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ.გელაშვილმა, თბ., 1962.
8. საისტორიო მოამბე, 44-45, თბ., 1982.
9. ნ.ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ, 1964.
10. ლ.ჭილაშვილი, ქალაქი რუსთავი, თბ., 1950.
11. ქართლის ცხოვრება, ტომი II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959.
12. ცხოვრება საქართველოსა (პარიზის ქრონიკა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშენები და საძიებლები დაურთო გიული ალასანიამ, თბ., 1980.
13. პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ტფ. 1936.
14. საქართველოს ისტორიის ქრონიკები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშენები და განმარტებები დაურთო პროფ. ავთ.იოსელიანმა, თბ., 1980.
15. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ.ლომოურისა და ნ.ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941.
16. დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია; ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გამოსცა თამარ ლომოურმა, თბ., 1941.
17. იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს და საძიებლები დაურთეს თ.ენუქიძემ და გ.ბედოშვილმა, თბ., 1986.

18. ზ.ჭუმბურიძე, რა გქვია შენ? თბ., 1987.
19. პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი. ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ.ცაგარეი შვილმა, თბ., 1981.
20. ა.მათიაშვილი, მარტყოფის წარსული და აწმყო, თბ., 1971.
21. ა.მათიაშვილი, მარტყოფის ისტორიიდან, მაცნე, N1. 1963.
22. საქართველოს სამოთხე, შეკრებილი ხრონოლოგიურად და გამოცემული პეტერბურგის სასულიერო აკადემიის კანდიდატის ივერიელის ვობრონ (მიხაილ) პავლის ძის საბინინის მიერ, პეტერბურგი, 1882.
23. ეპისკოპოსი კირიონი, ცხოვრება და მოქალაქეობა ღირსისა მამისა ანტონ მესვეტისა, საკვირველთმოქმედისა მარტყოფელისა, თბ., 1899.
24. ქართული ხალხური პოეზია, II, თბ., 1974.
25. გ.ბელოშვილი, ერწო-თიანეთის ტოპონიმია, თბ., 1980.
26. ქართული სამართლის ძეგლები, III, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი.დოლიძემ, თბ., 1970.
27. ივანე ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონ. ისტორია, I, თბ., 1930.
28. ს.კაკაბაძე, საისტორიოკრებული, წიგნი IV: თბ., 1929.
29. ფ.ერთელიშვილი, ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბ., 1970.
30. ა.მათიაშვილი, გაზეთი „სამგორი“, 1963.
31. ქართული სამართლის ძეგლები, V, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი.დოლიძემ, თბ., 1974.
32. ქართული სამართლის ძეგლები, VIII, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი.დოლიძემ, თბ., 1985.
33. ქართული სამართლის ძეგლები, V, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი.დოლიძემ, თბ., 1981.
34. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, ნ.ბერძენიშვილი რედაქციით, თბ., 1953.
35. ქართული მწერლობა, ტომი მეექვსე, თბ., 1989.
36. ქართული სამართლის ძეგლები, IV, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი.დოლიძემ, თბ., 1972.
37. ქართული სამართლის ძეგლები, VI, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი.დოლიძემ, თბ., 1977.
38. ქართული მწერლობა, ტომი მეცხრე, თბ., 1992.
39. ქართულ-სპარსული ეტიუდები, III, ტექსტი გამოსცა, თარგმნა და კომენტარები დაურთო მაგალი თოდუამ, თბ., 1979.

40. ქართული მწერლობა, ტომი მეშვიდე, თბ., 1989.
41. აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973.
42. თეიმურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ლ. მიქიაშვილმა, თბ., 1983.
43. ვ. ლეონიძე, ნატვრის ხე, თბ., 1962.
44. მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, I წიგნი, გამოსაცემად მოამზადეს ზ. ალექსიძემ და შ. ბურჯანაძემ, თბ., 1964.
45. ი. სინზარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, I, თბ., 1958.
46. ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი ორ ტომად, I, თბ., 1977.
47. ვ. შადური, მასალები ალექსანდრე ყაზბეგის ბიოგრაფიისათვის, თბ., 1985.
48. საქართველოს სსრ ტოპონიმიკა, მასალები, ტომი I ზემო იმერეთი. პროფ. შ. ძიძიგურის საერთო რედაქციით (შეადგინეს შ. აფრიდონიძემ, ი. ბაქრაძემ და ვ. ჯოჯუამ), თბ., 1987
49. თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში მიწათმფლობელობის სტატისტიკური მონაცემების კრებული (რუსულ ენაზე). პეტერბურგი, 1893.
50. საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, თბ., 1987.
51. თ. ჟორდანიას, ქრონიკები, III, გამოსაცემად მოამზადეს ვ. ჟორდანიამ და შ. ხანთაძემ, თბ., 1967
52. ვაჟა ფშაველა, თხზულებანი, თბ., 1960.